
ერის შარია რეშარქი
ლისაბონის დამე

პირველი ნაწილი

1

გემს გავყურებდი, ნაპირიდან მოშორებით, მდინარე ტახოზე[1] რომ იდგა გაჩახჩახებული. უკვე ერთი კვირაა, ლისაბონში ვიყავი, მაგრამ თვალი მაინც ვერ შევაჩვიე უდარდელად განათებულ ქალაქს. იმ ქვეყნებში, სადაც აქ ჩამოსვლამდე ვცხოვრობდი, ქალაქები ღამით ქვანახშირის მაღაროსავით იყო ჩაშავებული და ლამპიონები უკუნეთ სიბნელეში უფრო შემზარავი იყო, ვიდრე შუა საუკუნეებში მოდებული შავი ჭირი. აქ მეოცე საუკუნის ევროპიდან ჩამოვედი.

სამგზავრო გემი, რომელსაც ახლა ტვირთავდნენ, ზღვაში ხვალ საღამოს უნდა გასულიყო. ნათურების შუქზე ჩანდა, როგორ ტვირთავდნენ მუშები გემს ხორცით, თევზით, კონსერვებით, პურით და ბოსტნეულით. ამწე ისე აფრიალებდა ჰაერში მძიმე ყუთებს და ტომრებს, თითქოს სრულიად არ ჰქონდათ წონა. გემს წარღვნის დროინდელი კიდობანივით ამზადებდნენ ზღვაში გასასვლელად, და მართლაც, 1942 წლის ამ თვეებში, ნებისმიერი გემი, ევროპიდან ზღვაში რომ გადიოდა, წარღვნის მოლოდინში მყოფ კიდობანს ჰგავდა, რომლისთვისაც არარატის მთა ამერიკა იყო. წყალი სულ უფრო და უფრო ზევით იწევდა. წარღვნას უკვე კარგა ხანია წაელეკა გერმანია და ავსტრია;

---

[1] ტახო - მდინარე პორტუგალიასა და ესპანეთში. ყველაზე დიდი მდინარეა იბერიის ნახევარკუნძულზე.

პოლონეთი და პრაღა ღრმად ჩაძირულიყო წყალში, ამსტერდამი, ბრიუსელი, კოპენჰაგენი, ოსლო და პარიზი უკვე დაეფარა წყალს, იტალიის ქალაქებს ჭაობის სუნი ასდიოდა და ესპანეთსაც არ ელოდა კარგი დღე. ასეთ დროს ერთადერთ იმედად პორტუგალიის სანაპირო რჩებოდა; მხოლოდ აქ შეეძლოთ თავი შეეფარებინათ ლტოლვილებს, რომლებსაც სამართლიანობა, თავისუფლება და შემწყნარებლობა უფრო ძვირად უღირდათ, ვიდრე სამშობლო და საკუთარი სიცოცხლე. თუ აქედან ეგრეთ წოდებულ აღთქმულ ქვეყანაში, ამერიკაში ვერ ჩააღწევდი, დაღუპული იყავი. ამიტომ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში უნდა ჩაბმულიყავი, ქვეყანაში შემოსასვლელი ან ქვეყნიდან გასასვლელი ვიზა რომ მიგეღო, სამუშაო გეშოვა და ლტოლვილების ბანაკში ცხოვრების უფლება მოგეპოვებინა. ასე ერთვებოდი ბიუროკრატიის, სიმარტოვის, გაუცხოების, ცალკეული ადამიანის ბედისადმი გულგრილობის ორომტრიალში, მუდამ რომ თან სდევს ომს, შიშსა და გაჭირვებას. იმხანად ადამიანი არაფერს წარმოადგენდა, მოქმედი პასპორტი კი - ყველაფერს.

ნაშუადღევს ეშტორილის[2] სამორინეში წავედი. ჩემი კოსტიუმი ჯერ კიდევ ნორმალურად გამოიყურებოდა, ამიტომ შემიშვეს. ეს ჩემი უკანასკნელი, სასოწარკვეთილი მცდელობა იყო, რომ როგორმე ბედისწერა მომესყიდა. მე და ჩემს ცოლს პორტუგალიაში ყოფნის ვადა რამდენიმე დღეში გვეწურებოდა, სხვა ვიზები კი არ გვქონდა. საფრანგეთში ყოფნისას იმედი გვქონდა, რომ ამერიკაში იმ გემით ჩავაღწევდით, რომელიც ახლა ტახოში

---

[2] ეშტორილი - საზღვაო კურორტი ლისაბონის დასავლეთ სანაპიროზე.

იდგა, მაგრამ საფრანგეთი, აი უკვე რამდენიმე თვეა მტერს მიჰ-ყიდეს. არც ამერიკის ვიზები გვქონდა და არც გემის ბილეთების შესაძენი სამასი დოლარი. გადავწყვიტე, ბედი სამორინეში მე-ცადა, რადგან ახლა ეს ფულის შოვნის ერთადერთი საშუალება იყო. მაგრამ, ჩემი მხრიდან ასეთ საქციელს დიდად ჭკვიანური მაინც არ ეთქმოდა, რადგან ეს ფული რომც მომეგო, მე და ჩემი ცოლი მაინც სასწაულის წყალობით თუ მოვხვდებოდით ამ გემ-ზე. ერთი კია, ლტოლვილი, სასოწარკვეთილი და ხიფათში ჩა-ვარდნილი ადამიანი ცდილობს, სასწაული იწამოს, რადგან წი-ნააღმდეგ შემთხვევაში ნაკლებად აქვს გადარჩენის შანსი. ასე და ამრიგად, შემორჩენილი სამოცდაორი დოლარიდან სამორი-ნეში ორმოცდათექვსმეტი წავაგე.

* * *

გვიან ღამით სანაპირო სრულიად უკაცრიელი იყო. ცოტა ხანში ჩემი ყურადღება ვიღაც კაცმა მიიპყრო. იგი ბოლთას სცემდა, დროდადრო ჩერდებოდა და ჩემსავით გემს გაჰყურებდა. ვიფიქრე, რომ ეს კაციც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ცხოვრების ტალღებმა ნაპირზე რომ გამორიყა. მერე ყურადღება აღარ მიმიქცევია, მაგრამ ვიგრძენი, რომ მაკვირდებოდა. ლტოლვილს პოლიციის შიში ძილშიც თან სდევს და მაშინაც კი ეშინია, როცა იცის, რომ შიშის საფუძველი არ აქვს. ამიტომ ამ კაცის ყურადღებამ გამაღიზიანა, შევტრიალდი და სანაპიროდან იმ ადამიანის დინჯი ნაბიჯით წამოვედი, რომელსაც შესაშფოთებელი არაფერი აქვს.

ცოტა ხანში ზურგს უკან ნაბიჯების ხმა შემომესმა. გზა ისე გავაგრძელე, რომ ფეხი არ ამიჩქარებია, მაგრამ მაშინვე იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ დამიჭირეს, ეს ამბავი რუთს როგორ გავაგებინო-მეთქი. სანაპიროს ბოლოს პასტელისფერი სახლები ღამეში მძინარე ფარვანებს ჰგავდა. ვიცოდი, თუ საფრთხე დამემუქრებოდა და ვინმე მოკვლას დამიპირებდა, იმ სახლებამდე მირბენას და ვიწრო შუკებში გაუჩინარებას ვერ მოვასწრებდი.

არადა, უცნობი უკვე გვერდით მომყვებოდა. ჩემზე ოდნავ დაბალი იყო.

- გერმანელი ხართ? - მკითხა გერმანულად.

თავი გავაქნიე და გზა გავაგრძელე.

- მაშ, ალბათ ავსტრიელი ხართ?

პასუხი არ გამიცია. ვხედავდი, პასტელისფერი სახლები ნელ-ნელა როგორ მიახლოვდებოდა. ისიც ვიცოდი, რომ ბევრი პორ-ტუგალიელი პოლიციელი კარგად ლაპარაკობდა გერმანულად.

- პოლიციელი არა ვარ, - მითხრა უცნობმა.

ცხადია, არ დავუჯერე. უნიფორმა არ ეცვა, მაგრამ სამოქა-ლაქო ტანსაცმელში გადაცმულმა ჟანდარმებმა ევროპაში ყოფ-ნისას უკვე არაერთხელ დამიჭირეს. მართალია, ამჯერად თან მქონდა საბუთები, პრაღიდან ლტოლვილმა მათემატიკის პრო-ფესორმა რომ დამიმზადა პარიზში, მაგრამ ეს საბუთები მაინც ყალბი იყო.

- ვხედავდი, გემს დიდხანს როგორ გაჰყურებდით, - მითხრა უცნობმა. ამიტომაც ვიფიქრე...

ცივად შევხედე. პოლიციელს არ ჰგავდა. თუმცა ის ჟანდარ-მიც, ბორდოში რომ დამიჭირა, მკვდრეთით აღდგენილ ლაზარე-სავით უწყინარი ჩანდა, არადა საშინელი მტარვალი გამოდგა. იცოდა, რომ გერმანიის ჯარი ერთი დღის შემდეგ უნდა შემოსუ-ლიყო ბორდოში და სიკვდილი ნამდვილად არ ამცდებოდა, მაგ-რამ მაინც დამაპატიმრა. მაშინ ციხის უფროსმა დიდი გულმოწ-ყალება გამოიჩინა და რამდენიმე საათში გამათავისუფლა.

- ნიუ-იორკში გინდათ წასვლა? - მკითხა უცნობმა.

ისევ არ ვუპასუხე. ოციოდე მეტრი კიდევ უნდა გამევლო, მე-რე კი, თუ საჭირო გახდებოდა, ხელს ვკრავდი, ძირს დავაგდებ-დი და გავიქცეოდი.

- აი, იმ გემზე, იქ რომ დგას, ორი ბილეთი მაქვს, - მითხრა მან და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

მერე ბილეთებიც დამანახვა, მაგრამ სუსტ განათებაში ვერ გავარჩიე, რა ბილეთები იყო. სანაპიროდან უკვე საკმაოდ შორს ვიყავით, ამიტომ გავბედე და გავჩერდი.

- კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს? - ვკითხე პორტუგალიურად, თუმცა ამ ენაზე გაჭირვებით ვლაპარაკობდი.

- შემიძლია, ეს ბილეთები მოგცეთ, - მითხრა უცნობმა. - მე აღარ მჭირდება.

- აღარ გჭირდებათ? ეგ როგორ?

- აი, ისე, აღარ მჭირდება.

უცნობს მივაჩერდი. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ეს კაცი პოლიციელს ნამდვილად არ ჰგავდა და ჩემი დაპატიმრება რომც ნდომოდა, ასეთი ხრიკების გამოყენება რაში უნდა დასჭირვებოდა?! მაგრამ თუ არ ტყუოდა და ბილეთები ნამდვილი იყო, მაშინ მე რატომ მთავაზობდა? ან თავად რატომ ვერ გამოიყენებდა ამ ბილეთებს? გგადაწყვიტა, ჩემთვის მოეყიდა?

ვიგრძენი, როგორ ამიტანა ცახცახმა.

- ეგ ბილეთები დიდი ფული ღირს, მე კი ფული არ მაქვს, - ვუთხარი ბოლოს გერმანულად. - ლისაბონში ალბათ იპოვით ვინმე მდიდარ ემიგრანტს, რომელიც იმდენს გადაგიხდით, რამდენსაც მოსთხოვთ. მგონი მისამართი შეგეშალათ. მე ის კაცი არა ვარ, ვისაც ამ ბილეთების ყიდვა შეუძლია.

- ბილეთების გაყიდვას არ ვაპირებ, - თქვა უცნობმა.

- ყალბი ხომ არ არის? - ვკითხე მე.

უხმოდ გამომიწოდა და ჩემს ხელში აშრიალებულ ბილეთებს როგორც კი დავხედე, მივხვდი, რომ ნამდვილი იყო. ისინი თუ გქონდა, გრძნობდი, რა განსხვავება არსებობდა დაღუპვასა და გადარჩენას შორის. მე და რუთს ამერიკული ვიზები არ გვქონდა, მაგრამ შემეძლო, ხვალ დილით საკონსულოში მივსულიყავი და როგორმე ამეღო. და თუ ვერ მოვახერხებდი, ბილეთებს გავყიდდი, რაც ექვსი თვე ცხოვრების საშუალებას მოგვცემდა. ამ კაცის ვერაფერი გავიგე.

- მაინც არ მესმის, რა გინდათ ჩემგან? - ვკითხე მერე.

- შემიძლია, ეს ბილეთები სრულიად უსასყიდლოდ დაგითმოთ, - მომიგო მან. - ხვალ ლისაბონიდან მივდივარ, ამიტომ ერთ პირობაზე უნდა დამთანხმდეთ.

იმედი გადამეწურა. ეს ყველაფერი იმდენად წარმოუდგენლად მომეჩვენა, რომ არ შეიძლებოდა, რეალობა ყოფილიყო.

- რა პირობაა ასეთი? - ვკითხე მე.

- არ მინდა ამაღამ მარტო დავრჩე.

- გინდათ, ეს ღამე თქვენთან ერთად გავატარო?

- დიახ, მინდა ხვალ დილამდე ჩემთან იყოთ.

- სულ ეს არის?

- დიახ.

- და, ამის მეტს არაფერს მოითხოვთ?

- არა.

უცნობს უნდობლად შევხედე. ვიცოდი, რომ გაჭირვებაში მყოფი ჩემისთანა ადამიანები ხშირად ფარ-ხმალს ყრიან და მარტო დარჩენისა ეშინიათ, რადგან გრძნობენ, რომ ამქვეყნად მათი ადგილი აღარ არის. ამიტომ ცდილობენ, ერთი ღამით მაინც იპოვონ ვინმე, თუნდაც უცხო ადამიანი, ვინც მათ თვითმკვლელობისგან იხსნის. მაგრამ ასეთ დროს ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობს და ამისათვის არავითარ საზღაურს, მით უფრო, ამგვარს, არ ითხოვს.

- სად ცხოვრობთ? - ვკითხე მე.

უცნობმა ხელები გაასავსავა.

- არა, იქ წასვლა არ მინდა. იქნებ სადმე კაფე ან რესტორანი იყოს ღია. იქ დავსხდეთ.

- დიახ, სადმე იქნება ღია.

- აქ ემიგრანტებს არა აქვთ ისეთი ადგილი, როგორც პარიზ-ში, კაფე „დე ლა როზში“.

კაფე „დე ლა როზი“ ჩემთვის კარგად ნაცნობი ადგილი იყო. იქ მე და რუთი ორი კვირის განმავლობაში ვათევდით ღამეს. კა-ფეს მეპატრონე ამის უფლებას გვაძლევდა, თუ თითო ფინჯან ყა-ვას შევუკვეთდით. ღამით კი იატაკზე გაზეთებს ვაფენდით და ვწვებოდით. მაგიდაზე არასოდეს ვიძინებდი, რადგან გადმო-ვარდნის მეშინოდა. იატაკი კი, ამ მხრივ, საიმედო იყო.

- აქ ახლომახლო ასეთი ადგილი არსად მეგულება, - მივუგე მე.

ერთი ასეთი ადგილი კი ვიცოდი, მაგრამ იქ ვერ მივიყვანდი კაცს, რომელიც გემის ორი ბილეთის ჩუქებას მპირდებოდა. იქ ისეთი ტიპები იყრიდნენ თავს, რომ ამ ბილეთების ხელში ჩასაგ-დებად, თვალს გამოითხრიდნენ.

- აქ მხოლოდ ერთი ასეთი ადგილი ვიცი, - მითხრა უცნობმა. - ვნახოთ, იქნებ ჯერ კიდევ ღია იყოს.

მან იქვე მდგომ ერთადერთ ტაქსის მოუხმო და შემომხედა.

- კარგი, წავიდეთ! - ვუთხარი მე.

მანქანაში ჩავსხედით. უცნობმა მძღოლს მისამართი უთხრა.

ვფიქრობდი, რუთს როგორ ვაცნობო, ღამით რომ არ მივალ--მეთქი, მაგრამ მყრალ ტაქსიში რომ ვჯდებოდი, ისეთმა გიჟურმა იმედმა შემიპყრო, თავბრუ დამესხა. უუცებ გავიფიქრე, იქნებ ეს ყველაფერი რეალობაა, ჩვენს ცხოვრებას ჯერ წერტილი არ დას-მია და წარმოუდგენელი რამ სინამდვილედ იქცეს-მეთქი. ამაში ჩვენს ხსნას ვხედავდი. ამიტომ გადავწყვიტე, ამ კაცს წუთითაც არ მოვშორებოდი.

„პრასა დო კუმერსიოს“[3] მოედანს წრე დავარტყით და ცოტა ხანში თავი შუკებისა და კიბეების ლაბირინთებში ამოვყავით. ლისაბონის ამ უბანს არ ვიცნობდი. საერთოდ, უფრო ხშირად ეკლესიებსა და მუზეუმებში დავდიოდი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ღმერთი დიდად მწამდა ან ხელოვნების დიდი მოყვარული ვიყავი. უბრალოდ, იქ საბუთებს არ ამოწმებდნენ და ჯვარცმული ქრისტეს და ხელოვნების დიდოსტატთა ნამუშევრების შემყურე, ჯერ კიდევ ადამიანად გრძნობდი თავს; მოკლედ, იქ ყალბი საბუთების მქონე, საეჭვო წარმომავლობის სუბიექტი აღარ იყავი.

ტაქსიდან გადმოვედით, კიბეზე ავედით და ოკრობოკრო შუკებს გავუყევით. ირგვლივ ყველაფერი ძილს მოეცვა და თევზის, ნივრის, ღამის ყვავილების და ჩასვენებული მზის სუნი იდგა. უეცრად, ღამეში, ამომავალი მთვარის შუქზე, გვერდიდან წმინდა გიორგის ეკლესია ამოიმართა. სინათლე წყლის ჭავლივით იღვრებოდა კიბის საფეხურებზე. შევბრუნდი და ნავსადგურს გავხედე. იქ, ქვემოთ, მოჩანდა მდინარე, რომელიც თავისუფლებისა და სიცოცხლის მაუწყებელი გამხდარიყო, ხოლო ზღვა, რომელსაც იგი ერთოდა, ამერიკის სიმბოლოდ ქცეულიყო.

- იმედია, გასულელებას არ მიპირებთ? - ვკითხე უცნობს.

- არა, - მომიგო მან.

- გემის ბილეთები მაქვს მხედველობაში, და მინდა ვიცოდე, ხომ არ მატყუებთ? - ვკითხე ისევ, რადგან სანაპიროზე ბილეთები ისევ ჯიბეში ჩაიდო.

---

[3] „პრასა დო კუმერსიო“ - ერთ-ერთი დიდი მოედანი ლისაბონის ცენტრში.

- რა თქმა უნდა, არ გატყუებთ! - მიპასუხა და ხეებით შემორაგულ პატარა მოედანზე მიმანიშნა. - აი, წეღან რომ გითხარით, ის რესტორანი ჯერ ისევ ღიაა. იქ მხოლოდ უცხოელები დადიან, ამიტომ ყურადღებას არ მივიპყრობთ. იფიქრებენ, რომ სხვებივით, პორტუგალიაში ყოფნის ბოლო ღამეს აღვნიშნავთ, დილით კი გემზე ავალთ და აქედან გავემგზავრებით.

* * *

ამ ბარში, რომელსაც პატარა საცეკვაო კუთხე და ტერასა ჰქონდა, უმთავრესად ტურისტები დადიოდნენ. უკრავდა გიტარა, ბარის სიღრმეში მომღერალი ქალი „ფადიოს“[4] მღეროდა. ტერასაზე, რამდენიმე მაგიდასთან, უცხოელები ისხდნენ. მათ შორის საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალი და თეთრსმოკინგიანი მამაკაციც იყვნენ. ადგილები ტერასის ბოლოში მოვნახეთ. აქედან კარგად მოჩანდა მთელი ლისაბონი, მკრთალად განათებული ეკლესიები, გაჩახჩახებული ქუჩები, ნავსადგური, დოკები და წარღვნის კიდობნად ქცეული გემი.

- გჯერათ, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არსებობს? - მკითხა ბილეთების მფლობელმა.

თვალები ზევით ავაპყრე. ამ შეკითხვის გარდა, ყველაფერს ველოდი, რადგან ეს სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შეკითხვა იყო.

- ამაზე ვერაფერს გეტყვით, - მივუგე მერე. - ამ ბოლო წლებში სულ თავის გადარჩენაზე ვფიქრობდი, ამიტომ სიკვდილზე ფიქრისთვის არ მეცალა. ამერიკაში თუ მოვხვდი, სიამოვნებით ვიფიქრებ ამაზე, - ეს იმიტომ ვუთხარი, რომ შეპირებული ბილეთები შემეხსენებინა.

- მე კი არ მჯერა, - მითხრა მან.

---

[4] „ფადიო“ - პორტუგალიური მუსიკალური სტილით შესრულებული სიმღერა. თავად სიტყვა პორტუგალიურად „ბედისწერას“ ნიშნავს.

ღრმად ამოვისუნთქე. მზად ვიყავი, ამ უბედური ადამიანის ნაამბობი მომესმინა, მაგრამ მასთან კამათის თავი არ მქონდა. ვიცოდი, რომ გემი უკვე ქვემოთ, ნავსადგურში იდგა და ამაზე ფიქრი ძალიან მაფორიაქებდა.

უცნობი ერთხანს ჩუმად იჯდა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ თვალებგახელილს ეძინა. ამ დროს გიტარისტი ტერასაზე გამოვიდა და უცნობიც თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვა.

- გვარად შვარცი ვარ, - მითხრა მან. - მაგრამ ეს ჩემი ნამდვილი გვარი არ არის და მხოლოდ პასპორტში მიწერია ასე, თუმცა ერთი ღამისთვის ამის ცოდნაც კმარა. საფრანგეთში დიდხანს ცხოვრობდით?

- დიახ, ერთხანს მომიხდა იქ ცხოვრება.

- დაპატიმრებული იყავით?

- ომი რომ დაიწყო, მეც, სხვებივით დამაპატიმრეს.

უცნობმა თავი გააქნია.

- ჩვენც დაგვაპატიმრეს. იმხანად ძალიან ბედნიერი ვიყავი, - მოულოდნელად ჩუმი ხმით თქვა მან, თვალი ამარიდა და თავი ჩაქინდრა. - დიახ, იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ვერ წარმომედგინა, თუ ამაზე მეტი ბედნიერება შეიძლება არსებობდეს.

გაოცებული შევბრუნდი მისკენ. ახლა ბედნიერად ნამდვილად არ გამოიყურებოდა და მომეჩვენა, რომ ერთი შემცბარი, ჩვეულებრივი კაცი იყო.

- ეგ როდის მოხდა? ბანაკში რომ იყავით, მაშინ?

- შარშან ზაფხულში.

- 1939 წელს, საფრანგეთში?

- დიახ, ეს ყველაფერი ზაფხულში, ომის დაწყებამდე მოხდა. მმინდა ეს ვინმეს მოვუყვე, მაგრამ აქ არავის ვიცნობ. ასე მგონია, ამაზე ლაპარაკს თუ დავიწყებ, ყველაფერი ერთხელ კიდევ

განმეორდება და იქნებ მაშინ მაინც მივხვდე, რა მოხდა. ჩემი ნაამბობი კი დარჩება, ოღონდ კიდევ ერთხელ მაინც... - შვარცს სიტყვა გაუწყდა და ცოტა ხნის შემდეგ მკითხა: - გესმით ჩემი?

- ცხადია, მესმის, - მივუგე და ფრთხილად დავსძინე: - ამის გაგება არცთუ ისე ძნელია, ბატონო შვარც.

- მე კი ამის გაგება ძალიან მიჭირს, - მოულოდნელად მკაცრად და აღელვებით მითხრა. - ის ახლა ქვემოთ, ფანჯრებჩაგმანულ ოთახში, საშინელ ხის კუბოში წევს და ამქვეყნად აღარ არის. გგანა შესაძლებელია ამის გაგება? ამას ვერც თქვენ და ვერც მე ვერ გავიგებთ. და, თუ ვინმე იტყვის, ეს გასაგებიაო, სიცრუე იქნება.

ჩუმად ვიყავი და ვაცდიდი, რას იტყოდა. ასეთი საუბრები ხშირად მქონია ადამიანებთან. ახლობლების დაკარგვას ძნელად ეგუება კაცი; მით უფრო, თუ ამ დროს საკუთარ სამშობლოსაც კარგავ, ყოველგვარი საყრდენი გეცლება ფეხქვეშ და უცხო ქვეყანაში საშინელ მარტოობას გრძნობ. ეს საშინელება შვეიცარიაში განვიცადე, როდესაც გავიგე, რომ ჩემი მშობლები გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში ჯერ აწამეს, მერე კი დაწვეს. წარმოვიდგენ ხოლმე, როგორი თვალები ექნებოდა დედაჩემს ამ დროს, და, ამაზე ფიქრი გამუდმებით თან დამყვება.

- ალბათ იცით, ემიგრანტის „სიგიჟე“ რასაც ნიშნავს? - მკითხა შვარცმა უფრო მშვიდად.

თავი დავუქნიე. ამ დროს ხამანწკები მოგვიტანეს. გამახსენდა, რომ შუადღის შემდეგ არაფერი მეჭამა და ძალიან მშიოდა. მორიდებით გავხედე შვარცს.

- ნუ გერიდებათ! მიირთვით! არსად მეჩქარება! - მითხრა მან და ღვინო და სიგარეტი შეუკვეთა.

სწრაფად დავიწყე ჭამა. ახალი ხამანწკები ძალიან გემრიელი იყო.

- მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მშია, - ვუთხარი მერე.

ვჭამდი და თან შვარცს ვაკვირდებოდი. მშვიდად იჯდა და საზეიმოდ განათებულ ქალაქს გადასცქეროდა. მოუთმენლობა ან გაბრაზება არ ეტყობოდა. ამ კაცის მიმართ უეცრად სიმპათია ვიგრძენი. როგორც ჩანს, მოჩვენებით წესიერებას არაფრად აგდებდა და იცოდა, რომ ადამიანს უსულგულოს ვერ უწოდებ, თუ ის მშიერია და იმ დროს ჭამს, როცა სხვა მის გვერდით იტანჯება. თუ სხვისთვის ამ დროს არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, მაშინ, მშიერმა, მისი შემოთავაზებული ლუკმა მანამ უნდა შეჭამო, სანამ ამ ლუკმას ხელიდან გამოგაცლიან, რადგან არასდროს იცი, როდის მოხდება ეს.

თეფში გვერდზე მივდგი და სიგარეტი ავიღე. კარგა ხანია აღარ მომიწევია. სამორინეში სათამაშოდ ვზოგავდი ფულს.

* * *

- ამ „სიგიჟემ“ 1939 წლის გაზაფხულზე შემიპყრო, - მითხრა შვარცმა. - ამ დროისთვის უკვე ხუთ წელზე მეტი გავიდა, რაც ემიგრაციაში ვიყავი. 1938 წლის შემოდგომაზე სად იმყოფებოდით?

- პარიზში.

- მეც იქ ვიყავი. მმიუნხენის ხელშეკრულებამდე[5] ცოტა ხნით ადრე ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. თუმცა შიშის აგონიამ შემიპყრო, ვიმალებოდი და თავის დაცვას მაინც ვცდილობდი. უკვე ვიცოდი, რომ ომი დაიწყებოდა, გერმანელები შემოვიდოდნენ და დამიჭერდნენ. მერე ვიფიქრე, რომ ასეთი იყო ჩემი ბედი და მდგომარეობას შევურიგდი.

შვარცს თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- დიახ, იმხანად უამრავმა ადამიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. საოცარია, მაგრამ, როდესაც წელიწად-ნახევრის შემდეგ გერმანელები მართლაც შემოვიდნენ პარიზში, თვითმკვლელობის შემთხვევებმა იკლო, - ვუთხარი მე.

- 1938 წლის შემოდგომაზე მიუნხენის ხელშეკრულება დაიდო და ადამიანებს თითქოს ხელახლა აჩუქეს სიცოცხლე, - თქვა შვარცმა. - ისეთი იმედი ჩაესახათ, რომ სიფხიზლე დაკარ-

---

[5] მიუნხენის ხელშეკრულება 1938 წლის 29 სექტემბერს დაიდო ჩემბერლენს, დალადიეს, მუსოლინისა და ჰიტლერს შორის. იგი უფლებამოსილებას აძლევდა ფაშისტურ გერმანიას, მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ანექსია, რითაც საერთაშორისო სამართლის ნორმები დაირღვა.

გეს. გახსოვთ, იმხანად წაბლის ხეებმაც ხელმეორედ რომ იყვავილეს? ჰოდა, რაკი თავი ადამიანად ვიგრძენი, აფორიაქებული ვიყავი, და სამწუხაროდ, ხშირად წინდაუხედავად ვიქცეოდი. პოლიციამ დამიჭირა და ქვეყანაში განმეორებით უვიზოდ შესვლის გამო, ერთი თვით პატიმრობა მომისაჯა. მერე ისევ ძველი თამაში დაიწყო: შვეიცარიელებმა ბაზელიდან საფრანგეთის საზღვართან მიმიყვანეს და ფრანგებს გადამცეს, ფრანგებმა კი სხვაგან გადამიყვანეს და ისევ დამაპატიმრეს... ალბათ იცით, როგორ თამაშობენ ადამიანებით ჭადრაკს...

- დიახ, ვიცი. ზამთარში ეს განსაკუთრებით ძნელი ასატანია. შვეიცარიის საპატიმროებში, ამ მხრივ, საუკეთესო პირობები იყო და ისე თბილოდა, რომ თავი სასტუმროში გეგონებოდა.

ჭამა გავაგრძელე. არასასიამოვნო მოგონებები რაღაც სასიამოვნო გრძნობებსაც აღძრავდა. თუ ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ ფიქრობდი, რომ უბედური იყავი, ახლა თავს უკვე ბედნიერად გრძნობდი. ბბედნიერებაც ხომ სხვადასხვაგვარია! ბედნიერი ადამიანი თავის ბედნიერებას სრულად იშვიათად შეიგრძნობს. შვეიცარიის ციხეში ბედნიერი იმით ვიყავი, რომ გერმანიის ციხეში არ ვიჯექი. ახლა ჩემ წინ იჯდა კაცი, რომელიც მეუბნებოდა, ერთ დროს უბედნიერესი ადამიანი ვიყავიო, ახლა კი ლისაბონში, სადღაც ჩახუთულ ოთახში, ხის კუბო უდგას.

- ბოლოს ციხიდან რომ გამომიშვეს, დამემუქრნენ, ერთხელ კიდევ უსაბუთოდ თუ ჩაგავლებთ, გერმანიაში გაგგზავნითო, - თქვა შვარცმა. - ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ მუქარა იყო, მაგრამ მაინც ძალიან შემეშინდა. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ მოვქცეულიყავი, თუ მართლა ასე მოხდებოდა. ღამღამობით მესიზმრებოდა, თითქოს გერმანიაში ვიყავი და ესესელები ნადირობდნენ ჩემზე. ეს სიზმრები ისე დამჩემდა, რომ ბოლოს ვცდი-

ლობდი, საერთოდ არ დამეძინა. ალბათ ეს განცდებიც გეცნობათ, არა?

- დიახ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იმდენად ნაცნობია ჩემთვის, რომ ამაზე სადოქტორო დისერტაციასაც კი დავწერდი, - მივუგე მე.

- ერთ ღამეს დამესიზმრა, ვითომ ოსნაბრიუკში ვიყავი. ეს ჩემი მშობლიური ქალაქია და ჩემი ცოლი მაშინ ჯერ ისევ იქ ცხოვრობდა. მის ოთახში ვიდექი და ვხედავდი, რომ საშინლად გამხდარი იყო, რაღაც აწუხებდა და ტიროდა. გულდამძიმებულს გამომეღვიძა. ცოლი ხუთი წელია, არ მენახა. და ამ ხნის განმავლობაში მისთვის წერილიც არ მიმიწერია, რადგან ვიცოდი, რომ ფოსტას ამოწმებდნენ. იქიდან გამოქცევამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა, ცხოვრება რომ არ გამირთულდეს, გაგეყრებიო. და რაკი ამდენი წელი გავიდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც მოიქცა.

შვარცი ერთხანს დუმდა. არ მიკითხავს, თუ რატომ გამოიქცა გერმანიიდან. საამისოდ უამრავი მიზეზი ექნებოდა და ამის გაგებას ალბათ აზრიც არ ჰქონდა, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ეს მის მიმართ ჩადენილი უსამართლობა უნდა ყოფილიყო. განა საინტერესო იყო, რისი მსხვერპლი გახდა? ის ალბათ ებრაელი ან რეჟიმის მიმართ მტრულად განწყობილი პარტიის წევრი იყო, ანდა მტრები ჰყავდა, რომლებმაც უეცრად ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. მოკლედ, იმხანად გერმანიაში უამრავი მიზეზი არსებობდა საიმისოდ, რომ ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკში ჩაეგდოთ ან მოეკლათ.

- როგორღაც მოვახერხე და ისევ ჩავედი პარიზში, - თქვა შვარცმა. - მაგრამ ის სიზმარი არ მავიწყდებოდა და გამუდმებით მახსენებდა თავს. იმ დროისთვის მიუნხენის შეთანხმებასთან

დაკავშირებული ილუზიებიც დაიმსხვრა და გაზაფხულზე უკვე ვიცოდით, რომ ომი გარდაუვალი იყო. ხანძრის სუნს ხომ მანამდე დიდი ხნით ადრე გრძნობს კაცი, ვიდრე ცეცხლის ალს დაინახავს. ჰოდა, ამ ომის მოახლოებასაც ყველანი სუნით ვგრძნობდით; მსოფლიო დიპლომატია კი ამ დროს თვალდახუჭული მისცემოდა ოცნებებს. იგი მიუნხენის მსგავს, მისთვის სასურველ მეორე თუ მესამე ხელშეკრულებაზე ოცნებობდა და ომი საერთოდ არ ადარდებდა. ადამიანებს არასოდეს ჰქონიათ სასწაულებისადმი ისეთი დიდი რწმენა, როგორიც ჩვენს დროში, როდესაც არავითარი სასწაული აღარ ხდება.

- მე კი მგონია, რომ სასწაულები მაინც არსებობს! ასე რომ არ იყოს, არც ერთი ჩვენგანი ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა, - ვუთხარი მე.

შვარცი დამეთანხმა.

- მართალი ხართ! ასეთი რამ საკუთარ თავზე გამოვცადე. ეს ყველაფერი პარიზში მოხდა. სრულიად მოულოდნელად, ვინმე ავსტრიელი შვარცის გვარზე გაცემული, მოქმედი პასპორტი მერგო მემკვიდრეობით. მისი პატრონი რომ გარდაიცვალა, თავისი პასპორტი და ფული მე დამიტოვა. ის კაცი ლუვრში გავიცანი, პარიზში სამი თვის წინ ჩამოსულიყო. იმ დილით მუზეუმში იმპრესიონისტების სურათებს ვათვალიერებდი. იმხანად იქ ხშირად დავდიოდი, რომ აფორიაქებული სული როგორმე დამეცხრო. ვათვალიერებდი ამ მზით გამთბარ, მშვიდ ლანდშაფტებს და იმ ჯიშის ცხოველზე ვფიქრობდი, ერთდროულად ასეთი მშვენიერების შექმნა და დამანგრეველი ომის წარმოება რომ შეეძლო.

პასპორტის მფლობელი ხშირად იდგა ხოლმე მონეს სურათებთან, რომლებზეც დუმფარები და ტაძრები იყო გამოსახული.

იმ დილით ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. შვარცი მომიყვა, რომ ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, როგორღაც თავი დააღწია ავსტრიის ციხეს, საკუთარ ქონებაზე უარი თქვა და ქვეყანა დატოვა. იმპრესიონისტების კოლექცია მან სახელმწიფოს გადასცა და ამას არც ნანობდა. მითხრა, სანამ ეს სურათები მუზეუმშია გამოფენილი, ისინი მაინც ჩემი მგონია და არ მეშინია, რომ მათ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს ან მოიპარავსო. გარდა ამისა, საფრანგეთის მუზეუმებს ბევრად იმაზე უკეთესი სურათები აქვთ, ვიდრე მე ოდესმე მქონიაო. შვარცმა ისიც მითხრა, არ მინდოდა ჩემს საკუთარ, მცირე კოლექციას იმ მამასავით ჩავბღაუჭებოდი, რომელსაც თავისი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გამო მიაჩნია, რომ უპირატესობა ყოველთვის მხოლოდ თავისიანებს უნდა მიანიჭოს. ახლა ჩემი სურათები საზოგადოებრივ კოლექციებშია და მაინც მე მეკუთვნის, თუმცა კარგია, რომ მათი მოვლა-პატრონობა აღარ მევალებაო. შვარცი საოცრად მშვიდი, სათნო და მხიარული კაცი იყო, თუმცა თავს ბევრი უბედურება გადახდენოდა. მისთვის ქვეყნიდან ფულის წამოღების უფლება არ მიუციათ; მაგრამ, როგორც მითხრა, საზღვარზე ბრილიანტებზე უფრო ადვილად თურმე საფოსტო მარკების გადატანა შეიძლება. თუ ბრილიანტები ფეხსაცმელში გაქვს დამალული და ამ დროს დაკითხვაზე წაგიყვანეს, ცუდად წაგივა საქმე. მათი გაყიდვაც ძნელია და მყიდველში უამრავ ეჭვს იწვევს. საფოსტო მარკების შემთხვევაში კი კოლექციონერებთან გაქვს საქმე, რომლებსაც შეკითხვების დასმა არ უყვართ.

- კი მაგრამ, მარკები საზღვარზე როგორ გადაიტანა? - ვიკითხე ემიგრანტისთვის ჩვეული პროფესიული ცნობისმოყვარეობით.

- შვარცს ძველი, უწყინარი წერილები კონვერტებში ჩაუდვია და მარკები ამ წერილებს შორის დაუმალავს. მებაჟეს წერილები შეუმოწმებია, კონვერტებში ჩარჩენილი მარკებისთვის კი ყურადღება არ მიუქცევია.

- რა ჭკვიანურია! - ვთქვი მე.

- შვარცს ენგრის მიერ ფანქრით შესრულებული ორი პატარა პორტრეტიც ჰქონია. ისინი პასპარტუზე(პასპარტუ - მუყაო, რომელშიც ადგილია ამოჭრილი სურათისათვის.) დაუმაგრებია და იაფფასიან, უგემოვნო, მოოქრულ ჩარჩოში ჩაუსვამს, საბაჟოზე კი უთქვამს, ჩემი მშობლების პორტრეტებიაო. პასპარტუს უკანა მხარეს დეგას ორი ნახატი ისე ჩაუწებებია, რომ მებაჟეებს საერთოდ ვერ შეუმჩნევიათ.

- ძალიან ჭკვიანურია! - გავიმეორე ისევ.

- შვარცს აპრილში გულის შეტევა დაემართა. მაშინ გადმომცა თავისი პასპორტი, დარჩენილი საფოსტო მარკები და ნახატები; იმ კოლექციონერების მისამართებიც დამიტოვა, რომლებიც მარკებს შეიძენდნენ. მეორე დილით მასთან რომ მივედი, ლოგინში მკვდარი დამხვდა. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, რომ ვერ ვიცანი. მერე მისი ერთი პიჯაკი და ცოტა თეთრეული წამოვიღე, რადგან წინაღამით მითხრა, მირჩევნია ეს ნივთები ჩემი ბედის თანაზიარ მეგობარს ჰქონდეს, ვიდრე სასტუმროს მეპატრონესო.

- მერე რა ქენით, პასპორტის მონაცემები გადააკეთეთ? - ვკითხე მე.

- მხოლოდ ფოტოსურათი, გვარი და დაბადების წელი შევცვალე. შვარცი ჩემზე ოცდახუთი წლით უფროსი იყო. სახელი კი ერთნაირი გვქონდა.

- ვის შეაცვლევინეთ პასპორტი, ვინმე ბრიუნერს?

- არ ვიცი, ვიღაც კაცი იყო მიუნხენიდან.

- ყალბი პასპორტების დიდოსტატი ბრიუნერი იქნებოდა! - ვუთხარი მე.

- ბრიუნერმა სახელი გაითქვა, როგორც პასპორტების უზადო გამყალბებელმა. იგი რამდენიმე ემიგრანტს დაეხმარა, თუმცა, როცა დააპატიმრეს, თავად არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ბრიუნერს ეგონა, რომ პასპორტების გაყალბებით პატიოსან და კეთილ საქმეს აკეთებდა, თავად კი არაფერი მოუვიდოდა, თუკი ამ ხელოვნებას თავისთვის არ გამოიყენებდა. ემიგრაციამდე იგი მიუნხენში პატარა სტამბის მეპატრონე ყოფილა.

- ახლა სად არის? - ვკითხე შვარცს.

- არ ვიცი, მგონი ლისაბონში უნდა იყოს.

მის შესახებ არაფერი მსმენოდა, მაგრამ, თუ ცოცხალი გადარჩა, შესაძლოა, ახლა ლისაბონშიც ყოფილიყო.

* * *

- საოცარი ის იყო, რომ პასპორტი უკვე მქონდა, მაგრამ მის გამოყენებას ვერ ვბედავდი, - მითხრა შვარც მეორემ. - რამდენიმე დღე დამჭირდა, რომ ახალ გვარს შევჩვეოდი. ელისეს მინდვრებში დავდიოდი და ახალ გვარს და დაბადების ახალ თარიღს გამუდმებით ვიმეორებდი. მუზეუმში რენუარის სურათების წინ ვიჯექი და ამ გვარს ვჩურჩულებდი. საკუთარ თავთან წარმოსახვით დიალოგს ვმართავდი და ახალ გვარს ხმამაღლა წარმოვთქვამდი, მერე წამოვხტებოდი და ვპასუხობდი: „დიახ, ეს მე ვარ!“ თავს შევუძახებდი ხოლმე: „აბა, შენი გვარი მითხარი!“, და მაშინვე ჩამოვარაკრაკებდი: „იოზეფ შვარცი ვარ, დავიბადე ვენის ახალ უბანში, 1898 წლის 22 ივნისს“.[6] საღამოობით, ძილის წინაც ვვარჯიშობდი. ვფიქრობდი, პოლიცია ღამით თუ დამადგება თავზე და, ძილ-ბურანში მყოფს, ვინაობას მკითხავს, არაფერი შემეშალოს-მეთქი. მინდოდა, ჩემი ნამდვილი გვარი სამუდამოდ დამევიწყებინა. ყალბი პასპორტი გქონდა, თუ პასპორტი საერთოდ არ გქონდა, ამის მიხედვით თავს სრულიად სხვადასხვაგვარად გრძნობდი. ყალბი პასპორტის შემთხვევაში ხიფათი გაცილებით დიდი იყო. ენგრის ორივე ნახატი გავყიდე. მართალია, იმაზე ნაკლები გადამიხადეს, ვიდრე ველოდი, მაგრამ ამის წყალობით, უეცრად იმდენი ფული გამიჩნდა, ბოლო წლებში არასდროს რომ არ მქონია.

---

[6] ეს ერიხ მარია რემარკის დაბადების თარიღია.

ერთხელ ღამით ისეთი აზრი ამეკვიატა, რომელიც მერე ვერა და ვერ მოვიშორე. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ხომ შემიძლია ახლა ამ ოფიციალური პასპორტით გერმანიაში წავიდე? ამ პასპორტის გამო საზღვარზე ვინმეს ეჭვი რატომ უნდა აღეძრას?“ ჩემი ცოლის ნახვა მინდოდა, თუმცა იმის შიშიც მქონდა, რომ დამასმენდა...

შვარცმა შემომხედა.

- ეს სიტუაცია ხომ ნამდვილად გეცნობათ? ემიგრანტის „სიგიჟე“ სრულად სწორედ ასეთ დროს ვლინდება. კუჭში, ყელში სპაზმები გეწყება, თვალები გეწვის. ის, რის მიწაში ჩამარხვასაც ხუთი წლის განმავლობაში ცდილობდი და რასაც შავი ჭირივით გაურბოდი, კვლავ წამოყოფს თავს და ემიგრანტის სულს სწორედ ეს ემუქრება განადგურებით. დიახ, ეს ის მომაკვდინებელი „სიგიჟეა“, ემიგრანტს კიბოსავით რომ ხრავს.

მერე შევეცადე, ეს აზრი როგორმე თავიდან მომეშორებინა. უწინდებურად დავდიოდი სისლეის, პისაროს და რენუარის სურათების სანახავად, საათობით ვიჯექი მუზეუმში, მაგრამ ახლა ამ სურათების დანახვა სულაც აღარ მამშვიდებდა, პირიქით, თითქოს იმ ქვეყანაში მიხმობდნენ, სადაც „ყავისფერ ჭირს“ ჯერ მთლიანად არ წაებილწა ყველაფერი, მახსენებდნენ საღამოს ბინდბუნდში გარინდულ შუკებს, ღობეზე გადმოკიდებულ იასამნის ტოტებს, ძველი ქალაქის ოქროსფერ დაისს და მის მწვანე სამრეკლოებს, მერცხლები გამალებით რომ უვლიდნენ გარს და ჩემს ცოლს მახსენებდნენ.

უნდა გითხრათ, რომ არაფრით გამოვირჩევი და ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ. მე და ჩემმა ცოლმა ოთხი წელი ვიცხოვრეთ ერთად. მშვიდი და სასიამოვნო ცხოვრება გვქონდა, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე. პირველივე თვეებიდან

ჩვენმა ურთიერთობამ ისეთი სახე მიიღო, წარმატებულ ქორწინებას რომ ეძახიან. ეს იყო ურთიერთობა ორ ადამიანს შორის, რომლებსაც ესმით, რომ მშვიდი თანაცხოვრების საფუძველი ერთმანეთის თანადგომაა, თან არც ოცნებების ნაკლებობას ვუჩიოდით. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცხოვრება, პირადად მე, ასეთად მეჩვენებოდა და ვფიქრობდი, რომ ერთმანეთი გულწრფელად გვიყვარდა.

იმ დღიდან ყველაფერი ამერ-დამერია. საკუთარ თავს იმის გამო ვადანაშაულებდი, რომ ასეთი უინტერესო, უღიმღამო ცოლქმრული ცხოვრებით ვცხოვრობდი და ყველაფერი ხელიდან გავუშვი. მართლაცდა, რისთვის ვარსებობდი აქამდე? ან ახლა რისი მაქნისი ვიყავი? გამუდმებით სადღაც ვიმალებოდი და უბადრუკი ყოფა მქონდა. კიდევ რამდენ ხანს უნდა გამეგრძელებინა ასე ცხოვრება ან რა დასასრული ექნებოდა ამას? ომი დაიწყებოდა და გერმანია გაიმარჯვებდა, რადგან კბილებამდე შეიარაღებული იყო. მერე რა მელოდა? ცოცხალი თუ გადავრჩებდი, კიდევ შევძლებდი ასე ძრომიალს? რომელ საკონცენტრაციო ბანაკში ამომხდებოდა სული ან, თუ ბედი გამიღიმებდა, რომელ კედელთან მომხვდებოდა კეფაში ტყვია?

დიახ, ისე მოხდა, რომ პასპორტმა, რომელსაც ჩემთვის სიმშვიდე უნდა მოეტანა, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. მთელი დღეები ქუჩა-ქუჩა გიჟივით დავეხეტებოდი, სანამ არ ვიგრძნობდი, რომ დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ ვიდექი. თან უძილობა დამჩემდა; თუ ჩამეძინებოდა, საშინელ სიზმრებს ვხედავდი და დაფეთებული ვიღვიძებდი. მესიზმრებოდა, თითქოს ჩემი ცოლი გესტაპოს სარდაფში ეგდო და სასტუმროს უკანა ეზოდან საშველად მიხმობდა. ერთ დღეს კაფე „დე ლა როზში“ შევედი და მომეჩვენა, რომ კარის მოპირდაპირე სარკეში ჩემი ცოლი დავინა-

ხე. ფერმკრთალი სახე ერთი წამით ჩემკენ შემოაბრუნა და გაუჩინარდა. ეს ისეთი ცხადი ხილვა იყო, რომ უკანა დარბაზში შევვარდი, მეგონა, იქ ვიპოვიდი. დარბაზი ხალხით იყო სავსე, ჩემი ცოლი კი არსად ჩანდა. მერე ავიკვიატე, რომ საზღვარზე გადმოვიდა და მეძებდა. გამუდმებით მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი, როგორ შეუხვევდა ხოლმე ქუჩის კუთხეში, როგორ იჯდა ლუქსემბურგის ბაღში სკამზე, მაგრამ, როგორც კი მივუახლოვდებოდი, გაოცებული სახით, უცხოსავით მომაჩერდებოდა. ერთხელ, თანხმობის მოედანზე მანქანების ნაკადი რომ გაჩერდა, დავინახე, გზაზე გადადიოდა, ვიცოდი, ეს ნამდვილად ჩემი ცოლი იყო. სიარულის მანერით და მხრების მოძრაობით ვიცანი. მმისი კაბაც კი მეცნო. საგზაო პოლიციელმა მანქანების რიგი ხელახლა რომ გააჩერა, ჩემს ცოლს დავედევნე, მაგრამ მეტროს სადგურის შავ ხვრელში გაუჩინარდა. მერე ქვემოთ, მეტროს ბაქანზე ჩავირბინე, სადაც უკუნეთ სიბნელეში გაუჩინარებული მატარებლის სინათლესღა მოვკარი თვალი.

ჩემი ამბავი ერთ ნაცნობს გავანდე. ლიოზერი იყო გვარად, ქალის წინდებით ვაჭრობდა და ადრე ბრესლაუში ექიმი ყოფილა. მან მირჩია, ქალი გჭირდება, რადგან შენთვის მარტოობა ძალიან საშიშიაო. მაგრამ ამანაც არ მიშველა. იცით, რას ნიშნავს, როცა გაჭირვება და სიმარტოვე გაიძულებს, ეძებო რაღაც ურთიერთობა და ამ გზით ცდილობ, იპოვო სითბო, ვიღაცის ხმა გაიგონო და მისი სხეული შეიგრძნო? მერე უცებ, უცხო ქვეყანაში, უბადრუკ ოთახში იღვიძებ და თავს ისე გრძნობ, თითქოს სადღაც შორეთში მოგისროლეს, გვერდით კი უცხო სუნთქვა და მადლიერების უმწეო სიტყვები ჩაგესმის. მაგრამ ყოველივე ეს არაფერს ნიშნავს იმ თავაწყვეტილ წარმოსახვასთან შედარე-

ბით, სისხლს რომ გიმღვრევს და დილით იმის მწარე შეგრძნებით გაღვიძებს, რომ საკუთარ თავს ბოროტად მოექეცი.

ახლა, ამას რომ ვყვები, ყველაფერი უაზრობა მგონია და თითქოს ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგრამ მაშინ ეს ასე არ იყო. იმხანად, ნებისმიერი ჩემი ბრძოლა ერთი შედეგით მთავრდებოდა, რომელიც მიხმობდა, სამშობლოში დავბრუნებულიყავი და ჩემი ცოლი მენახა. ვინ იცის, იქნებ ის უკვე კარგა ხანია სხვასთან ცხოვრობდა, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც უნდა მენახა და ეს სრულიად ლოგიკურად მეჩვენებოდა.

სულ უფრო ხშირად გაისმოდა მითქმა-მოთქმა, რომ ომი დაიწყებოდა. არავისთვის აღარ იყო საიდუმლო, რომ ჰიტლერმა მაშინვე დაარღვია პირობა, რომლის თანახმადაც, მთელ ჩეხოსლოვაკიას კი არა, მხოლოდ სუდეტს დაიკავებდა. ახლა ჰიტლერი პოლონეთსაც იმავეს უპირებდა. ომი გარდაუვალი იყო და ის ფაქტი, რომ საფრანგეთი და ინგლისი პოლონეთის მოკავშირეები გახდნენ, მხოლოდ ამას მიუთითებდა. მოკლედ, ომის დაწყება უკვე თვეების კი არა, რამდენიმე კვირის ამბავი იყო. ამიტომ, გადაწყვეტილება უნდა მიმეღო და მივიღე კიდეც. მერე რა მოხდებოდა, არ ვიცოდი და არც მაინტერესებდა. ომი თუ დაიწყებოდა, ჩემი საქმე ისედაც წასული იყო, ამიტომ, თავისუფლად შემეძლო ეს სიგიჟე ჩამედინა.

* * *

ბოლო ხანებში უჩვეულოდ ხალისიანი განწყობა მქონდა. მაისი იდგა და რონ პუანთან გაზონები ტიტებით აჭრელდა. ადრიანი საღამოები უკვე ირეკლავდა იმპრესიონისტულ ვერცხლისფერ განათებას; ქუჩაში, გაზის ლამპიონების ცივი შუქის ფონზე, ლურჯი ჩრდილები და მაღალი, მომწვანო ცა მოჩანდა, გაზეთების გამომცემლობათა შენობების თავზე მორბენალი სტრიქონების წითელი ზოლები ომის შესახებ აუწყებდა ყველას, ვისაც ამის წაკითხვა შეეძლო.

თავიდან შვეიცარიაში წავედი. მინდოდა, ჩემი პასპორტის სანდოობა ჯერ უსაფრთხო ტერიტორიაზე გამომეცადა. როგორც ველოდი, ფრანგმა მესაზღვრემ პასპორტი გულგრილი სახით დამიბრუნა. ქვეყნიდან გასვლა მხოლოდ დიქტატორულ სახელმწიფოებში იყო გართულებული. მაგრამ შვეიცარიელი მესაზღვრე რომ მომიახლოვდა, სხეული თითქოს შემეკუმშა. მართალია, შევეცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა, მაგრამ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ფილტვების კიდეები ისე ამითრთოლდა, წყნარ ამინდში ხეზე უეცრად ფოთოლი რომ იწყებს თრთოლას. ახოვანი, მხარბეჭიანი მესაზღვრე ჩემს პასპორტს დააკვირდა. იგი თამბაქოს სუნად ყარდა და კუპეში ისე იდგა, რომ ფანჯარას მთლიანად ფარავდა. ერთი წამით ისეთმა უსასოობამ შემიპყრო, თითქოს ამ კაცმა ცა და თავისუფლება გადამიკეტა და კუპე ციხის საკნად მიქცია. მერე, პასპორტი უკან რომ დამიბრუნა, გულზე მომეშვა და ჩემდა უნებურად, სწრაფად ვუთხარი:

- პასპორტში შტამპის ჩარტყმა დაგავიწყდათ.

მოხელეს გაეღიმა.

- ამას ჯერ კიდევ მოვასწრებ. ეს თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია?

- არა, ეს მხოლოდ ერთგვარი სუვენირი მგონია.

მოხელემ პასპორტში შტამპი ჩამირტყა და წავიდა. ტუჩები მოვიკვნიტე და ვიგრძენი, რომ ნერვები საშინლად მღალატობდა, მერე კი გავიფიქრე, რომ შტამპიანი პასპორტი უფრო საიმედოდ გამოიყურებოდა.

* * *

შვეიცარიაში რომ ჩავედი, დიდხანს ვფიქრობდი, გერმანიაში მატარებლით წავსულიყავი თუ არა. ამის გაბედვა მიჭირდა, რადგან არ ვიცოდი, გერმანიიდან და ყოფილი ავსტრიიდან წასულ და მერე უკან დაბრუნებულ ადამიანებს საგანგებოდ ამოწმებდნენ თუ არა. შესაძლოა, ეს მხოლოდ ჩემი ეჭვები იყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, საზღვარზე მალულად გადავსულიყავი.

ციურიხში, როგორც ყოველთვის, ახლაც ჯერ მთავარ ფოსტაში მივედი. მოკითხვამდე, გზავნილების სარკმელთან შეიძლება ვინმე ნაცნობი მენახა. ადამიანები, რომლებსაც ქვეყანაში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ, აქ იკრიბებოდნენ და ერთმანეთს ახალ ინფორმაციას აწვდიდნენ. იქიდან კაფე „გრიფში“ წავედი, რომელიც არაფრით ჰგავდა კაფე „დე ლა როზს“. ვიცოდი, რომ იქ თავშეყრილ ადამიანებს საზღვარზე გადასვლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ამჯერად ვერც ერთმა ვერ მირჩია, რა გზით შეიძლებოდა გადავსულიყავი გერმანიაში. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ჩემ გარდა, ვის მოუვიდოდა თავში გერმანიის საზღვარზე გადასვლა? ეს ადამიანები ჯერ გაოცებულები მისმენდნენ, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ სერიოზული მიზნები მქონდა, უხმოდ გამეცალნენ. ვისაც გერმანიაში დაბრუნება უნდოდა, ესე იგი, მტრის მხარეზე გადავიდა, რადგან უკან ვინღა დაბრუნდებოდა, თუ თავს იქაური რეჟიმის მომხრედ არ გამოაცხადებდა? ანდა, თუ ასეთ ნაბიჯს დგამდა, სხვა რა მიზანი უნდა ჰქონოდა, თუ არა, ვინმეს ჩაშვება და ღალატი?

და აი, უეცრად სრულიად მარტო აღმოვჩნდი. ყველა ისე გამირბოდა, თითქოს მკვლელი ვიყავი, ახსნით კი ვერავის ვერა-

ფერს ვუხსნიდი. ის კი არა, ხანდახან რომ დავფიქრდებოდი, თავადაც შიში ამიტანდა და ოფლად ვიღვრებოდი, რადგან ვიცოდი, რა სახიფათო საქმე წამოვიწყე! ჰოდა, ეს ყველაფერი ვისთვის უნდა ამეხსნა?

მესამე დღეს, დილის ექვს საათზე, პოლიცია დამადგა თავზე და ლოგინიდან წამომაგდო. ყველაფერი წვრილად გამომკითხეს და მივხვდი, რომ რომელიღაც ნაცნობმა ჩამიშვა. პოლიციელებმა ჩემს პასპორტს ეჭვის თვალით შეხედეს და დაკითხვაზე წამიყვანეს. პასპორტში ჩარტყმული შტამპი გამახსენდა. საბედნიეროდ, ამით შემეძლო დამემტკიცებინა, რომ ქვეყანაში ლეგალურად შემოვედი და აქ სულ სამი დღე ვიმყოფებოდი. ახლაც კარგად მახსოვს ის ადრიანი დილა. პოლიციელებთან ერთად ქუჩაში გამოვედი. მშვენიერი ამინდი იყო. ცის ფონზე ქალაქის კოშკები და შენობათა სახურავები ლითონისგან ნაჭედს ჰგავდა. საცხობიდან ახალგამომცხვარი პურის სურნელი გამოდიოდა და მომეჩვენა, თითქოს ყველა ამქვეყნიური ნეტარება ამ სურნელში გაცხადებულიყო. ასეთი რამ თუ გიგრძნიათ ოდესმე?

თავი დავუქნიე.

- სამყარო ყველაზე მშვენიერი იმ წუთებში გეჩვენება, როდესაც ეს-ესაა, სადღაც ჩამწყვდევას გიპირებენ და ამ სამყაროს უნდა დაემშვიდობო. ეჰ, ნეტავ ყოველთვის გვქონდეს ამგვარი შეგრძნების უნარი! მაგრამ საამისოდ სად გამოვნახოთ ან დრო, ან სიმშვიდე?!

შვარცმა თავი გააქნია.

- არა, ამას სიმშვიდესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს უბრალოდ შევიგრძენი!

- ეგ შეგრძნება მერეც გაგყვათ? - ვკითხე მე.

- არ ვიცი, - მითხრა შვარცმა ყოყმანით, - სწორედ მაგის გარკვევას ვცდილობ. ასე მგონია, მერე თვალსა და ხელს შუა სადღაც გამიქრა... მაგრამ სრულყოფილი კი იყო ეს შეგრძნება? ნუთუ ვეღარ შევძლებ მის დაბრუნებას, რომ უფრო ძლიერად განვიცადო და სამუდამოდ შევინარჩუნო? შევინარჩუნო ისე, რომ აღარ შეიცვალოს? განა ადამიანი გამუდმებით არ კარგავს იმას, რის შენარჩუნებასაც ცდილობს? და ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ გრძნობა სულ მოძრაობაშია და იცვლება? მას ხომ მხოლოდ მაშინ გასდის ყავლი, როდესაც არსებობას წყვეტს და შეცვლა აღარ შეუძლია? განა მხოლოდ მაშინ არ ხდება იგი ჩვენი კუთვნილება?

შვარცი დაჟინებით მომაჩერდა, თითქოს პირველად აღმიქვაო. თვალის გუგები გაფართოებოდა და უეცრად გამიელვა აზრმა, ალბათ ფანატიკოსი ან შეშლილია-მეთქი.

- ასეთი რამ არასოდეს განმიცდია, - ვუთხარი მე. - მაგრამ განა ნებისმიერს არ უჩნდება სურვილი, შეინარჩუნოს ის, რისი შენარჩუნებაც შეუძლებელია, და დათმოს ის, რაც არ ეთმობა?!

საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალი, მეზობელ მაგიდასთან რომ იჯდა, წამოდგა და ვერანდიდან გადახედა ქალაქს და ნავსადგურს.

- Darling![7] რატომ უნდა დავბრუნდეთ ამერიკაში? - მიმართა მან თეთრსმოკინგიან მამაკაცს. - რატომ არ შეიძლება, რომ აქ დავრჩეთ? ამერიკაში დაბრუნების არავითარი სურვილი არ მაქვს!

---

[7] ძვირფასო (ინგლ.)

2

- ციურიხის პოლიციაში მხოლოდ ერთი დღით გამაჩერეს და ეს ჩემთვის ძალიან მძიმე დღე იყო, - მითხრა შვარცმა. - მეშინოდა, ჩემი პასპორტი არ გადაემოწმებინათ. საკმარისი იყო, ამისთვის ვენაში დაერეკათ. იმისიც მეშინოდა, რომ პასპორტში გადაკეთებული თარიღები ვინმე სპეციალისტს არ შეემოწმებინა.

ნაშუადღევს ცოტა დავმშვიდდი. მერე თითქოს გადაწყვეტილების მიღების პრობლემაც მომეხსნა. ციხეში თუ ჩამსვამდნენ, გერმანიაში ისედაც ვეღარ წავიდოდი. მაგრამ საღამოს გამათავისუფლეს და მირჩიეს, შვეიცარია სასწრაფოდ დამეტოვებინა.

გადავწყვიტე, ავსტრიაში გადავსულიყავი. იქაურ საზღვარს, ასე თუ ისე ვიცნობდი და ვიცოდი, რომ გერმანიასთან შედარებით, ნაკლებად კონტროლდებოდა. ისე კი, ორივე საზღვარზე მკაცრი კონტროლის დაწესება რა საჭირო იყო? გერმანიაში გადასვლას ვინ მოინდომებდა? აი, იქიდან აქეთ გადმოსვლის მსურველი კი ნამდვილად ბევრი იქნებოდა.

ობერიტში[8] წავედი, რომ საზღვარზე იქიდან გადავსულიყავი. ვნატრობდი, წვიმა წამოსულიყო, მაგრამ ის ორი დღე კაშკაშა, მზიანი ამინდი იდგა. იქ დიდხანს ვერ გავჩერდებოდი, რადგან შეიძლებოდა ვინმეს ყურადღება მიმეპყრო. ამიტომ იქიდან მესამე ღამეს წამოვედი.

---

[8] ობერიტი - ადგილი აღმოსავლეთ შვეიცარიაში, სანტ-გალენის ახლოს.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და მშვიდ ღამეში ოდნავ გაფაჩუნებასაც კი გაიგონებდით. ალბათ იცით, რომ ხიფათის მოლოდინში მხედველობა იცვლება, თითქოს ყველაფერს ისე გარკვევით და მკვეთრად ვეღარ ხედავ, მაგრამ მზერა უფრო ვრცელ არეალს მოიცავს, თითქოს ყველაფერს თვალით კი არ ხედავ, არამედ კანით შეიგრძნობ. ასეთი რამ განსაკუთრებით ღამით ხდება. მთელი სხეული ისეთი მგრძნობიარეა, რომ ხმაურსაც კი ხედავ, დდა პირს რომ აღებ, თითქოს პირითაც ხედავ და გესმის.

ის ღამე არასოდეს დამავიწყდება. რაკი საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, ჩემს შეგრძნებებს ფართოდ გავუღე კარი. ყველაფრისთვის მოვემზადე და ყოველგვარი შიში გამიქრა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მაღალ ხიდზე, ჩემი ცხოვრების ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავდიოდი, თან ვიცოდი, რომ ჩემ უკან ხიდი ვერცხლისფერი კვამლივით უჩინარდებოდა და უკან დაბრუნებას ვეღარასდროს შევძლებდი. ისიც აშკარა იყო, რომ ამ დროს ჩემში გონებას გრძნობა ენაცვლებოდა, უსაფრთხოებას - თავგადასავალი, ხოლო რეალობას - ოცნება. სრულიად მარტო ვიყავი, მაგრამ ეს სიმარტოვე სულაც არ მაწუხებდა და ჩემში რაღაც მისტიკურ განცდასაც კი ბადებდა.

მდინარე რაინის სათავესთან მივედი იმ ადგილას, სადაც არც ისე ფართო იყო. ტანსაცმელი გავიხადე და ბოღჩად გამოვკარი, რომ თავზე დამედო და მეორე ნაპირზე გადამეტანა. ყინულოვანი, შავი წყალი საშინლად მეუცხოვა და, შიგ შიშველი რომ შევედი, ასე მეგონა, თითქოს მდინარე ლეთეში[9] შევტოპე, რათა „და-

---

[9] ლეთე - ბერძნული მითის თანახმად, „დავიწყების მდინარე“ ქვესკნელში.

ვიწყების“ წყალი შემესვა. ისიც ძალიან მენიშნა, რომ მდინარე შიშველს უნდა გადამეცურა და ამით ყველაფერს უკან მოვიტოვებდი.

ნაპირზე რომ გავედი, ტანი შევიმშრალე და გზას დავუწყე ძებნა. მალე რომელიღაც სოფელს ჩავუარე და ძაღლის ყეფა შემომესმა. საზღვარი სად გადიოდა, ზუსტად არ ვიცოდი, ამიტომ კორომის გასწვრივ გავუყევი გზას. დილამდე ისე ვიარე, რომ კაციშვილი არ შემხვედრია. ირგვლივ ყველაფერი ცვარს დაენამა. ტყის პირას კი შველი გადმომდგარიყო. გზა გავაგრძელე და ცოტა ხანში რაღაც ხმები შემომესმა. მალე დავინახე, რომ გლეხები ურმებით მოდიოდნენ. გზიდან სასწრაფოდ გადავხტი და ბუჩქებში დავიმალე. არ მინდოდა ვინმეს დავენახე, რადგან ადრიანი დილით საზღვრის მხრიდან მოვდიოდი და შეიძლება ამას ეჭვი გამოეწვია. მოგვიანებით ორი მებაჟე დავინახე. შარაგზაზე ველოსიპედებით მოდიოდნენ. მათი უნიფორმებით მივხვდი, რომ ავსტრიაში ვიყავი, რომელიც უკვე ერთი წელია, გერმანიას ეკუთვნოდა.

* * *

საღამოს კაბაში გამოწყობილმა ქალმა თავის თანმხლებ მამაკაცთან ერთად დატოვა ტერასა. ქალს მხრები მზით ჰქონდა გარუჯული და მამაკაცზე მაღალი იყო. მალე დანარჩენი ტურისტებიც აიშალნენ და ნელ-ნელა ჩაუყვნენ კიბეს. ამ ადამიანებს სიარულზე ეტყობოდათ, რომ მათზე არავინ ნადირობდა. ისინი უკან არ იხედებოდნენ.

- ბუტერბროდები მქონდა თან წაღებული, მერე პატარა ნაკადულიც ვიპოვე და წავიხემსე. შუადღისას ისევ გზას გავუდექი. ფელდკირხის დასახლებაში უნდა მივსულიყავი. ვიცოდი, რომ ზაფხულობით ამ ადგილს ბევრი დამსვენებელი სტუმრობდა და იმედი მქონდა, ჩემი იქ გამოჩენა ძალიან თვალში საცემი არ იქნებოდა. ამ დასახლებაში ყველა მატარებელი ჩერდებოდა. სადგურამდე მივედი და მატარებელში ჩავჯექი, რომ ამ სახიფათო ზონას გავცლოდი. კუპეში რომ შევედი, იქ ორი მოიერიშე რაზმელი დამხვდა.

ვფიქრობ, ამ დროს ევროპის პოლიციასთან ურთიერთობაში გავარჯიშებულმა ჩემმა ტვინმა დიდი სამსახური გამიწია და მხოლოდ მისი წყალობით არ გამოვვარდი იქიდან უკან. კუპეში შევედი და ვიღაც თოფიანი კაცის გვერდით დავჯექი, რომელსაც წყალგაუმტარი ნაჭრის ქურთუკი ეცვა. ამრიგად, ხუთი წლის შემდეგ, პირველად ისევ აღმოვჩნდი იმ სინამდვილეში, რომელიც შავი ჭირივით მძულდა. განვლილ კვირებში მსგავს სურათს ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და ამაზე ტვინი კი არა, ჩემი სხეული, პირი და კუჭი რეაგირებდა, ახლა თითქოს ქვად რომ ქცეულიყო.

მოიერიშე რაზმელები და მონადირე ვინმე პფუნდნერის ქვრივთან, ამ ცელქ და მხიარულ ქალთან, სასიყვარულო თავგადასავლებს იხსენებდნენ. მერე ყველა ლორიანი პურის ჭამას შეუდგა.

- პატივცემულო მეზობელო! - მომმართა მონადირემ. - საით გაგიწევიათ?

- ბრეგენცში ვბრუნდები, - ვუთხარი მე.

- რაღაც აქაურს არ ჰგავხართ.

- დიახ, აქ დასასვენებლად ვიყავი.

- საიდან ჩამოხვედით?

ერთი წამით შევყოყმანდი. ვენიდან-მეთქი, რომ მეთქვა, როგორც ეს პასპორტში მეწერა, ნამდვილად დაეჭვდებოდნენ, რადგან ვენურ დიალექტზე არ ვლაპარაკობდი.

- ჰანოვერიდან, - ვუთხარი მერე. - უკვე ოცდაათ წელზე მეტია, იქ ვცხოვრობ.

- ჰანოვერიდან? საკმაოდ შორი გზა გამოგივლიათ.

- რას იზამ, როცა შვებულებაში ხარ, შინ ხომ ვერ იჯდები, სადღაც უნდა წახვიდე!

მონადირეს გაეცინა.

- მართალი ხართ. ამინდიც მშვენიერი დაგიდგათ.

ვიგრძენი, რომ პერანგი სულ დამისველდა და ტანზე მიმეწება.

- დიახ, გამიმართლა, მაგრამ ისე ცხელა, თითქოს გაგანია ზაფხული იყოს, - ვუთხარი მე.

მერე ერთხელ კიდევ გაიხსენეს პფუნდნერის ცელქი ქვრივის ამბები და რამდენიმე გაჩერების შემდეგ სამივე ჩავიდა. კუპეში მარტო დავრჩი. მატარებელი ევროპის უმშვენიერეს ადგილებში მიქროდა, მაგრამ თითქმის ვერაფერს ვხედავდი. უეცრად საში-

ნელი სინანული, შიში და სასოწარკვეთა ვიგრძენი და აღარც კი მესმოდა, რატომ გადმოვკვეთე საზღვარი. კუპეს კუთხეში გაუნ-ძრევლად ვიჯექი და ფანჯარაში უაზროდ ვიყურებოდი. ველარ-სად გავიქცეოდი, რადგან ჩემს ზურგს უკან საკუთარი ხელით ჩავგმანე კარი. ისიც კი ვიფიქრე, მატარებლიდან ჩავალ და შვეიცარიაში ღამით დავბრუნდები-მეთქი.

მმაგრამ ასე არ მოვიქეცი. შარვლის ჯიბეში მარცხენა ხელით განსვენებული შვარცის პასპორტი ჩავბღუჯე, თითქოს მისგან გამხნევებას ველოდი, საკუთარ თავს კი ვუთხარი, რომ ახლა საზღვართან ახლოს ყოფნას არავითარი აზრი არ ჰქონდა და ქვეყნის სიღრმეში უფრო უსაფრთხოდ ვიქნებოდი. გადავწყვიტე, ის ღამე მატარებელში გამეტარებინა, რადგან საბუთებს იქ უფ-რო იშვიათად ამოწმებდნენ, ვიდრე სასტუმროში.

პანიკით შეპყრობილ ადამიანს რატომღაც ჰგონია, რომ ყო-ველი მხრიდან პროჟექტორები აქვს მინათებული და ამქვეყნად ყველა მხოლოდ მას ეძებს. ამ დროს ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სხეულის ყოველი ნაწილი განცალკევებას ცდილობს. ფფეხები ცალკე გიფართხალებს, მკლავები მხოლოდ დარტყმა-სა და მოგერიებაზე ფიქრობს და მოცახცახე ტუჩებიც ძლივს იკა-ვებს უაზრო ყვირილს, პირიდან რომ არ აღმოგხდეს.

თვალები დავხუჭე. რაკი კუპეში მარტო აღმოვჩნდი, შეიძლე-ბოდა პანიკაში ჩავვარდნილიყავი. ვიცოდი, რომ მაშინ საფრთხე ნამდვილად დამემუქრებოდა და ყოველი სანტიმეტრი, რომელ-საც ახლა შიშს დავუთმობდი, მეტრად იქცეოდა. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ არავინ მეძებდა, ამ რეჟიმს საერთოდ არ ვა-ინტერესებდი და ვერავინ ვერაფერს შემამჩნევდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი შემთხვევის წყალობა იყო. ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებისგან არაფრით გამოვირჩეოდი. გერმანული

ლეგენდის ქერათმიანი არიელი არ არსებობს და ეს ფაქტია. შეხედეთ თავად ჰიტლერს, გებელსს, ჰესს და, საერთოდ, მთელ მთავრობას! ისინი ხომ თავიანთი არსებობით საკუთარი აზროვნების ილუზიურობის დადასტურებას წარმოადგენენ?!

პირველად მიუნხენში ვთქვი უარი, თავი რკინიგზის სადგურისთვის შემეფარებინა, და თავი ვაიძულე, ერთი საათით ქალაქში სასეირნოდ გავსულიყავი. ამ ქალაქს არ ვიცნობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ვერავინ მიცნობდა. მშიოდა და ფრანცისკელების ლუდხანაში შევედი. იქაურობა ხალხით იყო სავსე. ცალკე მდგარი მაგიდა შევარჩიე, მაგრამ მალე ვიღაც სქელი, ოფლიანი მამაკაცი მომიჯდა, ლუდი და საქონლის ხორცი შეუკვეთა და გაზეთის კითხვას შეუდგა. გერმანული გაზეთის წაკითხვა აქამდე აზრად არ მომსვლია, მაგრამ ამჯერად ორი გაზეთი ვიყიდე. კუკვე რამდენიმე წელი იყო, გერმანულად აღარაფერი წამეკითხა, ახლა კი იმასაც უნდა მივჩვეოდი, რომ ჩემ გარშემო ყველა ამ ენაზე ლაპარაკობდა. გაზეთების პირველი გვერდები ამაზრზენ, ცილისმწამებლურ და ყოყოჩურ სტატიებს ეთმობოდა. ამ სტატიების თანახმად, მთელი მსოფლიო ვერაგი, სულელი და დეგრადირებული იყო. გამონაკლისს მხოლოდ გერმანია წარმოადგენდა, ამიტომ, მსოფლიოს ბატონ-პატრონი მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო. ამ ორი გაზეთიდან ადგილობრივი არც ერთი არ იყო და ერთ დროს კარგი რეპუტაცია ჰქონდათ, მაგრამ ახლა არა მარტო მათი შინაარსი, სტილიც კი ამაზრზენი იყო.

მერე ჩემს მეზობელს დავაკვირდი. იგი ჭამდა, სვამდა, თან გაზეთს კითხულობდა და ეტყობოდა, დიდ კმაყოფილებას განიცდიდა. ირგვლივ მიმოვიხედე. გაზეთის მკითხველებს შორის აღშფოთება ან სიძულვილი ვერავის შევატყვე. ისინი ამ სულიერ

საზრდოს ყოველდღიურად ისეთივე სიამოვნებით შეექცეოდნენ, როგორც თავიანთ კათხა ლუდს.

გაზეთის კითხვა გავაგრძელე და უეცრად ოსნაბრიუკის შესახებ რაღაც ინფორმაციას მოვკარი თვალი. როგორც იუწყებოდნენ, ლოტერშტრასეზე ერთ-ერთ სახლს ცეცხლი გასჩენოდა და გადაბუგულიყო. მაშინვე თვალწინ დამიდგა ის ქუჩა. დამბებს რომ გაივლიდი და ჰეგერის კარიბჭეს მიადგებოდი, სწორედ იქ იწყებოდა ლოტერშტრასე და ქალაქის ბოლომდე გრძელდებოდა.

გაზეთი დავკეცე და უეცრად ისეთი სიმარტოვე ვიგრძენი, გერმანიის ფარგლებს გარეთ რომ არასდროს მიგრძნია.

* * *

ნელ-ნელა შევეგუე იმას, რომ ჩემში შოკი და აპათია გამუდმებით ენაცვლებოდა ერთმანეთს. საფრთხეც ისეთი დიდი აღარ მეჩვენებოდა როგორც აქამდე, თუმცა ვიცოდი, რაც უფრო მივუახლოვდებოდი ოსნაბრიუკს, ეს საფრთხე უფრო მოიმატებდა. იქ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია მიცნობდნენ.

იაფფასიანი ჩემოდანი, საცვლები და სამგზავროდ საჭირო ნივთები ვიყიდე, რომ სასტუმროში ვინმეს ყურადღება არ მიმეპყრო. მერე გზა გავაგრძელე, მაგრამ ჯერ ვერ მომეფიქრებინა, როგორ უნდა მენახა ჩემი ცოლი. ამიტომ გეგმებს ყოველ საათში ვცვლიდი. ბოლოს გადავწყვიტე, შემთხვევას დავლოდებოდი. მე ხომ ისიც კი არ ვიცოდი, ჰქონდა თუ არა ჩემს ცოლს ურთიერთობა თავის ოჯახთან, რომელიც ამ რეჟიმის აშკარა მომხრე იყო, ან ამჟამად სხვა ქმარი ხომ არ ჰყავდა. გერმანული გაზეთების წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ადამიანს შეეძლო სულ ადვილად დაეჯერებინა ის, რასაც იქ წერდნენ, რადგან გაზეთებში აღწერილ მდგომარეობას ვერაფერს შეუდარებდა. გერმანიაში უცხოურ პრესაზე მკაცრი ცენზურა იყო დაწესებული.

მიუნსტერის ერთ-ერთ ჩვეულებრივ სასტუმროში დავბინავდი. უუკვე აღარ შემეძლო ყოველი ღამის ფხიზლად გატარება, მერე, დღისით კი, სადმე ძილი. მაგრამ სასტუმროში ყოფნა ძალიან სარისკო იყო, რადგან შეიძლებოდა ჩემ შესახებ პოლიციისთვის ეცნობებინათ.

- მიუნსტერს თუ იცნობთ? - მკითხა შვარცმა.

- ცუდად, - მივუგე მე. - ვიცი მხოლოდ, რომ ამ ძველ ქალაქში ძალიან ბევრი ეკლესიაა. „ვესტფალიის ზავიც“ ხომ იქ დაიდო?

შვარცმა თავი დამიქნია.

- დიახ, ეს ზავი მიუნსტერში და ოსნაბრიუკში 1648 წელს, ოცდაათწლიანი ომის დამთავრების შემდეგ დაიდო. აი, ახლანდელი ომი კი რამდენ ხანს გაგრძელდება, არავინ იცის.

- თუ მოვლენები ასე განვითარდა, ალბათ დიდხანს არ გასტანს! ხომ ხედავთ, გერმანელებმა საფრანგეთი ერთ თვეში დაიპყრეს!

მიმტანი მოვიდა და გვითხრა, როგორც ხედავთ, აქ თქვენს მეტი აღარავინ არის და ამიტომ, რესტორანი უნდა დავხუროთო.

- სხვა კაფეს ან რესტორანს ხომ ვერ გვირჩევდით, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ ღიაა? - ჰკითხა შვარცმა.

მიმტანმა ამაზე მიუგო, ლისაბონში ცოტაა ისეთი ადგილი, სადაც მთელი ღამის გატარება შეიძლებაო, თუმცა, შვარცმა ფული რომ აჩუქა, უცებ გაახსენდა, რომ იცოდა ერთი ასეთი საიდუმლო ადგილი.

- ეს რუსული ღამის კლუბია, სადაც მშვენივრად გაატარებთ დროს! - გვითხრა მან ბოლოს.

- კლუბი რომელ საათამდეა ღია?

- სტუმრები სანამ არ დაიშლებიან. ახლა იქ ჯერ კიდევ ბევრი ხალხი იქნება. ამ კლუბში გერმანელებიც ხშირად დადიან.

- ვინ გერმანელები?

- გერმანიიდან რომ ჩამოდიან!

- ფულიანი ხალხია?

- ცხადია, - გაეცინა მიმტანს. - ეს იაფფასიანი კლუბი არ გეგონოთ. სამაგიეროდ, კარგად გაერთობით. უთხარით, მანუელმა გამოგვგზავნა-თქო, ეს საკმარისი იქნება.

- შეკითხვებს ხომ არ დაგვისვამენ?

- არა. პორტიე ფიქციური სახელებით გაგაფორმებთ კლუბის წევრებად. სუფთა ფორმალობაა.

შვარცმა ფული გადაიხადა, ქუჩაში გამოვედით და გრძელ კიბეს დავუყევით. ერთმანეთზე მიჯრილი, უღიმღამო სახლების ფანჯრებიდან იმ ადამიანების ხვნეშა, ხვრინვა და ხმამაღალი სუნთქვა ისმოდა, პასპორტების საკითხი საერთოდ რომ არ აღელვებდათ. ჩვენი ნაბიჯების ხმას ღამის სიჩუმე აძლიერებდა.

- ეს კაშკაშა სინათლეები თქვენზეც ასე გამაოგნებლად მოქმედებს? - მკითხა შვარცმა.

- დიახ. ჩვენ ხომ უკუნეთში ჩაძირულ ევროპაში მივეჩვიეთ ცხოვრებას?! სულ გგონია, რომ ვიღაცას შუქის გამორთვა დაავიწყდა და ამას სადაცაა საჰაერო თავდასხმა მოჰყვება.

შვარცი შეჩერდა.

- ცეცხლი საჩუქრად მივიღეთ, რადგან ჩვენში რაღაც ღვთიური ნაპერწკალი ღვიოდა, - თქვა მან პათეტიკურად. - ახლა კი ამ ცეცხლს ვმალავთ, რაკი იმ ღვთიური ნაპერწკლის ჩაქრობას ვცდილობთ ჩვენში.

- რამდენადაც მახსოვს, თქმულების მიხედვით, ცეცხლი საჩუქრად კი არ მივიღეთ, პრომეთემ ღმერთებს მოჰპარა, - ვუთხარი მე. - ღმერთებმა კი ამის გამო ღვიძლის ქრონიკული ციროზით დასაჯეს. ვფიქრობ, ეს უფრო შეესაბამება ჩვენს ბუნებას.

შვარცმა შემომხედა.

- იცით, შაყირს კარგა ხანია, შევეშვი და მაღალფარდოვანი სიტყვებისაც აღარ მეშინია. როცა ადამიანი შაყირობს და თან რაღაცის ეშინია, ის ფაქტების მნიშვნელობის დაკნინებას ცდილობს.

- შესაძლოა, ასეც იყოს, - ვუთხარი მე. - მაგრამ ყველაფერში შეუძლებელს რატომ უნდა ხედავდე და ერთთავად იმას

იმეორებდე, ეს ხომ შეუძლებელიაო? განა არ ჯობია, ამ ფაქტებს მნიშვნელობა არ მიანიჭო და გულში რაღაც იმედი დაიტოვო?

- მართალს ამბობთ. მაპატიეთ, მაგრამ სულ დამავიწყდა, რომ ლტოლვილი ხართ. აბა, ამ დროს ვის შეუძლია თანასწორ ურთიერთობებზე ფიქრი?!

- განა თქვენც ლტოლვილი არა ხართ?

შვარცმა თავი გააქნია.

- უკვე აღარ ვარ. ახლა მეორედ ვბრუნდები უკან.

- კი მაგრამ, სად მიდიხართ? - ვკითხე გაოცებულმა. ვერ დამეჯერებინა, რომ ისევ გერმანიაში აპირებდა წასვლას.

- უკან ვბრუნდები, და ამის მიზეზს მოგვიანებით მოგახსენებთ, - მითხრა მან.

3

მერე ჩვეულებრივ ღამის კლუბში მოვხვდით, რომელიც ვიღაც ბელორუს ემიგრანტს ეკუთვნოდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მთელ ევროპაში, ბერლინიდან ლისაბონამდე, ემიგრანტები ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემიგრანტ მეპატრონეებს მიმტანებად ყოფილი არისტოკრატები ჰყავდათ, მომღერალთა გუნდში კი ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცრებს ამღერებდნენ. ეს კლუბები და რესტორნები ყოველთვის მაღალი ფასებითა და მელანქოლიური განწყობილებით გამოირჩეოდა.

კლუბი, როგორც მოველოდი, მკრთალი შუქით იყო განათებული. ის გერმანელები, წეღან მიმტანმა რომ ახსენა, ემიგრანტები კი არა, აშკარად ჯაშუშები, საელჩოს თანამშრომლები და გერმანული ფირმების წარმომადგენლები იყვნენ.

- ამ რუსებმა აქ ჩვენზე უკეთ მოიკიდეს ფეხი, - მითხრა შვარცმა. - თუმცა ისინი ემიგრაციაში თხუთმეტი წლით ადრე აღმოჩნდნენ, უბედურებაში გამოვლილი თხუთმეტი წელი კი საკმაოდ დიდი დროა გარკვეული გამოცდილების მისაღებად.

- იმ ადამიანებს, ემიგრაციის პირველ ტალღაში რომ მოჰყვნენ, ჯერ კიდევ თანაუგრძნობდნენ, საბუთებს და მუშაობის უფლებასაც აძლევდნენ და ნანსენის პასპორტებიც[10] დაურიგეს, - ვთქვი მე. - ჩვენი ემიგრანტობის დროს კი აღმოჩნდა, რომ

---

[10] ნანსენის პასპორტი - ლტოლვილის და ემიგრანტის პასპორტი; ერთა ლიგის უმაღლესი კომისრის, ნანსენის ინიციატივით შეიქმნა 1922 წელს და 53-მა სახელმწიფომ აღიარა.

მსოფლიო, უკვე კარგა ხანია, ლტოლვილებისადმი არავითარ თანაგრძნობას აღარ იჩენდა. ჩვენ ყველასთვის აბეზარი ტერმიტები აღმოვჩნდით, რომელთა დასაცავად ხმას არავინ აიმაღლებდა. განა დღესაც ამ მდგომარეობაში არა ვართ?! დღესაც ხომ არ გვაძლევენ საბუთებს? დღესაც ხომ არა გვაქვს მუშაობის და არსებობის უფლება?!

კლუბში მისვლისთანავე რაღაც ფორიაქმა შემიპყრო. არ ვიცი, ფარდებჩამოფარებულ, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში გერმანელების დანახვამ ამაღელვა, თუ იმან გამანერვიულა, რომ კარისგან მოშორებით ვიჯექი და აქედან გაქცევას ვერ მოვასწრებდი. გასასვლელთან ახლოს ჯდომა ჩვეულებად მექცა. ახლა კი იმაზეც ვღელავდი, რომ აქედან გემს ვეღარ ვხედავდი და მეშინოდა, რაიმე მიზეზით, გამოცხადებულ დროზე ადრე არ გასულიყო ზღვაში.

შვარცმა თითქოს ჩემი განწყობა იგრძნო, ჯიბიდან ბილეთები ამოიღო და მაგიდაზე დამიდო.

- მონებით მოვაჭრე არ გეგონოთ! აიღეთ ბილეთები და თქვენი გზით წადით.

დარცხვენილმა შევხედე.

- ეტყობა, ვერ გამიგეთ. დრო თავზე საყრელად მაქვს. ახლა მთელი ქვეყნიერების დრო ჩემს ხელშია.

შვარცმა არ მიპასუხა, ელოდებოდა, რას ვიზამდი. ბილეთები ავიღე და ჯიბეში ჩავიდე. მან კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, მოყოლა განაგრძო:

- იმ მატარებელში ჩავჯექი, ოსნაბრიუკში საღამოს რომ ჩადიოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საზღვარი ახლა პირველად გადავკვეთე. აქამდე ჩემ გარშემო ყველაფერი, და თავად გერმანიაც, უცხოდ მეჩვენებოდა. ახლა კი, ნელ-ნელა, თით-

ქოს ყოველი ხე ამეტყველდა. მატარებელი იმ ნაცნობი სოფლების გასწვრივ მიქროდა, სკოლიდან ექსკურსიებზე რომ დავდიოდით. ამ ადგილებში ჰელენთან ერთად ხშირად ვყოფილვარ ჩვენი ნაცნობობის პირველ დღეებში. ვიგრძენი, თურმე როგორ მიყვარდა ეს ბუნება, ეს ქალაქი, აქაური სახლები და ბაღები. აქამდე ზიზღი რაღაც ერთგვაროვანი, აბსტრაქტული ლოდივით მაწვა გულზე. მომხდარმა ამბებმა ჩემში ყველაფერი დაადუმა და გააქვავა. არასოდეს მქონია მოთხოვნილება, ეს ამბები გამეანალიზებინა და დეტალურად განმეხილა, ის კი არა, მეშინოდა კიდეც ამის. ახლა კი, უცებ ის საგნები ალაპარაკდა, რომლებიც ამ ამბებთან დაკავშირებული კი იყო, თუმცა მათთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

ლანდშაფტი კვლავაც ძველებურად გამოიყურებოდა. ეკლესიების მწვანედ მომინანქრებული გუმბათები უწინდებურად აღმართულიყო მოახლოებული საღამოს ბინდბუნდში, ხოლო მდინარეში, ჩვეულებისამებრ, ირეკლებოდა ცა. ის დრო გამახსენდა, ამ მდინარეში რომ ვთევზაობდი და თან უცხო ქვეყნებში მოსალოდნელ თავგადასავლებზე ვოცნებობდი. მოგვიანებით ბევრი რამ მართლაც გადამხდა თავს, მაგრამ ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა, ვიდრე ამას ჩემს ოცნებებში წარმოვიდგენდი. ყვავილებით მოფენილ მდელოზე ისევ დაფრინავდნენ პეპლები და ჭრიჭინობელები; ფერდობზე შეფენილი ტყეც არ შეცვლილიყო, თუმცა ახლა მასში ჩემი ახალგაზრდობის დასამარებას თუ დასასრულს ვხედავდი, გააჩნია, რა თვალით შევხედავდი ამას.

ახალგაზრდობის მოგონებები ჩემში ვერაფერს წაეშალა. მატარებლიდან ვხედავდი ადამიანებს, რომლებსაც უნიფორმა არ ეცვათ. საღამო კი ნელ-ნელა ავსებდა გარემოს და, რკინიგზის

დარაჯთა კოხტა სახლების წინ, პაწაწინა ბაღების ღობეებზე, ისევე, როგორც საფრანგეთში, აქაც გადმოეხარათ თავი ვარდებს, გეორგინებსა და შროშანებს. ისევე, როგორც შვეიცარიაში, საძოვრებზე აქაც ბალახობდნენ ყავისფერი, შავი და თეთრი, უსვასტიკო ძროხები და ჩვეული თვინიერი მზერა ჰქონდათ. მერე ყარყატი დავინახე. ერთ-ერთი სახლის სახურავზე იჯდა და ნისკარტს აწკაპუნებდა. ირგვლივ მერცხლები დაფრინავდნენ. ვიცოდი, რომ აქ მხოლოდ ადამიანები შეცვლილიყვნენ, მაგრამ ამ საღამოს ვერ დავინახავდი და ვერ გავიგებდი, როგორ მოხდა ეს. თუმცა ადამიანებიც არ შეცვლილიყვნენ ისე ერთმნიშვნელოვნად, როგორც ეს ადრე წარმომედგინა. კუპე დროდადრო ხალხით ივსებოდა, ცარიელდებოდა და მერე ისევ ივსებოდა. მათ შორის მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ეცვა უნიფორმა. ჩვეულებრივი ადამიანები კი ისე საუბრობდნენ ამინდზე, მოსავალსა და ყოველდღიურ ამბებზე, როგორც საფრანგეთში ან შვეიცარიაში. მათაც ეშინოდათ ომის, მაგრამ თუ ევროპის სხვა ქვეყნებში იცოდნენ, რომ ომის მოთავე გერმანია იყო, აქ ადამიანები დარწმუნებულები იყვნენ, რომ სწორედ ეს ქვეყნები აპირებდნენ გერმანიის ომში ჩათრევას. საერთოდ კი, როგორც ეს კატასტროფის დაწყებამდე ხდება ხოლმე, ყველა მშვიდობის მომხრე იყო.

მატარებელი გაჩერდა. ჩამოვედი და ხალხის მასას შევერიე. სადგურის დარბაზი მას შემდეგ არ შეცვლილიყო, რაც იქ ბოლოს ვიყავი, მაგრამ ახლა უფრო პატარა და მტვრიანი მომეჩვენა.

სადგურის მოედანზე რომ გავედი, უცებ ყველა ფიქრი უკვალოდ გაქრა. მოსაღამოვდა და ჰაერი ისეთი ნოტიო იყო, წვიმის შემდეგ რომ იცის ხოლმე. ლანდშაფტი აღარსად ჩანდა და ვიგ-

რძენი, დიდი საფრთხის მოლოდინში როგორ ამიცახცახდა მთელი სხეული, თუმცა, თან საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ არაფერი შემემთხვეოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მინის ხუფქვეშ ვიდექი, რომელიც, მართალია, მიცავდა, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლებოდა ნამსხვრევებად ქცეულიყო.

დარბაზში შევბრუნდი, რომ მიუნსტერში წასასვლელი ბილეთი მეყიდა. ოსნაბრიუკში ჩემი დარჩენა ძალიან სახიფათო იყო. სარკმელთან მივედი და სადგურის მოხელეს ვკითხე, მიუნსტერში ბოლო მატარებელი როდის გადის-მეთქი.

- ერთი მატარებელი ოცდაორ საათზე გადის, მეორე კი - ოცდასამ საათსა და თორმეტ წუთზე, - მიპასუხა მოხელემ, რომელსაც თავი სარკესავით ულაპლაპებდა და სარკმლის უკან პატარა ქალაქის თავდაჯერებულ, ხელშეუხებელ ბუდასავით იჯდა.

ავტომატთან მივედი და ბაქანზე გასასვლელი ბილეთი წინასწარ ვიყიდე, იმ შემთხვევისთვის, თუ გაქცევა მატარებლის მოსვლამდე მომიხდებოდა. საერთოდ, სადგურის ბაქანი სამალავად არ გამოდგება, მაგრამ თავის დასაძვრენად აქ ყოველთვის მეტი არჩევანია. ოსნაბრიუკში, მაგალითად, შემეძლო ნებისმიერ დაძრულ მატარებელზე ავმხტარიყავი, გამცილებლისთვის კი მეთქვა, რომ მატარებელი შემეშალა და მეზობელ სადგურზე ისევ ჩამოვსულიყავი.

გადავწყვიტე, ჩემი ძველი მეგობრისთვის დამერეკა. როგორც ვიცოდი, იგი ამ რეჟიმის მომხრე არ იყო. ლაპარაკზე შევატყობდი, შეძლებდა დამხმარებოდა თუ ვერა. ცოლთან დარეკვას ვერ ვბედავდი, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მარტო ცხოვრობდა.

ჯიხურში შევედი და ტელეფონის წიგნი ავიღე. ჭუჭყიანი, დალაქავებული გვერდები რომ გადავშალე, გული უკვე ისე მიცემ-

და, რომ მისი ბაგაბუგი ყურში ჩამესმოდა, და შემეშინდა, ეს ხმა ვინმეს არ გაეგონა. მერე თავი ჩავქინდრე, რომ არავის ვეცნე. წიგნი იმ ასოზე გადავშალე, რომელზედაც ჩემი ძველი გვარი იწყებოდა და ცოლის ტელეფონი მოვნახე. ნომერი იგივე იყო, მისამართი კი შეეცვალათ. რისმიულერპლაცს ახლა ჰიტლერპლაცი ერქვა.

მისამართი რომ წავიკითხე, მომეჩვენა, რომ ჯიხურში მქრქალმა ნათურამ კაშკაში დაიწყო. ზევით ავიხედე და მომეჩვენა, თითქოს უკუნეთ ღამეში, გაჩახჩახებულ მინის ჯიხურში ვიდექი, რომელიც პროჟექტორით გაენათებინათ. იმწუთას კვლავ გავაცნობიერე ჩემი გადაწყვეტილების სრული უაზრობა.

ტელეფონის ჯიხურიდან გამოვედი და ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი გავიარე. კედლებიდან თითქოს მუქარას მითვლიდნენ აბრები წარწერით: „სიძლიერე სიხარულის წილ“(ჰიტლერის დროს ერთ-ერთი ორგანიზაცია ამ დევიზით საშუალებას აძლევდა გერმანელ მშრომელებს და სახელმწიფო მოხელეებს, უფასოდ ემოგზაურათ მთებში და ზღვაზე შვებულების დროს.) და გერმანული კურორტების რეკლამები, ლაჟვარდოვანი ცის ფონზე მხიარული დამსვენებლები რომ იყვნენ გამოსახული. ალბათ, ამ დროს სადგურში რამდენიმე მატარებელი ჩამოდგა, რადგან კიბეზე უამრავი მგზავრი გამოჩნდა. უეცრად მათ ვიღაც ესესელი გამოეყო და პირდაპირ ჩემკენ გამოემართა.

გაქცევა არ მიცდია. ვიფიქრე, იქნებ აქეთ არც მოდის-მეთქი. მაგრამ ჩემ წინ გაჩერდა და სახეზე შემომაჩერდა.

- მაპატიეთ, ხომ ვერ მომიკიდებთ? - მკითხა მერე.

- მოგიკიდოთ? - გავიმეორე უნებურად და ჯიბისკენ წავიღე ხელი, თან მაშინვე დავძინე: - რა თქმა უნდა. ასანთი მაქვს.

- კი მაგრამ, ასანთი რაში გჭირდებათ? - მკითხა გაოცებულმა. - თქვენი სიგარეტიდან მომიკიდეთ!

აღარც მახსოვდა, სიგარეტს თუ ვეწეოდი. თავისი სიგარეტი ჩემსას მიადო და მოუკიდა.

- რა სიგარეტს ეწევით? - მკითხა მან. - სიგარის სუნი აქვს და მაგარი უნდა იყოს.

საზღვარზე რამდენიმე კოლოფი „გოლუაზი“ გადმოვიტანე.

- დიახ, შავი, ფრანგული თუთუნია, მეგობარმა ჩამომიტანა და ჩემთვისაც ძალიან მაგარია.

ესესელს გაეცინა.

- კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს ფიურერს მივბაძავდით და საერთოდ არ მოვწევდით, მაგრამ, როგორ გინდა, ეს მოახერხო? მით უფრო ასეთ დროში.

ეს რომ მითხრა, ესესელი დამემშვიდობა და წავიდა.

შვარცმა ჩაიცინა.

- ერთ დროს, როცა თავი ადამიანად მიმაჩნდა და არსებობის უფლება მქონდა, წიგნებში ხშირად ვკითხულობდი იმ ადგილებს, სადაც მწერლები შიშსა და ძრწოლას აღწერდნენ. აი, მაგალითად, რომელიღაც წიგნში ამომიკითხავს, რომ შიშის დროს ადამიანს გული უჩერდება, ადგილზე შეშდება, ზურგში სიცივეს გრძნობს, ძარღვებში სისხლი ეყინება და ჭირის ოფლი ასხამს. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს კლიშეებად ქცეული ფრაზები იყო და მწერლის მდარე სტილზე მიანიშნებდა. იქნებ, ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ, იმასაც გეტყვით, რომ მწერალი ამას ზუსტად აღწერს. მე კი, ასეთ სიტყვებზე მუდამ მეცინებოდა, სანამ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე არ გამოვცადე.

ამ დროს მიმტანი მოგვიახლოვდა.

- ბატონებო, ქალთა საზოგადოებაში ყოფნას ხომ არ ისურვებდით?

- არა! არ გვინდა!

მიმტანი ჩემკენ დაიხარა.

- სანამ საბოლოოდ უარს იტყვით, იქნებ იმ ქალბატონებისთვის შეგევლოთ თვალი, ბართან რომ დგანან.

ბარისკენ გავიხედე და საღამოს კაბებში გამოწყობილი ორი ქალი დავინახე. მათი სახეები ვერ გავარჩიე, თუმცა შევნიშნე, რომ ერთ-ერთი ძალიან კოხტა აღნაგობის იყო.

- არ გვინდა! - გავუმეორე მე.

- ეს ქალები ნამდვილი ბანოვანები არიან, - არ ცხრებოდა მიმტანი. - აი ის, მარჯვნივ რომ დგას, გერმანელია.

- მისი მოგზავნილი ხართ?

- როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო, - მლიქვნელური ღიმილით მიპასუხა მიმტანმა. - ეს პირადად ჩემი იდეა იყო.

- ჰოდა, ეგ თქვენი პირადი იდეა აქვე დაასამარეთ და რამე საჭმელი მოგვიტანეთ.

- რა უნდოდა? - მკითხა შვარცმა.

- მატა ჰარის შვილიშვილს გვირიგებს, როგორც ჩანს, ეს ტიპი მეტისმეტად გულუხვად დაასაჩუქრეთ.

- არა, ფული ჯერ არ მიმიცია. როგორ გგონიათ, ეს ქალები ჯაშუშები არიან?

- შესაძლოა, ასეც იყოს. მაგრამ არსებობს ერთადერთი საყოველთაო მნიშვნელობის მიზანი, და ეს მიზანი ფულია.

- გერმანელები არიან?

- ერთია გერმანელი.

- როგორ ფიქრობთ, ეს ქალი აქ იმისთვისაა, რომ გერმანელები ისევ სამშობლოში შეიტყუოს?

- არა მგონია. ამჟამად ადამიანების გატაცებაში რუსებს ბადალი არა ჰყავთ.

მიმტანმა თეფშით ბუტერბროდები მოგვიტანა. ვიგრძენი, რომ ღვინო მეკიდებოდა, ამიტომაც შევუკვეთე, რომ ცოტა რამე შემეჭამა და ნათელი გონება შემენარჩუნებინა.

- არ მიირთმევთ? - ვკითხე შვარცს.

მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სიგარეტის გამო შეიძლებოდა მახეში გავბმულიყავი, - მითხრა მან. - მაგრამ ამის შემდეგ უკვე ყველაფერს ვაკონტროლებდი. საფრანგეთიდან წამოღებული ასანთის კოლოფები მორჩენილ სიგარეტებთან ერთად გადავყარე და გერმანული სიგარეტები ვიყიდე. მერე გამახსენდა, რომ ფრანგული ვიზა მქონდა და საფრანგეთში შესვლისას შტამპიც ჩამირტყეს პასპორტში. ამიტომ, თუ შემამოწმებდნენ, ფრანგული სიგარეტის გამო თავის მართლებას მოვახერხებდი. შიშისგან ოფლად გაღვრილი და საკუთარ თავზე გაბრაზებული, ისევ ტელეფონის ჯიხურთან მივედი.

იქ ერთხანს ლოდინი მომიხდა. ქქალმა, რომელსაც პარტიის დიდი სამკერდე ნიშანი ამშვენებდა, ერთმანეთის მიყოლებით ორ ნომერზე დარეკა და ყეფა-ყეფით რაღაც ბრძანებები გასცა. მესამე ნომერზე არ უპასუხეს და ქალი მძვინვარე სახით გამოვარდა გარეთ.

ჯიხურში შევედი და ჩემი მეგობრის ნომერი ავკრიფე. ყურმილი უცნობმა ქალმა აიღო.

- თუ შეიძლება, ექიმ მარტენსს სთხოვეთ! - ვუთხარი და ვიგრძენი, რომ ხმა ჩამეხლიჩა.

- ვინ ლაპარაკობს? - მკითხა ქალმა.

- ექიმი მარტენსის მეგობარი ვარ.

ჩემს გვარს ვერ ვეტყოდი. ეს ქალი ალბათ მისი ცოლი ან მოახლე იყო, და ვერც ერთს ვერ ვენდობოდი.

- მითხარით, ვინ ბრძანდებით! - გამიმეორა ქალმა.

- გთხოვთ, ექიმ მარტენსს გადასცეთ, რომ მისი მეგობარი რეკავს, - ისევ ვუთხარი მე. - სასწრაფო საქმე მაქვს.

- ვწუხვარ, მაგრამ თქვენს ვინაობას თუ არ მეტყვით, ექიმს ვერაფერს გადავცემ, - მომიგო ქალის ხმამ.

- გთხოვთ, გამონაკლისი დაუშვათ და უთხრათ, ტელეფონთან მოვიდეს. ექიმი მარტენსი ელოდება ჩემს ზარს!

- მაშინ, მით უფრო უნდა მითხრათ, ვინ ბრძანდებით...

სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. ამასობაში ქალმა ყურმილი დაკიდა.

მეგონა, ეს საქმე ადვილად მოგვარდებოდა, მაგრამ ჩემი პირველივე მცდელობა მარცხით დამთავრდა. სადგურში, ჩაბნელებულ, ქარიან ბაქანზე ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა მეღონა. მერე ვიფიქრე, იქნებ გავრისკო და პირდაპირ ჰელენს დავურეკო-მეთქი. მაგრამ ყურმილი მისი ოჯახის რომელიმე წევრს რომ აეღო და ხმაზე ვეცნე? სხვისი სახელითაც შემეძლო დამერეკა, მაგრამ ვისი? ექიმი მარტენსის გარდა, იმწუთას სხვა არავინ მეგულებოდა. მერე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, თავში ისეთი აზრი მომივიდა, რაზეც ათი წლის ასაკში არც კი დავფიქრდებოდი. „ხომ შეიძლება მარტენსს ჩემი ცოლისძმის სახელით დავურეკო-მეთქი?“ - გამიელვა თავში.

მაშინვე დავრეკე. ტელეფონში იმავე ქალის ხმა გაისმა.

- გეორგ იურგენსი ვარ, - ვუთხარი მკაცრად. - ექიმ მარტენსს სთხოვეთ!

- ის ბატონი ბრძანდებით, ცოტა ხნის წინ რომ დარეკეთ?

- შტურმბანფიურერი იურგენსი ვარ! სასწრაფოდ სთხოვეთ ექიმ მარტენსს!

- დიახ, მოითმინეთ. აახლავე! - მითხრა ქალმა.

შვარცმა შემომხედა.

- ოდესმე თუ მოგისმენიათ ყურმილში ის ჩუმი შარიშური, რომელმაც საკუთარი ყოფნა-არყოფნის ამბავი უნდა გამცნოთ?

- აუცილებელი არ არის, საქმე შენს ყოფნა-არყოფნას ეხებოდეს. შესაძლოა, ეს სრულიად უბრალო რამ იყოს, რის მოსმენასაც სასოებით ელოდები.

- ექიმი მარტენსი გისმენთ, - როგორც იქნა, გაისმა ტელეფონში ჩემი მეგობრის ხმა და ვიგრძენი, რომ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რაზეც წინათ აუცილებლად გამეცინებოდა. ხახა გამიშრა.

- რუდოლფ! - წავიჩურჩულე ბოლოს.

- დიახ, გისმენთ!

- რუდოლფ! - გავიმეორე ისევ. - ჰელენ იურგენსის ნათესავი ვარ.

- ვერ მივხვდი. განა შტურმბანფიურერ იურგენს არ ველაპარაკები?

- არა, რუდოლფ! მე მხოლოდ მისი სახელით დაგირეკე. საქმე ჰელენ იურგენსს ეხება. ახლა მაინც მიხვდი?

- საერთოდ არაფერი მესმის, - თქვა მან აღელვებული ხმით. - ახლა პაციენტები მყავს...

- შეიძლება, შენთან პაციენტების მიღების საათებში მოვიდე? ცოტა ხნით ვერ მოიცლი ჩემთვის, რუდოლფ?

- კიდევ ერთხელ გიმეორებთ. არ ვიცი, ვინ ხართ და არც...

უეცრად გამახსენდა, რა სახელებით მივმართავდით ბიჭები ბავშვობაში ერთმანეთს, როდესაც „ინდიელობანას“ ვთამაშობ-

დით. თორმეტი წლის ასაკში სულმოუთქმელად ვკითხულობ-დით კარლ მაის რომანებს ველურ დასავლეთზე და მისი გმირე-ბის სახელებს ვირქმევდით.

- რუდოლფ! შენი ძველი შეტერჰენდი ვარ! - ამოვღერღე ბო-ლოს.

ტელეფონი ერთი წამით დადუმდა.

- რაო, რა თქვით? - წაიჩურჩულა მარტენსმა.

- ვინეტუ[11] აღარ გახსოვს, ნუთუ ჩვენი სახელები საერთოდ დაგავიწყდა? - ვკითხე მე. - ისინი ხომ ჩვენი ფიურერის საყვარე-ლი გმირები არიან?!

- მართალია, - ესღა ამოღერღა მარტენსმა.

ცნობილი იყო, რომ კაცს, რომელმაც მსოფლიოს საშინელი ომი დაატეხა თავს, საძინებელში ამ მწერლის ოცდაათზე მეტი ტომი ჰქონდა და ინდიელი მონადირეების თავგადასავლებს გა-ტაცებით კითხულობდა. ეს ის წიგნებია, თხუთმეტი წლის ყმაწვი-ლებს, ცოტა არ იყოს, უკვე სასაცილოდ რომ გვეჩვენებოდა.

- ნუთუ ვინეტუ ხარ? - დაეჭვებით მკითხა მარტენსმა.

- ჰო, მე ვარ, და აუცილებლად უნდა გნახო.

- არაფერი მესმის. სად ხარ ახლა?

- აქა ვარ, ოსნაბრიუკში. სად შეიძლება შენი ნახვა?

- ახლა პაციენტები მყავს! - უაზროდ მიპასუხა მარტენსმა.

- ავად ვარ. შეიძლება მიღების საათებში მოვიდე?

---

[11] (შეტერჰენდი და ვინეტუ - გერმანელი მწერლის, კარლ მაის ნაწარმოების გმირები, რომლებიც ველური დასავლეთის შესა-ხებ შექმნილ მის რომანში ერთგული მეგობრები არიან.

- მაინც ვერაფერი გავიგე, - ისევ თქვა მარტენსმა და მივხვდი, რომ რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა. - კეთილი, რაკი ავად ხართ, მოდით. რა საჭირო იყო წინასწარ დარეკვა?

- როდის მოვიდე?

- კარგი იქნება, რვის ნახევარზე თუ მოხვალთ, - მითხრა და ისევ გაიმეორა: - ზუსტად რვის ნახევარზე, უფრო ადრე არა.

- კარგი, ზუსტად რვის ნახევარზე შენთან ვიქნები, - ვუთხარი და ყურმილი დავკიდე. სულ ოფლად ვიყავი გაღვრილი და გასასვლელისკენ გავემართე. ფერმიხდილი ნამგალა მთვარე დროდადრო ჩნდებოდა ღრუბლებში. გავიფიქრე, რომ ერთ კვირაში ახალი მთვარე ამოვიდოდა და საზღვარზე უფრო ადვილად გადავიდოდი. საათს დავხედე. ორმოცდახუთი წუთი კიდევ მქონდა დრო. სადგურში დიდხანს გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ეს ყოველთვის სახიფათო იყო. ბნელ და უკაცრიელ ქუჩას დავუყევი, ქალაქის ძველ დამბებამდე რომ მიდიოდა. ქუჩის ერთი მხარე გადაესწორებინათ და მის გასწვრივ მაღალი ხეები დაერგოთ. მეორე, შემაღლებული მხარე კი ძველებურად მიუყვებოდა მდინარეს. ამ გზას გავყევი, მოედანი გადავკვეთე და უფალ იესოს ტაძარს ჩავუარე.

შემაღლებული დამბიდან, მდინარის გადაღმა ქალაქის ციხეკოშკები მოჩანდა. ბაროკოს სტილის ტაძრის გუმბათი მოციმციმე შუქს გაენათებინა. ეს ჩემთვის ნაცნობი სურათი იყო. მას ათასობით საფოსტო მარკაზეც ნახავდით. მერე წყლის და ცაცხვების ხეივნის სუნიც მეცნო, დამბას გვერდით რომ მიუყვებოდა.

იქვე, სკამზე ჩამომსხდარი შეყვარებულები დავინახე. აქედან მდინარე მოჩანდა და მთელი ქალაქის ხედი იშლებოდა. ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი. მარტენსთან წასვლამდე ეს ნახევარი საათი როგორმე უნდა გამეყვანა.

სამრეკლოების ზარების რეკვა გაისმა. ისე ვიყავი აღელვებული, რომ მომეჩვენა, თითქოს ჩემში ვიღაც ორნი გატაცებით თამაშობდნენ ჩოგბურთს. ერთი მოთამაშე მე ვიყავი, ოღონდ ადრინდელი, შიშით შეპყრობილი, დროდადრო რომ ვკრთებოდი და საკუთარ მდგომარეობაზე დაფიქრებას ვერ ვბედავდი. მმეორეც მე ვიყავი, ახლანდელი, არაფერს რომ არ ვუფიქრდებოდი და ისე გაბედულად მივდიოდი რისკზე, თითქოს ჩემ გარშემო საფრთხე საერთოდ არ არსებობდა. ამ უცნაურ შიზოფრენიას მესამე მონაწილეც ჰყავდა, მაყურებელი, რომელიც ამ ყველაფერს მსაჯივით, მიუკერძოებლად აკვირდებოდა, თუმცა, ერთი სული ჰქონდა, რომ თამაში ჩემს ახლანდელ „მეს“ მოეგო.

იმ ნახევარი საათის გახსენება ახლაც ზუსტად შემიძლია, რადგან ძალიან გაოცებული დავრჩი, როდესაც საკუთარ თავში ამგვარი კლინიკური სიმპტომები აღმოვაჩინე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სარკეებიან ოთახში ვიდექი. სარკეები ჩემს გამოსახულებას სადღაც, უსასრულო სიცარიელეში მოისროდა, ამ გამოსახულების უკან კი სხვა გამოსახულებას ვხედავდი, იმ პირველს ზემოდან რომ დაჰყურებდა. ძველ, დაბინდულ სარკეში საკუთარ თავს ვერ ვხედავდი და არ ვიცოდი, ჩემი სახე ცნობისმოყვარეობას და მწუხარებას გამოხატავდა თუ იმედს, რადგან ყველაფერი ვერცხლისფერი წყვდიადით იბინდებოდა.

მერე გვერდით ვიღაც ქალი მომიჯდა. ეჭვის თვალით შევხედე, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ბარბაროსების ეს ურდო, თავისი დეგრადირებული სამხედრო რეჟიმის გასაძლიერებლად, ასეთ ხრიკებსაც არ იყენებდა. ავდექი და წამოვედი. უეცრად ზურგს უკან იმ უცნობი ქალის სიცილი მომესმა. მერე დიდხანს ვეღარ დავივიწყე ეს ჩუმი, ოდნავ ქედმაღლური და

თან გულმოწყალე სიცილი, იქ, ოსნაბრიუკის დამბასთან რომ ჩამესმა.

4

ექიმის მოსაცდელ ოთახში არავინ იყო. ფანჯარასთან, ქოთნებში პრიალა, გრძელფოთლებიანი მცენარეები იდგა. მაგიდაზე ჟურნალები ეწყო, რომელთა ყდები რეჟიმის თავკაცების, ჯარისკაცების და მარშით მიმავალი „ჰიტლერიუგენდელების“ ფოტოებით იყო აჭრელებული. უეცრად სწრაფი ნაბიჯების ხმა შემომესმა, და რომ მივიხედე, მარტენსი უკვე კართან იდგა. დამაკვირდა, სათვალე მოიხსნა და თვალები მოჭუტა. ოთახი მკრთალად იყო განათებული, მე ულვაშები მქონდა მოშვებული, და ალბათ ამიტომ, მარტენსმა მაშინვე ვერ მიცნო.

- იოზეფი ვარ, რუდოლფ, ვერ მიცანი? - ვკითხე მე.

მან ხელით მანიშნა, გაჩუმდიო, და წაიჩურჩულა:

- საიდან ჩამოხვედი?

მხრები ავიჩეჩე. აბა, ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?!

- უკვე აქ ვარ და შენი დახმარება მჭირდება, რუდოლფ!

გგაოცებულმა შემომხედა. ბეცი თვალები იმ თევზს მიუგავდა, აკვარიუმის სქელი მინის მიღმა რომ დაცურავს.

- აქ ყოფნის ნებართვა გაქვს?

- ნებართვა საკუთარმა თავმა მომცა.

- ჰო, მაგრამ, საზღვარზე როგორ გადმოხვედი?

- ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს? ჰელენის სანახავად ჩამოვედი!

მარტენსი ისევ მომაჩერდა.

- ამის გამო ჩამოხვედი? - მკითხა მერე.

- ჰო, ამის გამო, - მივუგე მე.

უცებ საოცარი სიმშვიდე დამეუფლა. სანამ მარტო ვიყავი, თავს მშვიდად ვერ ვგრძნობდი. ახლა კი ყოველგვარი მღელვარება თვალსა და ხელს შუა გაქრა, რადგან იმ წუთს მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ეს დამფრთხალი კაცი როგორ დამემშვიდებინა.

- ღმერთო ჩემო! - აღმოხდა მარტენსს.

- ჰელენი ხომ ცოცხალია? - ვკითხე მე.

- ჰო, ცოცხალია!

- ქალაქშია?

- ყოველ შემთხვევაში, ერთი კვირის წინ აქ იყო!

- შეიძლება ვილაპარაკოთ?

მარტენსმა თავი დამიქნია.

- ექთანი დავითხოვე. პაციენტები თუ მოვლენ, იმათაც გავუშვებ. ორი წლის წინ ცოლი შევირთე და ჩემს ბინაში ვერ მიგიყვან, ხომ გესმის...

მშვენივრად მესმოდა მისი. ათასწლოვან რაიხში დიდი ხანია, საკუთარ ნათესავების და ახლობლების ნდობაც აღარ შეიძლებოდა. გერმანიის ახლად მოვლენილი „მხსნელები“ დღედაღამ აცხადებდნენ, დაბეზღება ნაციონალური სიქველის გამოვლინებაა. ეს საკუთარ თავზე მქონდა გამოცდილი. პირადად მე, ცოლისძმამ ჩამიშვა.

- ჩემი ცოლი პარტიის წევრი არ არის, - სასწრაფოდ დასძინა მარტენსმა და დაბნეულად შემომხედა - მაგრამ, ამ თემაზე არასდროს გვილაპარაკია... - ამიტომ არ ვიცი, ახლა როგორ მოიქცევა. შემოდი!

მისაღები ოთახის კარი გააღო, და შევედით თუ არა, მაშინვე შიგნიდან ჩაკეტა.

- ღია დატოვე, - ვუთხარი მე. - ჩაკეტილი კარი უფრო გამოიწ-ვევს ეჭვს, ვიდრე ის, რომ ერთად დაგვინახონ.

მარტენსმა გასაღები უკან გადაატრიალა და მე მომიბრუნდა.

- იოზეფ, ღვთის გულისათვის, მითხარი, აქ რას აკეთებ? საზ-ღვარზე გადმოიპარე?

- ჰო, მაგრამ მინდა გითხრა, რომ არ გთხოვ, დამმალო. ქა-ლაქგარეთ, სასტუმროში ვცხოვრობ. აქ კი იმიტომ მოვედი, რომ შენ გარდა, სხვა, არავინ მეგულება, ვინც ჰელენს ჩემ შესახებ აცნობებს. ხუთი წელია, მისგან არაფერი მსმენია. არ ვიცი, რო-გორაა, ხელმეორედ გათხოვდა თუ არა. ახლა გათხოვილია?

- აქ ამის გასაგებად ჩამოხვედი?

- ჰო, აბა სხვა რისთვის?

- ახლა უნდა დაგმალო, - მითხრა მან. - ღამით აი იქ, პაციენ-ტების მისაღებ ოთახში, ტახტზე დაიძინებ. დილის შვიდი საათის-თვის გაგაღვიძებ, რადგან მოახლე დალაგებას იწყებს. რვა საათის შემდეგ ისევ მოხვალ. პაციენტები თერთმეტამდე არ იქ-ნებიან.

- ჰელენი გათხოვდა? - ვკითხე მე.

- ჰელენი? - მან თავი გააქნია. - როგორც ვიცი, შენთან გან-ქორწინება დღემდე არ გაუფორმებია.

- ისევ ძველ ბინაში ცხოვრობს?

- მგონი კი.

- მასთან ერთად კიდევ ცხოვრობს ვინმე? დედა, ძმა ან ვინმე ნათესავი?

- ზუსტად არ ვიცი.

- ეგ უნდა გამიგო. ჰელენს კი უნდა უთხრა, რომ აქ ვარ.

- რატომ არ გინდა, თავად აცნობო ამის შესახებ? - მკითხა მარტენსმა. - ტელეფონი აქვეა, მიდი და დაურეკე.

- ამ დროს მასთან ვინმე რომ იყოს? ვთქვათ, მისი ძმა, რომელმაც ერთხელ უკვე ჩამიშვა.

- ჰო, მართალი ხარ. შეიძლება ჰელენიც ჩემსავით დაიბნეს და საკუთარი თავი გასცეს.

- რუდოლფ! ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აქედან წავედი და ახლა ისიც კი არ ვიცი, რას ფიქრობს ჰელენი ჩემზე. მანამდე მხოლოდ ოთხი წელი ვიცხოვრეთ ერთად. ხუთი წელი კი ოთხ წელზე მეტია, და გამოდის, განშორება ერთად ყოფნაზე ხანგრძლივი იყო.

რუდოლფმა თავი გააქნია.

- შენი ვერაფერი გავიგე, - მითხრა მერე.

- შენ კი არა, საკუთარი თავისა მეც ვერაფერი გამიგია. რას იზამ, ყველას თავისი ცხოვრება აქვს.

- წერილებს რატომ არ სწერდი?

- ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, რუდოლფ. ჰელენთან წადი, დაელაპარაკე და გაარკვიე, რას ფიქრობს. მერე, თუ საჭიროდ ჩათვლი, უთხარი, რომ აქ ვარ და ჰკითხე, როგორ შეიძლება მისი ნახვა.

- როდის წავიდე?

- როგორ თუ როდის? ახლავე უნდა წახვიდე, - ვუთხარი გაოცებულმა.

მან ოთახში მიმოიხედა.

- ამასობაში სად იქნები? აქ დარჩენა სახიფათოა. ჩემს ცოლს ამდენ ხანს რომ არ შევეხმიანები, მოახლეს ჩამომიგზავნის ამბის გასაგებად. მიჩვეულია, რომ პაციენტების მიღების შემდეგ, ზემოთ ავაკითხავ ხოლმე. შემიძლია, ამ ოთახში ჩაგკეტო, მაგრამ ესეც საკმაოდ სახიფათოა.

- არა, ჩაკეტვა ნამდვილად არ მინდა, - ვუთხარი მე. - არ შეგიძლია, შენს ცოლს უთხრა, რომ პაციენტის სანახავად მიდიხარ?

- არა, როცა დავბრუნდები, ამას მერე ვეტყვი. ასე აჯობებს.

მარტენსს თვალებში რაღაც სხივი გაუკრთა, მერე დავინახე, რომ მარცხენა თვალი წამით მოჭუტა და ამან რატომღაც ჩვენი სიყმაწვილე გამახსენა.

- მანამდე ტაძარში ვიქნები, - ვუთხარი მე. - ეკლესიები დღესაც თითქმის ისეთივე უსაფრთხოა, შუა საუკუნეებში რომ იყო. როდის დაგირეკო?

- ერთ საათში ოტო შტურმის სახელით დამირეკე. მერე სად გიპოვო? იქნებ ისეთ ადგილას წახვიდე, საიდანაც დარეკვას შეძლებ?

- არა, ასეთი ადგილები სახიფათოა.

- ჰო, ალბათ ასეა, - მარტენსი ერთხანს დაბნეული იდგა. - მართალი ხარ. ჯერ მოსული თუ არ ვიქნები, ცოტა ხანში ისევ დარეკე ან დაიბარე, სად ხარ.

- კეთილი, - ვუთხარი და ქუდი ავიღე.

- იოზეფ! ამ ამბებს თუ არ ჩავთვლით, საერთოდ რა ხდება? - მკითხა მარტენსმა.

- საერთოდ, კარგად ვერ უნდა იყოს საქმე. მაგრამ, თუ ამ ამბებს არ ჩავთვლით, აქ რა ხდება?

- კარგი არაფერი ხდება, იოზეფ, - მითხრა მან. - ჰო, კარგი არაფერი ხდება, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი ბრწყინვალედაა.

* * *

ხალხმრავალ ადგილებს თავი ავარიდე და ტაძრისკენ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით წავედი. შორი გზა არ მქონდა გასავლელი. კრანშტრასეზე ჯარისკაცების კოლონამ ჩამიარა. რაღაც უცნობ სიმღერას მღეროდნენ. მმერე, ტაძრის მოედანზე ისევ დავინახე ჯარისკაცები. ცოტა მოშორებით, პატარა ეკლესიასთან, ორასი თუ სამასი კაცი მიჯრით იდგა და თითქმის ყველას პარტიული უნიფორმა ეცვა. ვიღაც ორატორი ლაპარაკობდა, მაგრამ ვერ ვხედავდი. მერე პოსტამენტზე შავი რეპროდუქტორი დავინახე, რომელიც შეკრებილ ხალხს ომახიანად ამცნობდა, რომ გერმანია აუცილებლად დაიბრუნებდა დაკარგულ მიწებს, შურს იძიებდა მტრებზე და საყოველთაო მშვიდობის გარანტი იქნებოდა. მსოფლიო მის ნებას თუ დაემორჩილებოდა, აი, მაშინ სამართლიანობა ყველასთვის ერთნაირად აღდგებოდა.

ცოტა ხანში ქარი ისევ ამოვარდა. შერხეული ტოტების ჩრდილებმა ფარფატით გადაუარა ადამიანთა სახეებს, მოღრიალე რეპროდუქტორს და ეკლესიის უკანა კედელთან აღმართულ ქვის ქანდაკებას, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს და ორ ავაზაკს რომ განასახიერებდა. სახეგაცისკროვნებული, რწმენით აღსავსე ადამიანები შთაგონებით უსმენდნენ რეპროდუქტორიდან წამოსულ სიტყვებს. ჰიპნოზის ამ სეანსში კი უჩვეულო ის იყო, რომ უსულო დანადგარს ყველა ისე უკრავდა ტაშს, თითქოს ცოცხალი ადამიანი ყოფილიყოს; რეპროდუქტორს კი ამ დროს არც მათი დანახვა შეეძლო და არც მათი მოსმენა. სულიერებისგან დაცლილი, ამ შეშლილი დროებისთვის ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი ძრწოლითა და ისტერიკული სიშმაგით აიტაცებს ხოლ-

მე მარჯვნიდან თუ მარცხნიდან წამოსულ ლოზუნგებს, ხალხის მასებს ფიქრისა და პასუხისმგებლობის უნარს რომ უხშობს, რათა წინ ვეღარ აღუდგნენ იმას, რისიც ეშინიათ და რისგანაც თავის დაღწევას ლამობენ.

არ მოველოდი, ამ დროს ტაძარში ამდენი ხალხი თუ იქნებოდა. მერე გამახსენდა, რომ მაისის ბოლო იყო და ამ თვეში ყოველ საღამოს წირვა ტარდებოდა. ერთი კი გავიფიქრე, პროტესტანტულ ეკლესიაში წავალ-მეთქი, მაგრამ არ ვიცოდი, ამ საღამოს ღია თუ იქნებოდა. ტაძარში შევედი და იქვე, შესასვლელთან სკამზე ჩამოვჯექი. საკურთხეველთან სანთლები ენთო, ეკლესიის დანარჩენი ნაწილი ოდნავ იყო განათებული, ამიტომ ასე ადვილად ვერავინ მიცნობდა.

საკურთხევლის წინ საკმევლის სურნელსა და კვამლში, ფარჩა-ატლასში გამოწყობილი მღვდელი მიდი-მოდიოდა. მის გარშემო წითელ ანაფორებსა და თეთრ მოსასხამებში გამოწყობილი დიაკვნები იდგნენ, რომლებსაც ხელში მხრჩოლავი საცეცხლურები ეჭირათ. ორგანს და გუნდის გალობას ვუსმენდი და, უეცრად, მომეჩვენა, თითქოს ისევ წეღანდელ, უაზრო სახეებს ვხედავდი, ღია თვალებით რომ ეძინათ და აღსავსე იყვნენ რწმენით, რომელიც უსაფრთხოებისა თუ უპასუხისმგებლობის შესახებ დასმულ ნებისმიერ კითხვას აზრს უკარგავდა. თუმცა აქ ყველაფერი უფრო სასიამოვნო და სათნო შთაბეჭდილებას ახდენდა იმასთან შედარებით, რაც გარეთ ხდებოდა. ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მქადაგებელი ეს რელიგია ყოველთვის არ ყოფილა დიდად სათნო. შავბნელ შუა საუკუნეებში მისი სახელით ბევრი სისხლი დაიღვარა. თავად მას თუ არ სდევნიდნენ, ეს რელიგია თვითონვე იწყებდა ადამიანების დევნას, კოცონზე წვავდა, აწამებდა და ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა.

საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას, ჰელენის ძმამ დამცინავი ღიმილით შემახსენა ეს ამბები.

- ჩვენ სწორედ თქვენი ეკლესიის მეთოდები გადმოვიღეთ. ინკვიზიციამ უფლის სახელით გვასწავლა, როგორ უნდა ვაწამოთ ურწმუნოები, - მითხრა მან მაშინ. - მაგრამ ჩვენ მათსავით სასტიკები მაინც არა ვართ, რადგან ადამიანებს ცოცხლად იშვიათად ვწვავთ.

ჩემი ცოლისძმა ამას რომ მეუბნებოდა, ძელზე ვიყავი დაკიდებული. ამ დახვეწილ მეთოდს მაშინ მიმართავდნენ, როცა უნდოდათ, რომ პატიმარს ქვეყნის მტრები დაესახელებინა.

მღვდელმა ბარძიმი აღმართა და მრევლი დალოცა. გასუსული ვიჯექი, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კვამლის, იმედის და სინათლის თბილ აუზში დავცურავდი. მერე ყურში ბოლო საგალობლის სიტყვები ჩამესმა: „ამაღამ ჩემი მცველი და მზირი იყავი“. ამ საგალობელს ბავშვობაში ხშირად ვიმეორებდი, რადგან მაშინ ღამის სიბნელისა ძალიან მეშინოდა. ახლა კი სიბნელე სინათლის მაგივრობას მიწევდა.

მრევლი ეკლესიის გასასვლელისკენ დაიძრა. თხუთმეტი წუთი კიდევ უნდა დამეცადა. თაღის დიდი საყრდენი სვეტის კუთხეში შევიყუჟე და სწორედ ამ დროს დავინახე ჰელენი, რომელიც ეკლესიაში გრიგალივით შემოვარდა და ხალხის ნაკადი გაარღვია. მის ნახვას აქ არ მოველოდი და თავდაპირველად ვერც კი ვიცანი. მივჩერებოდი მის სათნო, განრისხებულ და თავდაჯერებულ სახეს და ვფიქრობდი, ეტყობა, ეკლესიაში რაღაც დარჩა-- მეთქი. და, მხოლოდ მაშინ, როდესაც წინ წამოვიდა და რაღაც წამში გვერდით ჩამიქროლა, ჰელენი მხრების მოძრაობით ვიცანი. თითქოს არავის ეხებოდა და ადამიანებს შორის მიცურავდა. მერე დავინახე, რომ ანთებული სანთლების ფართო რიგს

ჩაუარა და მაღალი, რომანული ფანჯრების მოლურჯო-- მოწითალო ჩრდილში უეცრად გაჩერდა. აი, მაშინ მივხვდი, რა მარტოსული იყო ეს ბედისგან განწირული, პატარა, უსუსური ქალი.

ფეხზე წამოვდექი, რომ მისი მზერა დამეჭირა. ხელის დაქნევა ვერ გავბედე, რადგან ეკლესიაში ჯერ კიდევ იყო ხალხი და მეშინოდა, ჩემ საქციელს ყურადღება არ მიეპყრო. იმ წუთს მხოლოდ ის გავიფიქრე, რა ბედნიერებაა, რომ ჰელენს ცოცხალს და ჯანმრთელს ვხედავ-მეთქი. უცნაურია, რომ მსგავს სიტუაციაში უპირველესად ეს აზრი მოგდის ხოლმე თავში, რადგან გაოცებული ხარ, რომ არაფერი შეცვლილა და ის ადამიანი ცოცხლია.

ჰელენი მგალობელთა გუნდთან მივიდა. ხალხი გავარღვიე და უკან გავყევი. უეცრად გაჩერდა, შემობრუნდა და სკამებზე მჯდომი ხალხი ყურადღებით შეათვალიერა. ეტყობა დარწმუნებული იყო, რომ მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, და, რაკი ვერ დამინახა, გვერდით ჩამიარა, თითქმის შემეხო და ვერ შემამჩნია. მერე გასასვლელისკენ რომ წავიდა, უკან გავყევი.

- ჰელენ! - ვუთხარი ჩუმად, როდესაც ისევ შეჩერდა და მასთან სულ ახლოს აღმოვჩნდი. - უკან არ მოიხედო! პირდაპირ წადი! მე უკან გამოგყვები! აქ ერთად არ უნდა დაგვინახონ!

ჰელენი წაბარბაცდა, თითქოს თავში რაღაც ჩაარტყესო, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და გზა განაგრძო. ნეტავ, რატომ მოვიდა აქ? ახლა დიდ საფრთხეში ვიყავით, რადგან ერთად რომ დავენახეთ, სულ ადვილად მიცნობდნენ. ისე, მეც არ მეგონა, დღეს აქ ამდენი ხალხი თუ იქნებოდა?! ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ეკლესიიდან სწრაფად გაგვეღწია. ჰელენს შავი კოსტიუმი ეცვა და კოხტა ქუდი ეხურა. თავი ოდნავ გადახრილი ჰქონდა და თითქოს ჩემი ნაბიჯების ხმას ყურს უგდებდა. რამდე-

ნიმე ნაბიჯით ჩამოვრჩი და თან თვალს ვადევნებდი, რომ ხალხში არ დამეკარგა. გაგონილი მქონდა, ძებნილი ხშირად სწორედ იმით უცნიათ, რომ მის ნაცნობ ადამიანთან ერთად დაუნახავთ.

ჰელენმა აიაზმის ქვის ავაზანს ჩაუარა, ტაძრიდან გავიდა და იქვე, მარცხნივ გაუხვია. ტაძრის გასწვრივ ქვის ფილებით მოკირწყლული გზა გადიოდა, რომელიც მოედნისგან ქვიშაქვის ხიმინჯებს შორის გაბმული ჯაჭვებით იყო გამოყოფილი. ჰელენი ჯაჭვებს გადაახტა, სიბნელეში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გაჩერდა და შემოტრიალდა. სიტყვებით ვერ აღვწერ, რა ვიგრძენი იმწუთას. შემიძლია, მხოლოდ გითხრათ, რომ მომეჩვენა, თითქოს მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გვერდით ჩამიარა. მერე, უეცრად უკან მოიხედა და დამინახა. მაღალფარდოვან სიტყვებს შესაძლოა, ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ გამართლება, მაგრამ მაშინ ნამდვილად ასეთი შეგრძნება დამეუფლა. თუმცა მხოლოდ ეს არ მიგრძნია. მერე ჰელენს მივუახლოვდი და მისი გარუჯული და თან გაფითრებული სახე, თვალები და ტუჩები რომ დავინახე, წარსული თითქოს სადღაც გაქრა. ის დრო, როდესაც მე და ჰელენი ერთად აღარ ვიყავით, არსად გამქრალა, მაგრამ იმწუთას ვიგრძენი, თითქოს ის ყველაფერი თავად კი არ განვიცადე, არამედ სადღაც, წიგნში ამოვიკითხე.

- აქ საიდან გაჩნდი? - შორიდანვე, თითქმის მტრულად მკითხა ჰელენმა.

- საფრანგეთიდან ჩამოვედი.

- ქვეყანაში როგორ შემოგიშვეს?

- საზღვარზე გადმოვიპარე.

მარტენსმა რომ დამისვა, თითქმის იგივე შეკითხვები იყო.

- კი, მაგრამ, რისთვის ჩამოხვედი?

- შენ უნდა მენახე!

- არ უნდა ჩამოსულიყავი!

- ვიცი. ამას საკუთარ თავს ყოველდღე ვეუბნებოდი.

- მაშ, რატომ ჩამოხვედი?

- არ ვიცი. ეგ რომ გამეცნობიერებინა, ალბათ აქაც არ ვიქნებოდი.

მინდოდა, ჰელენს მოვხვეოდი და დამეკოცნა, მაგრამ ვერ ვბედავდი; გაშეშებული იდგა და მეგონა, რომ შევხებოდი, დაიმსხვრეოდა. არ ვიცოდი, რას ფიქრობდა, მაგრამ, მთავარია, ცოცხალი იყო და ვნახე. ახლა კი შემეძლო, აქედან წავსულიყავი ან დავლოდებოდი, რა მოხდებოდა.

- როგორ თუ არ იცი? - მკითხა მან.

- ეგ ხვალ, ერთ კვირაში ან უფრო მოგვიანებით მეცოდინება, - ვუთხარი მე.

ჰელენს მივაჩერდი. ვერ მივხვდი, რა უნდა მცოდნოდა? ასეთ დროს რაიმეს ცოდნა ხომ ქაფს ჰგავს, ტალღას თავზე რომ მოადგება ხოლმე?! მერე ქაფს ქარი გადარეცხავს, ტალღა კი ისევ რჩება.

- აი, ხომ ხედავ, მაინც ჩამოხვედი! - მითხრა ჰელენმა ახლა უკვე ნაზი ხმით და ერთი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ. მისი გაქვავებული სახე თითქოს სითბოს გამოხატავდა და მკლავები მოვხვიე, მაგრამ ხელები მკერდზე მომაბჯინა და თავის დაცვას შეეცადა. მომეჩვენა, რომ ტაძრის ქარიან მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ძალიან დიდხანს ვიდექით ასე. ამ დროს ქუჩის ხმაური, თითქოს მინის ყრუ კედლიდან, ოდნავ აღწევდა ჩვენამდე. მარცხნივ, ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, მოედნის მოპირდაპირე მხარეს, თეატრის გაჩახჩახებულ შენობას და მის თეთრ კიბეებს ვხედავდი. მახსოვს, მაშინ ერთი წუთით წარმოვიდგინე,

რომ ამ შენობაში ისევ თამაშობდნენ სპექტაკლებს და იგი ყაზარმად ან საპატიმროდ ჯერ არ გადაექციათ.

გვერდზე რამდენიმე ადამიანმა ჩაგვიარა და უკან მოგვხედა. ვიღაცას გაეცინა.

- წავიდეთ! - წაიჩურჩულა ჰელენმა. - ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება.

- სად უნდა წავიდეთ?

- შენს ბინაში!

ყურებს არ დავუჯერე.

- რა თქვი? - ვკითხე ისევ.

- შენს ბინაში უნდა წავიდეთ. სხვა წასასვლელი სად გვაქვს?

- იქ, კიბეზე, ვინმე რომ შემხვდეს და მიცნოს? გგანა იმ სახლში ისევ ის ხალხი არ ცხოვრობს?

- ვერავინ დაგინახავს!

- მერედა, მოახლეს რას უზამ?

- ამ საღამოს გავუშვებ.

- ხვალ დილით?

ჰელენმა შემომხედა.

- გამაგებინე, ამხელა გზა იმისთვის გამოიარე, რომ ეს კითხვები დამისვა?

- მაგრამ იმისთვისაც არ ჩამოვსულვარ, რომ ციხეში მიკრან თავი, შენ კი ბანაკში გამოგამწყვდიონ, ჰელენ!

მან მოულოდნელად გაიღიმა.

- სულ არ შეცვლილხარ, იოზეფ! - მითხრა მერე. - მაინც, როგორ მოაღწიე აქამდე?

- თვითონაც არ ვიცი, - მივუგე და მეც გამეღიმა. გამახსენდა, რომ ჰელენი ადრეც ამას მეუბნებოდა, როცა ჩემს მძიმე ხასიათს უჩიოდა და, ხან გაბრაზებული, ხანაც სასოწარკვეთილი, ამის

გამო მსაყვედურობდა. ახლა, ამის გახსენებაზე საფრთხის შეგრძნება საერთოდ გამიქრა. - მაგრამ, ახლა აქ ვარ, - ვუთხარი მერე.

ჰელენმა თავი გააქნია და დავინახე, რომ თვალები ცრემლით ავსებოდა.

- ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია! - მომიგო მან. - ახლა კი წავიდეთ, თორემ იფიქრებენ, რომ რაღაც სცენას გიწყობ და ორივეს დაგვაპატიმრებენ.

მოედანი გადავკვეთეთ.

- შენთან ახლავე ვერ წამოვალ! - ვუთხარი ჰელენს. - ჯერ მოახლე დაითხოვე! მიუნსტერის სასტუმროში ნომერი მაქვს. იქ არავინ მიცნობს და ვიფიქრე, იქ ვიცხოვრებდი.

ჰელენი გაჩერდა.

- რამდენ ხანს აპირებ იქ დარჩენას?

- არ ვიცი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ შენ მენახე, მერე ისევ უკან დავბრუნდები.

- საზღვარზე ისევ ფარულად უნდა გადახვიდე?

- მაშინ მითხარი, სხვა გზა კიდევ თუ მაქვს, ჰელენ?! მან თავი ჩაღუნა და სიარული განაგრძო. ვიცოდი, რომ იმწუთას ძალიან ბედნიერი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ამას რატომღაც ვერ ვგრძნობდი. ადამიანს ბედნიერების განცდა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ეუფლება. აი, ახლა, დიახ, მხოლოდ ახლა, შემიძლია გითხრათ, რომ მაშინ ნამდვილად ბედნიერი ვიყავი.

* * *

- მარტენსს უნდა დავურეკო, - ვუთხარი ჰელენს.

- დარეკვა შენი ბინიდანაც შეგიძლია, - მომიგო მან.

ყოველ ჯერზე, როდესაც ჰელენი ჩემს ბინას ახსენებდა, თავს რატომღაც უხერხულად ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ ამას განზრახ ამბობდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რაში სჭირდებოდა ეს.

- მარტენსს შევპირდი, რომ ერთ საათში დავურეკავდი, - ვუთხარი მე. - უკვე დროა. თუ არ დავურეკავ, იფიქრებს, რომ რაღაც შემემთხვა და შეიძლება რაიმე დაუფიქრებელ ზომებს მიმართოს.

- მარტენსმა იცის, რომ შენთან შესახვედრად წამოვედი, - მითხრა ჰელენმა.

საათს დავხედე და დავინახე, რომ დათქმულ დროს თხუთმეტი წუთით გადავაცილე.

- აქვე, ლუდხანიდან დავრეკავ. მხოლოდ რამდენიმე წუთი მჭირდება.

- ღმერთო ჩემო, იოზეფ! სულ არ შეცვლილხარ, - გაბრაზდა ჰელენი. - ის კი არა, უფრო პედანტიც კი გამხდარხარ.

- ეს პედანტობა არ არის, ჰელენ. ეს გამოცდილებაა. არაერთხელ მინახავს რამდენი უბედურება დატრიალებულა იმის გამო, რომ ადამიანებს რაღაც წვრილმანები გამორჩენიათ მხედველობიდან. ისიც ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს ლოდინი, როდესაც მეორე ადამიანს საფრთხე ელის, - ვუთხარი და მკლავზე მოვკიდე ხელი. - ეს ჩემი პედანტურობა რომ არა, დიდი ხანია, ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, ჰელენ!

იგი მაგრად ჩამეჭიდა მკლავზე.

- ვიცი, მაგრამ, ნუთუ ვერ გრძნობ, რომ მეშინია? - წაიჩურჩულა მან. - ასე მგონია, ერთი წუთითაც კი მარტოს თუ დაგტოვებ, რაღაც დაგემართება.

უეცრად მეგონა, რომ მთელი ქვეყნიერების სითბო გადმომაფრქვიეს თავზე.

- არაფერი დამემართება და ამისიც პედანტურად უნდა გჯეროდეს, ჰელენ!

ჰელენმა შემომხედა და გაიღიმა. დავინახე, რომ სახეზე ფერი არ ედო.

- წადი, ოღონდ ლუდხანიდან ნუ დარეკავ. ქუჩის მეორე მხარეს ჯიხურია, რომელიც იქ შენი წასვლის შემდეგ ჩადგეს. იქიდან დარეკვა უფრო უსაფრთხოა.

ტელეფონის ჯიხურში შევედი. ჰელენი გარეთ იცდიდა. მარტენსთან დავრეკე, მაგრამ ტელეფონი დაკავებული იყო. ერთხანს დავიცადე და ისევ დავრეკე. მონეტა წკარუნით ჩამოვარდა უკან. ტელეფონი ისევ დაკავებული იყო. უეცრად მოუსვენრობამ ამიტანა. ვხედავდი, რომ ჰელენი ჯიხურის წინ ბოლთას სცემდა. კისერი წაეგრძელებინა და გამალებით ათვალიერებდა ქუჩას, თან ცდილობდა, ვინმეს ყურადღება არ მიეპყრო. ახლაღა შევნიშნე, რომ ძალიან ელეგანტური კოსტიუმი ეცვა. მერე კი გავიფიქრე, რომ ახლა ჩემი მცველიც და მფარველიც ეს ქალი იყო. სანამ ვრეკავდი, ჰელენს ტუჩებზე პომადა წაესვა, სინათლეზე თითქმის შავი რომ ჩანდა. მერე კი გამახსენდა, რომ მაკიაჟს და პომადას ახალ გერმანიაში დიდად არ წყალობდნენ. მესამედ რომ დავრეკე, ყურმილი მარტენსმა აიღო.

- ტელეფონზე ჩემი ცოლი თითქმის ნახევარი საათი ელაპარაკებოდა ვიღაცას კაბებზე, ომსა და ბავშვებზე. ვერ ვეტყოდი, გათიშე-მეთქი.

- ახლა სად არის?

- სამზარეულოშია. ველოდებოდი, ლაპარაკს როდის დაამთავრებდა. ძალიან გთხოვ, გამიგო!

- რა თქმა უნდა, მესმის. ყველაფერი კარგადაა! მადლობელი ვარ შენი, რუდოლფ. ყველაფერი დაივიწყე. ვითომ არაფერი მომხდარა.

- ახლა სად ხარ?

- ქუჩაში. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, რუდოლფ! სხვა აღარაფერი მჭირდება. ვინც მინდოდა, ვიპოვე. ახლა ერთად ვართ.

ჯიხურიდან ჰელენს ვადევნებდი თვალს და ის იყო, ყურმილი უნდა დამეკიდა, რომ მარტენსმა მკითხა:

- უკვე იცი, ბინაზე სად გაჩერდები?

- მგონი ვიცი. მაგაზე არ იდარდო. ეს საღამო კი ისე გაიხსენე, ვითომ დაგესიზმრა.

- რამეში კიდევ თუ დაგჭირდები, შემეხმიანე, - მითხრა არცთუ მტკიცე ხმით. - პირველად რომ დამირეკე, ისეთი გაოგნებული ვიყავი, რომ... ხომ გესმის ჩემი...?

- ცხადია, მესმის, რუდოლფ. რამე თუ დამჭირდება, გაგაგებინებ.

- კარგი იქნებოდა, ღამე ჩემთან დარჩენილიყავი... ცოტას დავილაპარაკებდით მაინც...

გამეღიმა.

- ერთმანეთს კიდევ შევხვდებით. ახლა კი უნდა დაგემშვიდობო.

- ჰო, რა თქმა უნდა, - მითხრა მან სწრაფად. - გულით და სულით გისურვებ ბედნიერებას, იოზეფ!

- მადლობელი ვარ, რუდოლფ!

ჩახუთული ჯიხურიდან გამოვედი. ქარმა კინაღამ ქუდი წამგლიჯა. ჰელენი სწრაფად მომიახლოვდა.

- ახლავე წავიდეთ შინ! შენი სიფრთხილე მეც გადამედო. ასე მგონია, სიბნელიდან ათასობით თვალი გვითვალთვალებს.

- ისევ ის მოახლე გყავს?

- რომელი? ლენა? არა, გავუშვი. ეგ ქალი ჩემმა ძმამ ჯაშუშად მომიჩინა, რომ გაეგო, მე და შენ მიმოწერა გვქონდა თუ არა.

- ახლა ვინ გყავს?

- ერთი ჩერჩეტი ვინმეა. ახლა რომ ვეტყვი, დროებით თავისუფალი ხარ-მეთქი, მხოლოდ გაუხარდება და ეჭვს ვერაფერზე აიღებს.

- ჩემი ამბავი რომ გაიგე, მაშინვე რატომ არ დაითხოვე?

ჰელენს საოცრად ლამაზი ღიმილი გაუკრთა სახეზე.

- იმიტომ, რომ ჯერ საკუთარი თვალით უნდა მენახე და დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად ჩამოხვედი.

- მოახლეს რომ გაუშვებ, მერე მოვალ, - ვუთხარი ჰელენს. - ერთად არ უნდა გვნახოს. არ შეიძლება, სადმე სხვაგან წავიდეთ?

- მაინც, სად?

მართლაცდა, სად უნდა წავსულიყავით?!

ჰელენს უცბად გაეცინა:

- იცი, ახლა ჩემი თავი ის მოზარდი გოგონა მგონია, თავისსავე ტოლ ბიჭს ჩუმად რომ ხვდება, რადგან მშობლები ფიქრობენ, რომ ისინი ჯერ ისევ ბავშვები არიან. აბა, მითხარი, სად წავიდეთ? პარკს რვა საათზე კეტავენ. სკვერში დავსხდეთ თუ საკონდიტროში? ჩვენი ყოფნა ყველგან სახიფათოა.

ჰელენი მართალი იყო. ხანდახან რაღაც გარემოებები მეც კი გამომრჩებოდა ხოლმე მხედველობიდან, რადგან ყველაფრის გათვალისწინება ძალიან ძნელია.

- ჰო, ახლა მართლაც ვგავართ მოზარდ გოგო-ბიჭს. ცხოვრებამ თითქოს ახალგაზრდობაში დაგვაბრუნა, - ვუთხარი მე.

ჰელენს შევხედე. ოცდაცხრა წელი შეუსრულდა, მაგრამ ჩემი წასვლის შემდეგ საერთოდ არ შეცვლილიყო. როგორც სელაპს ზღვის წყალი, ჩვენი განშორების ის ხუთი წელი ჰელენსაც საერთოდ არ მიჰკარებოდა.

- ჩემი ჩამოსვლაც მოზარდი ბიჭის საქციელს ჰგავს, - ვუთხარი მერე. - გონებით ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აღარ მადარდებდა, რა მოჰყვებოდა ამას. იქნებ, შენ უკვე დიდი ხანია, სხვასთან ერთად ცხოვრობდი? მე ხომ ესეც არ ვიცოდი?!

ჰელენმა არ მიპასუხა. ყავისფერი თმა ლამპიონის შუქზე საოცრად უბზინავდა.

- კარგი, ახლა წავალ და მოახლეს გავუშვებ, - თქვა ბოლოს. - თუმცა, ქუჩაში შენი მარტო დატოვება ძალიან არ მინდა. მეშინია, როგორც უეცრად გამოჩნდი, ასევე უეცრად არ გაუჩინარდე. ახლა სად წახვალ?

- იქ, სადაც მიპოვე. ტაძარში დავბრუნდები. ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია. ამიტომაც შევისწავლე კარგად ფრანგული, შვეიცარიული და იტალიური ეკლესიები და მუზეუმები, ჰელენ.

- ნახევარ საათში დაბრუნდი, - წამჩურჩულა მან. - ჩვენი ბინის ფანჯრები ხომ გახსოვს?

- ჰო, მახსოვს.

- კუთხის ფანჯარა ღია თუ იქნება, ესე იგი, ყველაფერი წესრიგშია და შეგიძლია ამოხვიდე. დაკეტილი თუ დაგხვდა, მაშინ დაიცადე, სანამ გავაღებ.

ის დრო გამახსენდა, მე და მარტენსი „ინდიელობანას“ თამაშით რომ ვიყავით გატაცებული. განათებული ფანჯარა მაშინაც გამაფრთხილებელი ნიშანი იყო, როდესაც იქ, ქვემოთ „ტყავის წინდა“ ან ვინეტუ გველოდებოდა. ახლა თითქოს იგივე მეორდებოდა. თუმცა, განა შეიძლება, თუნდაც ოდნავ მსგავსი სახით, იგივე განმეორდეს?!

- კარგი, წავედი, - ვთქვი და წასვლა დავაპირე.

- მოიცადე, ახლა სად წახვალ?

- ღვთისმშობლის ეკლესიასთან გავივლი და ვნახავ, თუ ღიაა. როგორც მახსოვს, გოთური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუში უნდა იყოს. ამ ბოლო წლებში ვისწავლე ასეთი რამეების დაფასება.

- კარგი რა! რა დროს ეგ არის? გული მისკდება, ახლა მარტო რომ უნდა დაგტოვო.

- ჰელენ! უკვე გავიწაფე და ვიცი, როგორ უნდა გავუფრთხილდე საკუთარ თავს, - მივუგე მე.

თავი გაიქნია და სახეზე შევატყვე, რომ სიმამაცის ნიშანწყალიც არ შერჩენოდა.

- არაფერშიც არ გაწაფულხარ, - მითხრა მერე. - თუ აღარ მოხვალ, მაშინ რა ვქნა?

- ვერაფერს იზამ. შენი ტელეფონის ნომერი ხომ არ შეცვლილა?

- არა, იგივეა.

მხარზე შევეხე.

- ჰელენ, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

თავი დამიქნია.

- ღვთისმშობლის ეკლესიამდე მიგაცილებ. მინდა ვიცოდე, რომ იქამდე მაინც მშვიდობით მიხვედი.

უხმოდ მივდიოდით. ეკლესია შორს არ იყო. მერე ჰელენმა იქ ისე დამტოვა, რომ სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის. დავინახე, რომ სწრაფად გადაკვეთა ბაზრის მოედანი და ისე წავიდა, უკან აღარ მოუხედავს.

* * *

ეკლესიის კარიბჭესთან, სიბნელეში გავჩერდი. მარჯვნივ მუნიციპალიტეტის შენობა იდგა. მთვარის შუქს მხოლოდ მის წინ აღმართული ქვის ქანდაკებები და კიბის საფეხურებზე ამოტვიფრული თარიღები გაენათებინა. 1648 წელი ოცდაათწლიანი ომის დასასრულს, 1933 წელი კი - ათასწლოვანი რაიხის დასაწყისს გვამცნობდა. გუნებაში ვიფიქრე, ნეტავ იმ დღეს თუ მოვესწრები, ამ კიბეზე რაიხის დამხობის თარიღს რომ ამოტვიფრავენ-მეთქი. თუმცა ვიცოდი, რომ ამის დიდი იმედი არ შეიძლებოდა, მქონოდა.

ეკლესიაში აღარ შევსულვარ. უეცრად საშინლად გავბრაზდი იმის გამო, რომ ისევ უნდა დავმალულიყავი. ყურადღებისა და სიფხიზლის მოდუნებას არ ვაპირებდი, მაგრამ ჰელენთან შეხვედრის შემდეგ დევნილი ნადირივით ცხოვრება აღარ მინდოდა.

ვინმეს ყურადღება რომ არ მიმეპყრო, გზა გავაგრძელე. ქალაქი, რომელიც აქამდე სახიფათო, ნაცნობი და თან ასე გაუცხოებული მეჩვენებოდა, უეცრად გაცოცხლდა და ეს იმით ვიგრძენი, რომ თავადაც, თითქოს, სული ჩამედგა. მერე კი გავიფიქრე, რომ ჩემი ბოლო წლების ანონიმურ ცხოვრებას, რაც მხოლოდ გადარჩენის მცდელობას და ყოველდღიურ, უაზრო არსებობას ნიშნავდა, ამაოდ არ ჩაუვლია. ამ ცხოვრებამ კაცად მაქცია და უეცრად ყვავილივით ნაზ და იდუმალ გრძნობას მაზიარა, რომელიც ადრე არასოდეს განმეცადა. ამ გრძნობას საერთო არაფერი ჰქონდა რომანტიკასთან, თუმცა დიდ, მოციმციმე, ტროპიკულ ყვავილს ჰგავდა და უჩვეულოდ ამაღელვებელი იყო. ეს ყვავილი ახლა რაღაც ჯადოსნურ ძალას ჩვეულებრივ

ბუჩქად გადაექცია, საიდანაც სულ უბრალო, პატარა კვირტებს უნდა ამოეხეთქა. მდინარესთან მივედი, ხიდზე გავჩერდი და წყალს გავხედე. ხელმარცხნივ შუასაუკუნოვანი სათვალთვალო კოშკი იდგა. იქ ახლა, ქვევით, სამრეცხაო იყო, სადაც ახალგაზრდა ქალები მუშაობდნენ. მისი ფანჯრებიდან გამოსული სინათლე მდინარეზე ფართო ზოლად ირეკლებოდა. მაღალი ცის ფონზე, ცაცხვის ხეებით შემორაგული შავი დამბა მოჩანდა, ხელმარჯვნივ ბაღებს კი ტაძრის სილუეტი დაჰყურებდა თავს.

მომეჩვენა, თითქოს სუნთქვა წყლის დგაფუნს ავაყოლე. სულ ერთი წამით, რასაც დროსაც კი ვერ დაარქმევდი, ისეთი გრძნობაც დამეუფლა, თითქოს ხიდის ნაწილი ვიყავი და სუნთქვასავით, წყალიც ჩემი სხეულის გავლით მიედინებოდა. ამას იმდენად ცხადად შევიგრძნობდი, რომ არც კი მიკვირდა. მერე ფიქრითაც აღარ ვფიქრობდი, რადგან ჩემთვის ესეც ისევე ქვეცნობიერად არსებობდა, როგორც სუნთქვა და წყალი.

ჩემგან ხელმარცხნივ, ცაცხვების მრუმე ხეივანი უეცრად მკრთალი შუქით განათდა. თვალი მივადევნე და ყურში ისევ ჩამესმა მრეცხავი ქალების ხმა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ეს ხმა აქამდე არ მესმოდა. მერე ცაცხვის სურნელიც შევიგრძენი, რომელიც წყლის თავზე გადაქროლილმა ნიავმა თუ წამოიღო აქეთ.

მოხეტიალე სინათლე მალევე ჩაქრა და ჩემს ზურგს უკან ფანჯრებიც ჩაბნელდა. მდინარეში წყალი წამით კუპრივით გაშავდა, მაგრამ ზედ მაშინვე მთვარის სხივები აციმციმდა, აქამდე სამრეცხაოდან წამოსული კაშკაშა სინათლე რომ ახშობდა. და რაკი იმ მკვეთრ, ყვითელ შუქს თავი დააღწიეს, მთვარის სხივები ახლა უფრო ნაზად და მრავალფერად აკიაფდა. წლების წინ ჩემი ცხოვრების სინათლეც ხომ ასევე ჩაქრა და გამიკვირდებოდა,

თუკი ის ნაზი სხივები, ადრე არასოდეს რომ არ მენახა, ისევე აკიაფდებოდა ჩემს ცხოვრებაში, როგორც ახლა მთვარის შუქი კიაფობდა მდინარეში.

ხიდიდან წამოვედი და ბნელ ხეივანში დავიწყე ბორიალი, რადგან ის ნახევარი საათი ახლა როგორმე უნდა გამეტარებინა. კუნაპეტ ღამეში სულ უფრო მძაფრად შევიგრძნობდი ცაცხვის სურნელს. მთვარის სხივები ვერცხლისფრად მოჰფენოდა სახლების სახურავებს და ციხე-კოშკებს. მეგონა, თითქოს ქალაქი ცდილობდა, ეჩვენებინა ჩემთვის, რომ თავს ვიტყუებდი, საფრთხე არსაიდან მელოდა, აღმა-დაღმა გზებით ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, შემეძლო შინ მშვიდად დავბრუნებულიყავი და საკუთარი თავი მეპოვა.

ამ აზრებისგან თავის დაცვა აღარ მჭირდებოდა. ჩემში თავისდა უნებურად გაიღვიძა რაღაც გრძნობამ, რომელიც ყოველნაირად მიცავდა. პარიზში, რომსა და სხვა ქალაქებშიც ხშირად სწორედ იმის გამო ვიჯექი ციხეში, რომ მშვენიერების ხილვისას სიფრთხილეს ვადუნებდი და მავიწყდებოდა, რომ ეს ხილვა, მშვენიერების სიყვარულითა და მისი შეგრძნებით გამოწვეული, მაცდური ილუზია იყო. თუმცა პოლიციელებს ეს არ ავიწყდებოდათ და მთვარის შუქისა და ცაცხვის სურნელის წყალობით, მსტოვრები ახლაც არ გადაქცეულიყვნენ წმინდანებად.

ჰიტლერპლაცთან მივედი. ვფრთხილობდი და გრძნობები ღამურას ფრთებივით გამახვილებული მქონდა. ჰელენის სახლი იმ ქუჩის კუთხეში იყო, მოედანზე რომ გამოდიოდა. ქუჩისთვის სახელი ჯერ არ გადაერქმიათ.

ფანჯარა ღია იყო. რატომღაც ჰერას და ლეანდრეს[12] მითი, მერე კი მეფის ვაჟის ზღაპარი გამახსენდა, მონაზონმა გზამკვლევი შუქურა რომ ჩააქრო და უფლისწული ზღვაში დაიხრჩო.

„უფლისწული არ ვიყავი, გერმანელებს კი ბევრი მშვენიერი ზღაპარი ჰქონდათ, მაგრამ ამის მიუხედავად ან იქნებ, სწორედ ამიტომ, მსოფლიოში ყველაზე შემზარავი საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს“, - გავიფიქრე ჩემთვის და გადავკვეთე ქუჩა, რომელიც არც ჰელესპონტს[13] და არც ჩრდილოეთის ზღვას არ ჰგავდა.

შენობის ჰოლში ვიღაც ქალს შევეჩეხე, მაგრამ უკან ვეღარ გავბრუნდებოდი და კიბეს თავდაჯერებული კაცის ნაბიჯით ავუყევი. ამ ხანდაზმულ ქალს ადრე არ ვიცნობდი, მაგრამ გულმა ბაგაბუგი დამიწყო, - მითხრა შვარცმა და გაიღიმა. - ეს სწორედ კლიშეა, რომლის მნიშვნელობასაც მხოლოდ მაშინ აცნობიერებ, როცა საკუთარ თავზე გამოცდი. უკან აღარ მიმიხედავს. მერე სადარბაზოს კარი გაჯახუნდა და კიბე სწრაფად ავირბინე.

ბინის კარი ოდნავ შეღებული იყო და რომ შევედი, ჰელენი უკვე კართან იდგა.

- ვინმემ ხომ არ დაგინახა? - მკითხა მან.

- ვიღაც ხანდაზმულ ქალს შევეფეთე.

- უქუდოდ იყო?

---

[12] ჰერას და მისი სატრფოს, ლეანდრეს შესახებ ბერძნული მითის თანახმად, ლეანდრე პელესპონტის ზღვაში დაიხრჩო, რადგან შუქურა, რომელიც მას ჰერამ დაუდგა, ქარიშხლის დროს ჩაქრა.

[13] ჰელესპონტი - დარდანელის სრუტის ძველი სახელწოდება.

- ჰო, ქუდი არ ეხურა.

- ჩემი მოახლე იქნებოდა, ის ზევით, სხვენზე ცხოვრობს. ვუთხარი, ორშაბათს შუადღემდე თავისუფალი ხარ-მეთქი. ეტყობა, თავისთან ავიდა და გამოიპრანჭა. მოახლეებს ჰგონიათ, რომ ქუჩაში გამვლელებს მეტი საქმე არა აქვთ და მხოლოდ მათ ჩაცმულობას აკრიტიკებენ.

- ეშმაკსაც წაუღია ეგ მოახლე! - ვუთხარი მე. - ვინც იყო, იყო. მთავარია, რომ ვერ მიცნო. ვინმე თუ მცნობს, მაშინვე ვხვდები.

ჰელენმა საწვიმარი და ქუდი გამომართვა და იქვე, შემოსასვლელში აპირებდა ჩამოკიდებას.

- არა, აქ არა. - ვუთხარი მე. - კარადაში შეკიდე. ვინმე თუ მოვა, აქ მაშინვე დაინახავს.

- მოსვლით, აქ არავინ მოვა, - მითხრა ჰელენმა და ოთახში შემიძღვა.

შევტრიალდი, კარი გასაღებით ჩავკეტე და უკან გავყევი.

* * *

ემიგრაციაში ყოფნის დროს ხშირად მახსენდებოდა ჩემი ბინა. მერე მის დავიწყებას შევეცადე. ახლა, ისევ რომ დავბრუნდი, აქაურობა არავითარ გრძნობებს აღარ იწვევდა ჩემში და იმ სურათს ჰგავდა, ერთ დროს მე რომ მეკუთვნოდა, ახლა კი მხოლოდ ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდს მახსენებდა. კარში გავჩერდი და ოთახს თვალი შევავლე. აქ თითქმის არაფერი შეცვლილიყო, გარდა იმისა, რომ ტახტსა და სავარძლებზე ახალი ნაჭერი გადაეკრათ.

- რატომღაც მახსოვს, რომ ეს სავარძლები ადრე მწვანე იყო, - ვუთხარი ჰელენს.

- გეშლება, მწვანე კი არა, ლურჯი იყო.

შვარცი ჩემკენ შემობრუნდა.

- იცით, ნივთებს თავიანთი ცხოვრება აქვთ, და საშინელებაა, როცა მათ საკუთარ ცხოვრებას ადარებ.

- კი მაგრამ, რა საჭიროა ასეთი შედარება? - ვკითხე მე.

- განა თქვენ ასე არ იქცევით?

- ჰო, მაგრამ მე შედარებას სხვადასხვა დონეზე არ ვახდენ და საკუთარი თავით შემოვიფარგლები ხოლმე. აი, მაგალითად, როდესაც პორტთან მშიერი ვდგავარ და საკუთარ თავს ჩემსავე წარმოსახულ „მეს“ ვადარებ, რომელიც კიბოთი იტანჯება, მაშინვე ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ, რადგან კიბო არ მჭირს და მხოლოდ მშიერი ვარ.

-კი მაგრამ, მაინცდამაინც კიბო რატომ ახსენეთ? - მკითხა შვარცმა და მომაჩერდა.

- ცხადია, შემეძლო მის ნაცვლად სიფილისი ან ტუბერკულოზი მეხსენებინა, მაგრამ ამ დროს კიბო მადგება ენაზე, მის სიახლოვეს უფრო შევიგრძნობ.

- რას ამბობთ? - შვარცი ისევ შემომაჩერდა. - კიბოს სიახლოვეზე როგორ ლაპარაკობთ? ის ხომ ყველაზე შორეული რამ არის ჩვენთვის?!

- კეთილი, დაე ასე იყოს! - ვუთხარი მორჩილად. - ეს მხოლოდ მაგალითად მოვიყვანე.

- კიბო იმდენად შორეულია, რომ მას ვერაფერს გაუგებ!

- ნებისმიერი მომაკვდინებელი სენი ასეთია, ბატონო შვარც! და, ეს ყოველთვის ასეა.

მან თავი დააქნია და დადუმდა.

- ისევ გშიათ?

- არა, რატომ მეკითხებით?

- წეღან, მგონი, შიმშილი ახსენეთ.

- არა, ესეც მხოლოდ მაგალითად მოვიყვანე. თქვენთან ყოფნის დროს, დღეს უკვე ორჯერ ვივახშმე!

შვარცმა თავი ასწია.

- რა კარგად და იმედიანად ჟღერს სიტყვა „ვახშმობა“, არა? მაგრამ როგორი მიუწვდომელი ხდება მაშინ, როცა ყველაფერი უკვე წარსულს ჰბარდება.

ჩუმად ვიჯექი. ცოტა ხნის შემდეგ შვარცმა მშვიდად მითხრა:

- დიახ, სავარძლებზე ყვითელი ნაჭერი გადაეკრათ! ეს იყო ყველაფერი, რაც აქ, ამ ხუთ წელიწადში შეცვლილიყო. მე კი, ამ დროს, თითქოს ბედის დაცინვით, ცხოვრება წაღმა-უკუღმა მატრიალებდა. ალბათ იფიქრებთ, ეს კაცი რა მიკიბ-მოკიბულად ლაპარაკობსო, მაგრამ სულ ეს იყო, რის თქმაც მინდოდა.

- დიახ, ასეა. ადამიანი კვდება, მისი სახლი, ლოგინი და სხვა ნივთები კი რჩება. მერე მათი განადგურებაც სურთ ხოლმე.

- თუ ადამიანი ამ ნივთების მიმართ გულგრილია, მაშინ ასეთი სურვილიც არა აქვს.

- ეს ნივთები არ უნდა გაანადგურო, - ვთქვი მე. - თავად ადამიანი არც ისეთი მნიშვნელოვანია.

- რაო, რა თქვით? - მკითხა შვარცმა და დაბნეული სახით მომაჩერდა, - ადამიანი მნიშვნელოვანი არ არისო? რა თქმა უნდა, ეს ასეა! მაგრამ მაშინ მითხარით, რა არის ამქვეყნად ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი.

- არაფერი, - მივუგე მე და ვიცოდი, რომ ეს მართალიც იყო და არც იყო მართალი. - ადამიანის სიცოცხლეს ჩვენვე ვანიჭებთ მნიშვნელობას.

შვარცმა სწრაფად გადაკრა შავი ღვინო.

- მერედა, რატომ ფიქრობთ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს? - მკითხა მან ხმამაღლა. - იქნებ მითხრათ, რატომ არ უნდა მიგვაჩნდეს ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვნად?

- ამას ვერ გეტყვით. ესეც ალბათ მხოლოდ ერთ-ერთი სულელური გამონათქვამია. პირადად მე, ადამიანის სიცოცხლე ძალიან მნიშვნელოვანი რამ მგონია.

საათს დავხედე. სამი დაწყებულიყო. ორკესტრი საცეკვაო მუსიკას უკრავდა. ტანგოს მელოდიაში საყვირი მოკლე, მოგუდულ ხმებს გამოსცემდა და ზღვაში გასული გემის შორეულ საყვირს მაგონებდა. „გათენებამდე რამდენიმე საათიღა დარჩა. მერე კი შემიძლია წავიდე“. - გავიფიქრე გულში. ჯიბეში ხელით მოვსინჯე გემის ბილეთები, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად მქონდა. როგორც ჩანს, უჩვეულო მუსიკამ, ღვინომ, ფარ-

დებჩამოფარებულმა დარბაზმა და შვარცის ხმამ ისე გამაბრუა, რომ ჩემ გარშემო ყველაფერი არარეალურად მეჩვენებოდა.

- სასტუმრო ოთახის კართან გავჩერდი, - განაგრძო მოყოლა შვარცმა. - ჰელენმა შემომხედა და მკითხა, ნუთუ საკუთარი ბინა ასე გეუცხოებაო? თავი გავაქნიე და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადავდგი. საშინლად შემცბარი ვიყავი. მეგონა, სადაცაა, ეს ნივთები ხელს ჩამავლებენ-მეთქი, მე კი ვგრძნობდი, რომ მათთან აღარაფერი მაკავშირებდა. მერე შიშით გავიფიქრე, ვაითუ, ჰელენთანაც უკვე აღარაფერი მაკავშირებს-მეთქი?!

- ყველაფერი ისეა, როგორც იყო, ჰელენ! არაფერი შეცვლილა! - ვუთხარი აღელვებული და სასოწარკვეთილი ხმით.

- არა, აღარაფერია ისე, როგორც იყო. მითხარი, რატომ დაბრუნდი? იმისთვის, რომ ყველაფერი ძველებურად იყოს? - მკითხა ჰელენმა.

- არა, ვიცი, რომ ის ყველაფერი აღარ არსებობს, - მივუგე მე. - მაგრამ, განა ჩვენ აქ არ ვცხოვრობდით? მაშინ მითხარი, რა დარჩა იმ ცხოვრებიდან, ჰელენ?

- მის კვალს აქ ნუღარ ეძებ. ეს კვალი არც იმ ძველ ტანსაცმელს შემორჩა, რომელიც უკვე გადავყარეთ. ამას გულისხმობ?

- არა. ეს ჩემ გამო არ გკითხე. რაკი მუდმივად აქ იყავი, ამიტომ შენ გამო გეკითხები ამას.

ჰელენმა უცნაურად შემომხედა.

- ადრე რატომ არასოდეს გიკითხავს ეს ჩემთვის? - მკითხა მან.

- ადრე? ადრე როგორ უნდა მეკითხა, როცა ჩამოსვლა არ შემეძლო? - ვკითხე გაოგნებულმა.

- არა, იმას ვგულისხმობ, რომ წასვლამდე არ გიკითხავს!

არ მესმოდა, რას მეუბნებოდა.

- წასვლამდე რა უნდა მეკითხა, ჰელენ?

იგი ერთხანს დუმდა.

- რატომ არ მკითხე, შენთან ერთად ხომ არ წამოვიდოდი?! - მითხრა მერე.

- კი მაგრამ, ამას როგორ გკითხავდი, ჰელენ! განა უარს იტყოდი შენს ოჯახზე, ყველაფერზე, რაც ასე გიყვარდა, და მე წამომყვებოდი?

- ჩემი ოჯახი მძულს!

მთლად დავიბენი.

- შენ არ იცი, რას ნიშნავს უცხო ქვეყანაში ცხოვრება, - წავიდუდუნე ბოლოს.

- იმ დროს ეს შენც არ იცოდი.

მართალს ამბობდა.

- ჰო, მაგრამ, აქედან შენი წაყვანა არ მინდოდა, - ვუთხარი ძალაგამოცლილმა.

- აქ ყველაფერი მძულს, გესმის? ყველაფერი! მითხარი, რატომ დაბრუნდი? - მკითხა მერე.

- ადრე ხომ არ განიცდიდი ამ სიძულვილს?!

- გეკითხები, რატომ დაბრუნდი-მეთქი? - გამიმეორა მან.

ჰელენი ოთახის მეორე მხარეს იდგა, მაგრამ ახლა ერთმანეთს ამ ყვითელ სავარძლებზე ბევრად დიდი მანძილი და იმ ხუთ წელიწადზე ბევრად დიდი დრო გვაშორებდა. უეცრად თითქოს გამოვფხიზლდი, საშინლად დავიბოღმე და აშკარა იმედგაცრუება ვიგრძენი. მინდოდა, მისთვის სიძნელეები ამეცილებინა თავიდან, ის კი, ამ ჩემმა გულწრფელმა სურვილმა, თურმე მძიმედ შეურაცხყო, რაკი გავიქეცი და დავტოვე.

- რატომ დაბრუნდი, იოზეფ? - გამიმეორა ჰელენმა.

ძალიან მინდოდა მეთქვა, რომ მისი გულისთვის დავბრუნდი, მაგრამ ამის თქმა გამიჭირდა. ეს არც ისე ადვილი იყო. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ უკან მიმაქანებდა სასოწარკვეთა, რომელმაც მაგრძნობინა, რომ თმენის ყოველგვარი მარაგი ამომეწურა, თავის გადარჩენის სურვილი კი ისეთი ძლიერი აღარ იყო, რომ გამყინვარებულ სიმარტოვეში არსებობა გამეგრძელებინა. ახალი ცხოვრების დაწყების უნარი და სურვილი არასოდეს მქონია. ჩემს წინანდელ ცხოვრებასთან საქმე ჯერაც არ მომეთავებინა, რადგან მისი ვერც დავიწყება შევძელი და ვერც დაძლევა. რაკი სულიერი განგრენა დამეწყო, არჩევანი უნდა გამეკეთებინა: მის სიმყრალეში ამომძრომოდა სული თუ უკან დავბრუნებულიყავი და განკურნება მეცადა.

ამ ყველაფერზე ასე ღრმად არასოდეს დავფიქრებულვარ და ამას ახლაც ბუნდოვნად ვაცნობიერებდი, მაგრამ, რასაც მივხვდი, ისიც ხსნა იყო ჩემთვის. გულზე მომეშვა და თავს უხერხულად აღარ ვგრძნობდი. სამაგიეროდ, უკვე ვიცოდი, რატომ ვიყავი აქ. დიახ, ვიცოდი, რომ ხუთწლიანი ხიზნობის შემდეგ აქ მხოლოდ გამძაფრებული გრძნობები, სიცოცხლისადმი მზაობა და ლტოლვილი ბრალდებულისთვის ჩვეული სიფრთხილე და გამოცდილება ჩამოვიტანე. ჩემმა მეორე ცხოვრებამ აშკარად მარცხი განიცადა. საზღვრებთან გათენებული და ის საშინლად მოსაწყენი ყოფა, როცა მხოლოდ იმისთვის იბრძვი, რომ შიმშილით სული არ ამოგხდეს და რამდენიმე საათით ახერხებ წაძინებას, ყოველთვის თხუნელას მიწისქვეშა ცხოვრებას მაგონებდა. მაგრამ ახლა უკვე ჩემი კარის ზღურბლზე ვიდექი და ეს ყველაფერი უკვალოდ გამქრალიყო. მართალია, გავკოტრდი, მაგრამ არავის ვალი არ მქონია და თავისუფალი ადამიანი ვიყავი. ამ წლებში ჩემმა „მემ“ თვითმკვლელობა მაშინ ჩაიდინა, საზ-

ღვარი რომ გადაკვეთა. მისთვის უკან დაბრუნების გზა აღარ არსებობდა, ის მკვდარი იყო. სამაგიეროდ, არსებობდა ის მეორე, ახლანდელი „მე“, ნაჩუქარი დროის წყალობით რომ ცხოვრობდა. ახლა უკვე არავითარ პასუხისმგებლობას აღარ ვგრძნობდი და თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მომეხსნა.

შვარცი ჩემკენ შემობრუნდა.

- გესმით, რისი თქმა მინდა? მგონი, ისევ და ისევ ურთიერთსაპირისპირო აზრებს გამოვთქვამ, ხომ?

- რატომღაც მგონია, რომ მესმის თქვენი, - მივუგე მე. - თვითმკვლელობის მცდელობა ის სიკეთეა, რომელსაც ადამიანი იშვიათად აცნობიერებს. იგი თავისუფალი ნების ილუზიას უქმნის. ამგვარ თვითმკვლელობებს ალბათ ბევრჯერ ჩავდივართ, მაგრამ ამის შესახებ უბრალოდ, არაფერი ვიცით.

- მეც სწორედ ამის თქმა მინდა, - გამოცოცხლდა შვარცი. - ნეტავ, შეგვწევდეს იმის გაცნობიერების უნარი, რომ ამგვარ თვითმკვლელობებს ჩავდივართ. მაშინ მკვდრეთით აღდგომასაც შევძლებდით, მრავალი ცხოვრებით ვიცხოვრებდით, გამოცდილების ჩირქოვან წყლულებს ერთი კრიზისიდან მეორეში არ გადავათრევდით და საბოლოოდ არ დავიღუპებოდით.

* * *

- რა თქმა უნდა, ჰელენს ამას ვერ ავუხსნიდი, და, არც იყო საჭირო, - განაგრძო შვარცმა. - მე კი შვებით ამოვისუნთქე, რადგან უეცრად ვიგრძენი, რომ ამის ახსნის სურვილიც კი არ მქონდა. იმ წუთში უკვე ვიცოდი, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტება ახლა, პირიქით, მთლად არევ-დარევდა ყველაფერს. ჰელენს ალბათ უნდოდა, მეთქვა, რომ მისი გულისთვის დავბრუნდი, მაგრამ გულთამხილაობის ახლად შეძენილი უნარი მკარნახობდა, რომ ეს დამღუპველი იქნებოდა ჩემთვის. მოხდებოდა ის, რომ ჩვენს ცხოვრებაში წარსული შემოიჭრებოდა, რომელიც დანაშაულის, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა და შეურაცხყოფილი სიყვარულის გამო, მთელ რიგ არგუმენტებს წამოგვიყენებდა, და ამიტომ, საერთოდ ვერაფერს გავარკვევდით. თუ სულიერი თვითმკვლელობის ლამის უდარდელ იდეას ახლა რაღაც აზრი ჰქონდა, მაშინ იგი ყოვლისმომცველიც უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ ჩემი გადასახლების წლებს, არამედ ჩვენი ცხოვრების წინა წლებსაც უნდა შეხებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა, უფრო ძველი განგრენის საფრთხე დაუყოვნებლივ იჩენდა თავს. ახლა აქ რომ იდგა, ის ჰელენი ჩემი მტერი იყო. მან იცოდა ჩემი სუსტი წერტილები და მზად იყო, სიყვარულის სახელით, ჩემთვის დარტყმა მოეყენებინა. მე კი ამ დროს სრულიად უმწეო ვიყავი და თავის მართლების არავითარი შანსი აღარ მქონდა. სიკვდილის ადრინდელი, მხსნელი განცდა, ახლა ჩემთვის უკვე სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას კი არა, მტანჯველ, მორალურ სიკვდილს და საბოლოო განადგუ-

რებას ნიშნავდა. ამიტომ ქალს არაფერი არ უნდა აუხსნა და უნდა იმოქმედო.

ჰელენს მივუახლოვდი, მხარზე შევეხე და ვიგრძენი, რომ მთელი ტანი უცახცახებდა.

- რატომ ჩამოხვედი? - მკითხა ისევ.

- მართლა, ჰელენ, სულ დამავიწყდა, რომ ძალიან მშია. მთელი დღეა, პირში ლუკმა არ ჩამიდვია, - ვუთხარი მე.

იქვე, პატარა იტალიურ მაგიდაზე, ვერცხლისფერ ჩარჩოში, უცნობი მამაკაცის ფოტოს მოვკარი თვალი.

- აქ ეს კიდევ გვჭირდება? - ვკითხე მშვიდად.

- არა, - მითხრა შემცბარმა, ფოტო აიღო და მაგიდის უჯრაში ჩადო.

შვარცმა შემომხედა და გაიღიმა.

- დიახ, ჰელენს ფოტოს დახევა ან გადაგდება არ უფიქრია. ადგა და მაგიდის უჯრაში ჩადო. როცა მოისურვებდა, შეეძლო, ისევ ამოეღო და ძველ ადგილზე დაედო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მის ამ საქციელში Raison d'etre [14]დავინახე და აღფრთოვანებული დავრჩი. ხუთი წლის წინ ამის გამო ერთ ამბავს ავუტეხდი, მაგრამ მისმა საქციელმა ამ სიტუაციაში გარდატეხა მოახდინა და მაღალფარდოვანი სიტყვებისაგან გვიხსნა. პოლიტიკაში ასეთი სიტყვების ხმარებას ვეგუებით, გრძნობების გამოვლინებისას კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გავურბივართ მათ, თუმცა, აჯობებდა, პირიქით ყოფილიყო. ჰელენის ეს, ასე ვთქვათ, „ფრანგული ჟესტი", სიყვარულის ნაკლებობას არ ნიშნავდა და მხოლოდ ქალურ სიფრთხილეზე მეტყველებდა. რაკი ერთხელ

---

[14] გონივრული საფუძველი (ფრანგ.)

უკვე გავუცრუე იმედი, ახლა, ასე უცებ, რატომ უნდა გასჩენოდა ჩემდამი ნდობა?! ჩემი მხრივ, მეც ტყუილად ხომ არ ვიცხოვრე საფრანგეთში?! ამიტომ მისთვის აღარაფერი მიკითხავს. თუმცა, რა უნდა მეკითხა ან ვინ მომცა ამის უფლება? გამეცინა. ჰელენი შეკრთა, მაგრამ მერე სახე ნელ-ნელა გაუნათდა და თვითონაც გაეცინა.

- ჰო, მართლა, ჩემთან განქორწინება გააფორმე? - ვკითხე მერე.

მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

- არ გამიფორმებია, მაგრამ შენ გამო არა. ასე ჩემი ოჯახის ჯიბრზე მოვიქეცი.

5

- იმ ღამეს ცუდად მეძინა, - თქვა შვარცმა. - საშინლად დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ ხშირად მეღვიძებოდა. პატარა ოთახში ღამის სიბნელე გარედან იჭრებოდა. მცირე გაფაჩუნებაზეც კი მზად ვიყავი გასაქცევად.

ჰელენს მხოლოდ ერთხელ გაეღვიძა.

- არ გეძინება? - მკითხა სიბნელეში.

- არა, მაგის იმედი არც მქონია.

ჰელენმა სინათლე აანთო. ფანჯარაში ჩრდილები გაქრა.

- კაცმა არ უნდა იწუწუნოს, მაგრამ ამ ჩემს სიზმრებს ვერაფერი მოვუხერხე. ღვინო კიდევ გვაქვს? - ვკითხე მერე.

- რამდენიც გინდა, იმდენია. ამ მხრივ ჩემს ოჯახთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. ღვინის სმა როდიდან დაიწყე?

- საფრანგეთში უმთავრესად ღვინოს ვსვამდი.

- კარგი, მაგრამ, ღვინოებში ოდნავ მაინც თუ ერკვევი?

- ვერა. ძირითადად იაფფასიან, წითელ ღვინოს ვსვამ.

ჰელენი ადგა, სამზარეულოში გავიდა და ცოტა ხანში დაბრუნდა. ხელში ორი ბოთლი და კორპსაძრობი ეჭირა.

- განდიდების მანიით შეპყრობილმა ჩვენმა ფიურერმა ღვინის დაყენების ახალი წესები შემოიღო. - თქვა ჰელენმა. - ადრე ნატურალურ ღვინოში შაქარს არ ურევდნენ, ახლა კი, შეუძლიათ, დუღილის პროცესი ბოლომდე არ მიიყვანონ.

ჰელენი მიხვდა, რომ მისი ნათქვამი ვერ გავიგე.

- ყურძნის ცუდი მოსავლის დროს, მჟავე ღვინოებს ასე ატკბობენ, - ამიხსნა მერე და გაიცინა. - რა თქმა უნდა, ეს ამ ქედმაღა-

ლი რასის მონაჩმახია, რათა ამ გზით ღვინის ექსპორტი გაზარ-
დოს და ქვეყანაში მეტი ვალუტა მოიზიდოს.

ჰელენმა „მოზელის“ ბოთლი მომაწოდა და ორი სიფრიფანა ჭიქა მოიტანა.

- ასე ძალიან სად გაირუჯე? - ვკითხე მე.

- მარტში სათხილამუროდ ვიყავი მთებში.

- კი მაგრამ, თხილამურებზე შიშველი იდექი?

- არა, შიშველი მზეზე ვიწექი ხოლმე.

- თხილამურებით სრიალი როგორ ისწავლე?

- ერთმა კაცმა მასწავლა, - მითხრა და გამომწვევად შემომხე-
და.

- ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია!

ჭიქა შევავსე და ჰელენს მივაწოდე. ამ ღვინოს ბურგუნდიულ ღვინოებზე მწკლარტე გემო ჰქონდა, მაგრამ უფრო არომატული იყო. გერმანიიდან წასვლის შემდეგ ასეთი ღვინო აღარ დამილე-
ვია.

- არ გაინტერესებს, ვინ მასწავლა თხილამურებზე დგომა? - მკითხა მერე.

- არა.

ჰელენმა გაოცებულმა შემომხედა. წინათ ამის გარკვევაში ალბათ მთელ ღამეს გავატარებდი, ახლა კი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მერე კვლავ არარეალურობის ის მსუბუქი განწყობა შე-
ვიგრძენი, იმ საღამოს დროდადრო რომ მეუფლებოდა.

- ძალიან შეცვლილხარ, - მითხრა ჰელენმა.

- ამ საღამოს უკვე ორჯერ მითხარი, არ შეცვლილხარო. მაგ-
რამ შევიცვალე თუ არა, ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ჰჰელენს ჭიქა უბრალოდ ეჭირა ხელში, არ სვამდა.

- ალბათ მერჩივნა, არ შეცვლილიყავი!

- რატომ? მაშინ უფრო ადვილად იყრიდი ჩემზე ჯავრს?

- განა ოდესმე მიცდია ეს?

- არ ვიცი, აღარ მახსოვს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ, მგონი, არა. იმ წლებს და საკუთარ თავს რომ ვიხსენებ, მართლა მიკვირს შენი. გაფიცებ ყველაფერს, მითხარი, რატომ არ გქონდა ამის მცდელობა?

- მცდელობას წინ რომ არაფერი უდგას, ეს ხომ მაინც იცი?

- არა, არ ვიცოდი, - ვუთხარი მე. - მაგრამ ახლა უკვე გამაფრთხილეს. რა კარგი ღვინოა. ეტყობა, მისი დაყენების დროს ფერმენტაციის პროცესი არ შეუწყვეტიათ.

- შენ შემთხვევაშიც ასე არ მოხდა?

- ჰელენ, საოცრად მიმზიდველი, მაგრამ თან უცნაური ხარ. ამას კი განსაკუთრებული და იშვიათი ხიბლი აქვს.

- საკუთარ თავში მაინცდამაინც დარწმუნებული ნუ იქნები, - მითხრა გაბრაზებულმა და საწოლზე ჩამოჯდა, ღვინის ჭიქა ისევ ხელში ეჭირა.

- დარწმუნებული სულაც არა ვარ, მაგრამ უკიდურესი ურწმუნობა სიკვდილით თუ არ გემუქრება, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მან ურყევ რწმენამდე მიგიყვანოს. ეს მაღალფარდოვანი სიტყვები კი, ჩვენი სფეროსებური მუნყოფიერებიდან გამომდინარე, უბრალოდ, გამოცდილების შედეგია.

- სფეროსებური მუნყოფიერება რას ნიშნავს?

- ეს ჩემისთანა ადამიანის არსებობის წესია, რომელიც ვერ ჩერდება, აქეთ-იქით აწყდება, გამუდმებით ტრიალებს და ფეხს ვერსად იკიდებს. ასეთია თანამედროვე ადამიანის, ემიგრანტისა თუ ინდოელი მოხეტიალე ბერის ყოფა. ისე კი, გაცილებით მეტი ემიგრანტი არსებობს, ვიდრე ჩვენ გვგონია. მათ შორის

არიან ისეთებიც, რომლებიც სიბინძურეში არასოდეს გასვრილან.

- ეს უკეთესად ჟღერს, ვიდრე ის, ფილისტერულ სტაგნაციას რომ ვეძახით, - თქვა ჰელენმა.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- ამის განმარტება სხვა სიტყვებითაც შეიძლება, მაგრამ მაშინ ეს არცთუ სასიამოვნოდ ჟღერს. მადლობა ღმერთს! ძალიან დიდი წარმოსახვის უნარი არა გვაქვს, თორემ მაშინ, ომში წამსვლელი მოხალისეების რიცხვიც ბევრად ნაკლები იქნებოდა.

ჰელენი ღვინოს სვამდა, მე კი ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი: „ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდა, გამოუცდელი, ჯიუტი და საყვარელია, მაგრამ თან რა საშიში და სულელია. მას არაფერზე წარმოდგენა არა აქვს და ისიც კი არ იცის, რომ ფილისტერული სტაგნაცია გეოგრაფიული კი არა, მორალური მდგომარეობაა“.

- გინდა, ამ მდგომარეობაში უკან დაბრუნება? - მკითხა მან.

- არა მგონია, ეს შევძლო. საკუთარმა სამშობლომ ჩემი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, მსოფლიო მოქალაქედ მაქცია, ამიტომ, ალბათ ასეთად დავრჩები და აქ ვეღარასდროს დავბრუნდები.

- ისეთი ადამიანიც არ არსებობს, ვისთანაც დაბრუნებას შეძლებდი?

- ვერავისთან ვეღარ დავბრუნდები! - ვუთხარი მე. - თვით დედამიწაც კი სფეროსებრი მუნყოფიერების წესით მოძრაობს და ისიც მზის ემიგრანტია. ადამიანი უკან თუ დაბრუნდება, დაიღუპება.

- მადლობა ღმერთს! - თქვა ჰელენმა და თავისი ჭიქა გამომიწოდა. - ისე, აქ დაბრუნების სურვილი არასოდეს გქონია?

- აქ დაბრუნება ყოველთვის მინდოდა, - მივუგე მე. - იცი, ამ ჩემი თეორიების მიმდევარი არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ ისინი ორმაგად მომხიბვლელი მეჩვენება.

ჰელენს გაეცინა.

- რასაც შენ ამბობ, მართალი არ არის.

- რა თქმა უნდა, არ არის! ეს მხოლოდ ობობას ქსელია, რომლითაც სხვა ყველაფრის გადაფარვას ვცდილობ.

- მერედა, რისი გადაფარვა გინდა?

- რაღაცის, რასაც სიტყვები არ სჭირდება.

- და ის „რაღაც“ მხოლოდ ღამით არსებობს?

პასუხი არ გამიცია. საწოლზე მშვიდად ვიჯექი. დროის ქარმა ქროლა შეწყვიტა და ყურებში აღარ მიზუზუნებდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თვითმფრინავიდან საჰაერო ბურთში გადავინაცვლე, ისევ ჰაერში დავფრინავდი, მაგრამ ძრავის ხმაური აღარ მესმოდა.

- ახლა რა გქვია? - მკითხა ჰელენმა.

- იოზეფ შვარცი.

ის ერთხანს ჩაფიქრდა.

- ესე იგი, ახლა მეც შვარცი ვარ? - მკითხა მერე.

გამეღიმა.

- არა, ჰელენ! ეს გვარი ერთი კაცისგან მივიღე, რომელსაც, ასევე, ვიღაცამ მემკვიდრეობით დაუტოვა. ის განსვენებული, შორეული იოზეფ შვარცი, ახლა უკვე მესამე თაობაში, ჩემი სახით, მარადიულ ურიასავით აგრძელებს სიცოცხლეს. ის ჩემი უცხო, განსვენებული სულიერი წინაპარია! - იცნობდი იმ კაცს?

- არა.

- მას შემდეგ, რაც სხვა გვარი გაქვს, თავსაც სხვაგვარად გრძნობ?

- ჰო, ასეა, რადგან საქმე საბუთს ეხება და ეს საბუთი პასპორტია.

- პასპორტი თუ ყალბია, თავს მაშინაც ასე გრძნობ?

გამეცინა. ამ შეკითხვით ჰელენი უკვე სხვა სფეროში იჭრებოდა.

პასპორტი ნამდვილია თუ ყალბი, ამის შემოწმება პოლიციელის საქმე იყო.

- ამასთან დაკავშირებით, კაცს შეიძლებოდა ფილოსოფიური იგავი შეეთხზა, - ვუთხარი მე. - ამ იგავში კი თავდაპირველად იმას გამოიკვლევდნენ, გვარი შემთხვევითობაა თუ იდენტიფიკაციის საშუალება.

- გვარი გვარია! - თქვა ჰელენმა უეცრად ჯიუტად. შენი გვარი ჩემი გვარიც იყო და მას ყოველთვის ვიცავდი. ახლა კი მოდიხარ და მეუბნები, სადღაც ახალი გვარი ვიპოვეო.

- ჰელენ, ეს გვარი საჩუქრად მერგო, - ვუთხარი მე. - ამაზე ძვირფასი საჩუქარი ამქვეყნად არავისგან მიმიღია. ამ გვარს სიხარულით ვატარებ, ის ჩემთვის სიკეთისა და ადამიანობის სიმბოლოა. ოდესმე სასოწარკვეთილება თუ შემიპყრობს, ის შემახსენებს, რომ სიკეთე ჯერ კიდევ არსებობს. აბა, შენი გვარი რას გახსენებს? დიახ, ის ხომ იმ პრუსიელი მეომრებისა და მონადირეების მოდგმას გახსენებს, რომელთა სამყაროსეული სურათები მელიებთან, მგლებთან და ფარშევანგებთან იყო დაკავშირებული?!

- ჩემი ოჯახის გვარი არ მიგულისხმია. შეგახსენებ, რომ ჯერ ისევ შენს ძველ გვარს ვატარებ, ბატონო შვარც! - მითხრა ჰელენმა და ჩუსტი ფეხის თითებზე შეათამაშა.

მეორე ბოთლი გავხსენი.

- ინდონეზიაში თურმე ადამიანები, იქაური ადათ-წესის თანახმად, დროდადრო სახელებს გადაირქმევენ ხოლმე. თუ ვინმე იგრძნობს, რომ საკუთარი პიროვნებით გადაიღალა, ახალ სახელს ირქმევს და თავიდან იწყებს ცხოვრებას. რა შესანიშნავი აზრია, არა?

- შენც თავიდან დაიწყე ცხოვრება?

- ჰო, დღეიდან! - მივუგე მე.

ჰელენს ჩუსტი იატაკზე ჩამოუცურდა.

- მერედა, ადამიანს ამ ახალ ცხოვრებაში არაფერი მოაქვს?

- თან ექოს გამოიყოლებს.

- მისი მოგონებები სად მიდის?

- ეს ექო სწორედ იმ მოგონებების გამოძახილია, რომელთა გამოც ტკივილს და სინდისის ქენჯნას აღარ გრძნობ.

- და ამ დროს გგონია, რომ რაღაც ფილმს უყურებ, არა?

იმწუთას ისეთი სახე ჰქონდა, ვიფიქრე, ახლა თავში ჭიქას მთხლიშავს-მეთქი. ჭიქა გამოვართვი და ღვინო მეორე ბოთლიდან დავუსხი.

- ეს რა ღვინოა? - ვკითხე ჰელენს.

- „რაინჰარტსჰაუზენერი“. საუკეთესო რაინული ღვინოა. მწიფე ყურძენს დაწურავენ და სრული დუღილის მდგომარეობამდე მიიყვანენ. თვისებებს არ იცვლის და პფალცურ ღვინოში არ შეგეშლება.

- ესე იგი, ემიგრანტი არ არის? - ვკითხე მე.

- არა, ის ქამელეონივით არ იცვლის ფერს და იმ ტიპს არ ჰგავს, პასუხისმგებლობას რომ გაურბის.

- ღმერთო ჩემო, ჰელენ! - ვუთხარი მე. - ფილისტერული კეთილდღეობის ფრთების შრიალი ხომ არ ჩამესმა ახლა ყურში? შენ არ ამბობდი, ამ სტაგნაციას თავი უნდა დავაღწიოო?

- ისეთ რაღაცებს მაბრალებ, რაც არ მითქვამს! - მითხრა გაბრაზებულმა. - საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ ჩვენი შეხვედრის პირველ ღამეს? რატომ არ ვკოცნით ახლა ერთმანეთს ან რატომ არ გვძულს ერთმანეთი?

- ჩვენ თან ვკოცნით და თან გვძულს ერთმანეთი.

- რა მაგარი სიტყვებია! ნეტავ, როგორ მოგდის თავში? მაშ სწორად მიგაჩნია, ახლა აქ რომ ვსხედვართ და ასე ვსაუბრობთ?

- არ ვიცი, რა არის სწორი და რა არა.

- მაშინ, საიდან მოგაქვს ეს სიტყვები? უცხოეთშიც ამდენს ლაპარაკობდი და ბევრი მსმენელი გყავდა?

- არა, იქ ძალიან ცოტას ვლაპარაკობდი, - ვუთხარი მე. - ამიტომაც ახლა სიტყვები პანტაპუნტით მცვივა პირიდან და, მერწმუნე, ამით მეც შენსავით გაოცებული ვარ.

- მართალს მეუბნები?

- ჰო, მართალს გეუბნები, ჰელენ! ნუთუ ვერ ხვდები, რისი ბრალია ეს?

- არ შეგიძლია, უბრალოდ ამიხსნა, რას გულისხმობ?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

- რატომ არ შეგიძლია? - მკითხა მან.

- ალბათ იმიტომ, რომ მეშინია, საგნებს თავისი სახელი დავარქვა. მეშინია იმ სიტყვების, რომლებიც რაღაცას აწესებს. ამას ემატება ანონიმური შიში, სადღაც ქუჩებში რომ დაძრწის. მასზე ფიქრი და ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჩემში ჩაბუდებული, სულელური ცრურწმენა მეუბნება, რომ საშიშროება მანამდე არ არსებობს, სანამ მას არაფრად აგდებ. ჩვენი უსაგნო საუბარიც ამის შედეგია. მისი წყალობით, დრო უეცრად გაწყვეტილი ფილმივით ჩერდება, მერე კი ყველაფერი ისე დადუმდება, თითქოს არაფერი მომხდარა.

- ამის გაგება ძალიან რთულია ჩემთვის, - მითხრა ჰელენმა.

- ჩემთვისაც, მაგრამ განა საკმარისი არ არის, რომ აქ ვარ, და ცოცხალს გხედავ, რომ ჯერ არ დამიჭირეს და ისევ ციხეში არ მიკრეს თავი?

- ამიტომ ჩამოხვედი?

აღარაფერი მითქვამს. ჰელენი მშვენიერი, შიშველი ამორძალივით იჯდა, ღვინით სავსე ჭიქით ხელში, და საოცრად მომთხოვნი, უდრეკი, ცბიერი და მამაცი მომეჩვენა. მაშინ გავიფიქრე, რომ თურმე მასზე არაფერი მცოდნია და გამიკვირდა, ადრე როგორ მიძლებდა. მივხვდი, რომ ის ადამიანი ვიყავი, რომელსაც ეგონა, რომ მშვენიერი კრავი ჩაიგდო ხელში და ამ კრავზე ზრუნვა საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ უეცრად დაინახა, რომ მის წინაშე ახალგაზრდა პუმა აღმოჩნდა, რომელიც არაფრად აგდებს უზრუნველ ცხოვრებას და ალერსიან მოპყრობას და მზადაა, იმ ხელზე გიკბინოს, რომლითაც ეფერები.

ვიგრძენი, რომ სახიფათო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ალბათ ხვდებით, რა მოხდა იმ პირველ ღამეს. მმოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ამას უბრალოდ ვვარაუდობდი და შესაძლოა, ეს სწორედ იმიტომ დამემართა, რომ ამის მოლოდინი მქონდა. ფაქტი კი ის იყო, რომ მამაკაცური უნარი დავკარგე. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდი და მდგომარეობის გამოსწორება არ მიცდია, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს და თქვას, რომ ასეთ დროს საწინააღმდეგო იმუნიტეტი მხოლოდ მეჯინიბეებს აქვთ, ქალებს კი შეუძლიათ, თავი მოიკატუნონ და შეეცადონ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი კაცი ავის მომასწავებელი სიტყვებით დედობრივადაც კი ანუგეშონ. მაგრამ ეს მაინც ისეთი წყეული მდგომარეობაა, რომ ამ დროს ყოველ-

გვარი ზედმეტი გრძნობის გამოვლინება ამაზრზენი და სასაცილო ხდება.

ჰელენი მოელოდა, რომ ამის მიზეზს ავუხსნიდი, და როცა დაინახა, რომ ამას არ ვაპირებდი, აღშფოთდა და იერიშზე გადმოვიდა. მას არ ესმოდა, რატომ არ იყო ჩემთვის სასურველი, როგორც ქალი და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. შემეძლო, მისთვის უბრალოდ სიმართლე მეთქვა, მაგრამ ამის თავი არ მქონდა, რადგან ძალიან აღელვებული ვიყავი. ასეთ დროსაც ორი ჭეშმარიტება არსებობს: ერთ შემთხვევაში საკუთარ თავზე ხელს ჩაიქნევ ხოლმე, მეორე შემთხვევაში კი - ყველაფერზე ხარ წამსვლელი. ამ ხუთმა წელიწადმა მასწავლა, რომ საკუთარ თავზე ხელს თუ ჩაიქნევ, მაშინ აღარ უნდა გაგიკვირდეს, რომ გესვრიან და მოგკლავენ.

- ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ცრურწმენას აჰყვებიან ხოლმე, - ვუთხარი ჰელენს. - ჰგონიათ, გულწრფელად თუ იტყვიან ან მოიმოქმედებენ რამეს, ყველაფერი პირიქით მოხდება. ამიტომაც ფრთხილობენ და სიტყვებსაც ყურადღებით არჩევენ.

- რა უაზრობაა!

გამეცინა.

- იცი, აზრის მიმართ დიდი ხანია დავკარგე ყოველგვარი რწმენა. ასე რომ არ ყოფილიყო, ბოღმით სავსე ადამიანი ვიქნებოდი.

- იმედია, ამ შენი ცრურწმენით ძალიან ღრმად არ შეტოპავ.

- ჰელენ, შეტოპვას იმ წუთამდე ვაპირებ, როცა შენთვის იმის თქმა მომიწევს, რომ ამქვეყნად ყველაზე ძალიან მიყვარხარ, მერე კი დაველოდები, რამდენიმე წუთში გესტაპო როგორ შემოამტვრევს კარს, - ვუთხარი მშვიდად.

ერთი წამით ჰელენი ცხოველივით გაირინდა, რომელსაც რაღაც საეჭვო ხმაური შემოესმა. მერე ნელ-ნელა ჩემკენ შემობრუნდა და გაოცებული დავრჩი, იმ რამდენიმე წამში როგორ შესცვლოდა სახე.

- მართლა ეს არის მიზეზი? - მკითხა ჩუმად.

- ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია, - მივუგე მე. - როგორ ფიქრობ, შეიძლება ნორმალურად ვაზროვნებდე, როდესაც ეს-ესაა, ბნელით მოცული ჯოჯოხეთიდან გამოვედი და სახიფათო სამოთხეში ამოვყავი თავი?

- შენს დაბრუნებაზე როცა ვფიქრობდი, ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმომედგინა, - მითხრა ჰელენმა.

აღარ ვკითხე, როგორ წარმოედგინა ეს ყველაფერი. საყვარელ ადამიანს ყოველთვის ძალიან ბევრ კითხვას უსვამენ, მაგრამ როგორც კი მისგან ამ კითხვებზე გაცემულ, პირუთვნელ პასუხებს ისმენენ, სიყვარული მალევე ქრება.

- ჰოდა, მადლობა ღმერთს, რომ ეს ყოველთვის სხვანაირად ხდება! - ვუთხარი მხოლოდ.

ჰელენს გაეღიმა.

- არა, იოზეფ! ეს სხვანაირად კი არ ხდება, მხოლოდ გამოიყურება ასე! ღვინო კიდევ დარჩა?

მან მოცეკვავესავით ტანის რხევით შემოუარა საწოლს, ჭიქა იატაკზე, გვერდით დაიდგა და გაიზმორა. ახლა ეს უცხო მზით გარუჯული, შიშველი, ნებიერი ქალი იყო, რომელმაც არათუ იცოდა, რომ სურვილებს აღძრავდა, არამედ ხშირადაც უხდებოდა ამის მოსმენა.

- როდის უნდა წავიდე? - ვკითხე მე.

- მოახლე ხვალ არ მოვა.

- ზეგ?

ჰელენმა თავი გააქნია.

- ეს საქმე ადვილად მოვაგვარე. დღეს შაბათია. მოახლე კვირის ბოლომდე დავითხოვე და მხოლოდ ორშაბათს, ნაშუადღევს მოვა. ვიღაც ცოლშვილიანი პოლიციელი გამოუჭერია და ძალიან ბედნიერია, - ჰელენმა თვალები მოჭუტა და შემომხედა.

გარედან მწყობრი ნაბიჯების და სიმღერის ხმა შემომესმა.

- ეს რა არის? - ვკითხე ჰელენს.

- ჯარისკაცები ან ჰიტლერიუგენდის რაზმელები იქნებიან. ახლა მთელ გერმანიაში ყველა გაჯგიმული ნაბიჯით დადის.

ავდექი და ფარდებს შორის გავიხედე. ჰიტლერიუგენდის რაზმელები იყვნენ.

- რა საოცარია, რომ ასე არ ჰგავხარ შენი ოჯახის წევრებს, - ვუთხარი ჰელენს.

- ეს ჩემი ფრანგი ბებიის დამსახურება მგონია, - ამიხსნა ჰელენმა. - გვყავდა ერთი ასეთი ბებია, მაგრამ ჩემი ოჯახი ისე მალავს ამას, თითქოს გვარში ებრაელი ჰყოლოდათ.

ჰელენმა დაამთქნარა და გაიზმორა. უეცრად ისეთი მშვიდი მომეჩვენა, თითქოს უკვე რამდენიმე კვირაა ერთად ვცხოვრობდით და გარედანაც არავითარი საფრთხე აღარ გვემუქრებოდა. აქამდე ორივენი თავს ვარიდებდით ამაზე ლაპარაკს. ჰელენსაც არ უკითხავს, როგორ ვცხოვრობდი ლტოლვილობაში. აბა, მაშინ რა ვიცოდი, რომ ის თურმე გამუდმებით მაკვირდებოდა და გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

- იქნებ ისევ დაიძინო? - მკითხა მან.

ღამის ორი საათი იყო და დავწექი.

- შეიძლება შუქი ანთებული დავტოვოთ? - ვიკითხე მერე. - ასე უკეთ დამეძინება. აქაურ სიბნელეს ჯერ ვერ მივეჩვიე.

მაშინვე შემომხედა:

- თუ გინდა, შუქი ყველგან ენთოს, ძვირფასო!

გვერდიგვერდ ვიწექით. ვეღარც კი წარმომედგინა, ამ საწოლში ოდესმე, ყოველღამე, ერთად თუ გვეძინა. ეს უკვე გაცრეცილ ჩრდილს თუ მოგონებას ჰგავდა. ჰელენი აქვე, ჩემ გვერდით იწვა, მაგრამ ეს სულ სხვანაირი, უჩვეულოდ უცხო სიახლოვე იყო. მისი სუნთქვა მესმოდა და მისი თმების შეხებას ვგრძნობდი, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებით მისი კანის შეხება მოქმედებდა, AAამდენი ხანია ასე მიუწვდომელი რომ გამხდარიყო ჩემთვის. ახლა თითქოს შევიგრძნობდი და თან ვერც შევიგრძნობდი მის სიახლოვეს, მაგრამ ვიცოდი, რომ ახლა ჩემ გვერდით იწვა, ასეთი უცხო და ასეთი ახლობელი. შეგრძნებებმა კი გონებას სძლია. მივხვდი, რას ნიშნავდა საყვარელი ადამიანის კანის შეხებით მონიჭებული ნუგეში. რამდენად გონივრული და შთამბეჭდავი იყო ეს ნუგეში იმ ტყუილთან შედარებით, ჩვენვე რომ წარმოვთქვამდით.

იმ ღამეს დიდხანს ვერ დავიძინე. ჰელენს ვეხუტებოდი, სინათლეს და ნახევრად ბინდით მოცულ ოთახს შევყურებდი, და ბოლოს ყველა დარდი დავივიწყე.

ჰელენს ისევ გაეღვიძა.

- საფრანგეთში ბევრი ქალი გყავდა? - ჩურჩულით მკითხა თვალდახუჭულმა.

- იმაზე ბევრი არა, ვიდრე აუცილებელი იყო. მაგრამ, მინდა იცოდე, რომ შენნაირი არავინ ყოფილა, - ვუთხარი მე.

ჰელენმა ამოიოხრა, გვერდზე გადაბრუნება სცადა, მაგრამ ისევ ძილი მოერია და მდგომარეობა აღარ შეუცვლია.

ნელ-ნელა მეც მომერია ძილი. სიზმარი არ დამსიზმრებია. ჩემს ძილს სიჩუმე და ჰელენის სუნთქვა ავსებდა.

გამთენიისას რომ გამეღვიძა, ვიგრძენი, რომ ამქვეყნად უკვე ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებდა. ჩემს ვნებას ჰელენიც აჰ-ყვა, მერე კი ისევ ძილ-ბურანში გავეხვიეთ, სადაც მხოლოდ სი-ნათლე ციმციმებდა და აღარ ბნელოდა.

6

დილით მიუნსტერის სასტუმროში დავრეკე, სადაც ჩემოდანი მქონდა დატოვებული. დავუბარე, ოსნაბრიუკში შემაგვიანდა, ღამით დავბრუნდები და ოთახი შემინახეთ-მეთქი. სიფრთხილე გამოვიჩინე, რადგან არ მინდოდა, ფულის გადაუხდელობის გამო ჩემ შესახებ ეცნობებინათ და მერე, სასტუმროში რომ მივიდოდი, იქ პოლიციელები დამხვედროდნენ. ტელეფონზე ვიღაცამ გულგრილი ხმით მიპასუხა, ფოსტა რომ მოვიკითხე, ამაზეც მითხრა, თქვენს სახელზე არაფერი მოსულაო.

ყურმილი დავდე. ჰელენი იქვე იდგა და მისმენდა.

- ფოსტა რატომ იკითხე? ვინმესგან წერილს ელოდები?

- არა, ეს მხოლოდ ეჭვის გასაფანტავად ვიკითხე. როცა ადამიანები ფოსტას ელოდებიან, რატომღაც არ იწვევენ ეჭვს, რომ ისინი რაღაცას ხიმანდრობენ.

- შენც ერთ-ერთი იმათგანი ხარ?

- სამწუხაროდ, ასეა. ამის სურვილი ნამდვილად არ მქონია, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ეს არ მსიამოვნებს.

ჰელენს გაეცინა.

- მიუნსტერში დღეს საღამოს წახვალ? - მკითხა მერე.

- ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, ჰელენ. ხვალ შენი მოახლეც დაბრუნდება. ამ ქალაქში ჩემი ყოფნა ძალიან სახიფათოა. ეს ულვაშებიც მაინცდამაინც არ მცვლის, და შეიძლება ვინმემ მიცნოს.

- მარტენსთან ვერ დარჩები?

- შემომთავაზა, შეგიძლია პაციენტების მისაღებ ოთახში დაიძინო, მაგრამ დღისით აქ ვერ დაგტოვებო. ამიტომ მირჩევ-

ნია, მიუნსტერში წავიდე. იქ, ქუჩაში ჩემი გამოჩენა ისეთი სახიფათო არ იქნება. თანაც იქამდე ერთი საათის სავალი გზაა.

- მიუნსტერში რამდენ ხანს დარჩები?

- ეს მაშინ მეცოდინება, იქ რომ ჩავალ. დროთა განმავლობაში ადამიანს საფრთხის მიმართ მეექვსე გრძნობის მსგავსი რაღაც უჩნდება.

- აქ საფრთხეს გრძნობ?

- ჰო, დღეს დილიდან. გუშინ ეს არ მიგრძნია.

ჰელენმა წარბები შეჭმუხნა და შემომხედა.

- ჰო, მართალი ხარ. ქუჩაში შენი გასვლა ნამდვილად არ შეიძლება, - მითხრა მერე.

- დაღამებამდე გარეთ ვერ გავალ. მერე კი, როგორმე სადგურამდე უნდა მივიდე.

ჰელენი დადუმდა.

- ამაზე არ იფიქრო, რამეს მოვახერხებ, - ვუთხარი მე. - ყოველი საათი გათვლილი მაქვს და მეორე დღეზეც ვფიქრობ.

- მართლა ასე ცხოვრობ? რა კარგად მოგიხერხებია! - მითხრა ჰელენმა და ხმაზე შევატყვე, რომ გუშინდელივით გაღიზიანდა.

- იძულებული ვარ, ასე ვიცხოვრო! - მივუგე მე. - მიუხედავად ამისა, ხანდახან რაღაც მაინც გამომეპარება ხოლმე. აი, მაგალითად, მიუნსტერიდან ჩემი საპარსის წამოღება დამავიწყდა. დღეს საღამოს ალბათ ყველას ქუჩის მაწანწალა ვეგონები. ემიგრანტებისთვის განკუთვნილ რჩევებში წერია, რომ ამას განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ.

- ის საპარსი, ხუთი წლის წინ რომ დატოვე, სააბაზანოშია. საცვლებიც იქ არის და შენი ძველი კოსტიუმებიც მარცხნივ, კარადაში კიდია.

ჰელენმა ეს ისე მითხრა, თითქოს ის ქმარი ვიყავი, რომელმაც სხვა ქალის გამო მიატოვა, ახლა კი თავისი ნივთების წასაღებად მოსულიყო და ისევ უკან გაბრუნებას აპირებდა. თავის მართლება აღარ მიცდია, რადგან ამას ახლა აზრი აღარ ჰქონდა. ვიცოდი, რომ გაოცებული თვალებით შემომხედავდა და მეტყოდა, არ მეგონა, ჩემს ნათქვამს ასე თუ გაიგებდიო. ამიტომ ეს ჩემი მხრიდან თავის დაცვის უაზრო მცდელობა იქნებოდა და ისევ შარში გავეხვეოდი.

საოცარია, საკუთარი გრძნობების დასამალავად რა ხშირად ვირჩევთ ხოლმე არასწორ გზას!

სააბაზანოში შევედი. ძველ კოსტიუმებს რომ შევხედე, მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ თურმე ძალიან გავმხდარვარ. საცვლების დანახვა გამიხარდა და ვიფიქრე, რამდენიმე ცალს თან წავიღებ-მეთქი. ეს იყო და ეს. ამ ნივთების დანახვაზე გული არ ამჩუყებია და არც ავღელვებულვარ.

სამი წლის წინ გადავწყვიტე, მეფიქრა, თითქოს ქვეყნიდან ჩემი წასვლა უბედურება კი არა, ცივი ომის გამოცხადების მცდელობა იყო, რაც ჩემს განვითარებას შეუწყობდა ხელს. და აი, როგორც ჩანს, ამან რაღაც შედეგი მაინც გამოიღო.

* * *

იმ დღემ ორჭოფულ გრძნობათა ჭიდილში ჩაიარა. ჩემი გამგზავრების აუცილებლობა რომ ვიგრძენით, ორივეს თავგზა აგვერია, თუმცა ჰელენისთვის ეს უფრო უჩვეულო ამბავი იყო, რადგან ეს ლამის საკუთარ შეურაცხყოფად მიიჩნია. ჩემი გამოცდილებისა თუ განვლილი დროის წყალობით, საფრანგეთიდან წამოსვლის შემდეგ, საამისოდ უკვე შემზადებული ვიყავი. ჰელენი კი, ჯერ ჩემი ჩამოსვლის ფაქტს ვერ შეჰგუებოდა და უკვე წასვლის დრო დადგა. საკმარისი დრო არ მიეცა საიმისოდ, რომ შელახულ ქალურ თავმოყვარეობას შეჰგუებოდა. სიტუაცია კი ისევ მეორდებოდა, თან ამას წინასაღამოს მომხდარი ამბავიც დაემატა, მერე გრძნობების ტალღამ უკან დაიხია და წყალქვეშ ჩაძირული ძველი ნანგრევები უეცრად კვლავ ხილული გახადა. ეს ნანგრევები კი იმაზე დიდი გამოჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ერთმანეთთან ურთიერთობას სიფრთხილით ვეკიდებოდით, მაგრამ ურთიერთმიჩვევის უნარი სადღაც გამქრალიყო. ახლა, ერთი საათით მაინც სიამოვნებით განვმარტოვდებოდი, რომ ჩვენ შორის არსებული მანძილი ოდნავ მაინც შემემცირებინა, მაგრამ მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ეს ერთი საათი იმ დროის მეთორმეტედი იყო, რომელიც შემეძლო, ჰელენთან ერთად გამეტარებინა. ამიტომ ეს წარმოუდგენლად მომეჩვენა.

ადრე, მშვიდობიან წლებში, ხანდახან მიფიქრია, ნეტავ როგორ მოვიქცევი, თუ მეცოდინება, რომ ერთი თვის სიცოცხლეღა დამრჩა-მეთქი? ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ჩემი ყველა საქციელი, რის გაკეთებასაც კი ჩავიფიქრებდი, უცნაურად წინააღმდეგობრივი ხდებოდა და მაშინვე იმასაც დამა-

ნახვებდა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეკეთებინა. ახლაც სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ნაცვლად იმისა, რომ იმ დღით დავმტკბარიყავი, თავი ლაღად მეგრძნო და ჰელენს მთელი ჩემი გრძნობებითა და განცდებით დავუფლებოდი, მწველი სურვილით შეპყრობილი, ისეთ სიფრთხილეს ვიჩენდი, თითქოს მეც და ჰელენიც მინის ვიყავით და დავიმსხვრეოდით. როგორც ჩანს, ისიც იმავეს განიცდიდა. ორივენი სრულად ვაცნობიერებდით მოსალოდნელ საფრთხეს და ვიტანჯებოდით. მხოლოდ გამთენიისას ვიგრძენით შიში, რომ ერთმანეთს ვკარგავდით, და მაშინ, უეცრად კვლავ შევიცანით ერთმანეთი. დილის შვიდ საათზე ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა. შეშინებული წამოვხტი ლოგინიდან, რადგან ეს ზარი ჩემთვის პოლიციის მოსვლას ნიშნავდა.

- ვინ შეიძლება იყოს? - წავჩურჩულე ჰელენს.

- ნუ ვილაპარაკებთ და დავიცადოთ! - მითხრა მან. - ვინმე ნაცნობი იქნება. არ გავუღებ და წავა.

ზარი ისევ დაირეკა. მერე კარზე ბრაგაბრუგი გაისმა.

- საძინებელში შედი! - წამჩურჩულა ჰელენმა.

- ვინ უნდა იყოს?

- არ ვიცი. საძინებელში შედი! კარგი იქნება, ამ ხმაურზე მეზობლებიც თუ გამოვლენ.

ჰელენმა საძინებლისკენ მიბიძგა. სწრაფად შევათვალიერე, ოთახში რამე ნივთი ხომ არ დამრჩა-მეთქი და საძინებელში შევედი. გავიგონე, ჰელენმა რომ ჰკითხა, ვინ ბრძანდებითო. რაზეც კაცმა რაღაც უპასუხა. აჰ, ეს შენ ხარ, კი მაგრამ, რა მოხდაო, ისევ ჰკითხა ჰელენმა. ოთახის კარი მივხურე. ბინას სამზარეულოდან მეორე გასასვლელიც ჰქონდა, მაგრამ იქამდე ისე ვერ მივიდოდი, ვინმეს რომ არ დავენახე. ახლა მხოლოდ ის შე-

მეძლო, რომ კედლის დიდ კარადაში დავმალულიყავი, სადაც ჰელენის ტანსაცმელი ეკიდა. კედელში გამოჭრილ ამ დიდ ნიშას კარადა არ ეთქმოდა, თუმცა შიგ საკმარისი ჰაერი იყო და კარიც ჰქონდა.

გავიგონე, რომ ჰელენთან ერთად სასტუმრო ოთახში ვიღაც კაცი შემოვიდა, მერე კი ხმით ვიცანი, ჰელენის ძმა იყო, სწორედ ის, საკონცენტრაციო ბანაკში რომ მიკრა თავი.

ჰელენის ტუალეტის მაგიდაზე ქაღალდის საჭრელ, ნეფრიტისტარიან დანას მოვკარი თვალი. ეს იყო ერთადერთი საგანი, რომელიც შემეძლო იარაღად გამომეყენებინა. დანა ჯიბეში დაუფიქრებლად ჩავიდე და კარადაში შევძვერი. გეორგი თუ მიპოვიდა, თავის დაცვა ნამდვილად მომიხდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სხვა გზა არ მექნებოდა, უნდა მომეკლა და გავქცეულიყავი.

- ტელეფონზე რეკავდი? - მომესმა ჰელენის ხმა. - არ გამიგია. მეძინა. კი მაგრამ, რა მოხდა?

დიდი საფრთხის დროს დგება წუთი, როდესაც მდგომარეობა საშინლად იძაბება და ფიქრობ, რომ საკმარისია, ამ დროს სულ პატარა ნაპერწკალიც კი გაკრთეს და მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვევი. ამ დროს თითქოს ნათელმხილველი ხდები, ისე სწრაფად და დროულად აზროვნებ. ამიტომ, სანამ გეორგის პასუხს გავიგონებდი, მივხვდი, რომ ჩემ შესახებ არაფერი იცოდა.

- რამდენიმეჯერ დაგირეკე, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო, - უთხრა მან. - მოახლემაც არ მიპასუხა. ჩვენებმა იფიქრეს, რომ რაღაც შეგემთხვა. კარს რატომ არ მიღებდი?

- მეძინა და ტელეფონიც გამორთული მქონდა, - მიუგო ჰელენმა მშვიდად. - თავი მტკიოდა და ჯერაც არ გამიარა. ზარის ხმაზე გამეღვიძა.

- თავი გტკიოდა?

- ჰო, და ახლა უფრო ამტკივდა. ორი ტკივილგამაყუჩებელი დავლიე და გამოძინება მჭირდება.

- საძილე აბები დალიე?

- არა, გეორგ, თავის ტკივილის წამალი დავლიე და უნდა გამოვიძინო. ახლა კი წადი!

- მაგ აბების დალევა სისულელეა, - უთხრა გეორგმა. - ახლავე ჩაიცვი და სასეირნოდ წავიდეთ. გარეთ მშვენიერი ამინდია და სუფთა ჰაერზე გასეირნება აბებზე უფრო მოგიხდება.

მერე ერთხანს კიდევ ისაუბრეს. გეორგი შეჰპირდა, მოგვიანებით ისევ შემოგივლიო, რაზეც ჰელენმა უთხრა, არ მოხვიდეო. მერე ჰკითხა, საჭმელი თუ გაქვსო? ჰჰელენმა უპასუხა, კი, მაქვსო. გეორგმა მოახლის ამბავიც რომ იკითხა, ჰელენმა უთხრა, დღისით არ მჭირდება, მოგვიანებით მოვა და ვახშამს მომიმზადებსო.

- მაშ, ყველაფერი კარგადაა? - ჰკითხა გეორგმა.

- ვითომ, რატომ არ უნდა იყოს კარგად?

- არა, ისე ვთქვი. ადამიანს ხანდახან სულელური აზრები მოსდის ხოლმე თავში. ბოლოს და ბოლოს...

- ამით რისი თქმა გინდა? - მკაცრად ჰკითხა ჰელენმა.

- აი, მაშინ რაც მოხდა...

- ჰო, რა მოხდა მაშინ?

- მართალი ხარ! - უთხრა გეორგმა. - რაკი ყველაფერი კარგადაა, იმ ამბებზე ლაპარაკი აღარ ღირს. ბოლოს და ბოლოს, შენი ძმა ვარ და ხანდახან მეკითხებიან...

- ჰო, ასეა.

- რა არის ასე?

- ის, რომ ჩემი ძმა ხარ!

- მინდა შეიგნო, რომ შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა.

- ვიცი, ჩემთვის ეს ხშირად გითქვამს, - მიუგო ჰელენმა მოუთმენლად.

- კი მაგრამ, დღეს რა გჭირს? რაღაც შენს თავს არ ჰგავხარ!

- მართლა?

- მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ უფრო ჭკვიანურად მსჯელობ. თუ იმ ძველ სისულელეს ისევ აიჩემებ...

- არაფერს არ ავიჩემებ. თავი მტკივა, მორჩა და გათავდა. თანაც არ მიყვარს, კუდში რომ დამდევენ.

- კუდში არავინ დაგდევს. მმხოლოდ შენზე ვზრუნავ.

- ჰოდა, თავს ნუ იწუხებ. შენი ზრუნვა არ მჭირდება.

- სულ ამას იმეორებ. არადა, გახსოვს მაშინ...

- იმ დროზე ლაპარაკი არ გვინდა, - მკაცრად უთხრა ჰელენმა.

- ცხადია, არ გვინდა. პირადად მე, ნამდვილად არ ვაპირებ ამას. ექიმთან იყავი?

- ჰო, ვიყავი, - მიუგო ჰელენმა ცოტა ხანში.

- რა გითხრა?

- არაფერი.

- კი მაგრამ, რაღაცას ხომ მაინც გეტყოდა?

- მითხრა, რომ სიმშვიდე მჭირდება, - მიუგო უკვე გაბრაზებულმა ჰელენმა. - ისიც მითხრა, თუ სისუსტეს და თავის ტკივილს იგრძნობ, არ ინერვიულო და გამოიძინეო. ამასთან, როგორც ათასწლოვანი, ბრწყინვალე რაიხის თანამემამულემ და მოქალაქემ, არავისგან არ უნდა მივიღო მითითება, თუ როგორ შევასრულო ჩემი უფლება-მოვალეობები.

- ეს ყველაფერი ექიმმა გითხრა?

- დამშვიდდი, ეს ექიმს არ უთქვამს, - მაშინვე ხმამაღლა უპასუხა ჰელენმა. - ეს ჩემი აზრია. მან მხოლოდ ის მითხრა, რომ არ უნდა ვინერვიულო. ასე რომ, ამ კაცს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, ამ მთავრობის გულმხურვალე მომხრეა და საკონცენტრაციო ბანაკში არ უნდა გაუშვა. ახლა კმაყოფილი ხარ?

გეორგმა რაღაც ჩაილუღლუღა. იმედი მომეცა, რომ ახლა მაინც წავიდოდა. სახიფათო სიტუაცია იყო და გამოცდილებით ვიცოდი, რომ ასეთ დროს შეიძლებოდა, რაღაც გაუთვალისწინებელი მომხდარიყო. კარადის კარი ოდნავ შევაღე. უეცრად, კარის ჭუჭრუტანაში სინათლესთან ერთად ვიღაცის ჩრდილი შევნიშნე და დავინახე, რომ საძინებელში გეორგი შემოვიდა. მომეჩვენა, რომ ჰელენიც შემოჰყვა, მაგრამ ის ვეღარ დავინახე. მერე შემომესმა, რომ გეორგი სააბაზანოში შევიდა. კარადის კარი მჭიდროდ მივხურე. ბნელ კარადაში ჰელენის ტანსაცმელში შეყუჟული ვიდექი და ხელში ქაღალდის საჭრელი დანა მქონდა ჩაბღუჯული. ახლა უკვე ვიცოდი, რომ გეორგი ვეღარ მიპოვიდა, სააბაზანოდან სასტუმრო ოთახში დაბრუნდებოდა და ჰელენს დაემშვიდობებოდა. მაგრამ ყელში თითქოს თოკი წამიჭირეს და ვიგრძენი, რომ იღლიებიდან მთელ ტანზე წანწკარით ჩამომდიოდა ოფლი. შიში, რომელსაც უცნობ სიტუაციაში განიცდი, სრულიად არ ჰგავს ნაცნობ სიტუაციაში განცდილ შიშს. უცნობი სიტუაცია, შესაძლოა, სახიფათო მოგეჩვენოს, მაგრამ ამ დროს შიშს შინაგანი დისციპლინითა და რაღაც ფანდებით აკონტროლებ. მაგრამ, როდესაც უკვე წინასწარ იცი, რა მოგელის, შიშთან შინაგანი დისციპლინითა და ფსიქოლოგიური ილეთებით ვეღარაფერს გააწყობ. ის პირველი, უცნობი შიში მაშინ განვიცადე, როცა საკონცენტრაციო ბანაკში დამიპირეს შეგდება. მეორე

სახის შიშმა კი ახლა შემიპყრო, რადგან უკვე ვიცოდი, რა მელოდა, თუკი საკონცენტრაციო ბანაკში ხელმეორედ მოვხვდებოდი.

საოცარია, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზღვარზე გადმოვედი, ამაზე აღარ დავფიქრებულვარ და ამის სურვილიც არ გამჩენია, რადგან ეს გარკვეულწილად შემბოჭავდა, მე კი მინდოდა, რომ ყველაფრისგან გავთავისუფლებულიყავი. როცა თავის გადარჩენას ცდილობ, შენი მეხსიერება რაღაცას ხიმანდრობს და ცდილობს, უსიამოვნო ამბები დავიწყების ბურუსში გახვიოს. გამოგიცდიათ ასეთი რამ?

- დიახ, ნაცნობი გრძნობაა, - მივუგე შვარცს. - მაგრამ ეს დავიწყებას არ ნიშნავს. ამ დროს თითქოს ძილ-ბურანში იმყოფები და ოდნავი ბიძგიც კი საკმარისია, რომ ყველაფერი კვლავ დღესავით ნათელი გახდეს.

შვარცმა თავი დააქნია.

- სუნამოს სუნით გაჟღენთილ, ბნელ, ვიწრო სამალავში, ჰელენის კაბებს შორის შეყუჟული ვიდექი და თითქოს უზარმაზარი ღამურების რბილი ფრთების შეხებას ვგრძნობდი. განძრევას ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ჩემს სუნთქვაზე აბრეშუმის ტანსაცმელს შარიშური არ დაეწყო ან ხველა და ცემინება არ ამტეხოდა. და მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ჩავიდინე. შიში შავი აირივით ამოიმართა იატაკიდან და მეგონა, რომ გავიგუდებოდი. ბანაკში, პირადად მე, მთლად საშინელი დღეები არ გამომივლია. როგორც ყველას, მეც ცუდად მეპყრობოდნენ, მაგრამ რაკი იქიდან გამომიშვეს, ჩემი მოგონებები მერე ალბათ ამიტომ გაფერმკრთალდა. ახლა კი ყველაფერი ისევ თვალწინ დამიდგა. გამახსენდა, რისი მომსწრე და მნახველი გავხდი, რამდენი საშინელება გავიგე, თუ როგორ ექცეოდნენ იქ დანარჩენ ტუსაღებს. დაბნეული ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რატომ შემიპყრო ამ სიგი-

ჟემ და რამ მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ იმ დალოცვილი ქვეყნებიდან ისევ აქ ჩამოვსულიყავი?! ხომ ვიცოდი, რომ ჩემი არსებობის ფაქტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ციხეში ჩავეგდე ან ქვეყნიდან გავეძევებინე?!

ახლა გეორგი აქვე, ჩემ გვერდით, საabაზანოში იმყოფებოდა და მისგან მხოლოდ თხელი კედელი მყოფდა. ის ახლა ქვეყნის ბატონ-პატრონი იყო და ამას ხმაურით გვაუწყებდა. მან ტუალეტის თავსახური გადასწია და მოშარდვის ხმა რომ გავიგონე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ამით საბოლოოდ მიწასთან გამასწორა, თუმცა ეს მოწმობდა, რომ არავითარი ეჭვი არ აუღია. ქურდობისა და ყაჩაღობის შემთხვევები გამახსენდა, როცა ბოროტმოქმედი სანამ დანაშაულის ადგილს დატოვებს, იქაურობას წაბილწავს ხოლმე; ამით იგი თან პატივმოყვარეობას იკმაყოფილებს, თან რცხვენია, რომ ეს საქციელი საკუთარმა შიშმა ჩაადენინა.

გავიგონე, რომ გეორგმა ტუალეტი ჩარეცხა, საabაზანოდან სწრაფად გამოვიდა და საძინებელი გაიარა. მერე დერეფანში საკეტის ყრუ ჩხაკუნი გაისმა და კარადის კარი რომ გავაღე, სინათლეში ჰელენის მუქი სილუეტი დავინახე.

- წავიდა, - წაიჩურჩულა მან.

კარადიდან რომ გამოვედი, რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ქალის კაბაში გადაცმული აქილევსი[15] ვიყავი. შიში, ჩემი სასაცილო მდგომარეობა და სირცხვილის შეგრძნება ისე არეულიყო ერთმანეთში, რომ გონზე მოსვლა მიჭირდა. ასეთი ქაოსური შეგრძნებები უცხო არ იყო ჩემთვის, მაგრამ ახლა, უეცრად,

---

[15] გონივრული საფუძველი (ფრანგ.)

თითქოს ვიღაცამ ყელში წამიჭირა და აღარ ვიცოდი, გამაძევებ-დნენ თუ მომკლავდნენ.

- აქედან უნდა წახვიდე! - მითხრა ჰელენმა.

რატომღაც მეგონა, რომ მის სახეზე სიძულვილს დავინახავ-დი. როგორც კი საფრთხემ ჩაიარა, ვიგრძენი, რომ, როგორც მა-მაკაცს, თავი მომეჭრა და ამის გამო, ჰელენის გარდა, სხვა არა-ვის წინაშე არ მექნებოდა დანაშაულის გრძნობა.

მაგრამ ახლა მისი სახე მხოლოდ შიშს გამოხატავდა.

- ახლავე უნდა წახვიდე! - გაიმეორა მან. - შენი აქ ჩამოსვლა ნამდვილი სიგიჟე იყო.

ერთი წუთის წინ თავადაც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

- ახლავე არა, ერთ საათში წავალ. ხომ შეიძლება ის ჯერ კი-დევ სადმე ახლომახლო, ქუჩაში დაბორიალებდეს?! როგორ ფიქრობ, ისევ დაბრუნდება?

- არა მგონია. აარაფერზე დაეჭვებულა.

ჰელენი სასტუმრო ოთახში გავიდა და შუქი ჩააქრო, მერე ფარდა ოდნავ გადასწია და გარეთ გაიხედა. საძინებლიდან შე-მოჭრილი სინათლე ოქროსფერი რომბივით ეცემოდა იატაკს. ჰელენი ამ რომბში იდგა, წინ გადახრილიყო და დაძაბული სა-ხით, თითქოს გარეულ ნადირს უთვალთვალებდა ქუჩაში.

- სადგურში ვერ წახვალ, - ჩურჩულით მითხრა მან. - იქ შეიძ-ლება ვინმემ გიცნოს. წასვლით კი აუცილებლად უნდა წახვიდე. ამიტომ ელას მანქანას გამოვართმევ და მიუნსტერში მე წაგიყ-ვან. ღმერთო ჩემო! რა სულელები ვიყავით! შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება.

ჰელენი ფანჯარასთან იდგა და სულ მცირე მანძილი გვყოფ-და, მაგრამ უკვე ძალიან შორს ვიყავით ერთმანეთისგან. ამის

გაფიქრებაზე საშინელი ტკივილი ვიგრძენი და თავად ჰელენ-მაც, ვგონებ, მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რომ განშორება გარდაუვალი იყო. ყველაფერი, რასაც მთელი დღის მანძილზე ვგეგმავდით, ხელის ერთი მოსმით გაქრა. ჰელენმა თვალებში ჩახედა საფრთხეს და ახლა მხოლოდ შიშსა და სიყვარულს გრძნობდა, რასაც განშორებისა და ჩემი დაკარგვის შიშიც ემა-ტებოდა. ამ მდგომარეობას მეც მასავით მწვავედ და მძაფრად განვიცდიდი, მაგრამ ბოლოს შიში და სიფრთხილე სადღაც გაქ-რა და ვიგრძენი, რომ ამ საშინელ სიტუაციაში აუტანელმა და უცნაურად დაუფარავმა ვნებამ შემიპყრო. უკვე შევრიგებოდი იმ აზრს, რომ მას ვკარგავდი და ახლა მასთან სიახლოვის სურვი-ლი მკლავდა. ჰელენს ხელი ვტაცე, ის კი ამ დროს ისევ გეგმებს აწყობდა, იმედს არ კარგავდა და ფარ-ხმალს არ ყრიდა, თავს იცავდა და ჩურჩულებდა: „არა, ახლა არ გინდა! ელას უნდა და-ვურეკო. სასწრაფოდ რამე უნდა ვიღონოთ!“

„არაფერიც არ უნდა ვიღონოთ!“ - გავიფიქრე ჩემთვის. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ერთ საათში სამყარო თავზე დამემხობოდა. უფრო ადრე ასე ძლიერად რატომ არ შევიგრძნობდი ამ სურ-ვილს? ეს გრძნობა ხომ ახალი არ იყო ჩემთვის? მაშინ, ადრევე რატომ არ დავამსხვრიე ჩემსა და ამ გრძნობას შორის აღმართუ-ლი მინის კედელი? თუკი ჩემი დაბრუნება უაზრობად მეჩვენებო-და, განა ასეთი საქციელი უფრო დიდი უაზრობა არ იყო? ახლა ჰელენის რაღაც ნაწილი აუცილებლად უნდა წამეღო თან. თუ ბე-დი გამიღიმებდა და იმ ნაცრისფერ სიცარიელეში დავბრუნდე-ბოდი, რაღაც მოგონება ხომ უნდა გამყოლოდა, გარდა იმისა, რომ აქ ყოფნისას სიფრთხილეს ვიჩენდი, საკუთარ თავში ვიკე-ტებოდი და ძილ-ღვიძილს შორის მასთან ყოფნის ბედნიერებას უკანასკნელად შევიგრძნობდი?! მეხსიერებაში ჰელენის სრულ-

ყოფილი სახე უნდა ჩამებეჭდა, მისი გრძნობებითა და განცდებით, დდა არა ის არსება, ჩემი გონება დღე-ღამეს შორის გამომწყვდეული ცხოველივით რომ შემოინახავდა.

ჰელენი თავს იცავდა, ჩურჩულებდა, შეიძლება გეორგი ისევ მობრუნდესო, მაგრამ არ ვიცოდი, იმიზეზებდა თუ მართლაც შიშობდა. საფრთხეში ხშირად ვყოფილვარ, თუმცა ეს მერე მალევე მავიწყდებოდა. ამჯერად კი მხოლოდ ერთი სურვილით ვიყავი შეპყრობილი და მინდოდა, ჰელენის სუნამოთი, მისი ტანსაცმლის, ლოგინის და განთიადის სურნელით გაჟღენთილ ამ ოთახში, მის დასაუფლებლად ყველაფერი გამომეყენებინა, რისი ძალა და უნარიც შემწევდა. ახლა ჩემს გრძნობას მხოლოდ ის ყრუ, უხამსი და მტანჯველი ტკივილი მსჭვალავდა, რომ არ შემეძლო უფრო მეტი შთაგონებითა და ძლიერი ვნებათაღელვით დამეპყრო იგი, ვიდრე განგებას ჩემთვის ამის ძალა მოენიჭებინა. მინდოდა, ჰელენს ჯავშანივით შემოვკვროდი სხეულზე, ათასი ხელითა და ბაგით მოვფერებოდი, რომ მთლიანად მეგრძნო მისი სრულყოფილი სხეული, მისი ფორმები, მის ყოველ ნაკვთს შევხებოდი და მოფერებისას სულ პატარა ადგილიც კი არ გამომრჩენოდა. ახლა თითქოს ერთნი ვიყავით, მაგრამ ის პირველქმნილი ტკივილი მაინც მახსენებდა თავს, რომ ეს ჩვენი სისხლის კი არა, მხოლოდ ჩვენი კანის ერთიანობა იყო და ეს ერთად ყოფნა ურთიერთშერწყმას არ ნიშნავდა. @

7

შვარცს ყურს ვუგდებდი და საუბარს არ ვაწყვეტინებდი. მართალია, ამ დროს მე მომმართავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მისთვის მხოლოდ ის კედელი ვიყავი, დროდადრო ექოს რომ გამოსცემდა. საკუთარ თავს მეც ასე ვუყურებდი. დარწმუნებული ვიყავი, ასე რომ არ ყოფილიყო, შვარციც ვერ შეძლებდა თავისი ცხოვრების მოყოლას და გაცოცხლებას, სანამ მას მოგონებების გარინდულ ქვიშაში ჩაფლავდა. მისთვის უცხო ადამიანი ვიყავი, გზაზე ერთი ღამით რომ გადაეყარა და ამიტომ მასთან თავშეკავება არ სჭირდებოდა. ეს კაცი გარდაცვლილი, შორეული შვარცის ანონიმური მოსასხამით გამომეცხადა; მერე, როცა ეს მოსასხამი მიაგდო, ამით საკუთარი პიროვნებაც გვერდზე მოისროლა და კვლავ იმ ანონიმ ადამიანთა ბრბოს შეერია, ბოლო მიჯნაზე აღმართული შავი კარიბჭისკენ რომ მიეშურებიან, სადაც არავითარი საბუთები აღარ სჭირდებათ. იქიდან მათ აღარსად გააძევებენ და უკანაც არასოდეს დააბრუნებენ.

მიმტანმა გვაცნობა, ჩვენთან სტუმრად მოსულ, ინგლისელ დიპლომატს ახლა გერმანელი დიპლომატიც შეუერთდაო, და დაგვანახვა იგი. ჰიტლერის დესპანი, ვიღაც კაცთან და ორ ქალთან ერთად, ჩვენგან ხუთი მაგიდის იქით იჯდა. ჯანსაღ, ჩასკვნილ მანდილოსნებს ლურჯი აბრეშუმის უგემოვნო კაბები ეცვათ. კაცი, რომელზეც მიმტანმა მიგვანიშნა, ვერ გვხედავდა, ამიტომ გულს მომეშვა და ცოტა დავწყნარდი.

- რაკი თქვენც გერმანულად ლაპარაკობთ, ვიფიქრე, რომ იმ ბატონებით დაინტერესდებოდით, - გვითხრა მიმტანმა.

მე და შვარცმა უნებურად ჩვეული ემიგრანტული მზერა შეავლეთ ერთმანეთს და ჯერ ქუთუთოები წამით ზევით ავწიეთ, მერე კი გულგრილი სახით განზე გავიხედეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამჟამად ყველაზე ნაკლებად ეს საკითხი გვადარდებდა. ემიგრანტის მზერა არ ჰგავდა ჰიტლერულ გერმანიაში მცხოვრები გერმანელის მზერას. იგი გამალებით ზვერავდა ირგვლივ ყველაფერს, მერე კი ვინმეს ჩურჩულით ამცნობდა რაიმე ამბავს. მაგრამ ეს ორივე მზერა ჩვენი საუკუნის კულტურის მონაპოვარი იყო, ისევე, როგორც ხალხთა იძულებითი გადასახლება, რომელიც გერმანიაში ბატონი შვარცის მსგავს ადამიანებს შეეხო, და რუსეთის მთელ რიგ პროვინციებზეც გავრცელდა. ასი წლის შემდეგ, როდესაც უბედურების მაუწყებელი ეს გოდება მიჩუმდება, ვინმე გერგილიანი ისტორიკოსი ამ ყველაფერს ალბათ კულტურის ხელშემწყობ და გამამდიდრებელ მოვლენად საზეიმოდ გამოაცხადებს.

შვარცმა მიმტანს გულგრილი მზერა შეავლო.

- ეგ კაცი ვინც არის, ვიცით. ცოტა ღვინო კიდევ მოგვიტანეთ! - უთხრა მას მშვიდად და ასევე მშვიდი ხმით განაგრძო:

- მერე ჰელენი მანქანის მოსაყვანად თავის მეგობართან წავიდა. მე მას სახლში უნდა დავლოდებოდი. საღამო იყო და ფანჯრები ღია გვქონდა. სინათლე ყველგან ჩავაქრე. არავის უნდა ეფიქრა, რომ ამ დროს ბინაში ვინმე იყო. ზარს თუ დარეკავდნენ, კარს არ გავაღებდი. გეორგის დაბრუნების შემთხვევაში კი შემეძლო, ბოლო წუთში, სამზარეულოდან გავქცეულიყავი.

ფანჯარასთან ვიდექი და ნახევარი საათის განმავლობაში ქუჩის ხმაურს ვუგდებდი ყურს. ცოტა ხანში ნელ-ნელა დამეუფლა გრძნობა, რომ დავმარცხდი, თუმცა ეს მტკივნეული არ ყოფილა და უფრო შებინდებას ჰგავდა, რომელიც ნელა მოიწევს, მერე

ყველაფერს ფარავს და აცარიელებს, სანამ ბოლოს ჰორიზონტს არ მისწვდება და მასაც სიბნელეში არ გახვევს. წარმოვიდგინე სასწორი, რომლის ორ პინაზე ახლა ცარიელი წარსული და ასევე ცარიელი მომავალი იდო, შუაში კი ჰელენი იდგა, რომელსაც მხრებიდან სასწორის უღელი უკვე გადაეგდო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი ცხოვრების შუაგულში ვიდექი, ჩემი შემდეგი ნაბიჯი პინას ნელ-ნელა ქვევით, მომავლისკენ გადაწონიდა, მერე კი სასწორი თანდათან რუხი ფერით იფარებოდა და წონასწორობას ვეღარ აღადგენდა.

უეცრად მანქანის ხმამ გამომაფხიზლა. ქუჩის მეორე მხარეს, ლამპიონის შუქზე ჰელენი დავინახე. იგი მანქანიდან გადმოვიდა და შენობისკენ წამოვიდა. ჩაბნელებული, ჩამკვდარი ოთახი გავიარე. მალე გასაღები გაჩხაკუნდა და ჰელენი შემოვიდა.

- შეგვიძლია წავიდეთ! - მითხრა მან. - მიუნსტერში უნდა დაბრუნდე?

- აბა, სად წავიდე? ჩემოდანი სასტუმროში დავტოვე და რეგისტრაციაში შვარცის გვარით გავტარდი.

- სასტუმროს ფული გადაიხადე და სხვაგან გადადი!

- მითხარი, სად გადავიდე?

ჰელენი დაფიქრდა.

- ჰო, ისევ მიუნსტერში უნდა წახვიდე! - მითხრა ბოლოს.

- მართალი ხარ. სხვაგან ვერსად წავალ, ის ყველაზე ახლოა.

ჩემი ნივთები ჩემოდანში ჩავაწყვე. შევთანხმდით, რომ ჩემოდანს ჰელენი მანქანით წამოიღებდა, მე კი მას, ცოტა მოშორებით, ჰიტლერპლაცთან დავხვდებოდი.

ქუჩა შეუმჩნევლად გავიარე. თბილი ქარი სახეში მცემდა და სიბნელეში ხის ფოთლებს აშრიალებდა. ჰელენი მანქანით მოედანთან წამომეწია.

- ჩაჯექი, სწრაფად! - მითხრა ჩურჩულით.

დახურულ კაბრიოლეტში ჩავჯექი. ჰელენის სახე ელექტროდაფის შუქს გაენათებინა და თვალები უბრწყინავდა.

- ძალიან ფრთხილად უნდა ვიარო, - თქვა მან. - ახლა სწორედ ავარია და პოლიციაღა გვაკლია!

მისთვის აღარაფერი მითქვამს, მაგრამ ვიცოდი, რომ გარეთ ასეთი ლაპარაკი სახიფათო იყო და ყურადღებას იპყრობდა. ჰელენს გაეცინა და დამბის გასწვრივ გაუდგა გზას. ისეთი ენერგიული და აღტკინებული ჩანდა, თითქოს რაღაც თავგადასავალში მონაწილეობდა; ხან საკუთარ თავს, ხანაც მანქანას ელაპარაკებოდა, როდესაც სხვა მანქანებს გვერდით ჩაუვლიდა ან გაასწრებდა ხოლმე. საგზაო პოლიციელი თუ გამოჩნდებოდა, ვედრებასავით რაღაცას დუდუნებდა, წითელ შუქზე გაჩერებისას კი შუქნიშანს უყვიროდა: „მიდი, მწვანევ! დროზე აინთე!“

აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. ეს ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი საათი იყო, მე კი არ ვიცოდი, ჰელენს რა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ქალაქი უკან მოვიტოვეთ და ჰელენი თითქოს დამშვიდდა.

- როდის აპირებ მიუნსტერიდან წასვლას? - მკითხა მერე.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, რადგან ჯერჯერობით არავითარი გეგმა არ მქონდა. ცხადია, ჩემი იქ დიდხანს დარჩენა აღარ შეიძლებოდა. განგება სულელს მხოლოდ ერთხელ აძლევს თავისუფლების შანსს, მერე აფრთხილებს, ბოლოს კი დარტყმას აყენებს. ხანდახან ამ დროის დადგომას გუმანით გრძნობ. ჰოდა, ახლა გუმანი მეუბნებოდა, რომ ჩემთვის ეს დრო დადგა.

- ხვალ წავალ, - ვუთხარი ბოლოს.

ჰელენი ერთხანს დუმდა.

- მერედა, როგორ აპირებ ამას? - მკითხა მან.

ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში რომ ვიჯექი და ჰელენს ველოდებოდი, სწორედ ამაზე ვფიქრობდი. საზღვრამდე მატარებლით ჩასვლა ჩემი პასპორტის იმედით, ძალიან სარისკო საქმედ მეჩვენებოდა. შესაძლოა, იქ სხვა საბუთებიც მოეთხოვათ, იქნებოდა ეს ემიგრაციაში წასვლის ნებართვა, რაიხიდან გასვლის დამადასტურებელი მოსაკრებლის ქვითარი თუ შტამპი პასპორტში. არც ერთი ეს საბუთი არ მქონდა.

- რა გზითაც ჩამოვედი, იმ გზით წავალ. ავსტრიიდან შვეიცარიაში ღამით რაინზე გადავალ, - ვთქვი და ჰელენისკენ შევტრიალდი. - მოდი, რა, ამაზე ან საერთოდ ნურაფერს ვიტყვით, ან რაც შეიძლება ნაკლებად ვილაპარაკოთ.

ჰელენმა თავი დამიქნია.

- ფული წამოვიღე თან. აუცილებლად დაგჭირდება. საზღვარზე ჩუმად გადაიტან, მერე კი შეგიძლია შვეიცარიაში გადაცვალო.

- კი მაგრამ, ეგ ფული თავად არ გჭირდება?

- არა, ამ ფულს ვერ წამოვიღებ. საზღვარზე შემამოწმებენ. მარკების გადატანა კი აკრძალულია.

ჰელენს გაოგნებული მივაჩერდი. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა და ვიფიქრე, რომ რაღაც მომესმა.

- რამდენია? - ვკითხე მერე.

ჰელენმა სწრაფად შემომხედა.

- არც ისე ცოტაა, შენ რომ გგონია. დიდხანს ვაგროვებდი. აი, იმ ჩანთაში დევს, - მითხრა ჰელენმა და პატარა, ტყავის ჩანთაზე მიმითითა. - მეტწილად ასმარკიანი კუპიურებია. ერთი შეკვრა ოცმარკიანებიც არის, გერმანიაში მსხვილი კუპიურების დახურდავება რომ არ დაგჭირდეს. ნუ დაითვლი. გამომართვი. ეს ისედაც შენი ფულია.

- განა პარტიამ ჩემი ანგარიში არ დააყადაღა?

- ჰო, მაგრამ მოგვიანებით. ეს ფული მანამდე გამოვიტანე და ამაში ბანკის ერთი თანამშრომელი დამეხმარა. ვიფიქრე, შევინახავდი და ოდესმე გამოგიგზავნიდი, მაგრამ შენი ასავალ--დასავალი არ ვიცოდი.

- წერილებს იმიტომ არ გწერდი, რომ მეგონა, გითვალთვალებდნენ. არ მინდოდა, შენც ბანაკში ამოგეყო თავი.

- მხოლოდ ეგ არ ყოფილა მიზეზი, - მითხრა ჰელენმა მშვიდად.

- ჰო, ალბათ მართალი ხარ.

რომელიღაც სოფელი გავიარეთ, სადაც ვესტფალიური სახლები ჩალითა და შავი ხის მორებით იყო გადახურული. სოფელში ახალგაზრდა უნიფორმიანი ყმაწვილები დაიჯგიმებოდნენ, ლუდხანიდან კი ჰორსტ-ვეზელის ჰიმნი[16] ისმოდა.

- ომი დაიწყება, - თქვა ჰელენმა მოულოდნელად. - და შენც ამიტომ დაბრუნდი, არა?

- საიდან იცი, რომ ომი დაიწყება?

- გეორგმა მითხრა. და შენც ხომ ამიტომ ჩამოხვედი? - გაიმეორა მან.

ვერ მივხვდი, რაში სჭირდებოდა ჰელენს ახლა ამის ცოდნა. მე ხომ ისევ გასაქცევად ვემზადებოდი.

- ჰო, ჰელენ, სწორედ ამიტომ ჩამოვედი.

- ჩემი წაყვანა გინდოდა?

გაოცებული მივაჩერდი.

---

[16] იგულისხმება ნაციონალურ-სოციალისტური მოძრაობის ჰიმნი, რომლის ავტორია ჰორსტ-ვესელი.

- ღმერთო ჩემო, ჰელენ! ოღონდაც ეგ არ თქვა! - ვუთხარი ბოლოს. - არც კი იცი, უცხოეთში რა ხდება. ეს თამაში ნუ გგონია. იმის წარმოდგენაც კი ძნელია, იქ რა მოხდება, ომი თუ დაიწყო. ყველა გერმანელს ციხეში უკრავენ თავს.

რკინიგზის გადასასვლელთან გავჩერდით. დარაჯის სახლის წინ, პატარა ბაღში გეორგინები და ვარდები ყვაოდა. ქარი არფასავით არხევდა და აწკარუნებდა ღობეზე გაბმულ მავთულებს. გზაზე სხვა მანქანებიც გაჩერდნენ. ყველაზე წინ პატარა „ოპელი“ იდგა, რომელშიც ოთხი სქელი, დარბაისელი მამაკაცი იჯდა. მის უკან ღია, ორადგილიან მწვანე მანქანას კი ვიღაც ხანდაზმული ქალი მართავდა. მოულოდნელად ჩვენ გვერდით უხმოდ გაჩერდა შავი „მერსედესი“, კატაფალკს რომ ჰგავდა. საჭესთან ესესელის შავ უნიფორმაში გამოწყობილი მძღოლი იჯდა, უკანა სავარძელზე კი ორი ესესელი ოფიცერი მოჩანდა. სახეზე ორივეს მკვდრისფერი ედო. მანქანა ისე ახლოს იდგა ჩვენგან, რომ ხელს მივაწვდენდი. კარგა ხანს მოგვიხდა ლოდინი, სანამ მატარებელმა გაიარა. ჰელენი ჩუმად იჯდა ჩემ გვერდით და ხმას არ იღებდა. „მერსედესი“ ოდნავ წინ გაიჭრა და ლამის შლაგბაუმს შეეჯახა. იგი მართლაც ჰგავდა კატაფალკს, რომელსაც ორი ცოცხალი გვამი გადაჰყავდა. მე და ჰელენი სწორედ ომზე ვლაპარაკობდით და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ახლა მისი სიმბოლო წამოგვეწია. მას განასახიერებდნენ ეს შავუნიფორმიანები, მათი სახეები, გვამებს რომ მიუგავდათ, მოვერცხლისფრო თავები და სიჩუმე, რომელსაც უკვე ვარდების სუნი კი არა, მწარე გველის სუროს და სიმყრალის სუნი ასდიოდა.

მატარებელმა, ცხოვრებასავით, ხმაურით ჩაგვიქროლა. ჩქარ მატარებელში თვალი მოვკარი საძინებელ კუპეებს და გაკაშკაშებულ ვაგონ-რესტორანს, რომელშიც თეთრსუფრაგადაფარე-

ბული მაგიდები მოჩანდა. როგორც კი შლაგბაუმი გაიხსნა, „მერსედესმა“ ყველას გაუსწრო, სიბნელეში ტორპედოსავით გაიჭრა და ლანდშაფტს ისე უცვალა სახე, რომ მომეჩვენა, თითქოს ხეები უცებ შავ ჩონჩხებად გადაიქცა.

- შენთან ერთად მოვდივარ! - ჩურჩულით მითხრა ჰელენმა.

- რაო? რა თქვი?

- ვითომ, რატომ არ შეიძლება, რომ წამოვიდე?

ჰელენმა მანქანა გააჩერა. სიჩუმე უხმო დარტყმასავით დაგვატყდა თავს, მერე ღამეული ხმები ჩაგვესმა ყურში.

- ჰო, რატომ არ უნდა წამოვიდე შენთან ერთად? - გაიმეორა ჰელენმა უეცრად აღელვებული ხმით. - შენ რა, გინდა, ისევ წახვიდე და მიმატოვო?

მანქანის მკრთალ შუქში საშინლად გაფითრებული ჩანდა და სახეზე იმ სიკვდილის ნიშანი აღბეჭდოდა, ივნისის ღამით რომ დაგვტრიალებდა თავს. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ გამართლდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა: ომი თუ დაიწყებოდა, ერთმანეთს დავკარგავდით და ომის დამთავრების შემდეგაც ვეღარ შევხვდებოდით, რადგან დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, თვით ყველაზე თავდაჯერებულ ადამიანსაც კი არ შეიძლება ასეთი პირადი ბედნიერების იმედი ჰქონდეს.

- ჩემს წასაყვანად თუ არ ჩამოხვედი, მაშინ შენი ჩამოსვლით მხოლოდ დანაშაული ჩაიდინე. გესმის ეს თუ არა? - მითხრა სიბრაზისგან აკანკალებულმა ჰელენმა.

- ჰო, ამიტომ ჩამოვედი, - მივუგე მე.

- მაშინ ახლა უკან რატომ იხევ?

- უკან არ ვიხევ. მმაგრამ შენ არ გესმის, ეს ნაბიჯი რას ნიშნავს.

- შენ კი ზუსტად იცი, რას ნიშნავს? მაშინ, საერთოდ რატომ ჩამოხვედი? ახლა ტყუილებს მოეშვი და მითხარი, ერთხელ კიდევ გინდოდა ჩემთან დამშვიდობება?

- არა.

- მაშ, რა მიზანი გქონდა? აქ დარჩენას აპირებდი, რომ თვითმკვლელობით დაგემთავრებინა სიცოცხლე?

თავი გავაქნიე. მივხვდი, რომ მისთვის ახლა ერთადერთი გასაგები პასუხი არსებობდა და მეც სწორედ ეს პასუხი უნდა გამეცა, დაე, თუნდაც ჩემს ნათქვამს განხორციელება არ ეწერა. ჰო, ახლა ასე უნდა მოვქცეულიყავი.

- არა, ჰელენ! ჩამოვედი, რომ აქედან წაგიყვანო, - ვუთხარი მერე. - ნუთუ, აქამდე ვერ მიხვდი ამას?

ჰელენს სახე შეეცვალა, მრისხანება სადღაც გაქრა და იმწუთას საოცრად ლამაზი იყო.

- მართლა? - წაიჩურჩულა მან. - კი მაგრამ, ჩემთვის ხომ უნდა გეთქვა ეს? თუ ჯერ ვერ მიგიღია გადაწყვეტილება?

მთელი ჩემი გამბედაობა მოვიკრიბე და ვუთხარი:

- ათასჯერ მაინც დავაპირე შენთვის ამის თქმა, ჰელენ! ჰო, ყოველ წუთს მინდოდა მეთქვა, მაგრამ განა გამუდმებით ამის თქმა არ მინდა, როცა ვცდილობ, აგიხსნა, რომ ეს შეუძლებელია?

- შეუძლებელი სულაც არ არის. პასპორტი მაქვს.

ერთი წამით ენა ჩამივარდა. მისი სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა და თავზარი დამეცა.

- რა თქვი? პასპორტი გაქვს? საზღვარგარეთის პასპორტი გაქვს? - გავუმეორე ისევ.

ჰელენმა ხელჩანთა გახსნა, პასპორტი ამოიღო და მაჩვენა. მას პასპორტი ჰქონდა და თან წამოეღო. გამოვართვი და თვა-

ლიერება დავუწყე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გრაალის თასი[17] მეპყრა ხელთ. ეს მოქმედი პასპორტი ახლა კანონიერი უფლებების აღიარებას ნიშნავდა.

- პასპორტი როდიდან გაქვს? - ვკითხე ჰელენს.

- უკვე ორი წელია. სამი წლის ვადა კიდევ აქვს, - მითხრა მან. - ერთხელ ავსტრიაში წავედი, როცა ის ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იყო, მერე კი ორჯერ შვეიცარიაში ვიყავი.

პასპორტი გადავშალე და რეალობა უეცრად გაცხადდა ჩემ წინაშე: ჰელენს გერმანიიდან წასვლა შეეძლო. მე კი მეგონა, რომ ამისთვის ჩემსავით გაქცევა და საზღვარზე ჩუმად გადასვლა მოუხდებოდა.

- თურმე რა მარტივად ყოფილა საქმე, არა? - მითხრა ჰელენმა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია.

იდიოტივით დავუქნიე თავი.

- ესე იგი, შეგიძლია მატარებელში ჩაჯდე და უბრალოდ, წახვიდე აქედან, - ვუთხარი და პასპორტს ერთხელ კიდევ დავხედე. ასეთ რამეს ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

- კი მაგრამ, საფრანგეთის ვიზა რომ არა გაქვს? - ვკითხე მერე.

- ციურიხში ჩავალ და ვიზას იქ ავიღებ. შვეიცარიაში წასასვლელად ვიზა არ მჭირდება.

- მართალი ხარ, მაგრამ შენს ოჯახს რა პასუხს აძლევ? შენიანები მოგცემენ წასვლის უფლებას? - ვკითხე და ცნობისმოყვარედ მივაჩერდი.

---

[17] გრაალის თასი - შუა საუკუნეების თქმულების თანახმად, იდუმალი, სასწაულმოქმედი თასი, რომელიც ხილული მხოლოდ ხელდასხმულთათვის ხდება.

- ჩემიანებს არაფერს შევეკითხები და არც არაფერს გავაგებინებ. მმხოლოდ იმას ვეტყვი, რომ ციურიხში ჩემს ექიმთან მივდივარ. მასთან ადრეც ვყოფილვარ.

- ექიმთან რა გინდა, ავად ხარ?

- ცხადია, არა, - მითხრა ჰელენმა. - ასეთი ტყუილის თქმა პასპორტის ასაღებად მჭირდებოდა. აქედან როგორმე უნდა გამეღწია, თორემ უკვე სული მეხუთებოდა.

- მაშ ავად არა ხარ? - ვკითხე ისევ.

- რა სისულელეა! ასე ჩემიანებს ჰგონიათ. ამაში კი იმიტომ დავარწმუნე, რომ აქედან მშვიდად წავსულიყავი. ამ საქმეში მარტენსი დამეხმარა. თან ერთი პატრიოტი გერმანელის დარწმუნებაც დამჭირდა, რომ შვეიცარიაში არიან სპეციალისტები, რომლებმაც ბერლინის ავტორიტეტიან ექიმებზე უკეთ იციან თავისი საქმე, - თქვა ჰელენმა და მოულოდნელად გაიცინა. - კარგი რა! ყველაფერს ტრაგედიად ნუ აქცევ! საქმე სიკვდილ-- სიცოცხლეს ნამდვილად არ ეხება და არც ღამით ნისლსა და ქარში გავრბივარ არსად. ხვალ რამდენიმე დღით ციურიხში ჩავალ და ექიმს გავესინჯები, რომელთან ადრეც ვყოფილვარ. ამასობაში შენც თუ იქ ჩამოხვალ, იქნებ შევხვდეთ ერთმანეთს?! ასეთი ვარიანტი მოგწონს?

- ჰო, მომწონს. მაგრამ მოდი, გზა გავაგრძელოთ, - ვუთხარი მერე. - ჩემი თავი ის ადამიანი მგონია, რომელსაც ხან მდუღარე, ხანაც ყინულივით ცივ წყალში აყვინთებენ, ის კი ამ დროს განსხვავებას ვერ გრძნობს. აქამდე რატომ არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე? უეცრად ყველაფერი ისე მარტივად მეჩვენება, რომ არ გამიკვირდება, თუ მოულოდნელად ესესელთა რაზმი გამოვარდება ტყიდან.

- სასოწარკვეთილ ადამიანს ყველაფერი მარტივად ეჩვენება, ძვირფასო! - მითხრა ჰელენმა საოცრად ნაზი ხმით. - უცნაური კომპენსაციაა, არა? ნუთუ ყოველთვის ასე ხდება?

- იმედია, ამაზე ფიქრი აღარასდროს დაგვჭირდება.

მანქანა ზაფხულის მტვრიანი გზიდან შარაგზაზე გავიდა.

- მზად ვარ, ყოველთვის ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრო, - თქვა ჰელენმა ისე, რომ სახეზე სასოწარკვეთილების ნიშანწყალი რ ეტყობოდა.

მერე ჰელენი სასტუმროშიც შემომყვა. გაოცებული ვიყავი, რა სწრაფად უღებდა ალღოს ჩემს ახლანდელ სიტუაციას.

- სასტუმროს ჰოლში შემოგყვები, - მითხრა მან. - როცა მამაკაცი ქალთან ერთადაა, მასზე ნაკლებად მიაქვთ ეჭვი.

- რა სწრაფად ერკვევი ყველაფერში.

ჰელენმა თავი გააქნია.

- ეს ყველაფერი, ცილისწამებისა და დაბეზღების წლებში, შენს ჩამოსვლამდე ვისწავლე. ნაციონალური გრძნობების აღზევების დროს თითქოს მიწაზე გაფანტულ ქვებს აგროვებ... იმ ქვების ქვეშ საშინელი ქვეწარმავალი ბუდობს, რომელიც იქიდან გამოხოხდება, მერე კი თავის უხამსობას მაღალფარდოვანი სიტყვებით ნიღბავს.

სასტუმროს თანამშრომელს გასაღები გამოვართვი და ჩემს ოთახში ავედი. ჰელენი ქვევით დარჩა და ჰოლში მელოდებოდა.

ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ჩემი ჩემოდანი კართან იდგა. ასეთ ოთახებში ხშირად მიხდებოდა ცხოვრება. შევეცადე, გამეხსენებინა, როგორ მოვხვდი აქ, მაგრამ გონებაში უკვე ყველაფერი წაშლილიყო. მივხვდი, რომ ნაპირიდან აღარ გავყურებდი მდინარეს და აღარც ვიმალებოდი... ახლა ფიცარზე ვიდექი და ცურვით მივყვებოდი დინებას.

სახლიდან წამოღებული ჩემოდანი ადრე ნაყიდის გვერდით დავდგი და ჰელენთან ჩავედი.

- დრო კიდევ გაქვს? - ვკითხე მე.

- მანქანა ამაღამვე უნდა დავუბრუნო პატრონს.

ჰელენს შევხედე და უეცრად ისეთი სასურველი მომეჩვენა, რომ ერთი წამით ენა ჩამივარდა, მერე ჰოლს შევავლე თვალი, სადაც ყავისფერი და მწვანე სავარძლები, პორტიეს სკამი და წერილებისთვის განკუთვნილი, გაჩახჩახებული მაგიდა იდგა. მივხვდი, რომ ჰელენს ამ სიტუაციაში, ჩემს ოთახში ვერ ავიყვანდი.

- მაშინ, იქნებ სადმე გვევახშმა? - ვუთხარი მე. - მოდი, ისე მოვიქცეთ, თითქოს ხვალ ისევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

- ხვალ კი არა, ზეგ, - თქვა ჰელენმა.

ეს „ზეგ“, როგორც ჩანს, მისთვის რაღაცას ნიშნავდა. ჩემთვის კი „ზეგინდელი დღე“ იგივე იყო რაც „არასდროს“, ლატარიაში ფუჭი ბილეთებით თამაშს ნიშნავდა და მოგების შანსს გამორიცხავდა.

- ზეგ, ანუ ერთი დღით გვიან, არა? გააჩნია, რა ამინდი იქნება იმ დღეს. მოდი, ახლა ამაზე ნუ ვიფიქრებთ.

- არა, ახლა სხვა არაფერზე შემიძლია ფიქრი, - მომიგო ჰელენმა.

ტაძრის სარდაფში, ძველი გერმანული სტილის რესტორანში შევედით და მყუდრო ადგილი შევარჩიეთ, სადაც ჩვენს საუბარს ვერავინ მოისმენდა. ერთი ბოთლი ღვინო შევუკვეთე და მომავალ სამოქმედო გეგმაზე დავიწყეთ ლაპარაკი. მე ავსტრიაში წავიდოდი, იქიდან რაინზე გადავიდოდი, მერე, თუ ბედი გამიღიმებდა და ციურიხამდე ჩავაღწევდი, ჰელენს დავურეკავდი.

- რომ ვერ ჩამოხვიდე, მერე რა ვქნა? - მკითხა მან.

- შვეიცარიის საპატიმროებიდან წერილის მოწერა შეიძლება. ერთი კვირა დამელოდე და ჩემგან შეტყობინება თუ არ მოგივა, უკან დაბრუნდი.

ჰელენი მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და დაჟინებით მომაჩერდა. იმ დროისთვის გერმანიის საპატიმროებიდან წერილების გაგზავნა უკვე აკრძალული იყო.

- საზღვარზე ძალიან სიმკაცრეა? - მკითხა ჩურჩულით.

- მაგაზე ნუ იფიქრებ, - ვუთხარი მე. - აქეთ ხომ გადმოვედი? ჰოდა, იქით რატომ ვეღარ გადავალ?

ვცდილობდით, თავი ისე დაგვეჭირა, თითქოს განშორება არ გვანაღვლებდა, მაგრამ ვერ ვახერხებდით. იგი ურყევი, შავი სვეტივით აღმართულიყო ჩვენ შორის და მისი ჩრდილი დროდადრო გაკრთებოდა ხოლმე ჩვენს დაბნეულ სახეებზე.

- თითქოს ხუთი წლის წინანდელი ამბავი მეორდება, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ორივე მივდივართ, - ვუთხარი მე.

ჰელენმა თავი გააქნია.

- ფრთხილად იყავი! ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავი! - მითხრა მერე. - იქ ერთ კვირაზე მეტსაც დაგელოდები. რამდენსაც მეტყვი, იმდენ ხანს დაგელოდები, ოღონდაც რისკზე ნუ წახვალ.

ჰელენმა ხელზე დამადო ხელი.

- მხოლოდ ახლა გავაცნობიერე, რომ ჩამოხვედი. მხოლოდ ახლა. და, აი, ისევ მიდიხარ. რა გვიან მივხვდი ამას.

- ამას მეც მხოლოდ ახლა მივხვდი. მაგრამ კარგია, რომ ეს ახლა მაინც ვიცით.

- ასე გვიან რატომ მოხდა ეს? - წაიჩურჩულა ჰელენმა. - მხოლოდ ახლა რატომ მივხვდით ამას, როცა ისევ მიდიხარ?

- არა, მხოლოდ ახლა არ მივხვდით. ეს ჩვენ ყოველთვის ვიცოდით. ასე რომ არ ყოფილიყო, რატომ ჩამოვიდოდი აქ ან შენ რატომ დამელოდებოდი? ამის თქმა ერთმანეთისთვის პირველად მხოლოდ ახლა შევძელით.

- იცი, ყოველთვის არ გელოდებოდი, - მითხრა ჰელენმა.

გავჩუმდი. აარც მე ველოდებოდი ყოველთვის ჰელენს, მაგრამ ვიცოდი, რომ მისთვის ეს არასოდეს არ უნდა მეთქვა, მით უფრო, ახლა. ორივენი სრულიად გულწრფელები ვიყავით და თავის მართლება არ გვჭირდებოდა. ოდესმე ერთად თუ ვიცხოვრებდით, ეს მიუნსტერის ხმაურიან რესტორანში გატარებული საღამოს ის წუთი იყო, რომელთან დაბრუნებაც ორივეს ერთად, და თითოეულს ცალ-ცალკე, ყოველთვის შეგვეძლო, რათა მასში საკუთარი ძალის დადასტურება დაგვენახა. დიახ, ეს წუთი სარკე იყო, რომელშიც ჩავიხედავდით, მერე იგი ორ სურათს დაგვანახვებდა და გვიჩვენებდა, რას მოითხოვდა ჩვენგან განგება და რატომ მოგვექცა ასე. მთავარი სწორედ ეს არის. შეცდომებს ხომ ყოველთვის იმიტომ ვუშვებთ, რომ პირველი სურათის დანახვის უნარს ვკარგავთ ხოლმე.

- ახლა უნდა წახვიდე! - ვუთხარი ჰჰელენს. - ფრთხილად იყავი! ძალიან ჩქარა ნუ ივლი!

ჰელენს ტუჩები აუთრთოლდა. ეს სიტყვები ირონიას ჰგავდა და ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა უკვე წარმოვთქვი. ქარიან ქუჩაში, ძველ შენობებს შორის ვიდექით.

- ფრთხილად შენ უნდა იყო, - წამჩურჩულა ჰელენმა. - ახლა სიფრთხილე შენ უფრო გმართებს.

* * *

ერთხანს სასტუმროში დავრჩი, მაგრამ მერე გულმა ვეღარ მომითმინა, და სადგურში გავედი, მიუნხენამდე ბილეთი ვიყიდე და მატარებლების განრიგი ამოვიწერე. ერთ-ერთი მატარებელი იმავე საღამოს გადიოდა და წასვლა გადავწყვიტე.

ქქალაქი სიმშვიდეს მოეცვა. ტაძრის მოედანს ჩავუარე და გავჩერდი. სიბნელეში მხოლოდ ძველი შენობების ნაწილი მოჩანდა. ჰელენზე და ჩვენს მომავალზე ვფიქრობდი და ეს ძლიერი და უსასრულო გრძნობა მაგონებდა ტაძრის უზარმაზარ ფანჯრებს, ზემოდან ჩრდილი რომ ეცემოდა. უცებ დავეჭვდი, აღარ ვიცოდი სწორად ვიქცეოდი, ჰელენი რომ მიმყავდა, თუ ეს ორივეს დაღუპვას გვიქადდა? ვერ ვხვდებოდი, ჩემი თავქარიანობით დანაშაული ჩავიდინე, თუ საოცარი მოწყალება გავიღე? თუ ორივე ერთად?

სასტუმროს სიახლოვეს ჩუმი ლაპარაკი და ნაბიჯების ხმა მომესმა. მერე დავინახე, რომ შენობიდან ორმა ესესელმა ქუჩაში ვიღაც კაცი გამოათრია. ლამპიონის შუქზე კაცს გამხდარი, სანთელივით ფერმკრთალი სახე ჰქონდა და ტუჩების მარჯვენა კუთხიდან შავი სისხლი ჩამოსდიოდა ნიკაპზე. მმელოტი იყო, თუმცა საფეთქლებთან შავი თმა შემორჩენოდა. მის ფართო თვალებში ისეთი შემაძრწუნებული მზერა დავინახე, მსგავსი რომ არასდროს მინახავს. კაცი ხმას არ იღებდა. ესესელთა ბადრაგი კი ხელისკვრით მოათრევდა.

შემზარავი და დამთრგუნველი სანახაობა იყო. ესესელებმა გვერდით ჩამიარეს და მრისხანედდ და კუშტად შემომხედეს. პატიმარი სასოწარკვეთილი თვალებით მომაშტერდა და ტუჩების

მოძრაობით თითქოს მანიშნა, მიშველეო, თუმცა ხმა არ გაუღია. ამ მარადსაკაცობრიო სცენას ყოველთვის სამი მონაწილე ჰყავდა: მოძალადე, მსხვერპლი და მაყურებელი, რომელიც მსხვერპლს არ იცავს და მის დასახსნელად ხელსაც არ ანძრევს, რადგან საკუთარ ტყავს უფრთხილდება, არადა, სწორედ ამ ტყავს ექმნება ხოლმე ხშირად საფრთხე.

ახლაც ვიცოდი, რომ პატიმარს ვერაფრით ვუშველიდი, რადგან შეიარაღებული ესესელები ადვილად გამისწორდებოდნენ. მერე ჩემი ერთი ნაცნობის ნაამბობი გამახსენდა. ერთხელ თურმე შესწრებია, რომ ესესელს ვიღაც ებრაელი დაუჭერია და სასტიკად უცემია. ჩემი ნაცნობი ებრაელს გამოსარჩლებია და ესესელი ისე მიუბეგვავს, რომ გონება დაუკარგავს, ებრაელს კი თურმე მიაძახა, სასწრაფოდ გაიქეციო. მაგრამ მსხვერპლი, მადლობის მაგივრად, აღშფოთებულა და თავისი მხსნელი წყევლა-კრულვით აუკლია, ეს რა დღეში ჩამაგდე, ახლა უარესი დამემართებაო, მერე კი სლუკუნ-სლუკუნით წყლის მოსატანად გაქცეულა, რომ ნაცემი ესესელი მოესულიერებინა, რომელიც თავის მსხვერპლს მოგვიანებით საბოლოოდ მიასიკვდილებდა.

ეს ამბავი გამახსენდა, მაგრამ მაინც დაბნეული ვიდექი და საკუთარი თავი მძულდა იმის გამო, რომ ასეთი უმწეო და გულგრილიც კი ვიყავი, და, საკუთარ ბედზე ვფიქრობდი იმ დროს, როცა ჩემ თვალწინ ადამიანს კლავდნენ. ამის შემდეგ სასტუმროში შევბრუნდი, ბარგი წამოვიღე და სადგურში წავედი, თუმცა მატარებლის გასვლამდე კიდევ დიდი დრო იყო. ახლა სასტუმროში მალულად ყოფნას, რატომღაც სადგურის დარბაზში მოცდა მერჩივნა. მართალია, ამ დროს გარკვეულ რისკზე მივდიოდი, სამაგიეროდ, ამ გულუბრყვილო საქციელის წყალო-

ბით, ასე თუ ისე, საკუთარი ღირსების გრძნობა შევინარჩუნე და სულიერი წონასწორობა აღვიდგინე.

მეორე ნაწილი

8

მთელი ის ღამე და მეორე დღე მატარებლით ვიმგზავრე და ავსტრიაში ისე ჩავედი, რომ გზაში დაბრკოლება არ შემხვედრია. იქაური გაზეთები სავსე იყო ბრძანებებით, ახსნა--განმარტებებითა და საზღვარზე მომხდარი შემთხვევების შესახებ ცნობებით, რაც ყოველთვის უძღვის ხოლმე წინ ომის დაწყებას. გასაოცარი ის არის, რომ ამ დროს ძლიერი ქვეყნები აგრესიულობაში ყოველთვის სუსტ ქვეყნებს ადანაშაულებენ ხოლმე. ვხედავდი ჯარისკაცებით სავსე მატარებლებს, მაგრამ, ვისაც კი ვეკითხებოდი, ყველა მეუბნებოდა, ომი არ დაიწყებაო. ადამიანებს იმედი ჰქონდათ, რომ წინა წლის მიუნხენის ხელშეკრულებას ახალი მოჰყვებოდა, ხოლო ევროპა ისე იყო დაუძლურებული და მორალურად დაცემული, რომ გერმანიასთან ომის დაწყებას ვერ გაბედავდა. ამ მხრივ, სულ სხვა სიტუაცია იყო საფრანგეთში. იქ ნებისმიერი ადამიანი ფიქრობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. მაგრამ იმან, ვისაც ემუქრებიან, ყოველთვის თავდამსხმელზე უკეთ, თან მასზე უფრო ადრე იცის, თუ რა მოხდება.

ფელდკირხში ჩავედი და პატარა პანსიონში ოთახი ვიქირავე. ზაფხულის ტურისტული სეზონი იდგა და ყურადღებას ასე ადვილად არავინ მომაქცევდა, ორი ჩემოდნის წყალობით კი საკმაოდ დარბაისლურად გამოვიყურებოდი. გადავწყვიტე, ჩემოდნები პანსიონში დამეტოვებინა და თან იმდენი ბარგი წამეღო,

სიარულში ხელს რომ არ შემიშლიდა. აუცილებელი ნივთები ზურგჩანთაში ჩავალაგე, რადგან ვიფიქრე, რომ ასე უფრო არ მივიქცევდი ყურადღებას; ოთახში ერთი კვირის ფული გადავიხადე და მეორე დღეს გზას გავუდექი. შუაღამემდე საზღვართან ახლოს, კორომს შევაფარე თავი. მახსოვს, როგორ გამტანჯეს მაშინ კოღოებმა, როგორ ვაკვირდებოდი ლურჯ, ქოჩორა სალამანდრას, იქვე, პატარა ტბორის კამკამა წყალში რომ ცხოვრობდა და ჰაერის ჩასასუნთქად დროდადრო წყლიდან ამოხტებოდა ხოლმე. შევყურებდი ამ წითელ-ყვითელად შეფერადებულ არსებას და რატომღაც გავიფიქრე, რომ მისი სამყაროს საზღვრები წყლის ამ პატარა გუბეში მთავრდებოდა. აქაურობა მისთვის ერთდროულად შვეიცარიაც იყო, გერმანიაც, საფრანგეთიც, აფრიკაც და იოკოჰამაც, მოკლედ, ყველაფერი ერთად, სადაც ის წყალში, ზევით-ქვევით ლაღად ყვინთავდა და ჰარმონიულად ერწყმოდა საღამოს.

ცოტა ხანს წავუძინე და მერე წასასვლელად დავიწყე მზადება. ძალიან იმედიანად ვიყავი განწყობილი. მმაგრამ ათ წუთში, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩემ გვერდით მესაზღვრე გაჩნდა.

- სდექ! არ გაინძრე! ააქ რას აკეთებ?

როგორც ჩანს, სიბნელეში ჩასაფრებულიყო და კარგა ხანს მითვალთვალებდა. ჩემმა ახსნა-განმარტებამ, რომ ერთი უწყინარი ადამიანი ვიყავი და ამ ადგილებში დავსეირნობდი, არ გაჭრა.

- ამას ყველაფერს საბაჟოზე მოჰყვებით, - მითხრა, იარაღი მომიშვირა და მიბრძანა, წინ იარეო. მერე კი ისევ იმ გზით წამიყვანა, საიდანაც მოვედი. დათრგუნვილი და განადგურებული ვიყავი. ამ დროს ჩემი ტვინის მხოლოდ ერთი პატარა კუნჭული მუშაობდა ფხიზლად და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას

ლამობდა, თუმცა ვიცოდი, რომ ახლა ეს შეუძლებელი იყო. მესაზღვრემ მშვენივრად იცოდა თავისი საქმე და ჩვენ შორის საჭირო მანძილს ზუსტად იცავდა. ამიტომ, მოულოდნელად თავს ვერ დავესხმებოდი. ხუთი ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამდი, რომ მაშინვე მესროდა.

საგუშაგოზე რომ მივედით, პატარა ოთახის კარი გააღო და მითხრა:

- შედით და იქ მოიცადეთ!

- რამდენ ხანს მომიხდება ლოდინი? - ვკითხე მე.

- სანამ არ დაგკითხავენ!

- ხომ შეგიძლიათ, ახლავე დამკითხოთ? ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ აქ ჩამკეტოთ!

- მაშინ, მით უფრო არ გაქვთ აღელვების მიზეზი.

- არ ვღელავ. ახლავე დავიწყოთ და მკითხეთ, რაც გინდათ.

- დაკითხვას მაშინ დავიწყებთ, როცა ამას საჭიროდ ჩავთვლით! - მითხრა მესაზღვრემ და ქათქათა კბილები გამოაჩინა. გარეგნობა მონადირისა ჰქონდა, და როგორც ჩანს, იყო კიდეც.

- დილით მოვა თანამშრომელი, რომელსაც ეს საქმე ეხება. მანამდე კი შეგიძლიათ, აი, იმ სავარძელზე დაიძინოთ, გათენებამდე რამდენიმე საათიღა დარჩა. ჰაილ ჰიტლერ!

ოთახს გისოსებიანი ფანჯრები ჰქონდა, რკინის კარი კი გარედან იყო ჩაკეტილი. თანაც, იქვე ახლოს ხალხი უნდა ყოფილიყო, რადგან ლაპარაკი მესმოდა. ამიტომ გაქცევით ვერსად გავიქცეოდი. დავჯექი და ლოდინი დავიწყე. ვიცოდი, რომ ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი. ბოლოს, ჯერ მტრედისფრად ინათა, მერე ლურჯი ცაც დავინახე და მივხვდი, რომ გათენებულიყო. მალე ისევ ლაპარაკის ხმა შემომესმა და ყავის სუნი ვიგრძენი. ოთახში ახლა უკვე მებაჟე შემოვიდა. თავი ისე მოვაჩვენე, ვი-

თომ ეს-ესაა გავიღვიძე და ვამთქნარებდი. ჩასუქებულ მებაჟეს ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა და გუშინდელ მესაზღვრეზე ლმობიერი ჩანდა.

- როგორც იქნა, მოხვედით! აქ ძილი საშინლად მოუხერხებელია! - ვუთხარი მე.

- საზღვართან რა გინდოდათ? - მკითხა და ჩემი ზურგჩანთა გახსნა. - გაქცევას აპირებდით თუ კონტრაბანდას ეწევით?

- იცით, არასოდეს მსმენია, ვინმე ნახმარი შარვლებით და პერანგებით კონტრაბანდას ეწეოდეს, - მივუგე მე.

- ძალიან კარგი. მაშინ მითხარით, შუაღამისას საზღვართან რა გინდოდათ?

მებაჟემ ჩემი ზურგჩანთა გვერდზე გადადო. უეცრად გამახსენდა, რომ უბეში ფული მედო, და, თუ იპოვიდა, დავიღუპებოდი. მერე იმედი მომეცა, რომ ჩემს ჩხრეკას აღარ გააგრძელებდა.

- მინდოდა, ღამით რაინის ყურებით დავმტკბარიყავი, - ვუთხარი ღიმილით. - ტურისტი ვარ და თანაც რომანტიკოსი.

- საიდან მოდიხართ?

ჩემი პანსიონი და ის ადგილი დავუსახელე, საიდანაც მოვედი.

- დღეს დილით უკან ვაპირებდი დაბრუნებას, - ვუთხარი მერე. - ჩემოდნები იქ მაქვს დატოვებული და ერთი კვირის ბინის ქირაც წინასწარ გადავიხადე. ამიტომ, როგორ შეგიძლიათ იმის თქმა, რომ კონტრაბანდას ვეწევი?

- კი ბატონო, ამას სულ მალე გავარკვევთ, - მითხრა მან. - ერთ საათში გამოგივლით. ერთად წავალთ და ადგილზე ვნახავთ, რა გაქვთ იმ ჩემოდნებში!

* * *

საკმაოდ გრძელი გზა გავიარეთ. ჩასუქებულ მებაჟესაც ნაგაზივით მოდარაჯე თვალი ჰქონდა. თავის ველოსიპედს გვერდით მოარახრახებდა და სიგარეტს ეწეოდა. ბოლოს ადგილზე მივედით.

- აი, როგორც იქნა, მოვიდა! - დაიძახა ვიღაცამ პანსიონის ფანჯრიდან. პანსიონის დიასახლისი მაშინვე ჩვენთან გაჩნდა. მღელვარებისგან კიბორჩხალასავით გაწითლებულიყო.

- ღმერთო ჩემო! უუკვე ისიც ვიფიქრე, რომ რაღაც შეგემთხვათ. კი მაგრამ, მთელი ღამე სად იყავით? - მკითხა მან.

დიასახლისს დილით ჩემი გასწორებული ლოგინი უნახავს, მიმხვდარა, რომ ღამე პანსიონში არ ვყოფილვარ და ეგონა, რომ მომკლეს. თანაც დასძინა, ამ მიდამოებში ვიღაც დაძრწის და რამდენიმე ადამიანი უკვე დააყაჩაღა, ამიტომ პოლიცია გამოვიძახეო. ქალს პანსიონიდან მართლაც გამოჰყვა პოლიციელი, რომელიც ასევე, მონადირეს ჰგავდა.

- გზა ამებნა, - ვუთხარი, რაც შეიძლებოდა მშვიდი ხმით. - თანაც ისეთი მშვენიერი ღამე იყო. ბავშვობის შემდეგ პირველად მეძინა ღია ცის ქვეშ. რომ იცოდეთ, რა სიამოვნება განვიცადე! ვწუხვარ, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ არ ვიცოდი, საზღვართან ასე ახლოს თუ აღმოვჩნდებოდი. გთხოვთ, მებაჟეს უთხრათ, რომ აქ ვცხოვრობ.

პანსიონის დიასახლისმა ჩემი ნათქვამი დაადასტურა და მებაჟემ განაცხადა, რომ ჩემთან შეკითხვები აღარ ჰქონდა. მაგრამ უეცრად ჩემი პიროვნებით პოლიციელი დაინტერესდა.

- კი მაგრამ, საიდან მოდიოდით? საზღვართან რა გინდოდათ? საბუთები თუ გაქვთ და საერთოდ, ვინ ხართ? - მკითხა მან.

ერთი წამით სუნთქვა შემეკრა. ჰელენის გამოტანებული ფული უბეში მედო. ამ ფულს თუ მიპოვიდნენ, იფიქრებდნენ, რომ შვეიცარიაში ვაპირებდი გადატანას და მაშინვე დამაპატიმრებდნენ. მერე რაც მოხდებოდა, ამას მარჩიელობა აღარ სჭირდებოდა.

ჩემი ვინაობა ვუთხარი, მაგრამ პასპორტის ჩვენებას ჯერ არ ვაპირებდი. გერმანელებს და ავსტრიელებს თავიანთ ქვეყანაში მისი წარდგენა არ ევალებათ.

- ვინ დაგიდგებათ თავდებად, რომ ის ბოროტმოქმედი არა ხართ, ახლა რომ დავეძებთ? - მითხრა პოლიციელმა, მონადირე რომ მეგონა.

გამეცინა.

- აქ სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, - თქვა გაბრაზებულმა და მებაჟესთან ერთად ჩემი ჩემოდნების ჩხრეკას შეუდგა.

თავი ისე მეჭირა, თითქოს ეს ყველაფერი სასაცილოდ არ მყოფნიდა, თუმცა გული მისკდებოდა, არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა, რატომ მქონდა ამდენი ფული. ბოლოს გადავწყვიტე, მეთქვა, ამ მხარეში დასახლებას და ამ ფულით, მიწის ნაკვეთის ყიდვას ვაპირებ-მეთქი.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პოლიციელმა ერთ-ერთი ჩემოდნის გვერდით ჯიბეში, რაღაც წერილი აღმოაჩინა. ამ ჩემოდანში ჩემი ნივთები ჰელენმა ოსნაბრიუკში ჩაალაგა და იქიდან წამოიღო. პოლიციელმა წერილი გახსნა და კითხვა დაიწყო. დაძაბული შევყურებდი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, რა წერილი იყო ეს. ვიფიქრე, რაღაც ძველი, უმნიშვნელო წერილია-მეთქი.

პოლიციელმა რაღაც ჩაიდუდღუნა და ამომხედა.

- იოზეფ შვარცი ბრძანდებით? - მკითხა მერე.

თავი დავუქნიე.

- კი მაგრამ, მაშინვე რატომ არ გვითხარით, ვინ ხართ?

- ეს ადრევე გითხარით, - მივუგე და შევეცადე წერილის შტამპი დამენახა, რომ მივმხვდარიყავი, რა წერილი იყო.

- მართალს ამბობს, მითხრა, ვინც არის, - დაადასტურა ჩემი ნათქვამი მებაჟემ.

- მაშ, ამ წერილში თქვენზეა ლაპარაკი? - მკითხა პოლიციელმა.

ხელი გავუწოდე, რომ წერილი გამომერთმია, შეყოყმანდა, მაგრამ მერე მაინც მომაწოდა. ახლა უკვე დავინახე შტამპი, რომელზეც ოსნაბრიუკის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მისამართი იყო აღნიშნული. წერილში კი წავიკითხე, რომ ოსნაბრიუკის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს თხოვნით მიმართავდა, ჩვენი პარტიის წევრს, იოზეფ შვარცს მნიშვნელოვანი საიდუმლო დავალების შესრულებისას ყველანაირად ხელი შეუწყვეთო. წერილს ობერშტურმანფიურერი გეორგ იურგენსი აწერდა ხელს, არადა ჰელენის ხელწერა ვიცანი.

წერილი ხელში მეჭირა.

- მართალია, რაც მანდ წერია? - უკვე აშკარა პატივისცემით მკითხა პოლიციელმა.

ამჯერად პასპორტი ამოვიღე და ჩემი ვინაობა დავუდასტურე.

- სახელმწიფო საიდუმლოებაა, - ვუთხარი მე.

- ასე ჯიუტად ამიტომ დუმდით?

- დიახ, სწორედ ამიტომ, - მივუგე სერიოზულად და წერილი ჯიბეში ჩავიდე. - იმედია, ამას დასჯერდებით?

- რა თქმა უნდა, - მითხრა პოლიციელმა და ცისფერი თვალები მოჭუტა. - გასაგებია, ესე იგი საზღვარს აკონტროლებთ.

პროტესტის ნიშნად ხელი ავწიე.

- გთხოვთ, ამაზე სიტყვა აღარ დაძრათ. ეს საიდუმლო დავალებაა. ამიტომაც არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი. თქვენ კი მაინც გამოჩხრიკეთ ეს საქმე. პპარტიის წევრი ხართ?

- რა თქმა უნდა, - მითხრა პოლიციელმა. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ წითური იყო.

- ყოჩაღ! ნნამდვილად ორივე იმსახურებთ, რომ ასეთი თავდადებისთვის თითო ჭიქა ღვინით გაგიმასპინძლდეთ, - ვუთხარი და გაოფლიანებულ მხარზე დავკარი ხელი.

შვარცმა ნაღვლიანად გაიღიმა.

- მართლა საოცარია! რა ადვილად შეიძლება ზოგჯერ გააცურო ადამიანები, რომელთა პროფესიის უმთავრესი ამოცანა უნდობლობა უნდა იყოს. ასეთი რამ თუ გამოგიცდიათ?

- დიახ, გამომიცდია, ოღონდ საბუთების დახმარებით, - ვუპაუხე მე. - მაგრამ ნამდვილად ქების ღირსია თქვენი ცოლი, რომელსაც გულმა უგრძნო, რომ ასეთი წერილი დაგჭირდებოდათ.

- ჰელენმა, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ წერილის წამოღებაზე არ დავთანხმდებოდი ან მორალური მოსაზრებით, ან იმის გამო, რომ მისი წამოღება სახიფათოდ მომეჩვენებოდა. უმთავრესად კი, ნამდვილად ამ უკანასკნელი მიზეზის გამო. წერილი კი, როგორც აღმოჩნდა, თურმე მაინც წამომიღია და სწორედ ამან გადამარჩინა.

შვარცის ნაამბობს სულ უფრო მეტი ინტერესით ვუსმენდი. მერე, შემთხვევით უკან მივიხედე და დავინახე, რომ ინგლისელი და გერმანელი დიპლომატები ფოქსტროტს ცეკვავდნენ. ინგლი-

სელი შესანიშნავად ცეკვავდა, გერმანელს კი დარბაზი აშკარად ეპატარავებოდა, საშინლად აგრესიულად იქცეოდა და ისეთი გაბოროტებული იყო, რომ თავის მანდილოსანს აქეთ-იქით უსულო საგანივით დაათრევდა. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ ეს ნახევრად განათებული დარბაზი ჭადრაკის დაფა იყო და მისი ფიგურები უეცრად გაცოცხლდნენ. ვხედავდი, გერმანელი და ინგლისელი მეფეები დროდადრო სახიფათოდ რომ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ინგლისელი ყოველთვის ოსტატურად არიდებდა თავს.

- მერე რა მოხდა? - ვკითხე შვარცს.

- სრულიად ღონემიხდილი ავედი ჩემს ოთახში. ახლა უნდა დავმშვიდებულიყავი და რამე მომეფიქრებინა, - მითხრა მან. - ჰელენმა ისე გაუთვალისწინებლად მიხსნა, რომ ეს შემთხვევა ჩემთვის თითქოს Deus ex machina ანუ ის თეატრალური ტრიუკი იყო, რომლის დროსაც, საოცრად ჩახლართულ ამბავს, ჩვენდა გასაოცრად, მოულოდნელად კეთილი ბოლო აქვს ხოლმე. მაგრამ ახლა სასწრაფოდ უნდა გავცლოდი აქაურობას, სანამ პოლიციელი ისევ მოინდომებდა ჩემთან ლაპარაკს ან კიდევ რამეს მოიფიქრებდა. გადავწყვიტე, ბედს მივნდობოდი, რაკი ჯერ კიდევ მწყალობდა. გავიგე, რომ უახლოესი სწრაფი მატარებელი შვეიცარიაში ერთ საათში გადიოდა. პანსიონის დიასახლისს ვუთხარი, ციურიხში მივდივარ, ერთ ჩემოდანს აქ ვტოვებ და სანამ რამდენიმე დღეში უკან დავბრუნდები, შეგიძლიათ, ჩემი ოთახი ახალ მდგმურს მიაქირაოთ-მეთქი. მერე კი სადგურში წავედი. იცით, რას განიცდის ადამიანი, როდესაც უეცრად უარს ამბობს სიფრთხილეზე, წლების განმავლობაში გულმოდგინედ რომ იცავდა?

- რა თქმა უნდა, ვიცი, - მივუგე მე. - მაგრამ ამ დროს ხშირად ვცდებით ხოლმე, და რატომღაც გვგონია, რომ განგება ვალდებულია, თავის დაძვრენის საშუალება მოგვცეს. ნურას უკაცრავად. აასე არ ხდება.

- მართალია, მაგრამ დროთა განმავლობაში აღარ უნდა ენდო ნაცად მეთოდებს და რამე ახალი უნდა მოიფიქრო. ჰელენს უნდოდა, საზღვარზე ერთად გადავსულიყავით, მაგრამ ამაზე არ დავთანხმდი და მისი გამჭრიახობა რომ არა, ნამდვილად დავიღუპებოდი... ჰოდა, ვიფიქრე, ამჯერად ისე მოვქცეულიყავი, როგორც მან მირჩია.

- ასეც მოიქეცით?

შვარცმა თავი დააქნია.

- მდიდარი ადამიანი ყოველთვის მეტ ნდობას იმსახურებს, ამიტომ პირველი კლასის ბილეთი ავიღე. მატარებელი რომ დაიძრა, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ თან ამდენი ფული მიმქონდა. ვიფიქრე, სადმე დავმალავ-მეთქი, მაგრამ კუპეში მარტო არ ვიყავი. ჩემთან ერთად ვიღაც ფერმკრთალი კაცი მგზავრობდა, რომელიც, რატომღაც ძალიან ნერვიულობდა. მერე ტუალეტში გავედი, მაგრამ ორივე დაკავებული იყო. ამასობაში მატარებელი სასაზღვრო სადგურს უახლოვდებოდა. ინსტინქტურად ვაგონ-რესტორანში შევედი, მაგიდასთან დავჯექი და ძვირად ღირებული ღვინო და მენიუ მოვითხოვე.

- ბატონო ჩემო, ბარგი არა გაქვთ? - მკითხა მიმტანმა.

- კი მაქვს. პირველი კლასის ვაგონში დავტოვე.

- მაშინ, იქნებ ჯერ საბაჟო კონტროლი გაგევლოთ? შემიძლია, ეს ადგილი შეგინახოთ.

- არა, შემოწმებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ რამე საჭმელი მომიტანეთ, ძალიან მშია. ჰო, მოდი, ახლავე გა-

დავიხდი, რომ არ გეგონოთ, თითქოს ფულის გადახდა არ მინდა და გაქცევას ვაპირებ.

მაგრამ ჩემი იმედი, რომ ვაგონ-რესტორანში მესაზღვრეების ყურადღებას არ მივიქცევდი, არ გამართლდა. ის-ის იყო, მიმტანმა ღვინო და წვნიანი მომიტანა, რომ ვაგონ-რესტორანში ორი უნიფორმიანი მესაზღვრე შემოვიდა. ფული სასწრაფოდ ამოვიღე და მაგიდაზე სუფრის ქვეშ შევმალე, ჰელენის წერილი კი პასპორტში ჩავიდე.

- პასპორტი წარმოადგინეთ! - მითხრა ერთ-ერთმა მესაზღვრემ მკაცრად.

პასპორტი მივეცი.

- ბარგი თუ გაქვთ? - მკითხა, სანამ პასპორტს გადაშლიდა.

- მხოლოდ ერთი ხელჩანთა მაქვს პირველი კლასის ვაგონში დატოვებული.

- უნდა შევამოწმოთ, - ყთქვა მეორემ.

- ეს ადგილი შემინახეთ! - ვუთხარი მიმტანს და ავდექი.

- რა თქმა უნდა, შეგინახავთ! ამ ბატონმა ფული უკვე გადაიხადა.

პირველმა მესაზღვრემ შემომხედა.

- თქვენ რა, ფული წინასწარ გადაიხადეთ?

- დიახ. ვიცოდი, რომ საზღვარზე გადასვლის შემდეგ ვერაფერს შევჭამდი და ღვინოსაც ვერ დავლევდი. იქ ყველაფერი ვალუტაზე იყიდება, რომელიც მე არა მაქვს.

მესაზღვრეს რატომღაც გაეცინა.

- ნამდვილად კარგი აზრია, - თქვა მეორემ. - მიკვირს, ასეთი ჭკვიანური აზრები ადამიანებს იშვიათად მოსდით ხოლმე თავში. წინ გაგვიძეხით! ახლა თქვენი ვაგონიც უნდა შევამოწმოთ.

- ჩემს პასპორტს არ დამიბრუნებთ?

- ნუ ღელავთ, დაგიბრუნებთ.

ვაგონში გავედი. ჩემი თანამგზავრი კუპეში იჯდა და კიდევ უფრო აღელვებული ჩანდა, ოფლად იღვრებოდა და ხელ-პირს სველი ცხვირსახოცით იწმენდდა. სადგურს გავხედე და ფანჯარა გავაღე. ვიცოდი, თუ ჩამავლებდნენ, აქედან გადახტომას და გაქცევას აზრი არ ჰქონდა, თუმცა ღია ფანჯრის დანახვამ ოდნავ დამამშვიდა.

მერე დავინახე, რომ კარში უკვე მებაჟე იდგა.

- თქვენი ბარგი მაჩვენეთ! - მითხრა მან.

ჩემოდანი ჩამოვიღე და გავხსენი.

მებაჟემ ერთი ჩაიხედა და ჩემი თანამგზავრის ჩემოდნის ჩხრეკას შეუდგა.

- ესეც ასე! - თქვა მან ბოლოს და წასასვლელად მოემზადა.

- კი მაგრამ, პასპორტს არ დამიბრუნებთ? - ვკითხე მე.

- თქვენი პასპორტი ჩემს კოლეგას აქვს.

მისი კოლეგაც მაშინვე გამოჩნდა. ეს უკვე სხვა მესაზღვრე იყო. ამ გამხდარ, სათვალიან ტიპს პარტიის უნიფორმა და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, - თქვა შვარცმა და გაიღიმა. - როგორ უყვართ გერმანელებს ჩექმები, არა?

- ჩექმები ძალიანაც სჭირდებათ, რადგან სულ მუდამ ქაქში დააბოტებენ! - ვუთხარი მე.

შვარცმა ღვინის ჭიქა გამოცალა. მთელი ღამის განმავლობაში ძალიან ცოტა დალია. მერე დაინახა, რომ საათზე დავიხედე: ღამის ოთხის ნახევარი იყო.

- თავს დიდხანს აღარ შეგაწყენთ, - მითხრა მან. - საკმარისი დრო გექნებათ, რომ გემის გასვლის შესახებაც შეიტყოთ და სხვა საქმეებიც მოაგვაროთ. ახლა იმ დღეებზე მინდა გიამბოთ,

ბედნიერი რომ ვიყავი. ისე, ბედნიერებაზე ბევრს ვერაფერს მოჰ-ყვება კაცი.

- იმ სიტუაციას როგორ დააღწიეთ თავი? - ვკითხე მე.

- პარტიის ერთგულმა მესაზღვრემ ჰელენის წერილი წაიკით-ხა, პასპორტი დამიბრუნა და მკითხა, შვეიცარიაში ნაცნობები თუ გყავთო?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- ვის იცნობთ იქ?

- ბატონ ამერს და ბატონ როტენბერგს!

ეს ორი ნაცისტი შვეიცარიაში მუშაობდა, ამიტომ იქაური ემიგრანტები მათ კარგად იცნობდნენ და ჭირის დღესავით სძულდათ ისინი.

- კიდევ გყავთ იქ ვინმე ნაცნობი?

- დიახ, ვიცნობ უფროსობას ბერნში, ალბათ ყველას ჩამოთ-ვლა საჭირო არ არის. ასეა ხომ?

- ბედნიერებას გისურვებთ! ჰაილ ჰიტლერ! - შესძახა მან ბო-ლოს.

ჩემი თანამგზავრი საცოდავი სანახავი იყო. მესაზღვრეებს ყველა საბუთი რომ წარუდგინა, სერიოზული დაკითხვა მოუწ-ყვეს. საბრალოს, ჭირის ოფლი ასხამდა და ენა ებმოდა. მის ტან-ჯვას ვეღარ გავუძელი და მებაჟეს ვკითხე, შეიძლება ისევ ვაგონ-რესტორანში გავიდე-მეთქი?

- კი ბატონო, მიბრძანდით და გემრიელად მიირთვით, - მით-ხრა მან.

ვაგონ-რესტორანში უამრავი ხალხი იყო. ჩემს მაგიდასთან კი ამერიკელები დამსხდარიყვნენ

- ადგილი რატომ არ შემინახეთ? - ვკითხე მიმტანს.

მან მხრები აიჩეჩა.

- ვერ მოვახერხე. ამ ამერიკელებთან ვერაფერს გახდება კაცი. გერმანული არ ესმით, და სადაც მოეპრიანებათ, იქ სხდებიან. აი, იმ მაგიდასთან დაბრძანდით, რა მნიშვნელობა აქვს, ადგილი ადგილია. თქვენი ღვინოც იქ დავდგი.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჩემს მაგიდასთან ოთხი ადგილი ამერიკელების ოჯახს დაეკავებინა. იქ, სადაც სუფრის ქვეშ ფული დავდე, ახლა ფოტოაპარატით შეიარაღებული, თექვსმეტიოდე წლის, მშვენიერი გოგონა იჯდა. ჩემი ადგილის დაბრუნება რომ მომეთხოვა, ყველას ყურადღებას მივიპყრობდი, არადა, ჯერ კიდევ გერმანიის ტერიტორიაზე ვიყავით. მიმტანმა დაინახა, რომ სხვაგან დაჯდომა ვერ გადამეწყვიტა და მითხრა:

- ბატონო ჩემო! რატომ არ გინდათ, სხვა მაგიდასთან დაჯდეთ, თქვენი ადგილი რომ გათავისუფლდება, ისევ იქ გადაჯდებით. ამერიკელები ძალიან სწრაფად ჭამენ. ბუტერბროდს ფორთოხლის წვენს დააყოლებენ და მორჩა. მერე შემიძლია რამე გემრიელი კერძიც მოგართვათ.

- კეთილი, დაე ასე იყოს.

მაგიდასთან ისე დავჯექი, რომ ჩემი ფულისთვის თვალყური მედევნებინა. რა საოცარია, არა? ცოტა ხნის წინ მზად ვიყავი, ეს ფული გადამეყარა, ოღონდ ხიფათისგან თავი დამეხსნა, ახლა კი ვიჯექი და იმაზე ვფიქრობდი, რომ შვეიცარიაში ფული დამჭირდებოდა, და თუნდაც ამერიკელების ოჯახზე იერიშის ფასად, ფული უკან უნდა დამებრუნებინა. ამ დროს ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, რომ ის ოფლად გაღვრილი, ჩია კაცი მესაზღვრეებს მიჰყავდათ, და, ჩემდა უნებურად, ღრმა კმაყოფილება ვიგრძენი, რომ მის ადგილას მე არ ვიყავი. ამ გრძნობას მერე ის ყალბი სინანულიც დაერთო, როცა განგების გულის მოგებას იაფფასიანი თანაგრძნობით ცდილობ. თავს საშინლად

ვგრძნობდი, თუმცა ეს დიდად არ მადარდებდა; ახლა მხოლოდ თავის გადარჩენაზე და ჩემს ფულზე ვფიქრობდი, რადგან ეს მხოლოდ ფული არ იყო და ჩემი და ჰელენის მომავალთან იყო დაკავშირებული. და მაინც, ეს ფული ჩემი ტყავის გადარჩენას და საკუთარ, ეგოისტურ ბედნიერებას ნიშნავდა. ამისგან თავის დაღწევას ვერასოდეს ვახერხებთ. ამიტომ, ჩვენში ჩაბუდებული ის „ვიღაც“, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, მსახიობებს უნდა გადავულოცოთ...

- ბატონო შვარც, - გავაწყვეტინე სიტყვა, - ბოლოს და ბოლოს, რა ბედი ეწია იმ თქვენს ფულს?

- მართალი ხართ! - თქვა მან. - ეს სულელური ენამჭევრობაც ხომ მაგისთვის დამჭირდა?! ვაგონ-რესტორანში შვეიცარიელი მებაჟეები შემოვიდნენ და აღმოჩნდა, რომ ამერიკელების ოჯახს ხელბარგის გარდა, კუპეში ჩემოდნებიც დაეტოვებინათ. ოჯახის უფროსები იძულებულები გახდნენ, მებაჟეებს გაჰყოლოდნენ, და რაკი ჭამა ბავშვებსაც დაემთავრებინათ, ისინიც გაჰყვნენ. ჩემი მაგიდა რომ აალაგეს, ავდექი და მივედი, მერე სუფრას გადავუსვი ხელი და ვიგრძენი, რომ ერთ ადგილას ამობურცული იყო.

- მებაჟეებთან საქმე უკვე მოაგვარეთ? - მკითხა მიმტანმა და ჩემი ღვინის ბოთლი ისევ მაგიდაზე დამიდგა.

- დიახ, მოვაგვარე, - მივუგე მე. - ახლა კი შემწვარი ხორცი მომიტანეთ! უკვე შვეიცარიაში ვართ?

- ცოტა ხანში ვიქნებით.

მიმტანი წავიდა. ერთი სული მქონდა, მატარებელი როდის დაიძვრებოდა. ასეთი საშინელი, მშფოთვარე მოუთმენლობა ალბათ თქვენც გამოგიცდიათ? ფანჯრიდან ბაქანზე ხალხს ვაკვირდებოდი. სმოკინგსა და მოკლე შარვალში გამოწყობილი ჯუ-

ჯა ტყავიდან ძვრებოდა, რომ ნიკელის ურიკით გამოტანილი „გუმპოლდსკირხული“ ღვინო და შოკოლადები გაესაღებინა. მერე ჩემი თანამგზავრი, გაოფლილი ჩია კაცი დავინახე, მატარებლისკენ მარტო რომ მორბოდა.

- რა მაგარი ყოფილხართ! - მითხრა მიმტანმა და ჩემს მაგიდასთან გაჩერდა.

- რას გულისხმობთ?

- ბატონო ჩემო, არა მგონია, ღვინის სმაში ბადალი გყავდეთ.

ბოთლს შევხედე და ვერ მივხვდი, როდის მოვასწარი მისი გამოცლა.

ამ დროს ვაგონ-რესტორანი შეჯანჯღარდა, ბოთლი გადაყირავდა და ხელი რომ არ შემეშველებინა, ძირს დაენარცხებოდა. მატარებელი დაიძრა.

- ერთი ბოთლი ღვინო კიდევ მომიტანეთ! - ვუთხარი მიმტანს. როგორც კი წავიდა, ფული სუფრიდან გამოვაძვრინე და ჯიბეში ჩავიდე. მალე ამერიკელები დაბრუნდნენ, სხვა მაგიდასთან დასხდნენ და ყავა შეუკვეთეს. გოგონამ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და პეიზაჟის გადაღება დაიწყო. გუნებაში საქციელი მოვუწონე, რადგან ასეთი მშვენიერი ბუნება ამქვეყნად არსად მეგულებოდა.

მიმტანმა მაგიდაზე ღვინის ახალი ბოთლი დამიდგა.

- აი, ახლა კი უკვე შვეიცარიაში ვართ, - მითხრა მერე.

ღვინის ფული გადავუხადე და გულუხვადაც დავასაჩუქრე.

- ეს ღვინო თქვენთვის დაიტოვეთ, დალევა აღარ მინდა. საზეიმო განწყობა მქონდა, მაგრამ ვატყობ, ის ერთი ბოთლიც ზედმეტი მომივიდა! - ვუთხარი მიმტანს.

- ბატონო ჩემო! ეს იმის ბრალია, რომ ღვინოს ცარიელ კუჭზე სვამდით! - ამიხსნა მან.

- ჰო, ალბათ ამის ბრალია, - ვუთხარი და ფეხზე წამოვდექი.
- დაბადების დღე ხომ არა გაქვთ? - მკითხა მიმტანმა.
- იუბილეს ვზეიმობ! დღეს ჩემი ოქროს იუბილეა! - მივუგე მე.

* * *

ჩემი ჩია თანამგზავრი ერთხანს უხმოდ იჯდა კუპეში. ოფლი აღარ ჩამოსდიოდა სახეზე, თუმცა პიჯაკი და პერანგი აშკარად სველი ჰქონდა.

- უკვე შვეიცარიაში ვართ? - მკითხა მან.

- დიახ, - მივუგე მე.

ამის შემდეგ ისევ დადუმდა და ფანჯარაში დაიწყო ყურება.

მატარებელი შვეიცარიის რომელიღაც სადგურში გაჩერდა. რკინიგზის მოხელემ ბაქნიდან ხელი დაგვიქნია. ორი პოლიციელი ბარგის გადმოტვირთვას ადევნებდა თვალს და თან ერთმანეთთან საუბრობდა. ჯიხურში შვეიცარიული შოკოლადი და ძეხვი იყიდებოდა. ჩია კაცი ფანჯრიდან გადაიხარა და შვეიცარიული გაზეთი იყიდა.

- უკვე შვეიცარიაში ვართ? - ჰკითხა მან გაზეთის გამყიდველ ბიჭს.

- თქვენი აზრით, აბა, სად უნდა ვიყოთ! ათი რაპენი გადაიხადეთ!

- რა თქვი?

- გაზეთი ათი რაპენი ანუ ათი სანტიმი[18] ღირს, - მიუგო ბიჭმა.

ჩია კაცმა ფული გადაიხადა და ამ დროს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს, ლატარიაში უზარმაზარი თანხა მოეგოს. მე, რომ ვუთხარი, უკვე შვეიცარიაში ვართ-მეთქი, არ დამიჯერა, უცხო ფულის ხსენებაზე კი, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა ამაში. მერე

---

[18] რაპენი ანუ სანტიმი - შვეიცარიული ხურდა ფული.

გაზეთი გაშალა, თვალი გადაავლო და გვერდზე გადადო. ახლად მოპოვებული თავისუფლებით ისე ვიყავი გაოგნებული, რომ თურმე ეს ჩია კაცი რაღაცას მეუბნებოდა, მე კი მისი სიტყვები არ მესმოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მატარებლის ბორბლები თავში მირახრახებდა. მერე დავინახე, რომ ჩემი თანამგზავრი ტუჩებს ამოძრავებდა და მივხვდი, რომ მე მომმართავდა:

- ბატონო პარტიულო ამხანაგო! როგორც იქნა, გავცდით თქვენს დაწყევლილ ქვეყანას, რომელიც ყაზარმად და საკონცენტრაციო ბანაკად გადააქციეთ, - მითხრა მან და მომაშტერდა. - ახლა უკვე შვეიცარიაში ვართ და ამ თავისუფალ ქვეყანაში ბრძანებებს ვეღარ გასცემთ! აქ შეიძლება კაცმა პირი გააღოს და არ შეეშინდეს, რომ კბილებს წიხლებით ჩაუმტვრევთ. ნამდვილი ღორები ხართ! რას დაამსგავსეთ გგერმანია?! ყაჩაღებო, მკვლელებო, მტარვალებო!

ჩია კაცს პირზე დორბლი მოსდგომოდა, სახეზე მომჩერებოდა და გომბეშოს დანახვაზე ისტერიკაში ჩავარდნილ ქალს ჰგავდა. კუპეში, მესაზღვრეებთან ჩემი საუბრისას ისეთ სცენას შეესწრო, რომ ჩემს ნაცისტობაში დარწმუნებული იყო. ჩია კაცს ძალიან მშვიდად ვუსმენდი, რაკი ვიცოდი, რომ საფრთხე აღარ მელოდა.

- ძალიან მამაცი ადამიანი ჩანხართ! - ვუთხარი მერე. - თქვენზე, ალბათ ორი ფუნტით მეტს ვიწონი და თხუთმეტი სანტიმეტრით მაღალი მაინც ვარ. მაგრამ არა უშავს, ილაპარაკეთ, გული მოიოხეთ და დამშვიდდებით!

- დამცინით კიდეც, ხომ? - მთლად გააფთრდა ჩია კაცი. - ჩემი აბუჩად აგდებაც გინდათ? მაგრამ ამას ბოლო მოეღება! სამუდამოდ დამთავრდება ეს ყველაფერი! რას ერჩოდით მოხუც მამა-

ჩემს? ახლა რაღას აპირებთ? ამჯერად, გინდათ, მთელი მსოფ-ლიო ცეცხლის ალში გაჰხვიოთ?!

- გგონიათ, რომ ომი დაიწყება? - ვკითხე მე.

- ისევ დამცინით, ხომ? ისე მეკითხებით, თითქოს თავად არ იცოდეთ ეს. მკვლელები და ავაზაკები ხართ! აბა, სხვაგვარად რა უნდა მოუხერხოთ მაგ თქვენს კბილებამდე შეიარაღებულ, ათასწლოვან რაიხს?! ომს თუ არ დაიწყებთ, ეგ მოჩვენებითი კე-თილდღეობა ხომ თავზე დაგემხობათ?!

- არა მგონია, ომი დაიწყოს, - ვუთხარი და სახეზე ნაშუადღე-ვის მზის სხივები ვიგრძენი. - მაგრამ, ამ ომში გერმანიამ თუ გაიმარჯვა, მაშინ რა მოხდება?

ტანსაცმლიანად გაოფლილი კაცი მომაჩერდა და ნერწყვი ჩაყლაპა.

- თქვენ თუ ომს მოიგებთ, მაშ ღმერთი არ არსებულა! - ძლივს ამოღერღა მან.

- მეც ასე ვფიქრობ, - ვუთხარი და ფეხზე წამოვდექი.

- არ მომეკაროთ! - კბილებში გამოცრა მან. - იცოდეთ, სასიგ-ნალო მუხრუჭს ჩამოვწევ და აქვე დაგაპატიმრებენ! მერე კი, თქვენ შესახებ ვაცნობებ, სადაც საჭიროა. ვიცი, რომ ჯაშუში ხართ და პასუხი უნდა აგოთ. კარგად მესმოდა, რასაც ეუბნებო-დით მესაზღვრეებს.

ესღა მაკლდა-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში.

- ალბათ იცით, რომ შვეიცარია თავისუფალი ქვეყანაა და აქ დაბეზღების საფუძველზე არავის აპატიმრებენ. - ვუთხარი მე. - ისე, ეტყობა, გერმანიაში კარგად გაიწაფეთ ამ საქმეში.

ჩემოდანი ავიღე და სხვა კუპეში გადავედი. მისთვის არაფრის ახსნას არ ვაპირებდი, რადგან აზრი არ ჰქონდა. თუმცა აქ დარ-ჩენაც აღარ შემეძლო. სულს გიჭამს და მნიშვნელობა არა აქვს,

ადამიანს თავად სძულს ვინმე, თუ იგი სძულს ვინმეს. ეს ჩემმა მოხეტიალე ცხოვრებამ მასწავლა.

ასე ჩავედი ციურიხში.

9

მუსიკა ცოტა ხნით მიჩუმდა. საცეკვაო მოედნიდან აღელვებული ლაპარაკი ისმოდა. ორკესტრმა კიდევ უფრო უმატა ხმას. თუთიყუშისფერ კაბაში გამოწყობილმა და რიოში მარგალიტებით თმადამშვენებულმა ქალმა სიმღერა დაიწყო. მერე კი მოსახდენი მაინც მოხდა: გერმანული პარტიის წევრი ცეკვის დროს ვიღაც ინგლისელს დაეჯახა და ახლა ორივე მხარე ერთმანეთს ბოროტ ზრახვებში ადანაშაულებდა. მენეჯერი და ორი მიმტანი მათ დაშოშმინებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ორკესტრი უფრო ჭკვიანურად მოიქცა: მუსიკა შეცვალა და ფოქსტროტის ნაცვლად ტანგოს დაკვრა დაიწყო. დიპლომატებს ახლა ან ცეკვა უნდა შეეწყვიტათ და თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაეგდოთ, ანდა ყველაფერი ისე გაეგრძელებინათ, ვითომ არაფერი მომხდარა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გერმანელი ჩხუბისთავი ტანგოს ცეკვაში მოიკოჭლებდა, ინგლისელი კი, მაშინვე აჰყვა მუსიკის რიტმს. მალე სხვა წყვილებმაც გააგრძელეს ცეკვა, ისევ ეჯახებოდნენ ერთმანეთს და, ამრიგად „ბოროტი ზრახვის“ შესახებ არგუმენტმა ძალა დაკარგა, განრისხებული მოწინააღმდეგენი კი თავიანთ მაგიდებს მიუსხდნენ.

- დუელის მოწყობა მოინდომეს, - თქვა შვარცმა ზიზღით. - საინტერესოა, გმირები რატომ არ აწყობენ დუელებს?

- ალბათ იმიტომ, რომ ისინი ციურიხში არიან, - მივუგე მე.

შვარცს გაეღიმა.

- იქნებ წავსულიყავით აქედან? - მკითხა მერე.

- სად წავიდეთ?

- უბრალო ლუდხანები მთელი ღამე ღიაა. ეს კლუბი აკლდამა მგონია, სადაც ცეკვავენ და ომობანას თამაშით ერთობიან.

შვარცმა მიმტანს ფული გადაუხადა და ჰკითხა, სხვა ადგილს ხომ ვერ მიგვასწავლითო? მიმტანმა თავისი ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია, რაღაც მისამართი დაგვიწერა და აგვიხსნა, როგორ მივსულიყავით იქ.

გარეთ რომ გამოვედით,, საოცარი ღამე დაგვხვდა. ცა ისევ ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, თუმცა ზღვა და დილა ცისფერ ჰორიზონტზე უკვე შერწყმოდა ერთმანეთს. ცა თითქოს უფრო მაღლა აზიდულიყო და ირგვლივ უფრო მძაფრად იგრძნობოდა მარილისა და ყვავილების სურნელი. მზიანი დილა თენდებოდა. მმზის შუქზე ლისაბონი რაღაც გულუბრყვილო თეატრალურობის შთაბეჭდილებას ახდენს, რაც მნახველს აჯადოებს და ატყვევებს, ღამით კი ჰგონია, რომ სადღაც ზღაპარში მოხვდა. ქალაქი ამ დროს საზეიმოდ გამოპრანჭულ ქალბატონს ჰგავს, განათებული ტერასებით ზღვისკენ რომ მიემართება იდუმალ სატრფოსთან შესახვედრად.

ერთხანს ჩუმად ვიდექით.

- იყო დრო, როცა, ცხოვრება სწორედ ასეთად წარმოგვედგინა, ხომ მართალია? - თქვა შვარცმა სევდიანი ხმით. - მაშინ უამრავი ლამპიონით განათებულ გზებს თითქოს უსასრულობისკენ მივყავდით...

აღარაფერი ვუთხარი, რადგან ცხოვრება ჩემთვის ახლა ის გემი იყო, ქვევით, ტეხოში რომ იდგა, მას უსასრულობაში კი არა, ამერიკაში უნდა წავეყვანე. უამრავი თავგადასავალი გადამხდენია. ეს ის საშინელებები იყო, ჩვენმა დროებამ ლაყე კვერცხებივით რომ დაგვიშინა ყველას. მაგრამ ყველაზე დიდი თავგადასავალი ჩემთვის მაინც მოქმედი პასპორტის, ვიზის და

სამგზავრო ბილეთის შოვნას უკავშირდებოდა. ჩემსავით ლტოლვილ ადამიანს ყოველდღიური ცხოვრება, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, სამწუხაროდ, კარგა ხანია ფანტასმაგორიად გადაჰქცეოდა, თავგადასავალში კი მხოლოდ სატანჯველს ხედავდა.

- ციურიხს მაშინ იმ თვალით ვუყურებდი, ახლა თქვენ რომ უყურებთ ამ ქალაქს, - მითხრა შვარცმა. - სწორედ იქ ვიპოვე ის, რაც სამუდამოდ დაკარგული მეგონა. მოგეხსენებათ, დრო ის უჩინარი საწყაულია, საიდანაც ჩვენში სიკვდილი უწყინარი შხამივით ჩაედინება და ნელ-ნელა გვავსებს. ცხოვრების დასაწყისში ეს თითქოს ხალისს გვმატებს და იმასაც კი გვაფიქრებინებს, რომ უკვდავები ვართ. მაგრამ ეს შხამი მუდმივად წვეთ-წვეთად იღვრება ჩვენში და ერთ დღესაც მჟავად გადაიქცევა, რომელიც სისხლს გვიმღვრევს და გვანადგურებს. მაშინაც კი, თუ დარჩენილ წლებში ახალგაზრდობის უკან დაბრუნებას შევეცდებით, ამას ვერ შევძლებთ, რადგან დროის მჟავამ ჩვენი ქიმიური შემადგენლობა და, შესაბამისად, ჩვენც შეგვცვალა. ამისათვის სასწაული უნდა მოხდეს და ეს სასწაული მოხდა!

შვარცი დადუმდა და განათებულ ქალაქს გახედა.

- მინდა, ეს ღამე მოგონებას ყველაზე ბედნიერ ღამედ შემორჩეს, თუმცა ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე საშინელი ღამეა, - თქვა მან ჩურჩულით. - როგორ გგონიათ, მოგონება შემოინახავს მას? არადა, უნდა შემოინახოს! სასწაულის განცდა არასდროს არის სრულყოფილი. მას ასეთად მხოლოდ მოგონება აქცევს ხოლმე... და, როდესაც ბედნიერება კვდება, იგი ვეღარ შეიცვლება და იმედსაც ვეღარ გაგიცრუებს. ამიტომ ბედნიერება სრულყოფილი რჩება. ჰოდა, ახლა, როცა ერთხელ კიდევ გამოვუხმობ ამ ბედნიერებას, რატომ არ შეიძლება კვლავ ძველებუ-

რად შევიგრძნო?! განა სულ ჩემთან არ უნდა იყოს, სანამ ვარსებობ?!

ახლა შვარცი თითქოს ღამის სიბნელიდან ამოსული, საბრალო და მივიწყებული არსება იყო, ჯიქურ შემოჭრილ დილის შუქში მთვარეულივით რომ იდგა. უეცრად მისდამი საოცარი სიბრალული ვიგრძენი.

- თუმცა, როგორ შეიძლება ვიცოდეთ, ვართ თუ არა ან რამდენად ვართ სინამდვილეში ბედნიერები, სანამ არ გვეცოდინება, რა დარჩა ამ ბედნიერებისგან და რა სახით შემოგვრჩა იგი მეხსიერებაში?! - მორიდებით იკითხა შვარცმა და ჩურჩულით განაგრძო: - ვიცით, რომ ბედნიერების შენარჩუნება შეუძლებელია და ამას არც ვცდილობთ. მაგრამ იქნებ ჩვენს თვალთა მიღმა, უშიშრად გადაინაცვლებს და იქ არსებობს მანამ, სანამ ამ თვალებში სიცოცხლე არ ჩაქრება?!

ისევ და ისევ გავყურებდი ქალაქს და ვიცოდი, რომ იქ, სადღაც, ფიცრებისგან შეკრული კუბო იდგა, ზღვაში კი გემს ღუზა ჰქონდა ჩაშვებული. უცებ მომეჩვენა, თითქოს მომაკვდინებელი ტკივილისგან შვარცს სახე ჩამოეშლებოდა, თუმცა მალევე გამოცოცხლება დაეტყო და პირი უკვე შავ ღრმულს, ხოლო თვალები რიყის ქვებს აღარ მიუგავდა.

ქვევით, ნავსადგურისკენ დავუყევით გზას.

- ბატონო ჩემო! - მომმართა შვარცმა ცოტა ხნის შემდეგ. - მითხარით, ვინ ვართ ჩვენ, აი, მაგალითად, მე, თქვენ ან სხვა დანარჩენები, და ვინ არიან ისინი, ამქვეყნად რომ აღარ არსებობენ? სარკეში არეკლილი გამოსახულებაა ნამდვილი, თუ ის, ვინც სარკის წინ დგას? რა უნდა იყოს ჩვენთვის სინამდვილე, ცოცხალი ადამიანი, მოგონება თუ ის სურათი, რომელსაც თან ტკივილი აღარ ახლავს? მე და ჩემი განსვენებული ცოლი ახლა

თითქოს შევერწყეთ ერთმანეთს და ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა მეკუთვნის მხოლოდ მე, რადგან ამ ალქიმიაში ჩართული, მხოლოდ იმას მიპასუხებს, რაც მე მენდომება? იქნებ ასეთი სახით შეაღწიოს ჩემს თავის ქალაში და ფოსფორისებრი შუქით განათებული, ასეთად დარჩეს იქ? მაგრამ, ვაითუ, არათუ დავკარგე, არამედ ახლაც ყოველ წუთს, ნელ-ნელა ვკარგავ ჩემს დაბინდულ მოგონებაში? ბატონო ჩემო! მე კი მისი შენარჩუნება მინდა! ნუთუ არ გესმით ეს?

შვარცმა შუბლზე შემოირტყა ხელი.

მერე იმ ქუჩასთან მივედით, გრძელი კიბით რომ ეშვებოდა დაღმართზე. როგორც ჩანს, ამ ადგილას წინადღით რაღაც დღესასწაული ეზეიმიათ. სახლებს შორის რკინის ძელები აღემართათ და ზედ ჩამოკიდებული დამჭკნარი გირლანდებისგან ნიავს სასაფლაოს სუნი მოჰქონდა. მავთულზე გამობმულ, პატარა ნათურებს შორის ტიტების ფორმის უზარმაზარი ნათურები მოჩანდა, მათ ზემოთ კი, დაახლოებით ოცი მეტრის დაშორებით, ხუთქიმიანი ვარსკვლავის მსგავსი, პატარა ნათურები ქანაობდა. ეს რაღაც პროცესიის თუ რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ დილაადრიან, ირგვლივ ყველაფერი მიტოვებულად და უბადრუკად გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, აქ ელექტროგაყვანილობაც წყობიდან გამოსულიყო, რადგან ქვემოთ, ერთადერთი ხუთქიმიანი ვარსკვლავი იმ უცნაური შუქით ბჟუტავდა, ნათურებს შებინდებისას ან გამთენიისას რომ აქვთ ხოლმე.

- აი, მოვედით! - თქვა შვარცმა და ტავერნის კარი შეაღო, სადაც ჯერ კიდევ ენთო სინათლე.

იქვე, მზით გარუჯული, ბრგე მიმტანი შემოგვეგება და მაგიდასთან მიგვაცილა. დაბალჭერიან ოთახში რამდენიმე კასრი

იდგა. ერთ მაგიდასთან კი ვიღაც ქალი და მამაკაცი ისხდნენ. ტავერნაში მხოლოდ ღვინო და შემწვარი ცივი თევზი ჰქონდათ.

- ციურიხს თუ იცნობთ? - მკითხა შვარცმა.

- კი, ვიცნობ. შვეიცარიაში პოლიციამ ოთხჯერ დამაპატიმრა. იქ საფრანგეთზე ბევრად უკეთესი საპატიმროებია და ეს განსაკუთრებით ზამთარში იგრძნობა. მაგრამ, ციხეში, სამწუხაროდ, ორ კვირაზე მეტხანს არ გაჩერებენ, შენი სიმშვიდე ამით მთავრდება და ისევ იწყება ქვეყნიდან გაძევების სპექტაკლი.

- მას შემდეგ, რაც საზღვარზე ასე აშკარად გადასვლა გადავწყვიტე, რაღაც შინაგანი თავისუფლება ვიგრძენი. ქუჩაში პოლიციელის დანახვაზე გული აღარ მისკდებოდა და ყოველგვარი შიში თითქმის გამიქრა. თუმცა, შეფარვით მაინც ვგრძნობდი მოსალოდნელ საფრთხეს, რაც, მაიძულებდა, ჩემი თავისუფლება, მეორე წუთში, კიდევ უფრო ღრმად გამეცნობიერებინა.

თავი დავუქნიე.

- დიახ, საფრთხის მოლოდინში სიცოცხლეს უფრო მძაფრად შეიგრძნობ, მერე კი ეს შეგრძნება იმდენ ხანს გაგყვება, სანამ საფრთხეს მხოლოდ ჰორიზონტზე არ დაინახავ.

- ასე გგონიათ? - მკითხა შვარცმა და თან გაოცებით შემომხედა. - არა, ეს შეგრძნება ბევრად უფრო დიდხანს გასტანს ხოლმე და იმ დრომდე გრძელდება, სიკვდილს რომ ვეძახით, მერე კი მასაც გასცდება. მაგრამ სად მიდის იმ გრძნობის დაკარგული ნაწილი, რომლის შენარჩუნებასაც ვახერხებთ ხოლმე? განა ქალაქიდან რომ მიდიხარ, ის წყვეტს არსებობას? ის ხომ თქვენში განადგურების შემდეგაც რჩება? მაშ, ვინ იცის, რა არის სიკვდილი? სინათლის სხივი ხომ ნელ-ნელა გადაუვლის ჩვენს სახეებს? ვინ იცის, იქნება დაბადებამდეც გვქონდა ის ყველასგან გა-

მორჩეული, პირველქმნილი სახე, რომელიც დანარჩენი, წარმავალი სახეების გაქრობის შემდეგაც დარჩება?

სკამებს შორის კატა მიიზლაზნებოდა. თევზის ნაჭერი გადავუგდე, მაგრამ კუდი აპრიხა და გაგვეცალა.

- თქვენს ცოლს ციურიხში შეხვდით? - ვკითხე ფრთხილად.

- დიახ, მასთან სასტუმროში მივედი. ოსნაბრიუკში განცდილი დაძაბულობა, მოლოდინის გრძნობა თუ ტკივილი და შეურაცხყოფა მთლიანად გამქრალიყო და აღარ არსებობდა. ახლა შევხვდი ქალს, რომელსაც თურმე არ ვიცნობდი, თუმცა მასთან ცხრაწლიანი, მდუმარე წარსული მაკავშირებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ წარსულს ამ ქალის მიმართ, უკვე არავითარი შემზღუდავი და მესაკუთრული ძალა აღარ გააჩნდა. ამ წარსულის მომწამლავ შხამს, როგორც ჩანს, მაშინ გაუვიდა ყავლი, როდესაც ჰელენმა საზღვარი გადმოკვეთა. წარსული ახლა უკვე ჩვენი კუთვნილება იყო, თუმცა ჩვენ აღარ ვეკუთვნოდით მას. წლების განმავლობაში შექმნილი, დამთრგუნველი სურათი ახლა თითქოს შემოტრიალებულიყო და იმ სარკედ ქცეულიყო, რომელიც ჩვენ გარდა, აღარაფერს აირეკლავდა. თავის გადარჩენის გადაწყვეტილება და თავად ჩვენი მდგომარეობა იმდენად გადაჭრით გვაშორებდა წარსულს, რომ ამან შეუძლებელი შესაძლებელი გახადა. გაჩნდა სიცოცხლის ახლებური განცდა, რომელსაც წარსულის ნაწიბურები აღარ ეტყობოდა.

შვარცმა ისევ შემომხედა. შევნიშნე, რომ სახეზე უცნაურმა ჩრდილმა გადაურბინა და თითქოს ხმაც შეეცვალა.

- მერეც არაფერი შეცვლილა, თუმცა ჰელენმა ყველაფერს გაუძლო, მე კი - ვერა. განსაკუთრებით ბოლოს გამიჭირდა. მაგრამ, განა ის არ კმაროდა, რომ მან ეს მოახერხა? განა სწორედ ეს არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი? ხომ მეთანხმებით ამაში?

მე კი ეს მხოლოდ ახლა უნდა შევძლო და თქვენთან ლაპარაკიც ამიტომ მინდა! დიახ, მხოლოდ ამიტომ!

- ციურიხში დიდხანს დარჩით? - ვკითხე მე.

- არა, მხოლოდ ერთი კვირა, - მიპასუხა შვარცმა უკვე ჩვეულებრივი ხმით. - ევროპაში ეს იმ ერთადერთი ქვეყნის ქალაქი იყო, სადაც სამყარო ჯერ არ ტორტმანებდა. რამდენიმე თვის სამყოფი ფული გვქონდა, და გაჭირვების დროს, შეგვეძლო, ჰელენის სამკაულები გაგვეყიდა. გარდა ამისა, საფრანგეთში ის სურათებიც მეგულებოდა, განსვენებულმა შვარცმა რომ დამიტოვა.

1939 წლის ზაფხული განსაკუთრებული იყო! ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ღმერთი ცდილობდა, მთელი სამყაროსთვის დაენახვებინა, რას ნიშნავდა მშვიდობა და რა მოხდებოდა, თუ ომი დაიწყებოდა. ზაფხულის ის დღეები სიმშვიდით იყო აღსავსე და, როდესაც მოგვიანებით შვეიცარიის სამხრეთით, ლაგო-მაჯორეში[19] წავედით, ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს სადღაც, არარეალურ სამყაროში აღმოვჩნდით.

ჰელენს ოჯახის წევრები წერილებს სწერდნენ და ურეკავდნენ. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ჰელენი ციურიხში, ექიმთან წავიდა. მაგრამ შვეიცარიის შესანიშნავი საკომუნიკაციო სისტემის წყალობით, როგორც ჩანს, ოჯახმა ადვილად გაიგო მისი მისამართი და ახლა ჰელენს შეკითხვებითა და საყვედურებით აბეზრებდა თავს. მას ჯერ კიდევ შეეძლო უკან დაბრუნება და ახლა სწორედ ეს გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო.

---

[19] ლაგო-მაჯორე - ტბა იტალიისა და შვეიცარიის ალპებში.

სასტუმროში ცალ-ცალკე ნომრებში ვცხოვრობდით. მართალია, ცოლ-ქმარი ვიყავით, მაგრამ პასპორტებში სხვადასხვა გვარი გვეწერა და რაკი სიმართლე ყოველთვის საბუთების მხარეზეა, ამიტომ რეალურად ერთად ცხოვრების უფლება არ გვქონდა. უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდით, მაგრამ ეს უფრო გვიმძაფრებდა იმის შეგრძნებას, რომ დრო ჩვენთვის კიდევ ერთხელ უკან დაბრუნებულიყო. ერთი კანონის თანახმად, ჩვენ ცოლ-ქმარი ვიყავით, მეორე კანონი კი ამბობდა, რომ ეს ასე არ იყო. ახალი გარემო, ხანგრძლივი განშორება, განსაკუთრებით კი ჰელენი, რომელიც აქ ჩამოსვლის შემდეგ ასე შეიცვალა, რაღაც მოფარფატე არარეალურობის და, იმავდროულად, კაშკაშა და უჩვეულო რეალობის განცდას ბადებდა. ამ განცდას ჯერაც შემოხვეოდა იმ ოცნების მქრქალი ბურუსი, რომლის გახსენებაც უკვე ძალიან გვიჭირდა. იმხანად ვერ გამეგო, საიდან გაჩნდა ეს გრძნობა. ჩემთვის ეს მოულოდნელი საჩუქარი იყო, რომლის წყალობითაც თითქოს უფლება მეძლეოდა, ხელახლა გამევლო ჩემი ცხოვრების რომელიღაც უხეირო მონაკვეთი და იგი სრულფასოვან ცხოვრებად მექცია. და აი, უცებ უპასპორტო თხუნელა, სახელმწიფოების საზღვრებქვეშ მიწას რომ ვთხრიდი, იმ ფრინველად გადავიქეცი, რომლისთვისაც საზღვრები საერთოდ აღარ არსებობდა.

* * *

ერთ დილას, ჰელენს თავის ნომერში რომ შევუარე, იქ ვინმე ბატონი კრაუზე დამხვდა, რომელიც ჰელენმა გერმანიის საკონსულოს თანამშრომლად გამაცნო, მე კი შესვლისთანავე ფრანგულად დამიწყო ლაპარაკი. მერე სტუმარს ჩემი თავი მოსიე ლენუარად წარუდგინა. კრაუზე ვერ მიხვდა, რა ხდებოდა და დამტვრეული ფრანგულით მკითხა, ცნობილი მხატვრის ვაჟი ხომ არ ხართო.

ჰელენს გაეცინა.

- არა, ბატონი ლენუარი ჟენეველია, თუმცა გერმანული იცის. - აუხსნა მან სტუმარს. - მხატვარ რენუართან კი მხოლოდ ის აკავშირებს, რომ აღფრთოვანებულია მისი შემოქმედებით.

- მოგწონთ იმპრესიონისტების ნახატები? - მკითხა კრაუზემ.

- ბატონ ლენუარს საკუთარი კოლექცია აქვს. - უთხრა ჰელენმა.

- მათი რამდენიმე ნახატი მაქვს მხოლოდ. - ამის თქმაღა მოვახერხე.

გამიკვირდა, განსვენებული შვარცის დატოვებული მემკვიდრეობა ჰელენმა კოლექციად რომ მოიხსენია და ეს მის მორიგ ხრიკად ჩავთვალე. მაგრამ, რაკი მისმა ასეთმა ხრიკმა საკონცენტრაციო ბანაკისგან ერთხელ უკვე მიხსნა, გადავწყვიტე, თამაშში ავყოლოდი.

- გინახავთ ოსკარ რაინჰარტის[20] კოლექცია ვინტერთურში? - თავაზიანად მკითხა კრაუზემ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- რაინჰარტს ვან გოგის ერთი ნახატი აქვს, რომლის გულისთვისაც ჩემი სიცოცხლის ერთ თვეს დავთმობდი.

- მაინც, რომელ თვეს დათმობდით? - მკითხა ჰელენმა.

- ვან გოგის რომელი სურათი გაქვთ მხედველობაში? - არ დააყოვნა შეკითხვა კრაუზემაც.

- „საგიჟეთის ბაღში“.

კრაუზემ გაიღიმა.

- ნამდვილად დიდებული სურათია!

მერე სხვა სურათებზე დაიწყო ლაპარაკი და ლუვრის მუზეუმამდე რომ მივიდა, ამ დროს, განსვენებული შვარცის წყალობით იქ მიღებული განათლება დამეხმარა და კრაუზეს საუბარში ავყევი. ჰელენის ტაქტიკას მხოლოდ ახლა მივხვდი. არ უნდოდა სტუმარს გაეგო, რომ მისი ქმარი, თანაც ემიგრანტი ვიყავი. გერმანული საკონსულოები მხოლოდ ადგილობრივი პოლიციიდან მიღებულ ინფორმაციებს არ სჯერდებოდნენ. კრაუზე ახლა იმის გარკვევას ცდილობდა, თუ რა ურთიერთობა მქონდა ჰელენთან. და რაკი ჰელენი ამას მიუხვდა, მაშინვე ცოლი და ორი შვილი მომაწერა, თანაც დასძინა, ცოლს ლუსიენი ჰქვია, უფროსი ქალიშვილი კი ფორტეპიანოზე ბრწყინვალედ უკრავსო.

---

[20] რაინჰარტი, ოსკარ (1885-1965) - ხელოვნების კოლექციონერი და მეცენატი. ცნობილია იმპრესიონისტი მხატვრების მისეული კოლექცია, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ვინტერთურში ინახება.

კრაუზე გაფაციცებით გვაკვირდებოდა ორივეს. მერე გულითადად დაგვპატიჟა ტბის პირას თევზეულის რესტორანში, და გვითხრა, იშვიათად თუ შეხვდები ადამიანებს, მხატვრობისა რამე რომ გაეგებათო.

კრაუზეს თავაზიანად გადავუხადე მადლობა და ვუთხარი, შვეიცარიაში თვე-ნახევრის შემდეგ დავბრუნდები და მაშინ აუცილებლად შევხვდეთ-მეთქი. გაოცებულმა მითხრა, მეგონა ჟენევაში ცხოვრობდითო, რაზეც ვუპასუხე, მართალია, ჟენეველი ვარ, მაგრამ ბელფორდში ვცხოვრობ-მეთქი. ბელფორდი საფრანგეთშია, ამიტომ კრაუზე ჩემ შესახებ ცნობებს ასე იოლად ვერ მოიპოვებდა. ბოლოს მაინც სულმა წასძლია და დაკითხვა იმით დაასრულა, რომ მკითხა, თქვენ და ჰელენმა ერთმანეთი სად გაიცანითო. დამშვიდობებისას კი გვითხრა, თქვენისთანა სიმპათიურ ადამიანებს იშვიათად თუ შევხვედრივარო.

ჰელენმა შემომხედა.

- მათ ექიმის მისაღებში შეხვდებით, ბატონო კრაუზე. ავადმყოფები ხშირად იმ ჯანმაგარ ადამიანებზე უფრო სიმპათიურები არიან, რომლებსაც ტვინის ნეირონებიც კი კუნთებად აქვთ გადაგვარებული, - უთხრა ჰელენმა და მზაკვრულად შესცინა სახეში.

კრაუზემ ეს დარტყმა ავგურის(ავგურები - ქურუმები ძველ რომში, რომლებიც მოვლენებს ფრინველთა ფრენაზე დაკვირვებით წინასწარმეტყველებდნენ და გაიძვერობითა და მალული ხრიკებით იყვნენ ცნობილი.) მზერით აირიდა.

- მესმის, რასაც გულისხმობთ, მოწყალეო ქალბატონო! - უთხრა მან.

ჰელენისთვის მხარი რომ ამება, კრაუზეს მეც ვკითხე:

- როგორ გგონიათ, შეიძლება რენუარი ახლა დეკადენტურ ხელოვნებას მივაკუთვნოთ? ამ მხრივ, ვან გოგი ხომ ეჭვს აღარ იწვევს!

- ჩვენ, ხელოვნებათმცოდნეები, ამ აზრს არ ვეთანხმებით! - თქვა კრაუზემ, ხელახლა მესროლა ავგურის მზერა და კარში გაიძურწა.

- ვინ არის ეს კაცი? რა უნდოდა? - ვკითხე ჰელენს.

- რა ენდომებოდა ჯაშუშს? უნდა გამეფრთხილებინე, რომ არ მოსულიყავი, მაგრამ ვერ მოვასწარი. ჩემი ძმის მოგზავნილია. რომ იცოდე, როგორ მეზიზღება ეს ყველაფერი.

ამრიგად, გესტაპო ქვეყნის გარეთაც მოგვწვდა და შეგვახსენა, რომ მის კლანჭებს ვერ დავუძვრებოდით. კრაუზეს ჰელენისთვის უთქვამს, კარგი იქნება, თუ საკონსულოში შემოგვივლით, დიდი კი არაფერია, მაგრამ, ქვეყნიდან გასვლის უფლება რომ გქონდეთ, პასპორტში მხოლოდ ახალი შტამპის ჩარტყმაა საჭირო, თქვენ კი ეს შტამპი ჯერ არ გაქვთო.

- კრაუზემ მითხრა, ამასთან დაკავშირებით, ახალი განკარგულება გამოვიდაო, - ამიხსნა ჰელენმა.

- ეგ კაცი ტყუის, - ვუთხარი ჰელენს. - ასეთი განკარგულების არსებობა ემიგრანტებს არ გამოეპარებოდათ და ამის შესახებ მეცოდინებოდა. საკონსულოში თუ მიხვალ, შეიძლება პასპორტი ჩამოგართვან..

- მაშინ, მეც შენსავით ემიგრანტი ვიქნები?

- ჰო, თუ გერმანიაში არ დაბრუნდები.

- ჰოდა, აქ ვრჩები. არც საკონსულოში მივალ და გერმანიაშიც არ დავბრუნდები, - გამომიცხადა ჰელენმა.

ამ საკითხზე არასოდეს გვილაპარაკია. ასე გვქონდა გადაწყვეტილი. ამიტომ ჰელენს ერთი შევხედე და აღარაფერი ვუთხა-

რი. მის უკან ცა, ხეები და ტბის ვიწრო, კრიალა ზოლი მოჩანდა, სახე კი კაშკაშა სინათლეზე თითქოს უფრო გამუქებოდა.

- მინდა იცოდე, რომ ამ გადაწყვეტილების გამო შენ არავითარი პასუხისმგებლობა არ გეკისრება, - მითხრა ჰელენმა მოუთმენლად. - ყველა შენი მცდელობა ამაო იქნებოდა, რადგან განზრახვაზე ხელს მაინც ვერ ამაღებინებდი. ამიტომ ამას შენთან არავითარი კავშირი არ აქვს. აქ რომც არ ყოფილიყავი, უკან მაინც აღარასდროს დავბრუნდებოდი. ბოლოს და ბოლოს, მიხვდი, რისი თქმა მინდა?

- ცხადია, მივხვდი, - ვუთხარი გაოცებულმა და თითქოს სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. - მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამ მადარდებს.

- ვიცი, იოზეფ! მაგრამ, მოდი, ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი.

- ის კრაუზე ან ვინმე სხვა აუცილებლად ისევ მოგვადგება, - ვუთხარი მერე.

ჰელენმა თავი დამიქნია.

- ჰო, გაიგებენ, ვინც ხარ და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევენ. ამიტომ, მოდი, სადმე სამხრეთში წავიდეთ.

- იტალიაში ვერ წავალთ, გესტაპოს და მუსოლინის პოლიციას კუდი კუდზე აქვთ გადაბმული.

- მერე რა მოხდა, სამხრეთში იტალიის გარდა, განა სხვა ადგილები არ არის?!

- როგორ არა! განა აქვე შვეიცარიაში არ არის ტესინიც, ლიკარნოც და ლუგანოც?![21]

---

[21] ტესინი - შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონი. ლოკარნო მხარეა, ხოლო ლუგანო ქალაქია ტესინის კანტონში.

ნაშუადღევს გავემგზავრეთ. ხუთი საათის შემდეგ კი ასკონაში,[22] ბაზრის მოედანზე, შვეიცარიული ტავერნის წინ ვისხედით. ამ სამყაროს ხუთის კი არა, თითქოს ორმოცდაათი საათის სავალი გზა აშორებდა ციურიხთან. აქაური ლანდშაფტი, ტალიურს ჰგავდა, თავად ამ ადგილას კი უამრავი ტურისტი იყო და თითქოს ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ეცურავათ, მზეზე გარუჯულიყვნენ და ამ ცხოვრებით, რაც შეიძლება, მეტად დამტკბარიყვნენ. არადა, ევროპაში ამ დროს სულ სხვა განწყობა სუფევდა..

- ჰო, მახსოვს, - მივუგე შვარცს. - ადამიანები სასწაულის მოლოდინში იყვნენ და მეორედ, მესამედ, თუ ვინ იცის, კიდევ მერამდენედ მიუნხენის იმედი ჰქონდათ.

- დიახ, ადამიანები ერთდროულად მოეცვა იმედსა და სასოწარკვეთას. .....დრო თითქოს გაჩერდა და სამყაროს უკვე თავს დასტრიალებდა დიდი კატასტროფის აშკარა და თან არარეალური ჩრდილი. ისეთი გრძნობა გქონდა, თითქოს მზესთან ერთად, უზარმაზარი, შუასაუკუნოვანი კომეტა გაჩერდა კაშკაშა ცაზე. ირგვლივ ყველაფერი ტორტმანებდა და მოულოდნელი აღარაფერი იყო.

- საფრანგეთში როდის წახვედით? - ვკითხე შვარცს.

- მართალი ბრძანდებით, - მითხრა მან. - აქამდე ეს ყველაფერი წარმავალი იყო. საფრანგეთი კი უსამშობლო ადამიანებისთვის მშფოთვარე სამშობლოა და ამიტომ, ყველა გზა ისევ და ისევ იქით მიდის! ერთი კვირის შემდეგ, ჰელენმა კრაუზეს წერი-

---

[22] ასკონა - პოლიტიკური სახელმწიფო ერთეული ტესინის კანტონში.

ლი მიიღო, ატყობინებდა, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს და გთხოვთ, ციურიხის ან ლუგანოს საკონსულოში დაუყოვნებლივ გამოცხადდეთო.

აქედან სასწრაფოდ უნდა წავსულიყავით. შვეიცარია პატარა და თან ძალიან კარგად ორგანიზებული ქვეყანაა, ამიტომ იქ ჩვენი პოვნა არ გაუჭირდებოდათ. ყალბ პასპორტს ყოველდღე შემიმოწმებდნენ და ბოლოს, ქვეყნიდან გამაძევებდნენ.

ლუგანოში წავედით, ვიზის მისაღებად კი გერმანიის საკონსულოს ნაცვლად, საფრანგეთის საკონსულოში მივედით. რატომღაც მეგონა, რომ საქმე გაგვირთულდებოდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სამთვიანი ვიზების იმედი რომ მქონდა, ფრანგებმა ერთწლიანი ტურისტული ვიზები მოგვცეს.

- როდის გავემგზავრებით? - ვკითხე ჰელენს.

- ხვალვე! - მითხრა მან.

ბოლო საღამოს სოფელ რონკოში, დელა პოსტას რესტორნის ბაღში ვისხედით. ეს სოფელი მერცხლის ბუდესავითაა შეფენილი ტბის თავზე აღმართულ მთაზე. ხეებს შორის სანათურები ციმციმებდა, სოფლის გალავანზე კატები დაიზლაზნებოდნენ, ბაღის ქვემო ტერასებიდან კი ვარდებისა და ველური ჟასმინის სურნელი აღწევდა ჩვენამდე. მთლად მოსარკული ჩანდა ტბა პატარ-პატარა კუნძულებით, სადაც ადრე თურმე რომაელების დროინდელი ვენერას ტაძარი მდგარა. ნათელი ცა დაჰყურებდა კობალტისფერ მთებს. ჩვენ კი სპაგეტის და პიკატას შევექცეოდით და იქაურ ნოსტრანოს ღვინოს ვაყოლებდით. ეს მართლაც საოცრად სასიამოვნო და სევდიანი საღამო იყო.

- რომ იცოდე, როგორ არ მინდა აქედან წასვლა, - მითხრა ჰელენმა. - მთელ ზაფხულს სიამოვნებით გავატარებდი აქ.

- ამ დროს კიდევ ხშირად გავიხსენებთ ხოლმე.

- მერედა, ამაზე სასიამოვნო რა შეიძლება იყოს? უსიამოვნო ამბების გახსენება ისედაც საკმაოდ ხშირად მიწევდა ხოლმე.

- რას გულისხმობ?

- იმას, რომ უნდა მეთქვა, აქ დარჩენა ძალიან არ მინდა-- მეთქი.

ggარუჯულ ხელზე ხელი მოვკიდე. ააქაურ მზეზე ორ დღეში გაირუჯა, თვალებიც თითქოს უფრო ღია ფერის გაუხდა.

- რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! მიყვარს ეს წუთი, ეს წარ-მავალი ზაფხული, ეს ლანდშაფტი და მათთან დამშვიდობება! - ვუთხარი ჰელენს. - და ჩემს სიცოცხლეში პირველად, საკუთარი თავიც მიყვარს, რადგან მგონია, რომ სარკე ვარ, რომელშიც შენ აირეკლები და ამიტომ, ორმაგად ჩემი ხარ! მაშ მოდი, დავ-ლოცოთ ეს საღამო და ეს წუთები!

- ჰო, დავლოცოთ და ამის სადღეგრძელოც დავლიოთ! შენც გადღეგრძელებ, რადგან ბოლოს და ბოლოს, გაბედე და თქვი ის, რის თქმასაც სხვა დროს ვერ ბედავდი.

- არა, ამის თქმა ახლაც მერიდებოდა, - ვუთხარი მე. - მაგრამ ამჯერად თავს მოვერიე და შინაგანი რიდი დავძლიე. ცოტა დრო მომეცი, რომ ამ მდგომარეობას შევეჩვიო. პეპლის მატლსაც კი სჭირდება დრო, როცა სიბნელის შემდეგ დღის სინათლეს იხი-ლავს და მიხვდება, რომ თურმე ფრთები ჰქონია. რა ბედნიერები არიან აქ ადამიანები! გრძნობ, რა სურნელს აფრქვევს ეს ველუ-რი ჟასმინი? როგორც მიმტანმა ქალმა თქვა, აქ ჟასმინის ტყეები ყოფილა.

ღვინო დავლიეთ და მთის ძირში შუკას გავუყევით ასკონის-კენ. გზის ზემოთ, ყვავილებითა და ჯვრებით მოფენილი სოფლის სასაფლაო გამოჩნდა. სამხრეთი ძალიან მაცდური მხარეა. აქ ფიქრები სადღაც უჩინარდება და ფანტაზია ბატონობს, რომელ-

საც პალმებისა და ოლეანდრების გარემოცვა კიდევ უფრო ამ-ძაფრებს. ამით განსხვავდება იქაურობისგან, სადაც ჯარისკაცის ჩექმები და ყაზარმებია. ვარსკვლავებით მოჭედილი, უზარმაზა-რი ცის ტატნობი ამერიკის დროშას მაგონებდა. იგი ყოველ წამს ფართოვდებოდა და მთელ სამყაროს ფარავდა. ასკონას ბაზრის მოედანი, თავისი კაფეებით და მოციმციმე შუქით ტბაში ირეკ-ლებოდა, ველ-მინდვრებიდან კი გრილი სიო ქროდა.

ჩვენი სახლი ტბასთან ახლოს მდებარეობდა და ორი საძინე-ბელი ჰქონდა. ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ აქაურები ზნეობის ნაკლებობას არ უჩიოდნენ.

- ნეტავ, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებთ? - მკითხა ჰელენმა.

- ფრთხილად თუ ვიქნებით, შეიძლება წელიწად-ნახევარი ვი-ვარაუდოთ.

- და, ფრთხილად თუ არ ვიქნებით?

- მაშინ სიცოცხლეს ზაფხულში დავასრულებთ.

- მოდი, არ გვინდა ეს ფრთხილი სიცოცხლე, - თქვა ჰელენმა.

- ზაფხული ხანმოკლეა.

- ჰო, სიცოცხლეც ხანმოკლეა. - უეცრად მკვახედ მომახალა. - მაგრამ, იცი, ასე ხანმოკლე რატომ გვეჩვენება? სიცოცხლე ჩვენ-თვის იმიტომაა ხანმოკლე, რომ ამის შესახებ ვიცით. აი, გარეთ იმ კატამ, იმ ჩიტმა ან იმ პეპელამ ხომ არ იცის, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა?! მათ ჰგონიათ, რომ მარად იარსებებენ, რადგან მათთვის არავის უთქვამს, სიცოცხლე ხანმოკლეაო. მაშ, ჩვენ რატომღა გვითხრეს ეს?

- ამაზე უამრავი პასუხი არსებობს, - მივუგე მე.

- ერთ-ერთი მაინც დამისახელე!.

ჩაბნელებულ ოთახში ვიდექით. კარი და ფანჯრები ღია იყო.

- ერთ-ერთი პასუხი ისაა, რომ მარადიული სიცოცხლე აუტანელი იქნებოდა.

- ამით იმის თქმა გინდა, რომ ის ღმერთის სიცოცხლეს დაემსგავსებოდა და მოსაწყენი იქნებოდა? არ არის მართალი. სხვა მიზეზი მითხარი.

- ამის მიზეზი ის არის, რომ ამქვეყნად უბედურება უფრო ხშირია, ვიდრე ბედნიერება. სიცოცხლე კი მოწყალეა და არ სურს, ასეთ მდგომარეობაში უსასრულოდ გვამყოფოს.

ჰელენი ერთხანს დუმდა.

- არა, ეს ყველაფერი ტყუილია! - თქვა მერე. - ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობთ, რომ ამქვეყნად დარჩენა არ შეგვძლია და არაფრის შენარჩუნების უნარი არ შეგვწევს. მოწყალება აქ არაფერ შუაშია და ყველაფერი ჩვენი მოგონილია. მოწყალებაზე კი მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იმედი არ დავკარგოთ.

- ჰო, მაგრამ, მაინც ხომ გვჯერა ამის? - ვკითხე მე.

- არა, მე არ მჯერა!

- იმედი რომ არსებობს, არც ამის გჯერა?

- არაფრის აღარ მჯერა! - თქვა ჰელენმა და ტანსაცმელი საწოლზე მოისროლა. - ნებისმიერი ადამიანი ბოლოს ამ აზრამდე მიდის. ის იმედიანი პატიმარიც კი, რომელმაც გაქცევა მოახერხა, მერე მაინც ასე ფიქრობს.

- მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას იგი ხომ იმედის წყალობით ახერხებს?! მას ხომ იმედის მეტი აღარაფერი დარჩენია?!

- ჰო, ჩვენც მხოლოდ ეს დაგვრჩენია. განა მსოფლიოც ამ თვალით არ უყურებს ომს?! სამომავლოდ ყველას რაღაცის იმედი აქვს, მაგრამ არავის შესწევს ძალა, წინ აღუდგეს მას.

- ომის თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ სიკვდილს წინ ვერავინ აღუდგება, ჰელენ! - ვუთხარი მე.

- გეყო დაცინვა! - შესძახა უეცრად, მერე მასთან მიახლოება რომ დავაპირე, ნელ-ნელა კარისკენ წავიდა და გარეთ გავარდა.

- რა გემართება, ჰელენ? - დავადევნე გაოცებულმა.

ჩაბნელებულ ოთახში ვერ შევნიშნე, ახლა, გარეთ სინათლეზე კი დავინახე, რომ ტიროდა. ჰელენმა არ მიპასუხა და მეც აღარაფერი მიკითხავს.

- ნუთუ, ვერ ხედავ, რომ მთვრალი ვარ?

- მთვრალი არ ხარ.

- ძალიან ბევრი დავლიე.

- არა, ბევრი სულაც არ დაგილევია. ისე, ღვინო კიდევ გვაქვს., - ვუთხარი მე.

სახლის უკან, მდელოზე, ქვის მაგიდა იდგა. „ნოსტრანოს“ ბოთლი მაგიდაზე დავდგი და ჭიქების გამოსატანად სახლში შევბრუნდი. უკან რომ დავბრუნდი, დავინახე, რომ ჰელენმა მდელო გადაიარა და ქვევით, ტბისკენ წავიდა. მაშინვე არ გავყევი უკან და ჭიქებში ღვინო ჩამოვასხი, რომელიც ცისა და ტბის არეკლილ შუქზე შავი ჩანდა. მერე ნელ-ნელა გავუყევი მდელოს და ტბის ნაპირზე, პალმებთან და ოლეანდრებთან მივედი. უეცრად ავღელდი, მაგრამ შვებით ამოვისუნთქე, როდესაც დავინახე, რომ ჰელენი წყალთან ახლოს უცნაურად მოხრილი, უძრავად იჯდა და თითქოს ელოდა, რომ სადაცაა წყლიდან ვიღაც ამოყვინთავდა და თავისთან მიუხმობდა. მისი შეშინება არ მინდოდა და ამიტომ ხმა არ ამომიღია. ცოტა ხნის შემდეგ ჰელენმა ამოიოხრა, ფეხზე წამოდგა და წყალში შევიდა.

მერე დავინახე, რომ გაცურა და სახლში შევბრუნდი, რომ მისთვის ხაოიანი პირსახოცი და საბანაო ხალათი გამომეტანა. უკან რომ დავბრუნდი, წყალთან, გრანიტის ლოდზე ჩამოვჯექი და დაველოდე, როდის გამოვიდოდა წყლიდან. ვხედავდი, რომ

ჰელენს თმა ზემოთ ჰქონდა აწეული და ამ უზარმაზარ წყლის სივრცეში თავი ძალიან პატარა მოუჩანდა. თან იმაზე ვფიქრობდი, რომ ახლა ის იყო ჩემთვის ყველაფერი, მის გარდა ამქვეყნად სხვა არავინ მყავდა და სიამოვნებით დავუყვირებდი, უკან დაბრუნდი-მეთქი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ წუთებში ჰელენი საკუთარ თავში რაღაც ისეთს ებრძოდა, რაზეც მე წარმოდგენა არ მქონდა... ახლა მისთვის წყალი თითქოს ბედისწერად ქცეულიყო, რომლისგანაც ყველა კითხვაზე პასუხს მოითხოვდა. ამ ბრძოლაში ჰელენი მარტო იყო, როგორც ყოველი ჩვენგანი, და ამ დროს ვინმე მხოლოდ იმით თუ დაეხმარებოდა, რომ მის გვერდით იქნებოდა და ცოტაოდენ სითბოს აგრძნობინებდა.

ჰელენმა წყალში წრიული მოძრაობა გააკეთა, მერე შემოტრიალდა და პირდაპირ ჩემი მიმართულებით გამოცურა. ბედნიერი ვიყავი, როცა იისფრად მოლივლივე ტბის ფონზე მის მუქ თმას ვხედავდი. მალე ჰელენი, მოხდენილი და სხივმოსილი, წყლიდან ამოვიდა და ჩემკენ გამოეშურა.

- რა ცივი და შემზარავია ეს წყალი! მოახლემ მითხრა, იმ პატარა კუნძულების ქვეშ, ტბის ფსკერზე, უზარმაზარი რვაფეხა ბუდობსო.

- ამ ტბაში მხოლოდ დიდი, ბებერი ქარიყლაპიები დაცურავენ, - ვუთხარი და ტანზე პირსახოცი შემოვახვიე. - რვაფეხა აქ არ შეიძლება იყოს. ისინი მხოლოდ გერმანიაში მომრავლდნენ 1933 წლიდან. ისე კი, წყალი ღამით ყოველთვის შემზარავია.

- თუ ვიფიქრებთ, რომ რვაფეხა არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ის მართლაც არსებობს, - ამიხსნა ჰელენმა. - რაც არ არსებობს, იმაზე ფიქრს ვერ შევძლებდით.

- ასე ღმერთის არსებობაც მარტივად დადასტურდებოდა, - ვუთხარი მე.

- შენ რა, არ გჯერა ამის?

- მზად ვარ, ამ ღამით ყველაფერი დავიჯეროო.

ჰელენი მომეყრდნო. სველი პირსახოცი შემოვხსენი და საბანაო ხალათი მოვახურე.

- რამდენიმე სიცოცხლე რომ გვაქვს, ამის მაინც თუ გჯერა?

- კი მჯერა, - მივუგე უყოყმანოდ.

ჰელენმა ამოიოხრა.

- მადლობა ღმერთს! თორემ შენთან ამაზე კამათის თავი ნამდვილად აღარ მქონდა. დავიღალე და შემცივდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტბა შუაგულ მთებში მდებარეობს.

რესტორნიდან, ღვინის გარდა, ერთი ბოთლი გრაპაც მქონდა წამოღებული. ყურძნის ჭაჭაზე დაყენებული ეს კამკამა არაყი ძალიან ჰგავს ფრანგულს, მაგარი და სურნელოვანია, თან, ასეთ დროს, მისწრებაა. არაყი გამოვიტანე და ჰელენს დიდ ჭიქაში დავუსხი. მან ნელ-ნელა გამოცალა ჭიქა.

- იცი, აქედან წასვლა არ მინდა, - მითხრა მერე.

- ხვალიდან აქაურობა აღარ გაგახსენდება, - მივუგე მე. - ჩვენ ხომ მსოფლიოს უმშვენიერეს ქალაქში მივდივართ, თანაც პარიზში არასოდეს ყოფილხარ.

- მსოფლიოს უმშვენიერესი ქალაქი ის არის, სადაც ბედნიერი ხარ. ძალიან ბანალური სიტყვებია, არა?

გამეცინა.

- ეშმაკსაც წაუღია სიფრთხილე, რომელსაც სტილის საკითხში ვიჩენთ! ბანალურ ფრაზებს, მით უფრო ასეთებს, ვერსად გავექცევით. კიდევ დალევ გრაპას?

ჰელენმა თავი დააქნია და სახლიდან ჩემთვისაც გამოვიტანე ჭიქა. მერე მდელოზე, მაგიდასთან ვისხედით, სანამ ჰელენს ძილი არ მოერია. საწოლთან მივიყვანე, დავაწვინე და გვერდით

მივუწექი. ღია კარში მდელოს გავხედე, რომელსაც ჯერ ლურჯი ფერი დაედო, მერე კი ვერცხლისფერი გადაეფინა. ჰელენს ერთ საათში გაეღვიძა და წყლის დასალევად სამზარეულოში გავიდა. მერე წერილით ხელში დაბრუნდა, რონკოში ჩვენი ყოფნის დროს მის ოთახში რომ დაეტოვებინათ.

- მარტენსი მწერს, - თქვა მან და წერილი გვერდზე გადადო.

- მარტენსმა იცის აქაური მისამართი? - ვკითხე მე.

ჰელენმა თავი დააქნია.

- ჰო, იცის. ჩემიანებს ელაპარაკა და უთხრა, რომ შვეიცარიაში, გამოკვლევაზე მისი რჩევით წამოვედი და აქ რამდენიმე კვირა მომიწევს დარჩენა.

- მასთან მკურნალობდი?

- დროდადრო.

- რა გაწუხებდა?

- ისეთი არაფერი, - მითხრა მან, წერილი არ წამაკითხა და ხელჩანთაში ჩადო.

- ეს ნაჭრილობევი საიდან გაქვს? - ვკითხე მერე.

ჰელენს მანამდეც შევნიშნე მუცელზე წვრილი, თეთრი ზოლი, მაგრამ გარუჯულ კანზე ახლა უფრო მეცა თვალში.

- უმნიშვნელო ოპერაციის შემდეგ დამრჩა, - მითხრა მან.

- მაინც, რა ოპერაცია იყო ასეთი?

- იცი, ქალებს ხანდახან გვჭირს ხოლმე ისეთი რაღაც, რაზეც ლაპარაკი არ გვიყვარს.

ჰელენმა შუქი ჩააქრო.

- რა კარგია, რომ ჩამოხვედი და წამომიყვანე. იქ ყოფნას ნამდვილად ვეღარ გავუძლებდი. მინდა, რომ გიყვარდე. ძალიან გიყვარდე და არასოდეს აღარაფერი მკითხო. ხომ გაიგე? არასოდეს! აღარაფერი!

მესამე ნაწილი

10

- ბედნიერება მოუხელთებელია და მოგონებასთან ისეა შერწყმული, რომ მისი აღწერა ძალიან ძნელია. აი, უბედურებაზე კი ყოველთვის შეგიძლია ილაპარაკო. პარიზში ჩავედით და პატარა სასტუმროში ვიქირავეთ ოთახები. სასტუმრო სენის მარცხენა მხარეს, ავგუსტინელების სანაპიროზე მდებარეობდა, ლიფტი არ ჰქონდა, კიბე კი ძველი იყო და მონჯღრეული. სამაგიეროდ, აქედან მშვენიერი ხედი იშლებოდა და სანაპიროზე ჩამწკრივებული წიგნის მაღაზიები, კონსიერჟერი(კონსიერჟერი - ციხე-- სიმაგრე პარიზში, სადაც საპატიმრო იყო გახსნილი.) და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი მოჩანდა. პასპორტები გვქონდა და 1939 წლის სექტემბრამდე თავს ადამიანებად ვგრძნობდით, ამიტომ ჩვენთვის სულერთი იყო, ყალბი პასპორტები გვექნებოდა თუ ნამდვილი, მაგრამ მერე ცივი ომი დაიწყო და ეს სულაც აღარ იყო სულერთი.

- ადრე აქ როგორ ცხოვრობდი? - მკითხა ჰელენმა ივლისის ერთ დღეს, ჩვენი ჩამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ. - მუშაობის უფლება გქონდა?

- ცხადია, არა. არსებობის უფლება მეკრძალებოდა და მუშაობის უფლებას ვინ მომცემდა?

- მაშინ თავს რით ირჩენდი?

- ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, - მივუგე გულწრფელად. - თუმცა დროებით სად აღარ ვიმუშავე. ამ მხრივ საფრანგეთში დიდი

სიმკაცრე არ არის. იაფფასიან სამუშაოს შოვნა აქ არ ჭირს. მტვირთავად ვმუშაობდი „ლე ალიში“,[23] მიმტანიც ვიყავი, წინდებით, ჰალსტუხებით და მამაკაცის პერანგებითაც ვვაჭრობდი. გერმანულის მასწავლებლად და მძღოლადაც მიმუშავია, დროდადრო ემიგრანტთა კომიტეტიც მიხდიდა რაღაც თანხას. პატარ-პატარა სტატიებსაც ვწერდი ხოლმე გაზეთებისთვის. მერე გასაყიდიც აღარაფერი მებადა.

- არ შეგეძლო, სადმე რედაქტორად დაგეწყო მუშაობა?

- არა. ამისათვის ბინადრობის და მუშაობის ნებართვა იყო საჭირო. ბოლო ხანებში ვიღაც-ვიღაცებს საჯარო გამოსვლებისთვის მოხსენებებს ვუწერდი, მაგრამ მერე გამოჩნდა შვარცი და ჩემი გაყალბებული ცხოვრებაც დაიწყო.

- რატომ, გაყალბებული?

- იმიტომ, რომ იმ დროიდან მიცვალებული კაცის უცხო გვარით მალული, ყალბი ცხოვრება დავიწყე.

- არ მინდა, შენს ცხოვრებაზე ასე ლაპარაკობდე!

- ჰო, შეგვიძლია ამ ცხოვრებას სხვა რამ დავარქვათ და მას ორმაგი, ფარული, ანდა, უფრო უპრიანი იქნება, მეორე ცხოვრება ვუწოდოთ. ამას თავადაც ასე შეიგრძნობ. თითქოს დაღუპული გემის მგზავრი ხარ და აღარაფერი გახსოვს, თუმცა წარსულიც დიდად არ გენანება, რადგან კარგი მოგონებები დრომ შთანთქა, ცუდის გამოსწორება კი ვერ მოახერხა.

ჰელენს გაეცინა.

---

[23] ლე ალი - „პარიზის სტომაქის“ სახელით ცნობილი ბაზარი, რომლის ტერიტორიაზეც მოგვიანებით „პომპიდუს ცენტრი“ აშენდა.

- მაშ, ამჟამად ვინ ვართ? თაღლითები, მიცვალებულები თუ აჩრდილები?

- კანონის თანახმად, ტურისტები ვართ, ქვეყანაში ყოფნის უფლება გვაქვს, მაგრამ მუშაობით ვერ ვიმუშავებთ.

- ძალიან კარგი, - თქვა ჰელენმა. - თუ ასეა, ნუ ვიმუშავებთ. მოდი, წმინდა ლუის კუნძულზე წავიდეთ, სადმე დავსხდეთ და მზეს შევეფიცხოთ, მერე კი კაფე „დე ლა ფრანსში“ შევიაროთ და იქვე, ქუჩაში წავიხემსოთ. მოგწონს ჩემი წინადადება?

- ძალიან მომწონს, - ვუთხარი მე.

ამ დღიდან ასეც ვიქცეოდით. დროებით სამუშაოს აღარ ვეძებდი და მე და ჰელენი კვირების განმავლობაში, დღედაღამ ერთად ვიყავით.

დრო კი თითქოს სადღაც გარეთ, ჩვენს მიღმა მიედინებოდა, საგანგებო საგაზეთო გამოშვებებით, საგანგაშო ცნობებით და მნიშვნელოვანი სხდომებით; ჩვენ ამ დროში აღარ ვცხოვრობდით და ის ჩვენთვის აღარ არსებობდა. მაშ, რა არსებობდა იმ დროს? რა და, მარადისობა. როცა გრძნობა მთლიანად გავსებს, დროის შეგრძნებას კარგავ და თითქოს მისგან შორს, გაღმა ნაპირზე იმყოფები. არ გჯერათ ჩემი?

შვარცის სახე ისევ იმ დიდ სასოწარკვეთას გამოხატავდა, მანამდეც რომ შემიმჩნევია.

- მითხარით, არ გჯერათ ჩემი? - მკითხა მან ისევ.

დავიღალე და მოთმინებაც გამომელია. სულაც აღარ მაინტერესებდა შვარცის ლაპარაკი ბედნიერებაზე, მით უმეტეს, მარადისობაზე.

- არ ვიცი, - ვუთხარი დაუფიქრებლად. - ალბათ ბედნიერება ან მარადისობა შეიძლება მაშინ უწოდო ამ გრძნობას, თუ ის

შენთან ერთად კვდება და ამ დროს მისი არსებობა ყოველგვარ კალენდარულ განზომილებას სცდება. მაგრამ, თუ ცხოვრებას ისევ აგრძელებ, მაშინ კიდეც უნდა შეეგუო იმას, რომ ბედნიერება, ყველაფრის მიუხედავად, კვლავაც შენი წარმავალი არსებობის ნაწილად რჩება.

- ბედნიერება არ უნდა კვდებოდეს! - უეცრად გადაჭრით წარმოთქვა შვარცმა. - ის მარმარილოს ქანდაკებასავით აღმართული უნდა რჩებოდეს და არ უნდა ჰგავდეს ქვიშის კოშკს, ყოველდღიურად, ნელ-ნელა რომ ჩამოიშლება. რა ბედი ეწევათ იმათ, ვინც გვიყვარდა და გარდაიცვალნენ? მითხარით, რა ემართებათ მათ, ბატონო ჩემო? განა მათ სიკვდილს ჩვენში ისევ და ისევ არ ვიმეორებთ? მაშ, სხვაგან სად არიან, თუ არა ჩვენს მოგონებებში? და ამ დროს ხომ, ჩვენდა უნებურად, მათი მკვლელები ვხდებით? ნუთუ, უნდა შეურიგდე იმას, რომ მხოლოდ შენთვის ნაცნობ სახეს დრო წაშლის?! ჰო, ვიცი, ეს სახე ნელ-ნელა დავიწყებას მიეცემა და გაფერმკრთალდება, თუ მას ჩემგან არ გამოვდევნი და ჩემ მიღმა არსებობას არ დავუწესებ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცოცხალი ტვინის მატყუარა უჯრედები ამ სახეს სუროსავით ვერ შემოეხვევა და ისე ვერ გაანადგურებს, რომ მისგან, მწერების სათარეშოდ, მხოლოდ სურო და ნეშომპალა დარჩეს! ეს რომ ვიცი, ამიტომაც ვცდილობ, თავი დავაღწიო ცხოვრების გაგრძელების სურვილით შეპყრობილ იმ დამანგრეველ ეგოიზმს, ნაცნობი სახის დავიწყებას და განადგურებას რომ ცდილობს. ნუთუ ეს არ გესმით?

- ბატონო შვარც, კარგად მესმის თქვენი, - ფრთხილად მივუგე. - განა სწორედ ამიტომ არ მოინდომეთ ჩემთან ლაპარაკი, რომ ეს სახე თქვენივე თავისგან გეხსნათ?

საკუთარ თავზე გავბრაზდი, რომ შვარცს აქამდე ასე უგულისყუროდ ვპასუხობდი. ეს კაცი, ლოგიკურადაც და ემოციურადაც, დონ კიხოტივით შეშლილი იყო, რომელიც დროის დასამარცხებლად ქარის წისქვილებს ებრძოდა. მე კი მისი ტკივილის მიმართ იმდენად დიდი პატივისცემით განვიმსჭვალე, რომ აღარ მინდოდა მოსმენა, სადამდე მიიყვანდა მას ეს აზრები.

- თუ შევძლებ... - თქვა მან და სიტყვები თითქოს ყელში გაეჩხირა. - ... დიახ, თუ შევძლებ, ეს სახე ნამდვილად დარჩება ჩემში. ეს ხომ მაინც გჯერათ?

- მჯერა, ბატონო შვარც! ჩვენი მოგონება მტვრიან მუზეუმში ჩაკეტილი, სპილოს ძვლის ზარდახშა ხომ არ არის?! ის შეიძლება ცხოველს შევადაროთ, რომელიც ცოცხლობს, იკვებება და საჭმელს ინელებს. დიახ, ის ზღაპრული ფენიქსის მსგავსად საკუთარ თავსაც ამოიჭამს, რომ არ გაგვანადგუროს და ცხოვრების გაგრძელება შევძლოთ. თქვენ კი გინდათ, ამას წინ აღუდგეთ.

- დიახ, ასეა! - მითხრა შვარცმა და მადლიერი მზერა შემავლო. - თქვენ არ მითხარით, ადამიანი კვდება და მოგონებაც ქვავდებაო?!

- ჩემი მხრიდან ამის თქმა, დიდი სისულელე იყო, - მივუგე მე.

ძალიან დავიღალე და, თან ასეთი საუბრები საშინლად მძულდა. ემიგრანტობის წლებში არანორმალური ადამიანები წვიმიან ამინდში მომრავლებული სოკოებივით მეხვია გარს და ბევრ მათგანს ვიცნობდი.

- მინდა გითხრათ, რომ თავის მოკვლას არ ვაპირებ, - მითხრა შვარცმა და მოულოდნელად გაიღიმა, თითქოს მიხვდა, რასაც ვფიქრობდი. - თანაც, სიცოცხლე ახლა სხვა რამისთვის მჭირდება. ჩემში მხოლოდ იოზეფ შვარცი მოკვდება და დღეს

დილით, ერთმანეთს რომ დავემშვიდობებით, ის აღარ იარსებებს.

თავში რაღაც აზრმა გამიელვა და იმავდროულად, გიჟური იმედი მომეცა.

- მაინც რას აპირებთ? - ვკითხე მე.

- უნდა გავუჩინარდე.

- როგორც იოზეფ შვარცი?

- დიახ.

- გაქრებით, როგორც ამ გვარის პატრონი?

- გავქრები ყველაფრით, რაც ჩემში იოზეფ შვარცს უკავშირდება და ისიც აღარ ვიქნები, რაც მანამდე ვიყავი.

- მერედა, თქვენს პასპორტს რას უპირებთ?

- ის აღარ მჭირდება.

- სხვა პასპორტიც გაქვთ?

შვარცმა თავი გააქნია.

- ამიერიდან არავითარი პასპორტი აღარ მჭირდება.

- პასპორტში ამერიკული ვიზა გაქვთ?

- დიახ.

- იქნებ მომყიდოთ? - ვკითხე, თუმცა ვიცოდი, რომ საამისო ფული არ მქონდა.

- არა, ამ პასპორტს ვერ გავყიდი, რადგან ნაჩუქარია. თუმცა ამ დილით შემიძლია, გაჩუქოთ. რამეში გამოგადგებათ?

- ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა, - ვუთხარი სუნთქვაშეკრულმა. - ეს ხომ ჩემთვის ნამდვილი ხსნა იქნება! პასპორტში ამერიკული ვიზა არა მაქვს და არ ვიცი, ხვალ შუადღემდე თუ მოვასწრებ ამ საქმის მოგვარებას.

შვარცს ნაღვლიანად გაეღიმა.

- როგორ მეორდება ყველაფერი! ახლა ის დრო გამახსენეთ, მომაკვდავი შვარცის ოთახში რომ ვიჯექი, პასპორტზე ვფიქრობდი და ვიცოდი, რომ ადამიანად თავს მხოლოდ მისი წყალობით ვიგრძნობდი. კი ბატონო, მოგცემთ ჩემს პასპორტს. მარტო ფოტოსურათის შეცვლა მოგიწევთ, ასაკში კი დიდი სხვაობა არ უნდა იყოს.

- ოცდათხუთმეტი წლის ვარ, - ვუთხარი მე.

- ჰოდა, ერთი წელი მოგემატებათ. გყავთ ვინმე, ვინც ამ საქმეს მოგიგვარებთ?

- დიახ, აქ ერთი კაცი მეგულება, რომელიც ამ საქმეში გაწაფულია, - მივუგე მე. - ფოტოსურათის შეცვლა არც ისე ძნელია.

- ჰო, ეს საკუთარი თავის შეცვლაზე გაცილებით უფრო ადვილია, - თქვა მან და ერთხანს თვალი გაუშტერდა. - საოცარი ის იქნება, ახლა თქვენც თუ ისე შეგიყვარდებათ მხატვრობა, როგორც განსვენებულ შვარცს უყვარდა... მერე კი მე შემიყვარდა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მისმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს შეშაშინა.

- განა პასპორტს ასეთი მაგიური ძალა აქვს? ის მხოლოდ ფარატინა ქაღალდია, - ვუთხარი მე.

- ასე გგონიათ?

- გეთანხმებით, მაგიური ძალა კი აქვს, მაგრამ არა ისეთი, თქვენ რომ მიაწერთ. რამდენ ხანს დარჩით პარიზში? - ვკითხე მერე.

შვარცის დაპირებამ, რომ პასპორტს მომცემდა, საშინლად ამაფორიაქა და აღარ მესმოდა, რას მეუბნებოდა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რუთისთვისაც როგორ მიმეღო ვიზა. საკონსულოში ვერ ვიტყოდი, ჩემი და არის-მეთქი, რადგან ამერიკის საკონსულო განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირ-

ჩეოდა. ამიტომ მორიგი სასწაულის მოლოდინში, რაღაც უნდა მეღონა. მერე ისევ ჩამესმა ყურში შვარცის ხმა.

- ის კაცი სრულიად მოულოდნელად პარიზის ბინაში გამოგვეცხადა, - თქვა მან. - თურმე თვე-ნახევარი გვეძებდა და ბოლოს და ბოლოს, მოგვაგნო. ამჯერად საკონსულოს თანამშრომლის დახმარება აღარ დასჭირვებია, საკუთარი ფეხით გვეახლა და აი, უკვე ჩვენ წინაშე იდგა სასტუმროს პატარა ოთახში, სადაც კედლებზე მე-18 საუკუნის მხატვრების სატრფიალო თემებზე შექმნილი გრავიურები ეკიდა. დიახ, ჩვენი ბინის კართან იდგა ჰელენის ძმა, ობერშტურმანფიურერი გეორგ იურგენსი, მაღალი და წარმოსადეგი ახალგაზრდა, რომელიც ორას ფუნტს იწონიდა და ამჯერად უფრო მეტად განასახიერებდა გერმანიას, ვიდრე ოსნაბრიუკში ყოფნისას, თუმცა სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. გეორგი ორივეს შემოგვაჩერდა.

- ტყუილებში გძვრებათ სული, არა? - გვითხრა მან. - ასეც ვიცოდი, რადგან საიდანღაც გამუდმებით მცემდა საშინელი სიმყრალის სუნი!

- მერედა, ეს რატომ გიკვირთ? - მივუგე მე. - სადაც კი ფეხს დაადგამთ, იქ ხომ ყველაფერს სიმყრალის სუნი უდის?! განა თქვენი ძალადობით არ გამოიჩინეთ ყველგან თავი?

ჰელენს გაეცინა.

- ახლავე შეწყვიტე სიცილი, - დაუყვირა გეორგმა.

- ნუ ღრიალებთ! - ვუთხარი მე. - თორემ ახლავე კინწისკვრით გაგაგდებთ აქედან.

- მერედა, რა გიშლით ამაში ხელს?

თავი გავაქნიე.

- ისევ გმირად მოგაქვთ თავი, არა? იცით, რომ მომერევით, რადგან ჩემზე ორმოცი ფუნტით მეტს იწონით. არც ერთ მსაჯს

აზრად არ მოუვიდოდა, ასეთი განსხვავებული წონის მოკრივეები ერთმანეთთან შეეჯიბრებინა. ახლა კი, რა გინდათ, რისთვის მოხვედით?

- ეგ თქვენი დამპალი ჭკუის საქმე არ არის, სამშობლოს მოღალატევ! ახლავე გადით აქედან! ჩემს დას უნდა დაველაპარაკო!

- არსად არ წახვიდე! - მითხრა სიბრაზისგან აკანკალებულმა ჰელენმა, მერე მაგიდასთან მივიდა და მარმარილოს საფერფლეს დაავლო ხელი. - იცოდე, ასე თუ გააგრძელებ ლაპარაკს, ეს საფერფლე პირდაპირ თავში მოგხვდება, - უთხრა გეორგს მშვიდად. - გერმანიაში ხომ არ გგონია თავი?

- მართალია! სამწუხაროდ, გერმანიაში არა ვარ, მაგრამ ცოტაც მოითმინეთ, მალე აქაც გერმანია იქნება.

- არა, მაგას ვერ ეღირსებით! - უთხრა ჰელენმა. - შეიძლება შენისთანა ჩექმებიანმა იდიოტებმა ეს ქვეყანა დროებით დაიპყრონ, მაგრამ ეს ყოველთვის საფრანგეთი იქნება. აქ რა, იმისთვის მოხვედი, რომ ამაზე მეკამათო?

- არა, შენს წასაყვანად მოვედი. ნუთუ ვერ ხვდები, რა გელის, ომმა აქ თუ მოგისწრო?

- მაინც, რა მელის?

- მაშინვე ციხეში გიკრავენ თავს.

შევატყვე, რომ ჰელენი ერთი წამით თითქოს გაოგნდა.

- ჰო, ალბათ ბანაკში შეგვყრიან, მაგრამ ეს ტყვეთა ბანაკი იქნება და არა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკი.

- ნეტა ამ საქმეებისა რა გაგეგებათ?! - დაიღრიალა გეორგმა.

- ძალიან კარგადაც გამეგება, - მივუგე მე. - სხვათა შორის, ერთ-ერთ ასეთ ბანაკში სწორედ თქვენი წყალობით მოვხვდი.

- ის ხომ შრომა-გასწორების ბანაკი იყო, - თქვა გეორგმა ზიზღით. - მაგრამ მაინც არაფერმა გიშველა, გამოგიშვეს თუ არა, მაშინვე დეზერტირი გახდი.

- პირდაპირ მშურს, რა საოცარი სიტყვების ხმარება გიყვართ, - ვუთხარი მე. - როგორც კი ვინმე ხელიდან დაგიძვრებათ, მაშინვე დეზერტირად ნათლავთ.

- აბა, მაშ, რა ჰქვია თქვენს საქციელს? განა არ გიბრძანეს, რომ გერმანიიდან არ წასულიყავით?

ხელი ჩავიქნიე. გეორგთან მსგავსი საუბრები მანამდეც მქონია, სანამ ძალაუფლებას მოიპოვებდა და ჩემზე ჯავრს იმით იყრიდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკში მიკრავდა თავს.

- გეორგი რა იდიოტიც იყო, ისეთივე იდიოტად დარჩა, - თქვა ჰელენმა. - ამ კუნთმაგარ ლაჩარს ეს ტყვიაგაუმტარი მსოფლმხედველობა ისევე სჭირდება, როგორც მსუქან ქალს კორსეტი, რადგან მის გარეშე ნაწილ-ნაწილ დაიშლება. ცოფებს სწორედ იმიტომ ყრის, რომ უძლურია.

- საკმარისია! - თქვა გეორგმა ამჯერად მშვიდობიანად, რასაც არ ველოდი. - ჰელენ! ახლა კი ჩაალაგე ბარგი და წავიდეთ! მდგომარეობა ძალიან გართულდა, ამიტომ ამ საღამოსვე გერმანიაში უნდა დავბრუნდეთ.

- მაინც, რამდენად რთულია ეს მდგომარეობა?

- ომი დაიწყება. ასე რომ არ იყოს, ახლა აქ არ ვიქნებოდი.

- არა, აქ მაინც იქნებოდი, - უთხრა ჰელენმა. - ზუსტად ისე, როგორც ორი წლის წინათ შვეიცარიაში გამომეცხადე. უკან დაბრუნება მაშინაც არ მინდოდა, შენ კი ვერაფრით შეჰგუებოდი იმ აზრს, რომ პარტიის შენისთანა ერთგული წევრის დას, შეიძლებოდა სხვა ქვეყანაში ეცხოვრა! მაშინ შენი გაიტანე და უკან

დამაბრუნე. ახლა კი წამოსვლას არ ვაპირებ და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

გეორგი დას მიაჩერდა.

- ასე ამ უბადრუკი თაღლითის გამო იქცევი, არა? ისევ თავის ჭკუაზე გატარებს, ხომ?

- რა თქვი? თაღლითი ახსენე? რა ხანია, ეგ სიტყვა აღარ მსმენია! ნამდვილად წარღვნამდელი ლექსიკით ლაპარაკობ. ჰოდა, მინდა იცოდე, რომ ეს თაღლითი ჩემი ქმარია და თავის ჭკუაზე კი არ მატარებს, პირიქით, გერმანიაში ჩემს დასაბრუნებლად ყველაფერი იღონა. სხვათა შორის, ამ თაღლითს, შენგან განსხვავებით, ჩემ მიმართ ბევრად უფრო კეთილი მიზნები ამოძრავებს.

- პირისპირ მინდა შენთან დალაპარაკება, - უთხრა გეორგმა.

- ამით არაფერი შეიცვლება.

- ნუ გავიწყდება, რომ შენი ძმა ვარ!

- მე კი გათხოვილი ქალი ვარ!

- სისხლით ნათესაობა სულ სხვაა, - შეეცადა გეორგი დის გადარწმუნებას. - შენ კი, როგორ იქცევი? დდაჯდომაც კი არ შემომთავაზე. ოსნაბრიუკიდან ამხელა გზა გამოვიარე და ასე, ფეხზე მდგარს უნდა მელაპარაკებოდე? - დასძინა მან უეცრად განაწყენებული ბავშვივით.

ჰელენს გაეცინა.

- ეს ჩემი ოთახი არ არის. ქირას ჩემი ქმარი იხდის.

- ბატონო ობერშტურმანფიურერო და ჰიტლერის ყურმოჭრილო მონავ, გთხოვთ, დაბრძანდეთ, მაგრამ კარგი იქნება, მალე თუ წაბრძანდებით აქედან, - ვუთხარი მე.

- ვერა და ვერ ხვდებით, რომ ჩემს დასთან მარტო უნდა დამტოვოთ?

- განა, თავად კი მომეცით საშუალება, რომ მასთან მარტო დავრჩენილიყავი და დავლაპარაკებოდი, როცა თქვენი ბრძანებით მაპატიმრებდნენ? - კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

- ეგ სულ სხვა ამბავი იყო, - ჩაიბურდღუნა გეორგმა.

- აი, ხომ ხედავ? გეორგი და მისი პარტიული მეგობრები ყველაფერს სხვა თვალით უყურებენ, როცა საქმე მათთვის საძულველ ადამიანებს ეხება, - ღვარძლიანად თქვა ჰელენმა. - განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს იჭერენ ან კლავენ და ამ დროს თავისუფალი აზროვნების დამცველებად მოაქვთ თავი. საკონცენტრაციო ბანაკში რომ გამოგამწყვდიეს, მაშინაც ხომ ლაფში ამოსვრილი სამშობლოს ღირსებას იცავდნენ?! განა ასე არ არის, გეორგ?

- სწორედაც რომ ასეა! - მიუგო გეორგმა.

- თანაც ისე ხდება, რომ ეს კაცი ყოველთვის მართალია, - თქვა ჰელენმა. - ეჭვი არაფერში ეპარება და სინდისის ქენჯნა არასოდეს აწუხებს. ყოველთვის იმათ მხარეზეა, ვის ხელშიც ძალაუფლებას ხედავს. თავისი ფიურერის მსგავსად, მასაც ამქვეყნად ყველაზე მშვიდობიან ადამიანად მოაქვს თავი, ოღონდ იმ პირობით, თუ ყველანი ისე იქცევიან, როგორც მას მიაჩნია სწორად. მშვიდობის დარღვევა კი ყოველთვის სხვებს ჰბრალდებათ. ხომ ასეა, გეორგ?

- ჰო, მაგრამ ეს ყველაფერი ახლა ჩვენ ხომ არ გვეხება?

- თითქოს არ უნდა გვეხებოდეს, მაგრამ ძალიანაც გვეხება, - უთხრა ჰელენმა. - ძალადობის ურყევო ბურჯო! ნუთუ ვერ გრძნობ, რა სასაცილოდ გამოიყურები ამ უდარდელ და ხალისიან ქალაქში? სამოქალაქო ტანსაცმელი კი ჩაგიცვამს, მაგრამ მაგ ჩექმებს მაინც ვერ შელევიხარ, და შემთხვევა თუ მოგეცა, ადამიანებს ჩაწიხლავ და ზედ გადაუვლი! მაგრამ აქ არავითარი

ძალა არ გაგაჩნია, ჯერჯერობით მაინც. იმ ოფლით აყროლებული, ბრტყელტერფიანი ქალების პარტიაში კი ვერასოდეს ჩამწერ, რომ მერე პატიმარივით მიდარაჯო. აქ თავისუფლად ვსუნთქავ და მეც სწორედ ეს მინდა.

- გერმანული პასპორტი გაქვს და ომი როგორც კი დაიწყება, იცოდე, მაშინვე ციხეში გიკრავენ თავს.

- ეგ დღე ჯერ არ დამდგარა, თუმცა ასეც რომ მოხდეს, თქვენთან ყოფნას მაინც აქ ყოფნა მირჩევნია, რადგან თქვენც ციხეში ჩამაგდებთ. თქვენი მონა კი აღარასდროს ვიქნები მას შემდეგ, რაც იქიდან გამოვიქეცი, იმ თქვენს შემზარავ ყაზარმებს, საზარელ დაწესებულებებს და საზიზღარ ყოფას თავი დავაღწიე და აქაური თავისუფლების ჰაერი ჩავისუნთქე.

ფეხზე წამოვდექი. აღარ შემეძლო ყურება, როგორ ცდილობდა ჰელენი ამ ნაცისტი ბრიყვისთვის აეხსნა ის, რასაც იგი ვერასოდეს გაიგებდა.

- ეგ წყეული კოსმოპოლიტია ყველაფერში დამნაშავე! - დაიღრიალა გეორგმა. - სწორედ მაგან დაგღუპა. მაგრამ დამაცადე, ყმაწვილო, აუცილებლად გაგებინებ პასუხს!

გეორგიც ფეხზე წამოდგა. ფიზიკურად ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო და სულ ადვილად მომერეოდა, მით უფრო, რომ შრომა-გასწორების ბანაკში ყოფნის შემდეგ მარჯვენა მკლავს იდაყვში საერთოდ ვეღარ ვხრიდი.

- არ გაბედო და ხელით არ შეეხო! - ჩურჩულით უთხრა ჰელენმა ძმას.

- ამ ლაჩარს შენი დაცვა სჭირდება, რადგან თავად ამის შნო არა აქვს, ასეა ხომ?

შვარცი მე მომიბრუნდა.

- ძალიან უცნაური რამ არის ეს ფიზიკური უპირატესობა. თავ-დაცვის ყველაზე პრიმიტიული საშუალებაა და სიმამაცესთან და ვაჟკაცობასთან არაფერი აქვს საერთო. ხეიბარს რევოლვერი თუ უჭირავს ხელში, გაგანადგურებს და ამ დროს ვაჟკაცობა ვე-რაფერს გიშველის. ფიზიკური უპირატესობა ადამიანის წონასა და კუნთებზეა დამოკიდებული, და თავს მაინც დამცირებულად გრძნობ, როდესაც ასეთ სისასტიკეს გადაეყრები. ყველამ იცის, რომ ჭეშმარიტი გამბედაობა და სიმამაცე სადღაც იქ იღებს სა-თავეს, სადაც ძალითა და კუნთებით ფონს ვერ გახვალ. მიუხე-დავად ამისა, უსუსური მსჯელობით მაინც ვცდილობთ ხოლმე თავის მართლებას, რადგან არ გვინდა, ვიღაცამ თავ-პირი დაგ-ვამტვრიოს და დაგვახეიბროს. განა ასე რა არის?

შვარცს თავი დავუქნიე.

- დიახ, ეს ყველაფერი უაზრობაა და ამიტომაც გვეჩვენება ასე დამამცირებლად.

- თავს როგორ არ დავიცავდი?! - თქვა მან. - და ცხადია, შევ-ძლებდი კიდეც ამას.

პროტესტის ნიშნად ხელი ავწიე.

- ბატონო შვარც, არ გინდათ! ჩემთვის ამის ახსნა არ გჭირდე-ბათ.

- მართალი ხართ! - ოდნავ გაეღიმა შვარცს. - მაგრამ ხედავთ, თურმე ეს შეურაცხყოფა რა ღრმად ჩამრჩენია გულში, რომ ამის ახსნას ახლაც ვცდილობ? ეს გრძნობა დღესაც ისე მაწუხებს, თითქოს ხორცში სამუდამოდ კაუჭი მქონდეს გამოდებული. ისე კი საინტერესოა, როდის დავაღწევთ თავს ამ უსუსურ მამაკაცურ პატივმოყვარეობას?

- რით დამთავრდა ეს ამბავი? ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა საქმე? - ვკითხე მე.

- არა. ჰელენს უეცრად სიცილი აუტყდა და მითხრა: - ერთი ამ სულელს შეხედე! ჰგონია, რომ თუ გცემს და შეურაცხყოფას მოგაყენებს, ამით ჩემს თვალში დაგამცირებს და ვაჟკაცობას შეგილახავს, მე კი ყველაფერს მოვინანიებ და იმ ქვეყანაში დავბრუნდები, სადაც აშკარად ძალადობა ზეიმობს.

მერე გეორგს მიუბრუნდა და უთხრა:

- სიმამაცესა და სილაჩრეზე ამდენს კი ყბედობ, მაგრამ წარმოდგენა არა გაქვს, რა გამბედაობა გამოიჩინა ამ კაცმა, როდესაც ჩემი გულისთვის გერმანიაში დაბრუნდა და იქიდან წამომიყვანა.

- რაო, რა თქვი? - გეორგი გაოცებული შემომაჩერდა. - მართლა გერმანიაში დაბრუნდა?

ჰელენი წამით ჩაფიქრდა.

- ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. როგორც ხედავ, ახლა უკვე აქ ვარ და უკან აღარ დავბრუნდები.

- მაშ, ამ კაცმა იქ ჩამოგაკითხა და წამოგიყვანა? - იკითხა გეორგმა. - ამაში ვინ დაეხმარა?

- არავინ, - მიუგო ჰელენმა. - ისევ ერთი სული გაქვს, ვინმე უდანაშაულოს ციხეში უკრა თავი, ხომ?

ჰელენს ვეღარ ვცნობდი. ისე შეეპყრო სიძულვილს, თანაც თავდაცვის ამაღლებულ განცდას, რომ ერთიანად ცახცახებდა. მეც იგივე დამემართა, ვიგრძენი, რომ მთელ ტანში ელვასავით რაღაც უჩვეულო სურვილმა დამიარა და თითქოს თვალთ დამიბნელდა. მერე კი მივხვდი, რომ უეცრად შურისძიებაზე ფიქრი ამეკვიატა. გეორგს აქ არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა, ის მარტო იყო და თავზე გესტაპოს ვერ დაგვაყენებდა. ამ აზრმა იმდენად ამაფორიაქა, რომ იმ წუთში აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჩხუბის სურვილი არ მქონდა. ახლა მხოლოდ იმ

არსების მოსპობა და განადგურება მინდოდა, ახლა ჩემ წინ რომ იდგა. დიახ, მისთვის ბოლო უნდა მომეღო. ისევე, როგორც ბოროტების განადგურებისას არავითარი განსჯა არ ღირს, გეორგის შემთხვევაშიც ასე იყო. მისი განადგურება მხოლოდ შურისძიება როდი იქნებოდა... ეს მომავალში ათეულობით უცნობი მსხვერპლის გადარჩენასაც ნიშნავდა. უნებურად კარისკენ წავედი და გამიკვირდა, რომ არ წავბარბაცდი. ახლა მხოლოდ მარტო დარჩენა მინდოდა დასაფიქრებლად. ჰელენი ყურადღებით მაკვირდებოდა და ხმას არ იღებდა. გეორგი ერთხანს ზიზღით მიყურებდა, მერე კი ისევ დაჯდა.

- როგორც იქნა! - შემომესმა მისი ხმა, როცა კარი გამოვიხურე. კიბეზე ჩავედი. ირგვლივ შემწვარი თევზის სუნი იდგა. ქვემოთ, კიბის ბაქანზე იტალიური ზანდუკი დავინახე, რომელიც აქამდე არასდროს შემინიშნავს. შევჩერდი, ზედ ამოტვიფრული ჩუქურთმები მუშტრის თვალით, გულდასმით შევათვალიერე და ღამეული მგზავრივით გავაგრძელე გზა. მეორე სართულზე ერთ-ერთი ოთახის კარი გამოღებული იყო და მწვანედ შეღებილი კედლები მოჩანდა. მოახლეს ფანჯრებიც გაეღო და ახლა ლოგინს ასწორებდა. საოცარია, რომ ასეთ რამეს ამჩნევ მაშინ, როცა გგონია, რომ მღელვარებისგან თვალები დაბნელებული გაქვს.

მეორე სართულზე, ჩემი ნაცნობის კარზე დავაკაკუნე. ამ კაცმა, რომელიც გვარად ფიშერი იყო, ერთხელ თავისი რევოლვერი მაჩვენა. მას იარაღი იმისთვის ჰქონდა, რომ ამ ცხოვრებისთვის გაეძლო. ეეს იარაღი იმის ილუზიას უქმნიდა, რომ შეეძლო, ემიგრანტის გაუსაძლისი, უბადრუკი ცხოვრებით ეცხოვრა და იმ დროს დალოდებოდა, სანამ ამ ცხოვრებას საბოლოო წერტილს დაუსვამდა.

ფიშერი შინ არ იყო, მაგრამ რაკი მოსაპარი არაფერი ჰქონდა, ამიტომ ოთახს არ კეტავდა. გადავწყვიტე, დავლოდებოდი და ოთახში შევედი. თავადაც არ ვიცოდი, რას ვიზამდი, თუმცა გადავწყვიტე, მისთვის იარაღი გამომერთმია. სასტუმროში გეორგის მოკვლა უაზრობა იყო, რადგან ეს სასტუმროში მცხოვრებ ყველა ემიგრანტს საქმეს გაურთულებდა. სკამზე ჩამოვჯექი, შევეცადე, დავმშვიდებულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი და სივრცეს მივაშტერდი.

უეცრად იადონის გალობა შემომესმა. გალია ფანჯრებს შორის, კედელზე ეკიდა. ადრე არ შემინიშნავს და ახლა ისე შევკრთი, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა. ამ დროს ოთახში ჰელენი შემოვიდა.

- აქ რას აკეთებ? - მკითხა მან.

- არაფერს. გეორგი სად არის?

- წავიდა.

არ ვიცოდი, სინამდვილეში რამდენ ხანს დავყავი ფიშერის ოთახში, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჩემი აქ მოსვლის შემდეგ ძალიან ცოტა დრო გასულიყო.

- როგორ ფიქრობ, ისევ მოვა? - ვკითხე ჰელენს.

- არ ვიცი. ისევ თავისას მიაჭენებს! ოთახიდან რატომ გახვედი? გინდოდა, მასთან მარტო დავრჩენილიყავი?

- არა, ჰელენ, მაგიტომ არა, - ვუთხარი მე. - უეცრად ვიგრძენი, რომ მისი ყურება აღარ შემეძლო.

ჰელენი კარებში იდგა და მაკვირდებოდა.

- მითხარი, ძალიან გძულვარ?

- რას ამბობ? რატომ უნდა მძულდე? - ვკითხე საოცრად გაოცებულმა.

- ეს აზრი გეორგის წასვლის შემდეგ დამებადა. ვიფიქრე, ცოლად რომ არ შევერთე, ეს ამბებიც ხომ არ გადახდებოდა-- მეთქი?!

- არა, ჰელენ! ეს ყველაფერი მაინც გადამხდებოდა და, ვინ იცის, იქნება ჩემი საქმე უარესადაც წასულიყო?! რატომღაც მგონია, რომ გეორგმა სწორედ შენ გამო დამინდო! ამიტომ არ შემაგდეს დენგამტარ მავთულზე და კაუჭზეც ამიტომ არ დამკიდეს. შენ როგორ უნდა მძულდე, ჰელენ? ეს რამ გაფიქრებინა?!

უეცრად ფიშერის ოთახის ფანჯრებიდან დავინახე, რომ გარეთ ისევ ზაფხული იყო და ირგვლივ ყველაფერი მწვანედ ბიბინებდა; მზის სხივებით განათებულ ეზოში კი დიდი წაბლის ხე იდგა. კეფიდან სიმძიმე მომეხსნა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს საღამოს ნაბახუსევზე გამოვედი. საკუთარი თავი შევიგრძენი და ისევ ვიცოდი, რა დღე იყო დღეს, გარეთ ზაფხული იდგა, მე კი პარიზში ვიყავი, სადაც ადამიანებს ბუზებივით არ ხოცავდნენ.

- მგონი, შენ უფრო გქონდა მიზეზი, რომ შეგძულებოდი, - ვუთხარი ჰელენს.

- მე შემძულებოდი?

- ჰო, შენ! იმიტომ, რომ ვერ მოვახერხე და შენს ძმას ვერსად გაგარიდე, იმიტომ, რომ... - ვთქვი და გავჩუმდი. ის-ის იყო, ჩავლილი წუთები უეცრად უსაშველოდ შორეული მომეჩვენა.

- ამ ოთახში რა გვინდა? რატომ ვართ აქ? - ვიკითხე ბოლოს.

ჩვენს ოთახში ავედით. - გეორგმა სიმართლე თქვა და ეს უნდა იცოდე! - ვუთხარი ჰელენს, - ომი თუ დაიწყება, ჩვენ უკვე მტრული ქვეყნის მოქალაქეები ვიქნებით და ეს ჩემზე მეტად შენ შეგეხება.

ჰელენმა კარი და ფანჯრები გამოაღო.

- ოთახში ჯარისკაცის ჩექმებისა და ტერორის სუნი დგას, - თქვა მან, - მოდი, აგვისტო შემოვუშვათ ოთახში, ფანჯრები ღია დავტოვოთ და სადმე წავიდეთ! მგონი სადლობის დროა, არა?

- ჰო, ასეა. მაგრამ ახლა პარიზიდან ჩვენი წასვლის დროც დადგა, ჰელენ! - მივუგე მე.

- ამას რატომ ამბობ?

- იმიტომ, რომ გეორგი ჩემ შესახებ აცნობებს, სადაც ჯერ არს!

- არა მგონია ასეთი შორსმჭვრეტელი იყოს. მან ხომ არ იცის, რომ აქ სხვა გვარით ცხოვრობ?

- ნუ გეშინია, მიხვდება და ისევ მოგვაკითხავს.

- მოვა და მოვისვრი აქედან. ახლა კი გარეთ გავიდეთ.

* * *

იუსტიციის სასახლის უკან, პატარა რესტორანთან მივედით და ქუჩაში გამოდგმულ ერთ-ერთ მაგიდასთან დავსხედით. მერე საფირმო პაშტეტი, „ბეფსტროგანოვი“, სალათა და კამამბერი[24] შევუკვეთეთ, ერთი ბოთლი „ვუვრეი“ დავლიეთ და ბოლოს ყავაც დავაყოლეთ. ჩვენი იქ ყოფნა, ოქროსფერი ხრამუნა პური და ყავის გაბზარული ფინჯნებიც კი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ იმ დღეს ღრმა და საოცრად იდუმალი მადლიერების გრძნობა დამეუფლა. მეგონა, თითქოს ბნელი, ბინძური გვირაბიდან გამოვედი და უკან გახედვას ვეღარ ვბედავდი, რადგან იმ სიბინძურესთან, ჩემდა უნებურად, თურმე წილნაყარი ვიყავი, მე კი ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. ჰოდა, სიხარულს ვერ ვმალავდი, რომ ყველაფერ ამას თავი დავაღწიე და ახლა ამ მაგიდასთან ვიჯექი, რომელსაც თეთრ-წითელი, კუბოკრული სუფრა ჰქონდა გადაფარებული. იმ წუთებში ვგრძნობდი, რომ განვიწმინდე და გადავრჩი. ღვინოში მზის სხივები ირეკლებოდა, ბეღურებს ცხენის ფუნაზე ჟივჟივი გაჰქონდათ, კაფეს მეპატრონის კარგად ნაპატივები კატა კი მათ გულგრილად უთვალთვალებდა. ამ წყნარ ადგილს დროდადრო ნაზი სიო გადაუქროლებდა და სიცოცხლე კვლავაც ისეთივე სასიამოვნო იყო, ოცნებაში რომ ვინატრებთ ხოლმე.

პარიზის თაფლისფერი ზაფხულის ამ მშვენიერ დღეს ქუჩებში ვსეირნობდით, ბოლოს მოდების პატარა ატელიესთან შევჩერ-

---

[24] კამამბერი - ფრანგული ყველის სახეობა.

დით, რომლის ვიტრინებს ადრეც ხშირად ვათვალიერებდით ხოლმე.

- აუცილებლად უნდა იყიდო ახალი კაბა, - ვუთხარი ჰელენს.

- მაინცდამაინც ახლა, ომის დაწყების წინ? - მკითხა მან, - ეს ხომ სიგიჟე იქნება?

- ჰო, სწორედ ახლა იმიტომ უნდა იყიდო, რომ ეს სიგიჟეა.

- კარგი, დაე ასე იყოს, - მითხრა ჰელენმა და მაკოცა.

სავარძელში მშვიდად ვიჯექი ოთახის კართან, სადაც ტანსაცმელს იზომებდნენ. ატელიეს მეპატრონემ ნაირ-ნაირი კაბები გამოიტანა და ჰელენი ისე გაერთო მათი თვალიერებით, რომ ჩემი არსებობა საერთოდ დაავიწყდა. მერე ოთახიდან მესმოდა ქალების ხმები, ოდნავ შეღებული კარიდან კი, დროდადრო მოფუსფუსე ქალების ფრიალა კაბებს და ჰელენის შიშველ, გარუჯულ ზურგს ვხედავდი. უეცრად სასიამოვნო მოთენთილობა ვიგრძენი და ეს გრძნობა თითქოს იმ უმტკივნეულო სიკვდილს ჰგავდა, რომელსაც სიკვდილის არსი არ შეხებოდა.

ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი, რადგან ვიცოდი, რატომ ვაიძულე ჰელენი, ეს კაბა ეყიდა. ამის მიზეზი კი იყო, პროტესტი გეორგის საქციელისა და ჩემი იმდღევანდელი უმწეობის მიმართ, რაც თავის მართლების კიდევ უფრო ბავშვურად გულუბრყვილო და უსუსური მცდელობა იყო.

მერე ძილ-ბურანიდან გამოვერკვიე და დავინახე, რომ ჰელენი ჩემ წინ იდგა. ძალიან ფართო ქვედაკაბა და შემოტმასნილი, მოკლე, შავი სვიტერი ეცვა.

- მშვენიერი არჩევანია. ამას ვიყიდით! - ვთქვი მე.

- არა, ძალიან ძვირია! - მომიგო ჰელენმა.

ატელიეს მეპატრონემ თვალთმაქცური ღიმილით დაგვარწმუნა, ეს ცნობილი მოდების სახლის ერთ-ერთი ნიმუშიაო. ბო-

ლოს მაინც გადავწყვიტეთ კაბის ყიდვა. ვიფიქრე, რომ კარგი იქ-ნებოდა, თუ ისეთ რამეს ვიყიდდით, რაც ჩვენთვის ძნელად ხელ-მისაწვდომი იყო, რადგან მეგონა, რომ ასეთი თავქარიანი საქ-ციელი გეორგის არსებობის ყოველგვარ კვალს წაშლიდა. ჰე-ლენმა კაბა საღამოსვე ჩაიცვა და მერე აღარც გაუხდია. იმ ღა-მით ფანჯარასთან ვიდექით, ძილმორეულები მთვარის შუქით განათებულ ქალაქს გავყურებდით და უკვე ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი სულ მალე დამთავრდებოდა.

11

- მერედა, რა დარჩა იქიდან? - იკითხა შვარცმა. - ეს ყველაფერი ახლა უკვე იმ პერანგს ჰგავს, რეცხვის შემდეგ სახამებელი რომ გაუვა ხოლმე. აქ დროის პერსპექტივა აღარ არსებობს. ის, რასაც ლანდშაფტი ერქვა, უსახურ სურათად გადაიქცევა, რომელზეც სინათლის ათინათი აირეკლება. ეს სურათიც კი აღარ არის... ახლა ეს მხოლოდ მოგონებათა ნაკადია, საიდანაც ცალკეული სურათები ამოტივტივდება ხოლმე... ეს შეიძლება იყოს სასტუმროს ფანჯარა, შიშველი მხარი ან ერთმანეთის მიყოლებით წარმოთქმული სიტყვები, მოჩვენებებივით რომ აგრძელებენ არსებობას. ეს არის შუქი მწვანე სახურავების თავზე, მდინარის ღამეული სუნი, ტაძრის რუხ კედლებზე არეკლილი მთვარის სხივები და ის ნატიფი სახე, ასეთი სხვადასხვანაირი რომ იყო პროვანსსა და პირენეებში, ბოლოს კი გაქვავებულს ვხედავდი, რომელსაც არასდროს, არავინ იცნობდა. ახლა ეს სახე უცებ მისი სხვა სახეების გამოდევნას ცდილობს, თითქოს მანამდე არსებული ყველა სახე მხოლოდ ზმანება იყო.

შვარცმა თავი ასწია და მის თვალებში კვლავ ტანჯვა დავინახე, რომლის დამალვასაც ნაძალადევი ღიმილით შეეცადა.

- ეს სახე ჯერ კიდევ არსებობს, აი აქ, - თქვა მან და თავზე მიიდო ხელი. - მაგრამ ეს სახე ჩრჩილით სავსე კარადაში მიტოვებულ ტანსაცმელს მაგონებს და ვშიშობ, რომ მასაც ასეთივე საფრთხე ემუქრება. ამიტომაც გიყვებით მის შესახებ. ამ სახეს ისე შეინარჩუნებთ, რომ თქვენს არსებობას საფრთხეს არ შეუქმნის და არ შეეცდებით თქვენს მოგონებაში მის განადგურებას საკუთარი თავის გადასარჩენად. პირადად მე, ვერ ვახერხებ

ამას, რადგან ეს ბოლოდროინდელი, გაქვავებული სახე ჯერაც კიბორჩხალასავით გადაჰფარებია ზემოდან დანარჩენ, წინანდელ სახეებს... - შვარცმა ხმა აიმაღლა. - ბოლოს კი ორივეს უკვე საკმაოდ ნაცნობი, თუმცა შემზარავი სახეები გვქონდა...

- პარიზში კიდევ დიდხანს დარჩით? - ვკითხე მე.

- გეორგი ერთხელ ისევ მოვიდა ჩვენთან და შეეცადა, ჰელენი ხან დაყვავებით, ხანაც მუქარით დაეყოლიებინა წასვლაზე. იმ დროს სასტუმროში არ ვიყავი და ჰოლში მაშინ შევეჩეხე, სასტუმროდან რომ გამოდიოდა. გეორგი წინ გადამიდგა და ძალიან ჩუმი ხმით მითხრა:

- ნაძირალავ! ჩემს დას ხომ დაუნგრიე ცხოვრება! მაგრამ ცოტაც დამაცადე! სულ მალე ვიყრი შენზე ჯავრს! ერთ-ორ კვირაში ორივენი ჩემს ხელში იქნებით და მაშინ პირადად ვიზრუნებ შენზე, ჩემო ბიჭუნავ! ჩემ წინაშე მუხლებზე იხოხიალებ და ლაპარაკის თავი კიდევ თუ გექნება, შემევედრები, მომკალიო!

- ეს ძალიან ადვილი წარმოსადგენია, - ვუთხარი მე.

- არა, გატყობ, გიჭირს იმის წარმოდგენა, რა დღეები გელის, თორემ ახლავე, თავქუდმოგლეჯილი, რაც შეიძლება, შორს გაიქცეოდი აქედან. მაგრამ კიდევ მოგცემ ერთ შანსს. თუ ჩემი და სამ დღეში ოსნაბრიუკში ჩამოვა, რაღაცებზე თვალს დავხუჭავ. სამ დღეში! გასაგებია?

- ყველაფერს ძალიან გასაგებად ამბობთ.

- ჰოდა, თუ ასეა, დაიმახსოვრე! ჩემი და აუცილებლად უნდა დაბრუნდეს! ეს შენც მშვენივრად იცი, წყეულო ნაძირალავ! იქნებ გინდა, თავი მოიკატუნო, თითქოს არ იცოდე, ჰელენი ავად რომ არის? ახლა ამის მტკიცება არ დამიწყო.

გეორგს მივაშტერდი. ვერ გამეგო, მართალს მეუბნებოდა, თუ ჰელენის ნათქვამს იმეორებდა, რომელმაც, როგორც მისგან

ვიცოდი, ეს ავადმყოფობა იმისთვის მოიგონა, რომ შვეიცარიაში წასულიყო.

- არა, ამის შესახებ არაფერი ვიცი, - ვუთხარი მე.

- ერთი ამ თაღლითს დამიხედეთ! არ ვიციო, ამბობ, რადგან ამის ცოდნა ხელს არ გაძლევს, არა? ჩემი და სასწრაფოდ უნდა გაესინჯოს ექიმს. ჩემი თუ არ გჯერა, მარტენსს მისწერე და ჰკითხე. ის გეტყვის სიმართლეს.

ამ დროს დავინახე, რომ ორი საეჭვო ტიპი, დღისით-მზისით, ქურდულად შემოიპარა სასტუმროში.

- დაიმახსოვრე, სამ დღეს კიდევ გაძლევ, - წაიჩურჩულა გეორგმა. - ისევ თუ გაჯიუტდები, იცოდე, მაგ წყეულ სულს მისხალ-მისხალ ამოგანთხევინებ. სულ მალე ისევ მოვალ, ოღონდ ამჯერად უკვე უნიფორმით.

მერე იმ საეჭვო ტიპებს გვერდი აუარა და სასტუმროდან გავიდა. იმათ კი აქეთ-იქიდან გვერდი ამიქციეს და კიბეზე ავიდნენ. მეც გავყევი. ოთახში რომ შევედი, ჰელენი ფანჯარასთან იდგა.

- მას ისევ შეხვდი, ხომ? - მკითხა მან.

- ჰო. მითხრა, რომ ავად ხარ და ამიტომ უკან უნდა დაბრუნდე!

ჰელენმა თავი გააქნია.

- რას არ მოროშავს ხოლმე ეგ კაცი?!

- მითხარი, ავად ხარ? - ვკითხე მე.

- რა სისულელეა! ეგ მიზეზი ხომ თავად მოვიგონე, რომ იქიდან წამოვსულიყავი.

- ეს ამბავი მარტენსსაც სცოდნია.

- ცხადია, იცის. არკონაში წერილი რომ მომწერა, ხომ გახსოვს? ჰოდა, ეს ყველაფერი მასთან შევათანხმე.

- ავად ნამდვილად არა ხარ, ჰელენ?

- შემომხედე, ავადმყოფს ვგავარ?

- არა, მაგრამ ეგ არაფერს ნიშნავს. მართლა, არა ხარ ავად?

- არა, - თქვა ჰელენმა და მოუთმენლობა დაეტყო. - კიდევ რა გითხრა გეორგმა?

- როგორც ყოველთვის, დამემუქრა. შენგან რა უნდოდა?

- იგივე მოთხოვნები წამომიყენა. არა მგონია, კიდევ მოვიდეს.

- ისე, რატომ მოვიდა?

ჰელენმა უცნაურად გაიღიმა.

- გეორგს რატომღაც ჰგონია, რომ მისი საკუთრება ვარ და ამიტომ შეუძლია, თავის ჭკუაზე მატაროს. ყოველთვის ასეთი იყო. ბავშვობაშიც ასე მექცეოდა. ძმებს ეს ხშირად ახასიათებთ. გგეორგს ჰგონია, რომ ოჯახის კეთილდღეობისთვის იქცევა ასე. აარადა, მძულს იგი.

- ამის გამო გძულს?

- არ ვიცი, მძულს და მორჩა. ეს მისთვისაც მითქვამს. მაგრამ მალე ომი დაიწყება და მან ეს იცის.

ერთხანს ჩუმად ვისხედით... სანაპიროზე თითქოს მანქანების ხმაურმა იმატა. კონსიერჟერის უკან, მოწმენდილ ცაზე სენ-- შაპელის ეკლესიის შპილი იკვეთებოდა. გაზეთის გამყიდველების შეძახილები ისე ახშობდა ძრავების გრუხუნს, თოლიების ყივილი რომ გადაფარავს ხოლმე ზღვის ტალღების ხმაურს.

- შენს დაცვას ვერ შევძლებ, ჰელენ, - ვუთხარი მერე.

- ვიცი.

- დაგაპატიმრებენ.

- თავად რა ბედი გელის?

მხრები ავიჩეჩე.

- ალბათ მეც ციხეში მოვხვდები და ერთმანეთს დაგვაშორებენ. ჰელენმა თავი დამიქნია.

- საფრანგეთის ციხეები სანატორიუმები არ გეგონოს, - ვუთხარი მე.

- გერმანიის ციხეებზეც ვერ იტყვი ამას.

- იქ ციხეში მაინც არ ჩაგსვამენ.

ჰელენი სწრაფად შემობრუნდა.

- გითხარი, აქ ვრჩები-მეთქი. რაკი ვალი მოიხადე და გამაფრთხილე, ამაზე ნუღარ იფიქრებ! აქ ვრჩები და ეს შენ საერთოდ არ გეხება. უკან აღარ დავბრუნდები!

ჰელენს მივაჩერდი.

- ეშმაკსაც წაუღია ეს სიფრთხილე და უსაფრთხო ცხოვრება. მმომბეზრდა ყველაფერი!

- სათქმელად ადვილია, ჰელენ, - ვუთხარი და მხრებზე მოვხვიე ხელი.

უცბად მომიშორა და შეჰყვირა:

- მაშინ წადი! რით ვერ გაიგე, რომ არავითარი პასუხისმგებლობა არ გაკისრია? წადი და მარტო დამტოვე. როგორმე უშენოდაც მივხედავ თავს.

ეს რომ თქვა, ჰელენმა ისე შემომხედა, გეორგს რომ უყურებდა ხოლმე.

- ქალაჩუნასავით ნუ იქცევი, - მითხრა მერე. - არაფრის აზრზე არა ხარ და ამიტომ ნუ შემჭამე შენი ზრუნვით და პასუხისმგებლობით! ბოლოს და ბოლოს, შეიგნე, რომ შენ გამო არ წამოვსულვარ და ეს ჩემთვის გავაკეთე.

- ეს ვიცი.

ჰელენი ისევ მომიახლოვდა.

- უნდა დამიჯერო, რასაც გეუბნები, მაშინაც კი, თუ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, - მითხრა მან ნაზად. - წამოსვლას ისედაც ვაპირებდი და, რომ ჩამოხვედი, ეს მხოლოდ დამთხვევა იყო. რით ვეღარ მიხვდი ამას? უსაფრთხო ცხოვრება სულაც არ არის მთავარი.

- მართალი ხარ, - მივუგე მე. - მაგრამ, როცა ადამიანი გიყვარს, ეს უსაფრთხოება მის დასაცავად გჭირდება.

- არავითარი უსაფრთხოება არ არსებობს. ჰო, არ არსებობს! - გაიმეორა მან. - ნუღარაფერს მეტყვი, ყველაფერი შენზე უკეთ ვიცი და მოფიქრებული მაქვს. ღმერთო ჩემო! რამდენი დრო შევალიე ამაზე ფიქრს! ძვირფასო, მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. შეხედე, რა მშვენიერი საღამო გველოდება გარეთ. პარიზში ხომ ბევრი ასეთი საღამო აღარ დაგვრჩენია?!

- კარგი. შინ დაბრუნება თუ არ გინდა, ხომ შეგიძლია შვეიცარიაში მაინც წახვიდე? - ვკითხე მე.

- გეორგი ირწმუნება, რომ ნაცისტები შვეიცარიასაც ისევე გადაუვლიან, პირველი მსოფლიო ომის დროს ბელგიას რომ გადაუარეს.

- გეორგმა არ შეიძლება ყველაფერი იცოდეს.

- მაშინ მოდი, ჯერჯერობით აქ დავრჩეთ, - მითხრა ჰელენმა. - იქნებ იცრუა კიდეც? მსგავსი სიტუაცია ერთხელაც იყო. მაშინაც ყველას ეგონა, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ მერე მიუნხენის ხელშეკრულება დაიდო. ხომ შეიძლება ასეთი „მიუნხენი“ კიდევ განმეორდეს?

არ ვიცი, ჰელენს მართლა სჯეროდა თავისი სიტყვებისა, თუ ამით მხოლოდ ჩემს დარწმუნებას ცდილობდა. იმედიანი ადამიანი ადვილად იჯერებს ყველაფერს. ჰოდა, იმ საღამოს მეც იმედი მომეცა. როგორ დაიწყებდა საფრანგეთი ომს, როცა

შეიარაღება არ ჰქონდა? ამიტომ, დათმობაზე უნდა წასულიყო. ან პოლონეთის მხარეს რატომ იბრძოლებდა? ის ხომ ჩეხოსლოვაკიის გამოც არ ჩაბმულა ომში?

მერე მოხდა ის, რომ ათ დღეში საზღვრები ჩაიკეტა და ომიც დაიწყო.

* * *

- ბატონო შვარც, მაშინვე დაგაპატიმრეს? - ვკითხე მას.

- არა, ერთი კვირის ვადა კიდევ მოგვცეს, ოღონდ ქალაქიდან გასვლა აგვიკრძალეს. განა საოცარი ირონია არ იყო, რომ ხუთი წელი აქ ვიყავი გამოძევებული, ახლა კი, უეცრად ჩემი აქედან გაშვება არ უნდოდათ?! თქვენ სად იყავით ამ დროს? - მკითხა შვარცმა.

- პარიზში, - ვუთხარი მე.

- თქვენც ველოდრომის ტერიტორიაზე ჩაგამწყვდიეს?

- რა თქმა უნდა.

- თქვენი სახე რატომღაც არ მახსოვს.

- ბატონო შვარც! როგორ გეხსომებით, როცა მაშინ იქ ემიგრანტების მთელი ლაშქარი იყო თავმოყრილი?!

- ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, პარიზი საჰაერო თავდასხმებისგან დასაცავად რომ შენიღბეს, ეს თუ გახსოვთ?

- რა თქმა უნდა, მახსოვს. იმ დღეებში მეგონა, რომ მთელი სამყარო უკუნეთში შთაინთქა.

- დიახ, მაშინ მხოლოდ მბჟუტავი, მოცისფრო სინათლეები ენთო და ღამის ქუჩების კუთხეებში მათი მქრქალი შუქი ჭლექიანის თვალებს მაგონებდა. მაგრამ ქალაქი მხოლოდ სიბნელეს როდი მოეცვა. იგი თითქოს დასნეულებულიყო და მის ცივ, მოცისფრო სიბნელეში იყინებოდი, თუმცა გარეთ გაზაფხული იდგა. იმ დღეებში ერთ-ერთი ნახატი გავყიდე, განსვენებულმა შვარცმა რომ დამიტოვა. მინდოდა, რაც შეიძლება ბევრი ნაღდი ფული გვქონოდა. მაგრამ იმხანად ყველაფერი ძნელად იყიდებოდა. სურათებით მოვაჭრესთან რომ მივედი, ძალიან ცოტა შე-

მომთავაზა და ნახატი უკან წამოვიღე. ბოლოს და ბოლოს, ეს სურათი კინოს სფეროში მოღვაწე ვიღაც მდიდარმა ემიგრანტმა იყიდა, რადგან ეგონა, რომ ქონებაში ფულის დაბანდება უფრო სარფიანი იქნებოდა, ვიდრე მისი შენახვა. ბოლო სურათი შესანახად ჩვენი სასტუმროს მეპატრონეს მივაბარე, ნაშუადღევს კი ჩემს წასაყვანად ორი პოლიციელი მოვიდა. მითხრეს, დავმშვიდობებოდი ჰელენს, რომელიც გაფითრებული იდგა და გაოგნებული თვალებით შემომყურებდა.

- ეს შეუძლებელია! - თქვა მან.

- არა, ჰელენ, ეს შესაძლებელია და მოგვიანებით შენც წაგიყვანენ, - მივუგე მე. - ამიტომ ჩვენი პასპორტები არ უნდა გადავყაროთ. შენიც შეინახე.

- ნამდვილად ასე აჯობებს! - გვითხრა ერთ-ერთმა პოლიციელმა სუფთა გერმანულით.

მადლობა გადავუხადე და ვთხოვე, დამშვიდობების დროს იქნებ მარტო დაგვტოვოთ-მეთქი.

პოლიციელმა კარისკენ გაიხედა.

- გაქცევა რომ მნდომებოდა, ამას რამდენიმე დღის წინათ მოვახერხებდი, - ვუთხარი მე.

მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ჩვენ ჰელენის ოთახში შევედით.

- ასეთ ამბებზე ადრეც გვილაპარაკია, მაგრამ ახლა ყველაფერი სულ სხვაგვარად ხდება, არა? - ვუთხარი ჰელენს და ხელში ავიყვანე, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა და მკითხა:

- ახლა სად უნდა გეძებო?

მოვილაპარაკეთ, რომ ერთმანეთის ამბებს სასტუმროს მეპატრონის და ერთი ფრანგის მეშვეობით გავიგებდით, რომლის

მისამართიც ორივეს გვქონდა. ამასობაში კარზე პოლიციელმაც მოგვიკაკუნა.

- პლედი წამოიღეთ თან, - მითხრა მან. - ერთ-ორ დღეში ალბათ ეს ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ კარგია, იქ პლედი და ცოტა საჭმელიც თუ გექნებათ.

- პლედი რომ არა გვაქვს? - ვთქვი მე.

- არა უშავს, მერე მოგიტან, - მომიგო ჰელენმა, მერე დაფაცურდა და წასაღებად სასწრაფოდ რაღაც საჭმელი მომიმზადა. - ესე იგი, ამბობთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ-ორ დღეს გასტანს? - ჰკითხა მან პოლიციელს.

- დიახ, ვფიქრობ, საბუთების შემოწმებას ამაზე დიდი დრო არ დასჭირდება. C'est la querre, Madame,[25] - დასძინა მან.

ამ სიტყვების მოსმენა კიდევ ხშირად მოგვიწევდა.

შვარცმა ჯიბიდან სიგარა ამოიღო და მოუკიდა.

- ეს ყველაფერი საკუთარ თავზეც გამოცდილი გექნებათ, - მითხრა მან. - ჯერ იყო და პოლიციის განყოფილებაში გვაყურყუტეს, სანამ დანარჩენ ემიგრანტებსაც მოიყვანდნენ. მათ კი ისე დაეძებდნენ, თითქოს საშიში ნაცისტები იყვნენ. მერე გისოსებიანი მანქანით პრეფექტურაში წაგვიყვანეს და იქაც დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. ლლეპენის[26] დარბაზში ყოფილხართ?

თავი დავუქნიე. პრეფექტურის ეკრანით აღჭურვილ, ამ უზარმაზარ, მრავალადგილიან დარბაზში ნამყოფი ვიყავი. იქ პოლი-

---

[25] ასეთია ომი, ქალბატონო! (ფრანგ.)

[26] ლუი ლეპენი-საფრანგეთის პოლიციის პრეფექტი 1893 წლიდან 1912 წლამდე.

ციელებს ჩვეულებრივ სასწავლო ფილმებს უჩვენებდნენ ხოლმე.

- იქ ორი დღე ვიყავი, - ვუთხარი შვარცს. - ღამით ნახშირით სავსე დიდ სარდაფში ჩავყავდით, სადაც დასაძინებლად გრძელი სკამები დაედგათ. დილით კი ყველანი მენახშირეებს ვგავდით.

- მთელი დღე სკამებზე ვისხედით, - თქვა შვარცმა. - ისეთი ჭუჭყიანები ვიყავით, რომ ცოტა ხანში ნამდვილ ბოროტმოქმედებს დავემსგავსეთ და იქ ასეთებად გვთვლიდნენ კიდეც. გეორგმა მაშინ თავისდა უნებურად იძია ჩემზე შური. როგორც აღმოჩნდა, თავის დროზე ჩვენი მისამართი პრეფექტურაში ვიღაცის დახმარებით გაუგია და იქ არ დაუმალავს, რომ ნაცისტური პარტიის წევრი იყო. რაკი პრეფექტურაში ეს იცოდნენ, ახლა დღეში რამდენიმეჯერ მიწყობდნენ დაკითხვას, როგორც ნაცისტების ჯაშუშს და ცდილობდნენ გაეგოთ, რა მაკავშირებდა გეორგთან და ნაციონალ-სოციალისტების პარტიასთან. თავდაპირველად ეს ამბავი იმდენად აბსურდული მომეჩვენა, რომ გამეცინა კიდეც. მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ თვით ყველაზე აბსურდული რამ შეიძლება ერთობ სავალალოდ შემოგიტრიალდეს. გერმანიაში ეს ნამდვილად ასე ხდებოდა და ამას ნაცისტური პარტიის არსებობაც ადასტურებდა...

მაგრამ რაციონალური აზროვნებით ცნობილ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთი იყო, ბიუროკრატიისა და ომის გავლენით, ამგვარ აბსურდულ შემთხვევას ვერ გამორიცხავდი. ომის დროს კი ჯაშუშობის ბრალდება სახუმარო საქმე როდია!

ყოველდღიურად შეშინებული ადამიანების ახალ-ახალი ნაკადი მოჰყავდათ. ომის გამოცხადების შემდეგ, ბრძოლის ველზე, ჯერ კაციშვილი არ მოეკლათ, ენაკვიმატი ხალხი კი ამ პერი-

ოდს რატომღაც ომის საშინელებად la drole de querre-დ[27] მოიხსენიებდა, თუმცა იმხანად უკვე თავს დაგვტრიალებდა სიცოცხლისა და პიროვნების უგულებელყოფის ის ჯოჯოხეთური ატმოსფერო, ომს შავი ჭირივით რომ სდევს თან. ადამიანებს ადამიანებად კი არა, სამხედრო დროების თანახმად, მხოლოდ ჯარისკაცებად, ომისთვის ვარგის და უვარგის არსებებად ან მტრებად მიიჩნევდნენ.

მესამე დღეს უკვე გონებამიხდილი ვიჯექი ლეპენის დარბაზში. აქ მყოფი ხალხის ნაწილი წაიყვანეს, დარჩენილები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ჭამდნენ ან ეძინათ. ჩვენი აქაური ყოფა საარსებო მინიმუმამდე იყო დაყვანილი, მაგრამ ეს ნაკლებად გვაწუხებდა. გერმანიის ნებისმიერ საკონცენტრაციო ბანაკთან შედარებით აქ თავს კომფორტულად გრძნობდი. მწკრივში სწრაფად თუ არ ჩავდგებოდით, დიდი-დიდი, წიხლი ამოერტყათ ან მუშტი ეთავაზებინათ. მაგრამ რას იზამ, ყველა ქვეყანაში ძალაუფლება ძალაუფლებაა, პოლიციელი კი - პოლიციელი!

დაკითხვის დროს საშინლად ვიღლებოდი. ცარიელი ეკრანის ქვეშ, შემაღლებულ ადგილას ფეხებგაფარჩხულები ისხდნენ უნიფორმიანი, შეიარაღებული ზედამხედველები; ნახევრად ჩაბნელებულ, ჭუჭყიან დარბაზში კი ჩვენ ვიყავით; რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ეს ყველაფერი იმ ჩვენი ცხოვრების უნუგეშო სიმბოლო იყო, რომელშიც მხოლოდ პატიმრები და ზედამხედველები არსებობდნენ, თავად ჩვენ კი ისღა დაგვრჩენოდა, ცარიელ ეკრანზე ჩვენივე წარმოსახვით შექმნილი ფილმი გვენახა, იქნებოდა ეს სასწავლო ფილმი, კომედია თუ ტრაგედია. ბოლოს

---

[27] ომის საშინელება (ფრანგ.)

და ბოლოს, კი, იქ ყოველთვის მაინც ცარიელი ეკრანი, დაუცხრომელი გული და გონებაჩლუნგი ძალაუფლება რჩებოდა, რომელიც ისე მოქმედებდა, თითქოს მარადიული არსებობა ეწერა და ბუნებრივი იყო, რომ სამართლიანობის სახელით ყველა ეკრანი დიდხნობით, ისევ და ისევ ცარიელი რჩებოდა. მაშინ გავიფიქრე, ამას საშველი არ ექნება, აღარაფერი შეიცვლება და ერთხელაც ისე გავქრებით, რომ ამას ვერავინ შეამჩნევს-მეთქი. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთ წუთებში ადამიანს იმედი საბოლოოდ გადაეწურება ხოლმე.

თანხმობის ნიშნად შვარცს თავი დავუქნიე.

- დიახ, ეს მშვიდი თვითმკვლელობის წუთებია, როდესაც თავს აღარ იცავ და ლამის, შემთხვევით და გაუცნობიერებლად დგამ უკანასკნელ ნაბიჯს, - ვუთხარი მერე.

- უეცრად კარი გაიღო, - განაგრძო თხრობა შვარცმა. - და დავინახე, რომ დერეფნიდან შემოჭრილ სინათლესთან ერთად, დარბაზში ჰელენი შემოვიდა. ხელში კალათა და პლედები ეჭირა, მკლავზე კი ლეოპარდის ქურქი ჰქონდა გადაკიდებული. სიარულზე და თავის მოძრაობაზე ვიცანი. ჰელენი ერთი წამით შედგა, მერე პატიმრების რიგებს ჩამოუარა და ძებნა დამიწყო. სულ ახლოს, გვერდზე რომ ჩამიარა, ვერ დამინახა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ოსნაბრიუკის ტაძარში ჩვენი მაშინდელი შეხვედრა მეორდებოდა.

- ჰელენ! - დავუძახე მე.

შემოტრიალდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ დამინახა, ფეხზე რომ წამოვდექი.

- ღმერთო ჩემო! რას ჰგავხართ ყველანი? - მკითხა გაბრაზებულმა.

- არაფერია. ნახშირის სარდაფში გვძინავს და ასე იმიტომ გამოვიყურებით. აქ როგორ მოხვდი?

- მეც დამაპატიმრეს! - თქვა ისე, თითქოს ამით ამაყობდა. - სხვა ქალებზე ბევრად ადრე მომაკითხეს, იმედი მქონდა, რომ აქ გიპოვიდი.

- რატომ დაგაპატიმრეს?

- შენ რატომ დაგაპატიმრეს? - კითხვითვე მომიგო ჰელენმა.

- ჯაშუშობის ბრალდებით.

- მეც ასევე. ჩემი პასპორტის გამო.

- ეგ საიდან იცი?

- ეს-ესაა დაკითხვაზე ვიყავი და იქ მითხრეს. ემიგრანტი ქალები ჯერ არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ მე ემიგრანტად არ ვითვლები. დაკითხვაზე ერთი ჩია კაცი ზის, თმა ბრეოლინით აქვს გაპოხილი და უსიამოვნო სუნი ასდის. შენც მაგ კაცთან ხომ არ დაჰყავხართ დასაკითხად?

- არ ვიცი. აქ ყველას და ყველაფერს უსიამოვნო სუნი ასდის. რა კარგია, პლედები რომ წამოგიღია.

- ჰო, რისი წამოღებაც შევძელი, წამოვიღე, - თქვა ჰელენმა. კალათში ბოთლები გაწკარუნდა. - ღვინო ვერ ვიშოვე და კონიაკი წამოვიღე. პირველ რიგში, აქ საჭირო რაღაც-რაღაცები მაქვს. რამეს მაინც თუ გაჭმევენ?

- კი, ჩვეულებრივი საჭმელია. შეგვიძლია ბუტერბროდებიც მოვატანინოთ ხოლმე.

ჰელენი ჩემკენ დაიხარა და შემათვალიერა.

- ყველანი ზანგებს ჰგავხართ! აქ დაბანა არ შეიძლება?

- ჯერჯერობით, არა. მაგრამ ეს ბოროტებით კი არა, უფრო დაუდევრობით მოსდით.

ჰელენმა კალათიდან კონიაკი ამოიღო.

- ჩვენი სასტუმროს მეპატრონე ბოლოს თავაზიანად მომემსახურა და ბოთლები წინასწარ გამიხსნა. მითხრა, იქ კორპსაძრობი არ ექნებათო. მიდი, დალიე!

დიდი ყლუპი გადავკარი და ბოთლი ჰელენს დავუბრუნე.

- ჭიქაც კი წამოვიღე. სანამ უნარი შეგვწევს, ცივილიზებულ ადამიანებად უნდა დავრჩეთ, - მითხრა და ჭიქა შეავსო.

- ზაფხულისა და თავისუფლების სურნელი აგდის, - ვუთხარი მე, - გარეთ რა ხდება?

- ყველაფერი ისეა, მშვიდობიანობის დროს რომ იყო. კაფეებში ხალხის ტევა არ არის და ცაც ისევ ლურჯია, - მითხრა ჰელენმა, მერე პოლიციელებს გახედა, ზემოთ, შემაღლებაზე რომ ისხდნენ და გაიცინა.

- ჩემი თავი ტირში მგონია. თითქოს იმ ფიგურებს თუ ვესვრი და გადავაყირავებ, ერთი ბოთლი ღვინით ან საფერფლით დამასაჩუქრებენ.

- იმ ფიგურებს, სხვათა შორის, შაშხანები აქვთ!

ჰელენმა კალათიდან პაშტეტი ამოიღო.

- სასტუმროს მეპატრონემ გულითადად მოგიკითხა და შემოგითვალა, არ დაავიწყდეს გამოთქმა: La querre, merde![28] ეს ბატის პაშტეტია. მაშ, მოდი, ერთხელ კიდევ შევძახოთ: გაუმარჯოს ცივილიზაციას!

უუცებ გავმხიარულდი. ჰელენი ჩემთან იყო, ომის ზათქი ჯერ არ ისმოდა და როგორც მითხრეს, აქედანაც მალე გაგვიშვებდნენ. ამიტომ იმედი არ უნდა დამეკარგა!

---

[28] ომი სიბინძურეა (ფრანგ.)

მეორე საღამოს უკვე შევიტყვეთ, რომ ერთმანეთს დაგვაცილებდნენ. მე კოლობის[29] მთავარ ბანაკში გადამიყვანდნენ, ჰელენს კი - როკეტის პატარა ციხეში. აზრი არ ჰქონდა იმის თქმას, რომ ცოლ-ქმარი ვიყავით. ეს რომც დაეჯერებინათ, მაინც არაფერი გვეშველებოდა, რადგან წყვილებსაც ცალ-ცალკე ათავსებდნენ.

ის ღამე მე და ჰელენმა სარდაფში ერთად გავატარეთ. ერთმა კეთილმა ზედამხედველმა დაგვრთო ამის ნება. მერე ვიღაცამ რამდენიმე სანთელიც მოგვიტანა. პატიმრების ნაწილი უკვე სადღაც გადაიყვანეს და სარდაფში ასიოდე კაციღა დავრჩით. ესპანელი ემიგრანტებიც ჩვენთან იყვნენ: უკვე ირონიულ ღიმილს იწვევდა ის ანტიფაშისტური გულმოდგინება, როგორითაც ახლა ანტიფაშისტურად განწყობილ ადამიანებს ამ ანტიფაშისტურ ქვეყანაში აპატიმრებდნენ, ამიტომ თავი გერმანიაში მეგონა.

- კი მაგრამ, რატომ უნდა დაგვაცილონ ერთმანეთს? - მკითხა ჰელენმა.

- არ ვიცი. ამის მიზეზი უფრო მათი გონებაჩლუნგობა მგონია, ვიდრე სისასტიკე.

- ქალებს და მამაკაცებს ერთ ბანაკში თუ მოათავსებენ, იქ ეჭვიანობისა და ჩხუბის მეტი არაფერი იქნება. ამიტომაც აცალკევებენ მათ, - ამიხსნა ჩია ტანის მოხუცმა ესპანელმა და დასძინა: - C’ est la querre!

ჰელენი ლეოპარდის ქურქში გახვეულიყო და ჩემ გვერდით ეძინა. სარდაფში რამდენიმე მოსახერხებელი, რბილი სკამი იდ-

---

[29] კოლობი ქალაქია პარიზის მახლობლად.

გა, მაგრამ ისინი ახალმოყვანილ ოთხ თუ ხუთ მოხუც ქალს დაუთმეს. ერთ-ერთმა მოხუცმა ჰელენს შესთავაზა, ღამის სამი საათიდან ხუთ საათამდე ჩემს სკამზე დაიძინეთო, მაგრამ ჰელენმა უარი უთხრა.

- მომავალში ისედაც ხშირად მომიწევს მარტო ძილი, - დასძინა მერე.

უჩვეულო ღამე იყო. ხალხის ხმა ნელ-ნელა მიჩუმდა. მალე მოხუცმა ქალებმაც შეწყვიტეს ტირილი. მხოლოდ დროდადრო იღვიძებდნენ და ზლუქუნებდნენ, მერე კი, კვლავ ძილი ერეოდათ. ჰელენს ჩემს მხარზე ეძინა. მკლავები შემომხვია და ძილში რაღაცას ჩამჩურჩულებდა, ბავშვის თუ სატრფოს სიტყვებივით რომ ჩამესმოდა ყურში... ასეთ სიტყვებს დღისით საერთოდ არ ამბობენ და ღამითაც იშვიათად თუ წარმოთქვამს ხოლმე ვინმე. ასეთ სიტყვებს ადამიანები ძნელბედობისა და განშორების წუთებში ამბობენ, როდესაც სხეულებს განშორება არ სურთ. ეს სიტყვები კანის, სისხლის და უძველესი სამყაროსეული გოდების გამოძახილია და ადამიანები მათ მაშინ წარმოთქვამენ, როდესაც გრძნობენ, რომ ერთად ყოფნა არ უწერიათ და ერთ-ერთი მათგანი ამ ქვეყნიდან ყოველთვის პირველი მიდის, სიკვდილი კი ყოველ წამს თავისკენ გვიხმობს და ქანცგაცლილებს, საშუალებას არ გვაძლევს, შევჩერდეთ, რათა ერთი საათით მაინც მივეცეთ მარადისობის ილუზიას. ცოტა ხანში ჰელენი მკერდიდან ნელ-ნელა მუხლებზე ჩამომიცურდა. მისი თავი ხელით მეჭირა და ვუყურებდი, როგორ სუნთქავდა უკანასკნელი სანთლის შუქზე. თან მესმოდა, პატიმრები ნახშირის გროვაში ფრთხილად რომ დაბორიალებდნენ და მოფარებულ ადგილს ეძებდნენ მოსაშარდად. დარბაზი ოდნავ იყო განათებული და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ირგვლივ უზარმაზა-

რი ჩრდილები ირეოდნენ, ჩვენ კი მოჩვენებებით სავსე უღრან ტყეში ვიმყოფებოდით, სადაც ჰელენს, ამ ფეხმარდ ლეოპარდს, ჯადოქრები შელოცვებით თავისკენ უხმობდნენ. მერე ბოლო სანთელიც ჩაიწვა და ირგვლივ ხროტინით ჩამოწვა სულის შემ-ხუთველი წყვდიადი. ჩემ ხელებქვეშ ჰელენის სუნთქვას ვგრძნობდი. ერთხელ ხმამაღლა შეჰყვირა და შეშინებულმა, წა-მოდგომა დააპირა.

- ნუ გეშინია, ჰელენ, შენთან ვარ! - ჩავჩურჩულე ყურში.

ჰელენი ისევ მიწვა და ხელებზე კოცნა დამიწყო.

- ჰო, ჩემთან ხარ და ყოველთვის ჩემთან უნდა იყო! - ჩაიჩურ-ჩულა მან.

- ყოველთვის შენთან ვიქნები! - ჩავჩურჩულე მეც. - მაგრამ იცოდე, დროებით თუ დაგვაშორებენ, მაინც მოგნახავ!

- არ მიმატოვებ? - წაიჩურჩულა ძილში.

- არასოდეს მიგატოვებ და სადაც უნდა იყო, მაინც გიპოვი, ისე, როგორც ბოლოს გიპოვე!

- კარგი, - ამოიოხრა ჰელენმა, მერე შეტრიალდა და სახე ჩემს ხელებში ჩამალა. არ მეძინებოდა. ვიჯექი და დროდადრო თითებზე მისი ტუჩების შეხებას ვგრძნობდი. მერე გავიფიქრე, რომ ეს ქალი ასე ძლიერად მაშინაც კი არ მყვარებია, როცა მისი სხეული მთლიანად მე მეკუთვნოდა. იმ ღამით ეს სიყვარული სი-ბინძურეში, ხმაურიანი ხვრინვისა და იმ უჩვეულო, შიშინა ხმის თანხლებით გაცხადდა, ნახშირზე დაღვრილი შარდი რომ გა-მოსცემს. გასუსული ვიჯექი და მთელი ჩემი არსება ამ სიყვა-რულს მოეცვა.

მერე უღიმღამო, ნაცრისფერი დილაც გათენდა, რომელიც ფერებს შთანთქავს და კანქვეშ მიმალული ჩონჩხიც ხილული ხდება. უეცრად მომეჩვენა, თითქოს ჰელენი კვდებოდა, და თუ

გავაღვიძებდი, შევძლებდი მის გადარჩენას. ჰელენმა გაიღვიძა და ცალი თვალი გაახილა.

- როგორ ფიქრობ, აქ ცხელ ყავას და კრუასანებს არ მოგვიტანენ? - მკითხა მერე.

- არ ვიცი, იქნებ ზედამხედველი როგორმე მოვისყიდო, - ვუთხარი ბედნიერი სახით.

ჰელენმა მეორე თვალიც გაახილა და მომაჩერდა.

- კი მაგრამ, რა მოხდა? - მკითხა მერე. - ისეთი სახე გაქვს, კაცი იფიქრებს, ლატარიაში დიდი ფული მოიგოო. გათავისუფლებას ხომ არ გვიპირებენ?

- არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ საკუთარი თავისგან გავთავისუფლდი, - მივუგე მე.

ჰელენმა ჩემს ხელებში ჩარგული თავი ოდნავ შეარხია.

- საკუთარ თავს ცოტა ხნით მაინც რატომ არ შეეშვები? - მკითხა მერე.

- რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოვიქცე. თან ვშიშობ, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა დიდი ხნით მომიწევს და აღარ მომეცემა საშუალება, გადაწყვეტილებები თავად მივიღო. მაგრამ, როცა საკითხს ამ თვალით ვუყურებ, ესეც ერთგვარი ნუგეშია.

- ნუგეშის პოვნა ყოველთვის შეიძლება, - მითხრა ჰელენმა და დაამთქნარა. - სანამ ცოცხლები ვართ, ნუგეში არ დაგველევა. რით ვერ შეიგნე ეს? როგორ გგონია, ჯაშუშობის ბრალდებით დაგვხვრეტენ? - მკითხა მერე.

- არა, მხოლოდ დაგვაპატიმრებენ.

- იმ ემიგრანტებსაც დააპატიმრებენ, ვისაც ჯაშუშობას ვერ დაუმტკიცებენ?

- ჰო, ვისაც იპოვიან, ყველას ციხეში ჩასვამენ. ხომ ხედავ, მამაკაცები უკვე მოიყვანეს.

ჰელენი წამოჯდა.

- მაშინ რა განსხვავებაა მათ შორის?

- ვინც ჯაშუში არ არის, ისინი შეიძლება უფრო ადვილად გაათავისუფლონ, - მივუგე მე.

- ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. ვინ იცის, იქნებ ჩვენ უკეთესადაც კი მოგვექცნენ სწორედ იმის გამო, რომ ჯაშუშები ვგონივართ?

- რა სისულელეს ამბობ, ჰელენ!

ჰელენმა თავი გააქნია.

- არა, სისულელე სულაც არ არის. ამას გამოცდილება მალა-პარაკებს. ნუთუ ჯერ კიდევ ვერ მიხვდი, რომ ჩვენს საუკუნეში უდანაშაულობა ის დანაშაულია, რომელიც ყველაზე მკაცრად ისჯება? მაინცდამაინც ორი ქვეყნის ციხეებში უნდა გეყურყუტა, რომ ამას მიმხვდარიყავი? აბა, სამართლიანობაზე მეოცნებევ! კონიაკი კიდევ გვაქვს?

- კონიაკიც გვაქვს და პაშტეტიც.

- ორივე მომეცი! რა უჩვეულო საუზმეა, არა? - თქვა ჰელენმა და დასძინა: - იცი, ვშიშობ, რომ მომავალში თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება გველის.

- კარგია, ასე რომ ფიქრობ, - ვუთხარი და კონიაკი მივაწოდე.

- ამის გაგება მხოლოდ ამ გზით შეიძლება. ან იქნებ გინდა, გაბოროტდე, ცხოვრება მოიშხამო და ისე მოკვდე? სამარ-თლიანობის ცნებას თუ გამორიცხავ, სულაც არ გაგიჭირდება, ამ ყველაფერს თავგადასავალი დაარქვა. გგანა ასე არ არის?

ძველი კონიაკის და გემრიელი პაშტეტის სასიამოვნო სუნი ჰელენს თითქოს ბედნიერებას ანიჭებდა, ჭამდა, სვამდა და დი-დად ნასიამოვნები ჩანდა.

- ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ამ ყველაფერს ასე ადვილად შეეგუებოდი, - ვუთხარი მე.

- ჩემი ჯავრი ნუ გექნება, - მითხრა მან და კალათაში თეთრ პურს დაუწყო ძებნა. - ყველაფერს გავუძლებ. ქალები სამართლიანობას თქვენსავით დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

- მაშ, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი?

- აი, ეს! - მომიგო ჰელენმა და პურზე, ბოთლსა და პაშტეტზე მიმითითა. - ახლა კი ჭამე, ჩემო ძვირფასო. იცოდე, ყველაფერს გავუძლებთ. ათი წლის შემდეგ კი ჩვენი ახლანდელი ცხოვრება დიდ თავგადასავლად მოგვეჩვენება და საღამოობით სტუმრებს ამ ამბების მოყოლით შევიქცევთ ხოლმე. აბა, თაღლითო კაცო, ყალბი გვარით რომ დაიარები ამქვეყნად! ახლა კარგად დანაყრდი, რადგან თან საჭმელს ვერ წავიღებთ და მერეც ვეღარაფერს შევჭამთ.

* * *

- წვრილმანების მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, - მითხრა შვარცმა, - კარგად მოგეხსენებათ, რა გზა გავიარეთ ემიგრანტებმა! კოლობის სტადიონზე რამდენიმე დღით დაგვტოვეს, ჰელენი კი პატარა როკეტის ციხეში წაიყვანეს. ბოლო დღეს სტადიონზე ჩვენი სასტუმროს მეპატრონე მოვიდა, თუმცა ის მხოლოდ შორიდან დავინახე, რადგან მნახველებთან შეხვედრა აკრძალული გვქონდა. სასტუმროს მეპატრონემ ცოტა ნამცხვარი და დიდი ბოთლით კონიაკი დამიტოვა. ნამცხვარში მისი ბარათი ვიპოვე. იგი მწერდა: „თქვენი მეუღლე თავს კარგად გრძნობს და მშვენიერ გუნებაზეა. საფრთხე არ ემუქრება. ქალების ბანაკში უპირებენ გადაყვანას, რომელიც პირენეებში უნდა გაიხსნას. წერილები სასტუმროში გამოგზავნეთ. Madam est formidable!“.(ბრწყინვალე ქალბატონია! (ფრანგ.))

პაწაწინა, დაკეცილ ბარათზე ჰელენის ხელით ეწერა: „ნურაფერზე იდარდებ. ასაფრთხე არ მემუქრება. იცოდე, ეს მხოლოდ თავგადასავალია. აბა, დროებით. მმიყვარხარ“.

ვერაფრით მივხვდი, როგორ მოახერხა ჰელენმა თუნდაც ამ არცთუ მკაცრი ბლოკადის გარღვევა. მოგვიანებით მომიყვა: განვაცხადე, რომ სასტუმროში საბუთები დამრჩა და უნდა წამოვიღოო. მისთვის პოლიციელი გაუყოლებიათ; თურმე იქ შეაჩეჩა სასტუმროს მეპატრონეს ხელში ეს ბარათი და უჩურჩულა, როგორ გადმოეცა ჩემთვის. როგორც ჩანს, პოლიციელი თანაგრძნობით ეკიდებოდა სასიყვარულო ამბებს და მისთვის თვალი აურიდებია. ჰელენს საბუთები არა, მაგრამ სუნამო, კონიაკი და კალათით საჭმელი კი წამოუღია. ჭამა უყვარდა, ამიტომ სულ

მიკვირდა, ამ მადის პატრონი როგორ ახერხებდა, ასეთი ტანკენარი ყოფილიყო.

ჩვენი ერთად ცხოვრების პერიოდში, ღამე რომ გამეღვიძებოდა და ჰელენი ჩემ გვერდით, საწოლში აღარ იწვა, ვიცოდი, სად უნდა მომეძებნა... ამ დროს იგი ყოველთვის მთვარის შუქით განათებულ სამზარეულოში იჯდა და პირზე ღიმილმორეული, მადიანად შეექცეოდა ლორს ან ვახშმიდან მორჩენილ დესერტს, ღვინოს კი პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. ამ დროს მშიერ კატას მაგონებდა, ღამღამობით თაგვებზე სანადიროდ რომ გამოდის ხოლმე. ჰელენი მოგვიანებით მიყვებოდა, ჩემს დასაპატიმრებლად მოსული პოლიციელი იმდენ ხანს ვალოდინე, სანამ სასტუმროს მეპატრონემ ღუმლიდან გამზადებული პაშტეტი არ გამოიღოო. ჰელენს პაშტეტი ძალიან უყვარდა და პოლიციელისთვის განუცხადებია, სანამ პაშტეტი არ გამზადდება, არსად არ წამოვალო. პოლიციელი მას ბუზღუნით დასთანხმებია. ასეთ დროს პოლიციელები ყოველთვის ერიდებიან ძალადობას და ურჩევნიათ, პატიმარი ნებით ჩაჯდეს პოლიციის მანქანაში. ჰელენს კი, ამასობაში ხელსახოცების წამოღებაც არ დავიწყებია.

მეორე დღეს მანქანებში ჩაგვსვეს და პირენეებში წაგვიყვანეს. და სწორედ იმ დღიდან დაიწყო შიშის, კომიზმის, ლტოლვილობის და ბიუროკრატიის, სასოწარკვეთისა თუ სიყვარულის სევდიანი და ამაღელვებელი ოდისეა.

12

- ჩვენს დროებას ალბათ ოდესმე ირონიის დროებადაც მოიხსენიებენ, - თქვა შვარცმა. - რა თქმა უნდა, ამაში მეთვრამეტე საუკუნისათვის დამახასიათებელ, სულიერებით აღსავსე ირონიას არ იგულისხმებენ! დიახ, ეს იქნება ჩვენი არათავისუფალი და იმავდროულად, იმ ბოროტი, სულელური და უხეში საუკუნის ირონია, რომელმაც ტექნიკის პროგრესითა და კულტურის რეგრესით დაგვამახსოვრა თავი. ჰიტლერი მხოლოდ მთელი მსოფლიოს გასაგონად კი არ გაჰკივის, რომ მშვიდობის მოციქულია და ომი სხვებმა ძალით მოახვიეს თავს, არამედ, თავადაც ღრმად სჯერა ამის. მაგრამ მასთან ერთად, ორმოცდაათი მილიონი გერმანელიც დარწმუნებულია ამაში. მათ ამ რწმენას ოდნავადაც კი ვერ არყევს ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში მხოლოდ მათი ქვეყანა იარაღდებოდა გამალებით, სხვა ქვეყნებს კი ომისათვის მზადება არც უფიქრიათ. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ჩვენ, ყველანი, ვინც გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებს დავაღწიეთ თავი, ახლა საფრანგეთის ბანაკებში ვიმყოფებოდით. იმის წინააღმდეგ კი არაფერი გვეთქმოდა, რომ ერი, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას ცდილობს, ამ დროს თითოეული ემიგრანტის მიმართ სამართლიანობას ვერ გამოიჩენს. ფრანგები არ გვაწამებდნენ, გაზით არ გვწამლავდნენ და არ გვხვრეტდნენ, მხოლოდ დაპატიმრებულები ვყავდით. ამაზე მეტი ლმობიერება როგორ უნდა მოგვეთხოვა?!

- თქვენს ცოლს ისევ როდის შეხვდით? - ვკითხე შვარცს.

- კარგა ხნის შემდეგ. ლე ვერნეში ყოფილხართ?

- არა, მაგრამ ვიცი, რომ ეს ერთ-ერთი საშინელი ბანაკი იყო საფრანგეთში.

შვარცმა ირონიულად გაიღიმა.

- იცით, ყველაფერი შედარებითია. გსმენით იმ კიბორჩხალეების იგავი, ცივ წყალში რომ ჩაყარეს მოსახარშად? წყალი ორმოცდაათ გრადუსამდე რომ გაცხელდა, აყვირდნენ, ამას ვერ გავუძლებთო და იმ ბედნიერ წუთებს მისტიროდნენ, როდესაც წყალი ორმოც გრადუსამდე იყო ცხელი... სამოც გრადუსზე, უკვე, იმ ორმოცდაათგრადუსიანი წყლის სიკეთეს ნატრობდნენ, მერე სამოცდაათ გრადუსზე, სამოცს იხსენებდნენ და ასე შემდეგ. ლე ვერნეს ბანაკი ათასჯერ სჯობდა საუკეთესო გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკს. ზუსტად ასევე, საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც გაზის კამერები არ არის, ყოველთვის სჯობია ბანაკს, სადაც ასეთი კამერებია... ამრიგად, შეგვიძლია, კიბორჩხალეების იგავი ჩვენს დროებაში გადმოვიტანოთ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- თქვენი საქმეები როგორ წარიმართა? - ვკითხე მერე.

- მალე აცივდა, ჩვენ კი, ცხადია, არც საკმარისი პლედები გვქონდა და არც ნახშირი. ეს ჩვეულებრივი დაუდევრობის ბრალი იყო. მაგრამ დარდი გაცილებით მძიმე ასატანია, როცა გცივა. არ მინდა თავი შეგაწყინოთ ბანაკში გატარებული ზამთრის აღწერით. აქ იძულებული ვარ, ირონიას მოვუხმო. მე და ჰელენი თუ ვაღიარებდით, რომ ნაცისტები ვიყავით, უკეთეს მდგომარეობში აღმოვჩნდებოდით, რადგან მაშინ ტყვეთა საგანგებო ბანაკში გადაგვიყვანდნენ. გაზეთებში ვხედავდით გერმანელი ტყვეების ფოტოებს, რომლებიც ემიგრანტები არ იყვნენ. მათ ბანაკში დანა-ჩანგალი, სკამები, მაგიდები, საწოლები, საბნები და

საკუთარი სასადილო ოთახიც კი ჰქონდათ. ჩვენ კი ამ დროს ვშიმშილობდით და დიარეა გვტანჯავდა. გაზეთები ამაყად წერდნენ, რომ მათ ქვეყანაში ასე სანიმუშოდ ეპყრობოდნენ მტრებს; ჩვენთან კი მათ ასეთი სიფრთხილე არ სჭირდებოდათ, რადგან საფრთხეს არ წარმოვადგენდით.

ასეთ ყოფას შევეჩვიე. ჰელენის რჩევა ყურად ვიღე და სამართლიანობის ცნებაზე ფიქრი შევწყვიტე. მუშაობის შემდეგ, ყოველ საღამოს, ბარაკის კუთხეში ვიჯექი, სადაც ერთი მეტრი სიგანის და ორი მეტრი სიგრძის ადგილი და ცოტა თივა მქონდა გამოყოფილი და საკუთარ თავს შთავაგონებდი, რომ ახლა იმ გარდამავალ დროში ვცხოვრობდი, რომელსაც ჩემს პიროვნებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. გარშემო კი უჩვეულო ამბები ხდებოდა და მათზე, გაწვრთნილი ცხოველივით უნდა მომეხდინა რეაგირება, რადგან დარდს ისევე შეეძლო მოვეკალი, როგორც დიზენტერიას, სამართლიანობა კი მშვიდობიანი დროების ფუფუნება იყო.

- ნუთუ ამისი მართლა გჯეროდათ? - ვკითხე შვარცს.

- არა, არ მჯეროდა, - მითხრა მან. - მაგრამ საკუთარ თავს ყოველდღიურად, ისევ და ისევ შთავაგონებდი ამას. ეს ის პატარა უსამართლობა იყო, რომლითაც თავის მოტყუებას ყველაზე ძნელად ახერხებს ხოლმე კაცი. დიახ, ამას დიდი უსამართლობა არ ეთქმოდა. ამ დროს გულთან არ უნდა მიგეტანა ყოველდღიური, პატარ-პატარა პრობლემები, ერთ ლუკმა პურს თუ მძიმე სამუშაოს რომ უკავშირდებოდა, რათა ამაზე დაბოღმილს, დიდი უსამართლობის შეგრძნება არ დაგეკარგა.

- ამრიგად, როგორც თქვით, იქ გაწვრთნილი ცხოველივით ცხოვრობდით?

- დიახ, ჰელენის პირველი წერილის მიღებამდე ასე ვცხოვრობდი, - თქვა შვარცმა. - ეს წერილი ჰელენს ჩვენი სასტუმროს მეპატრონის მისამართზე გაეგზავნა და პარიზიდან ჩემამდე ორი თვის შემდეგ მოაღწია. მის დანახვაზე ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩახუთულ ოთახში უეცრად ფანჯარა გამოაღეს. აქამდე ცხოვრება თითქოს სადღაც, ჩემ მიღმა არსებობდა, ახლა კი ისევ ჩემკენ შემოტრიალდა.

ჰელენისგან წერილები ხანდახან კვირების მანძილზე არ მოდიოდა, მაგრამ საოცარი იყო, იმ დროდადრო მიღებულ წერილებში როგორ იცვლებოდა და ყალიბდებოდა ჰელენის სახე. მწერდა, თავს კარგად ვგრძნობ, როგორც იქნა, ბანაკში გადამიყვანეს, სადაც თავდაპირველად სამზარეულოში ვმუშაობდი, ახლა კი სასადილოში ვარ დაკავებულიო. არ ვიცი, ხრიკებითა თუ ქრთამით, მაგრამ ჰელენმა მოახერხა და ორჯერ ამანათიც გამომიგზავნა. იმავდროულად, წერილების წყალობით, ჰელენის ახალი სახე გამოიკვეთა. ვერ გეტყვით, რამდენად შეიძლებოდა ეს სახე განშორების, საკუთარი სურვილებისა და წარმოსახვის გაყალბების შედეგი ყოფილიყო, რადგან თითქმის არარეალურად აზვიადებ ყველაფერს, როცა პატიმრობაში ხარ და რამდენიმე წერილის გარდა არაფერი გიჭირავს ხელში. სხვა სიტუაციაში დაწერილი, ერთი ჩვეულებრივი, სრულიად უვნებელი ფრაზა, შეიძლება ამ დროს მეხივით დაგატყდეს თავს და გაგანადგუროს, და პირიქით, მეორე, ასეთივე ჩვეულებრივმა და უვნებელმა ფრაზამ შეიძლება კვირების განმავლობაში საოცარი სითბო გაგრძნობინოს. არადა, იცი, რომ ერთიც და მეორეც რაიმე წინასწარი განზრახვით არ არის დაწერილი. მერე თვეობით ისეთ რამეზე ფიქრობ, რაც მეორე ადამიანს მას შემდეგ აღარც კი ახსოვს, რაც წერილი კონვერტში ჩადო. ერთხელ

ჰელენმა ფოტო გამომიგზავნა, რომელიც ბარაკის წინ, ვიღაც უცხო ქალთან და მამაკაცთან ერთად გადაეღო. მწერდა, ჩვენი ბანაკის ფრანგი ზედამხედველები არიანო.

შვარცმა ზევით აიხედა.

- რომ იცოდეთ, რა დღეში ჩავვარდი?! ნაცნობ მესაათეს გამადიდებელი შუშა გამოვართვი და დაჟინებით ვაკვირდებოდი იმ კაცის სახეს. ვერ ვხვდებოდი, რატომ გამომიგზავნა ჰელენმა ეს ფოტო. თავად ამაზე არც უფიქრია, ანდა, ვინ იცის, იქნებ იფიქრა კიდეც. მითხარით, ასეთი რამ გამოგიცდიათ?

- ასეთი რამ ალბათ ნებისმიერ ადამიანს გამოუცდია, პატიმრისთვის დამახასიათებელი ფსიქოზი არცთუ იშვიათი მოვლენაა, - მივუგე მე.

ტავერნაში ჩვენს მეტი აღარავინ იყო. მეპატრონემ ანგარიში მოგვიტანა.

- სადმე ხომ არ გეგულებათ ადგილი, სადაც შეიძლება კიდევ დაჯდეს კაცი? - ჰკითხა მას შვარცმა.

მეპატრონემ რაღაც მისამართი დაგვისახელა.

- იქ ლამაზი, პუტკუნა ქალები ჰყავთ და ძვირიც არ არის.

- სხვა ადგილი არ იცით?

- ასეთ დროს სხვა ადგილი არსად მეგულება.

მეპატრონემ ქურთუკი ჩაიცვა.

- თუ გნებავთ, იქამდე მიგაცილებთ. საქმეებს მოვრჩი და თავისუფალი ვარ. იქ გაიძვერა ქალები ჰყავთ და ყურადღებით ვიქნები, რომ ვინმემ არ გაგაბრიყვოთ!

- ისე, უქალებოდ არ შეიძლება დავსხდეთ?

- უქალებოდ? - იკითხა მეპატრონემ და ორივეს გაკვირვებით გამოგვხედა, მაგრამ მერე სახე გაებადრა. - ცხადია, შეიძლება. მაგრამ, ბატონებო! იქ მხოლოდ ქალები ჰყავთ, - გვითხრა და

ქუჩაში სანამ არ გამოვედით, ჩვენთვის თვალი აღარ მოუცილებია.

მშვენიერი, ადრიანი დილა იყო. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ჰაერში უკვე იგრძნობოდა ზღვის მლაშე სუნი. ქუჩაში კატები დაიზლაზნებოდნენ. ფანჯრებიდან წამოსული ყავის ოხშივარი თითქოს ძილის სუნს შერთოდა. ამ დროისთვის სინათლე აღარსად ენთო. შუკებს უკან ურემი მირახრახებდა. დაუდეგარ ტეხოზე მეთევზეთა ნავები წითელ-ყვითელ დუმფარებს ჰგავდნენ, მათ სიახლოვეს კი, ბურუსში გახვეული, მშვიდად იდგა ის უკანასკნელი იმედი, ანუ გემი-კიდობანი, რომელიც აღარ იყო განათებული. იქით დავუყევით გზას.

საროსკიპო საკმაოდ უსიამოვნო ადგილი აღმოჩნდა. რამდენიმე ზინზლიანი, მსუქანი ქალი ბანქოს თამაშობდა და სიგარეტს ეწეოდა. ქალებმა მხოლოდ ერთხელ მოიტანეს ჩვენზე იერიში, მაგრამ მალევე დაგვანებეს თავი.. საათზე დავიხედე. შვარცს ეს არ გამოჰპარვია.

- დიდხანს აღარ შეგაყოვნებთ, - მითხრა მან. - საკონსულოებიც ცხრაზე ადრე არ იღება.

ეს მეც მშვენივრად ვიცოდი. შვარცს კი ავიწყდებოდა, რომ მოყოლა და მოსმენა სხვადასხვა რამ არის.

- ერთი წელიწადი უსასრულო დროდ გვეჩვენება, - თქვა შვარცმა. - მერე კი უცბად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ის სულაც არ არის ასეთი ხანგრძლივი. ერთხელ, იანვარში, ბანაკიდან სამუშაოდ გარეთ რომ გაგვიყვანეს, გაქცევა ვცადე. მაგრამ ორი დღის შემდეგ მიპოვეს. მერე თავისი სისასტიკით ცნობილმა ლეიტენანტმა ტყავის მათრახი სულ სახეში მირტყა, სამი კვირით ცალკე საკანში გამომამწყვდია და ცარიელ პურსა და წყალზე დამსვა. გაქცევის მეორე მცდელობის დროს მალევე ჩა-

მავლეს. მერე ამ საქმეზე ხელი ჩავიქნიე. გგაქცევა რომ მოგეხერხებინა კიდეც, კვების ბარათებისა და საბუთების გარეშე მაინც ვერ გაიტანდი თავს. ნებისმიერ ჟანდარმს შეეძლო, დაეპატიმრებინე. ჰელენის ბანაკამდე კი გრძელი გზა იყო გასავლელი.

მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა, რადგან ნამდვილი ომი მაისში დაიწყო და ერთ თვეში დამთავრდა. ჩვენ ჯერჯერობით არაოკუპირებულ ზონაში ვიმყოფებოდით, თუმცა ბანაკი გერმანელთა სამხედრო კომისიას ან სულაც, გესტაპოს უნდა გაეკონტროლებინა. ალბათ იცით, რა პანიკა ატყდა მაშინ?!

- დიახ, ვიცი, - მივუგე მე. - საშინელი პანიკა ატყდა და თვითმკვლელობები გახშირდა. პატიმრები ბანაკიდან გაშვებას მოითხოვდნენ, მაგრამ ბიუროკრატიული უნიათობის გამო ეს არ ხერხდებოდა, თუმცა, არა ყოველთვის. იყო ბანაკები, რომელთა კომენდანტებიც საკუთარი რისკის ფასად აძლევდნენ ემიგრანტებს გაქცევის საშუალებას, თუმცა გაქცეულებს, მოგვიანებით, ცხადია, მარსელში ან საზღვარზე ისევ იჭერდნენ.

- დიახ, მარსელი! იქ მე და ჰელენს უკვე გვქონდა საწამლავი, - თქვა შვარცმა. - ეს პატარა ამპულები საბედისწერო სიმშვიდეს ანიჭებდა ადამიანს. ბანაკში ყოფნისას ერთმა აფთიაქარმა მომყიდა ორი ამპულა. ზუსტად ვერ გეტყვით, რა საწამლავი იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ მისი მიღების შემდეგ მშვიდად და სწრაფად მოვკვდებოდი. აფთიაქარმა მითხრა, რომ საწამლავი ორ კაცს ეყოფოდა, მე კი იმიტომ მომყიდა, რომ ეშინოდა, გამთენიისას, სასოწარკვეთილების წუთებში, თავად არ დაელია.

დამფრთხალ მტრედებს ვგავდით. ასეთ სწრაფ დამარცხებას არავინ ელოდა და გაოგნებულები ვიყავით. ჯერ არ ვიცოდით, რომ ინგლისი მშვიდობიან მოლაპარაკებაზე უარს ეუბნებოდა

გერმანიას და ახლა მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ სამყარო თავზე გვემხობოდა, - თქვა შვარცმა და ზანტად ჩაიქნია ხელი. - ახლაც ხომ არ ვიცით, საბოლოოდ დავმარცხდით თუ არა?! ჩვენ მხოლოდ ნაპირს მივადექით, წინ კი ისევ ზღვაა!

ჰო, ახლა მხოლოდ ზღვას და გემებს ვხედავთ, ეს ზღვა რომ უნდა გადასერონ, გავიფიქრე გუნებაში.

მალე ტავერნის კარში მეპატრონეც გამოჩნდა და სამხედრო წესით, დამცინავად მოგვესალმა. მერე მსუქან კახპებს ყურში რაღაც უჩურჩულა და მათგან ერთი, ბუმბერაზმკერდიანი, პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა.

- ერთი გამაგებინეთ, როგორ ახერხებთ ამას? - გვკითხა მან.

- რისი გაგება გნებავთ?

- ეს ალბათ საშინლად მტკივნეულია, არა?

- კი მაგრამ, რას გულისხმობთ? - ჰკითხა დაბნეულმა შვარცმა.

- ღია ზღვაში მეზღვაურებს შორის სიყვარულს გულისხმობს! - კარიდან გამოგვძახა ტავერნის მეპატრონემ და ისე გაიცინა, გეგონება, უკლებლივ ყველა კბილის გადმოფურთხებას აპირებსო.

- იცით, იმ მორიდებულმა, ბრძენმა კაცმა შეცდომაში რომ შეგიყვანათ? - ვუთხარი ქალს, რომელმაც ზეთისხილის, ნივრის, ხახვის, ოფლის და ზინზლის სუნი შემოგვაფრქვია სახეში. - ჰომოსექსუალები ნამდვილად არა ვართ. უბრალოდ, აბისინიის ომში ყოფნის დროს აბორიგენებმა დაგვიჭირეს და დაგვასაჭურისეს.

- იტალიელები ხართ?

- ერთ დროს იტალიელები ვიყავით, - მივუგე მე. - მაგრამ დასაჭურისებული კაცი არც ერთ ეროვნებას აღარ მიეკუთვნება და მსოფლიოს მოქალაქე ხდება.

ქალი ჩემმა ნათქვამმა რატომღაც ჩააფიქრა.

- უცნაური ვინმე ხართ, - მითხრა ბოლოს სერიოზული სახით და უზარმაზარი თეძოების რხევით ისევ კარისკენ გაბრუნდა, სადაც ხელების ფათურში გაწვრთნილი მეპატრონე ელოდა.

- რა საოცარი გრძნობაა უიმედობა, - თქვა შვარცმა. - რა ჯიუტად ზის ჩვენში ის, რასაც საკუთარი „მე“ კი არა, მხოლოდ სიცოცხლის და ამქვეყნად ყოფნის სურვილი გვალაპარაკებს. ხანდახან ისეთ ადგილას აღმოჩნდები, მეზღვაურები ტაიფუნის დროს რომ აღწერენ ხოლმე. ეს სრულიად მშვიდი ადგილია ქარბორბალას შუაგულში. შენ იქ იმყოფები, ბრძოლის თავი აღარ გაქვს და იმ ხოჭოს ემსგავსები, რომელიც ცოცხალია, მაგრამ თავს იმკვდარუნებს. ამ დროს მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობ და სიფრთხილეს არ კარგავ, თუმცა უაღრესად პასიური ხარ. იმ წუთებში გრძნობ, რომ არავითარი ძალა აღარ გჭირდება და იმ მშვიდ ადგილას იმყოფები, გამძვინვარებული ტაიფუნი გალავანივით რომ შემოგვლებია გარს. და აი, უეცრად ყოველგვარი შიში და სასოწარკვეთა გიქრება, რადგან ამ დროს შენთვის ესეც ფუფუნება იქნება და ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემ, რომ ამაზე დახარჯულმა ძალისხმევამ სიცოცხლის გადარჩენის არსი არ დააკნინოს. ამიტომ უნდა გამორიცხო ეს ძალისხმევა და არაფერი დაიტოვო, გარდა სიფრთხილისა და პასიური მზადყოფნისა. და მაშინ, რაღაც უჩვეულო, უშფოთველი სიცხადე გეუფლება. ასეთ დღეებში ხანდახან მიფიქრია, ალბათ ინდოელი იოგაც ამასვე განიცდის-მეთქი. ისიც ხომ გამორიც-

ხავს ყველაფერს, რასაც კავშირი აქვს ცნობიერ „მესთან“, რა-თა... - შვარცს სიტყვა გაუწყდა.

- რათა ღმერთი ეძებოს? - ვკითხე ნახევრად ხუმრობით.

შვარცმა თავი გააქნია.

- არა, რათა ღმერთი იპოვოს! მას გამუდმებით ვეძებთ, მაგ-რამ ვეძებთ ისე, თითქოს ცურვა გინდა, მაგრამ წყალში იარა-ღასხმული, ბარგიანად და ტანსაცმლიანად ხტები. არადა, ამ დროს შიშველი უნდა იყო, აი, ისეთი შიშველი, როგორიც იმ ღა-მით ვიყავი, უსაფრთხო უცხოეთიდან სახიფათო სამშობლოში რომ დავბრუნდი. მაშინ რაინი ჩემთვის ბედისწერის მდინარედ და მთვარის მკრთალი შუქით განათებული სიცოცხლის მაუწყე-ბელ ნიშნად იქცა.

ბანაკში ყოფნისას ხანდახან ვიხსენებდი იმ ღამეს, მაგრამ მასზე ფიქრი კი არ მასუსტებდა, პირიქით, უფრო მაძლიერებდა. მაშინ ისე მოვიქეცი, როგორც ცხოვრებამ მოითხოვა ჩემგან, და გამიმართლა. განგებამ ჰელენთან ერთად ცხოვრების ბედ-ნიერება კიდევ ერთხელ მომანიჭა, ხოლო იმ სასოწარკვეთას და ყველაფერ იმას, რაც დროდადრო ძილში მოსვენებას არ მაძ-ლევდა, თან ახლდა მოგონებები პარიზსა და ჰელენზე, ასევე, ქვეცნობიერი შეგრძნება იმისა, რომ მარტო არ ვიყავი. ვიცოდი, რომ სადღაც ცხოვრობდა ჰელენი, და შესაძლოა, მას ახლა სხვა კაციც ჰყავდა, მაგრამ მთავარია, რომ ცოცხალი იყო! ეს ასეა, რაგინდ შემაძრწუნებელიც უნდა იყოს ეს აზრი ისეთ დროებაში, როგორიც ჩვენია, როდესაც ადამიანი ფეხით გასრესილ ჭიან-ჭველაზე ნაკლებად ფასობს.

შვარცი დადუმდა.

- მერე რა ქენით, იპოვეთ ღმერთი?

ეს როყიო შეკითხვა უცებ ისეთი მნიშვნელოვანი მომეჩვენა, რომ შვარცს მაინც დავუსვი.

- ეს სარკეში არეკლილი სახეა, - მითხრა მან.

- მერედა, ვისი სახეა ეს?

- ეს ყოველთვის ერთი და იგივე სახეა. როგორ გგონიათ, იცნობთ საკუთარ სახეს? აი, იმას, დაბადებით რომ დაგყვათ?

გაოცებულმა შევხედე. ასეთი გამომეტყველება მას ერთხელ უკვე შევნიშნე.

- დიახ, ეს სარკეში არეკლილი სახეა, - გაიმეორა მან. - იგი გვერდიდან შემოგყურებთ, მის უკან კი სხვა სახეს ხედავთ... მაგრამ მერე უეცრად, თავად გადაიქცევით ამ სარკედ, გამოსახულებებს უსასრულოდ რომ აირეკლავს. ვერა, ღმერთი ვერ ვიპოვე, მაგრამ, რომც ვიპოვოთ, როგორ უნდა მოვექცეთ მას? ამის უნარი რომ გვქონოდა, მაშინ ადამიანები კი არ ვიქნებოდით?! აი, ღმერთის ძებნა კი - სულ სხვა საქმეა!

შვარცს გაეღიმა.

- მაგრამ მერე საამისოდ აღარც დრო მქონდა და აღარც ძალა. მთლად ფსკერზე დავეშვი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რაც მიყვარდა. ამით ვცოცხლობდი და ღმერთი და სამართლიანობა საერთოდ აღარ მახსოვდა. ასე ჩაიკეტა წრე. ის, რაც მდინარესთან გადამხდა თავს, ისევ მეორდებოდა და საქმე ისევ მხოლოდ მე მეხებოდა. ასეთ სიტუაციაში თითქმის უძლური ხარ და არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, თუმცა არც არის საჭირო. ამ დროს ფიქრი მხოლოდ გაბნევს, რადგან მოვლენები თავისთავად ვითარდება, შენ კი ადამიანისთვის ჩვეული, სასაცილო იზოლაციიდან გამოდიხარ და მოვლენების განვითარების ანონიმურ კანონს აღიარებ. ახლა, ისღა დაგრჩენია, წასასვლელად იყო მზად, როგორც კი მხარზე უხილავი, ნაზი ხელის შეხებას იგ-

რძნობ. შენი ვალია, მხოლოდ გაჰყვე მას, და სანამ არაფერს გკითხავენ, დაცული იქნები. ალბათ ფიქრობთ, ეს კაცი რა მისტიკურ სისულელეს ბოდავსო, არა?

თავი გავაქნიე.

- არა, ეს გრძნობა ჩემთვისაც ნაცნობია და იგი დიდი საფრთხის წუთებშიც არსებობს. მინახავს ადამიანები, რომლებმაც მსგავსი რამ ომში განიცადეს. ისინი ანგარიშმიუცემლად, სრულიად უმიზეზოდ გარბოდნენ სანგრიდან, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ, საძმო სასაფლაოდ გადაიქცეოდა ხოლმე. ამ ადამიანებს არ ესმოდათ, რატომ იქცეოდნენ ასე. თუ საღად ვიმსჯელებთ, სანგარი ხომ იმ ადგილებზე გაცილებით უსაფრთხო უნდა ყოფილიყო, საითაც ისინი გარბოდნენ?!

- სრულიად დაუჯერებელი რამ ისე ჩავიდინე, თითქოს ეს ამქვეყნად ყველაზე ბუნებრივი რამ იყო. ერთ დილას, ჩემი ნივთები ჩავალაგე და ბანაკიდან შარაგზაზე გამოვედი. ღამით გაქცევა არ მიფიქრია, რაც ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა. ამიტომ კაშკაშა, მზიან დილით, ბანაკის დიდ ჭიშკართან მივედი და იქ მყოფ ორ გუშაგს ვუთხარი, გამათავისუფლეს-მეთქი. მერე ჯიბეზე ხელი გავიკარი, მათ ცოტა ფული ვაჩუქე და ვთხოვე, ჩემი სადღეგრძელო დაელიათ. ამ უნიფორმიანმა გლეხის ბიჭებმა ვერც კი წარმოიდგინეს, რომ ვინმეს შეეძლო ასე თავხედურად მოქცეულიყო და დღისით-მზისით, ბანაკიდან უნებართვოდ გასვლა გაებედა. ამიტომ აზრად არ მოსვლიათ, ჩემთვის გათავისუფლების საბუთი მოეთხოვათ.

გზაზე ისე გავედი, ნაბიჯი არ ამიჩქარებია, თუმცა რამდენიმე წუთში მომეჩვენა, თითქოს ბანაკის ჭიშკარი დრაკონის ხახად ქცეულიყო, უკან მომსდევდა და დაჭერას მიპირებდა. განსვენებული შვარცის პასპორტი, ცოტა ხნის წინათ, გუშაგებს თვალწინ

რომ ვუფრიალებდი, ჯიბეში მშვიდად ჩავიდე და გზა გავაგრძელე. ირგვლივ როზმარინის და ქონდრის სურნელი იგრძნობოდა და ეს თავისუფლების სურნელი იყო.

ცოტა ხანს ასე ვიარე, მერე დავიხარე, თითქოს ფეხსაცმლის ზონარს ვიკრავდი, და თან მალულად უკან გავიხედე. გზაზე არავინ ჩანდა და ნაბიჯს ავუჩქარე.

იმ უამრავი საბუთიდან, რომელსაც ამ დროს მომთხოვდნენ, არც ერთი არ მქონდა. ფრანგული, ასე თუ ისე, ვიცოდი და ახლა იმის იმედი მქონდა, რომ ჩემი ლაპარაკის კილოს რომელიღაც ფრანგულ დიალექტად ჩამითვლიდნენ. იმხანად, მთელ ქვეყანაში დაეხეტებოდნენ უსახლკარო ადამიანები. ყველგან შეხვდებოდით ოკუპირებული ადგილებიდან გამოქცეულ ლტოლვილებს, გზები კი გადატვირთული იყო სხვადასხვა ტრანსპორტით, ლოგინით თუ საოჯახო ნივთებით სავსე ურიკებით და დეზერტირი ჯარისკაცებით.

ამასობაში, რომელიღაც პატარა სასტუმროსთან მივედი. ბაღში რამდენიმე მაგიდა იდგა, უკან კი ბოსტანი და ხეხილი მოჩანდა. შიგნით სასტუმრო ფილებით იყო მოპირკეთებული და ახალგამომცხვარი პურის, ღვინის და ყავის სურნელი ტრიალებდა. ფეხშიშველა მოახლე გოგონამ მაგიდას სუფრა გადააფარა და ჩაიდანი, ფინჯანი, თეფში, თაფლი და პური მოიტანა. პარიზიდან წამოსვლის შემდეგ ასეთი სიამოვნება პირველად განვიცადე.

გარეთ, მტვრიანი ბუჩქებით შემორაგული ბაღის მიღმა კვლავაც განაგრძობდა სიცოცხლეს ნამსხვრევებად ქცეული სამყარო, ხოლო აქ, მზით განათებული ხეების ჩრდილქვეშ ჯერ კიდევ არსებობდა პაწია, უწყინარი კუნძული, სადაც ისევ ზუზუნებდნენ ფუტკრები და გვიანი ზაფხულის ოქროსფერი შუქი კიაფობდა.

მმინდოდა, ეს ზაფხული ისე ხარბად შემესვა, როგორი სიხარბი-
თაც აქლემი ეწაფება წყალს უდაბნოში გასვლის წინ. მერე
ვსვამდი ღვინოს და მილულული თვალებით შევიგრძნობდი სი-
ნათლეს.

13

სადგურთან ჟანდარმი დავინახე და უკან გავბრუნდი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი გაქცევის ამბავი ჯერჯერობით არ გახმაურებულიყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, სადგურზე არ გამოვჩენილიყავი. ასეთ ამბებზე ბანაკში ყოფნისას ნაკლებად ფიქრობ ხოლმე, მაგრამ, როგორც კი იქაურობას თავს დააღწევ, საკუთარი თავი უკვე ძვირად გიღირს. ბანაკში ერთ ნაჭერ პურს დაჰკანკალებ, იქიდან წამოსვლის შემდეგ კი მის სუნს ხელახლა რომ შეიგრძნობ, იგი კიდევ უფრო ძვირფასი ხდება შენთვის; ამაზე კი, მოგეხსენებათ, უამრავი ფირმა ზრუნავს. მერე ცოტა ხანს შემხვედრი სატვირთო მანქანით ვიმგზავრე. მძღოლი ლანძღავდა ომს, გერმანელებს, საფრანგეთის და ამერიკის მთავრობებს და ღმერთს, მაგრამ, სანამ ჩამომსვამდა, თავისი საგზალი მაინც მიწილადა. მეზობელ სადგურამდე ერთი საათი ფეხით ვიარე. რაკი ვიცოდი წესი, რომ არ უნდა დაიმალო, თუ არ გინდა, ვინმემ ეჭვი აიღოს შენზე, ამიტომ სალაროში პირველი კლასის ბილეთი მოვითხოვე შემდეგ სადგურამდე. რკინიგზის მოხელეს ყოყმანი შევატყვე და ვიფიქრე, ახლა საბუთებს მომთხოვს-მეთქი. გონზე მოსვლა არ დავაცადე და ჩხუბი ავუტეხე. მოხელე დაიბნა, გაოცებული შემომაჩერდა და მორჩილად მომცა ბილეთი. მერე ერთ-ერთ კაფეში შევედი და იქ დაველოდე მატარებელს, რომელიც ერთი საათის დაგვიანებით ჩამოდგა ბაქანზე.

ჰელენის ბანაკამდე სამ დღეში ჩავაღწიე. გზაში ერთხელ გამაჩერა ჟანდარმმა, მაგრამ მას გერმანულად დავუღრიალე და ცხვირწინ შვარცის პასპორტი ავუფრიალე. შეშინებულმა უკან

დაიხია და კმაყოფილი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს, შევეშვი. იმ დროისთვის ავსტრია გერმანიას უკვე დაპყრობილი ჰქონდა და ავსტრიული პასპორტი გესტაპოს სავიზიტო ბარათი იყო. საოცარია, მაინც რა ძალა ჰქონდა განსვენებული შვარცის პასპორტს! ნაბეჭდი ქაღალდის ამ ნაგლეჯს ვერაფერი აღუდგებოდა წინ.

გორაკზე უნდა ავსულიყავი, კურდღლისცოცხას და როზმარინის ბუჩქებით მოფენილი მინდორი, მერე კი ტყე უნდა გამევლო, ბანაკამდე რომ მიმეღწია. იქ ნაშუადღევს მივედი. ბანაკს მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ ლე ვერნეს ბანაკივით პირქუშად არ გამოიყურებოდა, ალბათ იმიტომ, რომ აქ ქალები ცხოვრობდნენ. ტყიდან დავინახე, რომ ქალებს ჭრელი კაბები ეცვათ, ჭრელი თავსაფრები გაეკრათ ან ჩალმასავით შემოეხვიათ. ეს კი, რაღაცნაირად უდარდელი ცხოვრების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

მერე უეცრად ვიგრძენი, რომ მხნეობამ მიმტყუნა. რატომღაც მეგონა, რომ ბანაკში უნუგეშო მდგომარეობა დამხვდებოდა და დონკიხოტივით თუ წმინდა გიორგივით მოვევლინებოდი აქაურობას. ახლა კი მომეჩვენა, რომ აქ ჩემი ადგილი არ იყო. ბანაკი სავსებით უზრუნველად გამოიყურებოდა, და თუ ჰელენი ნამდვილად აქ იმყოფებოდა, მას უკვე დიდი ხნის დავიწყებული უნდა ვყოლოდი.

ტყეში დავიმალე და შევეცადე, მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი. დაბინდებულზე მავთულხლართის ღობეს ვიღაც ქალი მოადგა. მალე მას სხვებიც მოჰყვნენ და ერთად შეჯგუფდნენ. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და უაზრო თვალებით ისე გასცქეროდნენ მავთულხლართის მიღმა სივრცეს, თითქოს

რაღაცის დანახვას ამაოდ ცდილობდნენ. ეს „რაღაც“ მათთვის თავისუფლება იყო.

მალე ცას იისფერი დაედო. დაბლა, მინდვრებიდან ჩრდილები ამოცოცდნენ და აქა-იქ მბჟუტავი სინათლეებიც გამოჩნდა. მერე ქალებიც უფერულ და უსხეულო ლანდებად იქცნენ. მავთულხლართის უკან მათი გამლხვალი, გაფითრებული სახეები მათსავე შავ სილუეტებს თითქოს ზემოდან დაჰფარფატებდა. ნელ-ნელა ქალების უსწორმასწორო რიგები დაიშალა და ყველანი ერთმანეთის მიყოლებით გაბრუნდნენ უკან. მოგვიანებით გავიგე, რომ დროის ამ მონაკვეთს ბანაკში „სასოწარკვეთის საათს“ ეძახდნენ.

მავთულხლართთან მხოლოდ ერთი ქალი დარჩა. ფრთხილად მივუახლოვდი მას.

- არ შეგეშინდეთ! - ვუთხარი ფრანგულად.

- არ შემეშინდეს? - მკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ, - კი მაგრამ რა შიშზე მელაპარაკებით?

- თქვენთან რაღაც სათხოვარი მაქვს.

- ჩემთან რა სათხოვარი უნდა გქონდეს, შე ღორო! - მითხრა მან, - მაგ გამოთაყვანებული ტვინით სხვა ვეღარაფერზე ფიქრობ, არა?

გაოცებული მივაჩერდი.

- არ მესმის, რატომ მეუბნებით ამას?

- ისედაც საკმარისად სულელი ხარ, ამიტომ ნუღარ ცდილობ, უფრო მეტად გაისულელო თავი. ეშმაკსაც წაუღიხარ მაგ შენი წყეული ავხორცობით. სოფელში ქალები გაგიწყდათ? აქ რას დაძრწიხართ ქოფაკებივით?!

მხოლოდ ახლა მივხვდი, რას გულისხმობდა.

- არა, ცდებით, - ვუთხარი მე. - აქ, ბანაკში, ერთი ქალის ნახვა მინდა.

- რატომ მხოლოდ ერთის ან ორის? ყველას ერთად ნახვა არ ჯობია?

- მომისმინეთ, - ვუთხარი ისევ. - აქ ჩემი ცოლის სანახავად მოვედი.

- მერე დარწმუნებული ხარ, რომ მასაც უნდა შენი ნახვა? - გაიცინა ქალმა და ახლა გაბრაზებული კი არა, უფრო დაღლილი მომეჩვენა. - ეს ახალი ხრიკია, არა? ყოველ ჯერზე სულ ახალ-- ახალი აზრები მოგდით თავში?!

- აქ პირველად ვარ, - ვუთხარი მე.

- რაღაც არ გეტყობა. ძალიან თამამი ჩანხარ. ჯანდაბამდე გზა გქონია!

- ძალიან გთხოვთ, მომისმინეთ, - ვუთხარი ახლა უკვე გერმანულად. - მინდა, ბანაკში ერთ ქალს გადასცეთ, რომ აქ ვიმყოფები. გერმანელი ვარ. მეც ლე ვერნეს ბანაკიდან გამოვიქეცი.

- ერთი ამას დამიხედეთ, გერმანულიც რომ სცოდნია! - თქვა ქალმა წყნარად. - წყეულო ელზასელო! სიფილისით უნდა დალპეთ შენც და ის შენი მათხოვარი ძმაკაცებიც, ყოველ საღამოს აქ რომ დაეთრევიან. კიბომ უნდა დაგხრათ ჩვენი აქ შემოყრისთვის. ნამდვილი ღორები ხართ! ასე როგორ დაკარგეთ ადამიანობა, რომ საერთოდ ვეღარ ხვდებით, რას სჩადიხართ! თავი დაგვანებეთ, შეგვეშვით! - თქვა მან ხმამაღლა და მკაცრად. - აქ რომ გამოგვამწყვდიეთ, ეს არ იკმარეთ, ახლა მაინც დაგვანებეთ თავი! - შეჰკივლა ქალმა.

ამ დროს დანარჩენი ქალების ხმაც შემომესმა. სასწრაფოდ ტყეში შევბრუნდი და ღამე იქ გავატარე. აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ხეებს შორის ვიწექი და ვხედავდი, ქვემოთ ნელ-ნელა რო-

გორ ქრებოდა სინათლეები. მერე ნისლიანი შემოდგომის სიგ-რილით გაჯერებული მიდამო თეთრი მკრთალი მთვარის შუქით განათდა. დილით ისევ ქვევით, სოფელში ჩავედი. იქ ვიღაც კაცს ჩემი პიჯაკი მონტიორის ლურჯ სპეცტანსაცმელში გავუცვალე და ბანაკთან დავბრუნდი. გუშაგს ვუთხარი, გამოძახებული ვარ, ელექტროგაყვანილობა უნდა შევამოწმო-მეთქი. ფრანგულად საკმაოდ გამართულად დაველაპარაკე და გუშაგმა ბანაკში ისე შემიშვა, რომ არაფერი უკითხავს. ალბათ ვერ წარმოედგინა, ამ ბანაკში თავისი ფეხით, ნებაყოფლობით, ვინმე თუ შევიდოდა.

ფრთხილად გავუყევი გზას. ქალები დიდ ბარაკებში ცხოვ-რობდნენ, რომლის ორივე მხარეს, ორსართულიანი საწოლები ფარდებით გადაეღობათ, შუაში კი გასასვლელი დაეტოვებინათ. ფარდები თითქმის ყველგან გადაწეული იყო და ოთახების მოწ-ყობილობა ჩანდა. იქ პატიმრებს მხოლოდ აუცილებელი ნივთე-ბი ჰქონდათ, თუმცა ზოგიერთს მოეხერხებინა და ამ უბადრუკ სადგომში პირსახოცი, ღია ბარათები, ფოტოსურათი და პირადი დახასიათების ფურცელიც შეეტანა. კარგა ხანს დავდიოდი ნა-ხევრად ჩაბნელებულ ბარაკებში. ჩემს დანახვაზე ქალები მუ-შაობას თავს ანებებდნენ და გაოცებით მიყურებდნენ.

- ვინმესთვის ამბავი ხომ არა გაქვთ გადასაცემი? - მკითხა ერთმა.

- დიახ, ჰელენ ბაუმანს ვეძებ.

ქალი დაფიქრდა. ამ დროს მეორე ქალიც მოგვიახლოვდა.

- ეგ ის თახსირი ნაცისტი არ არის, სასადილოში რომ მუშა-ობს? - ჰკითხა მან პირველს. - ჰო, ის ქალი იქნება, ექიმთან რომ გორაობს.

- მე ვისზეც გეკითხებით, ის ქალი ნაცისტი არ არის.

- არა, სასადილოში რომ მუშაობს, ისიც არ არის ნაცისტი და, მგონი, ჰელენი ჰქვია, - მითხრა პირველმა.

- აქ ნაცისტებიც არიან?

- ცხადია არიან. აქ ისეთი დომხალია, თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. გერმანელებზე გსმენიათ რამე?

- არა, არავინ შემხვედრია, - მივუგე მე.

- ამბობენ, სამხედრო კომისია უნდა ჩამოვიდესო. ამის შესახებაც არაფერი იცით?

- არა.

- ამ კომისიამ თურმე ნაცისტები უნდა გაათავისუფლოს ბანაკებიდან. გესტაპოსაც ელოდებიან. ესეც არ იცით?

- არა.

- გერმანელებს თურმე არ ევალებათ არაოკუპირებული ზონის მეთვალყურეობა, - თქვა ქალმა.

- ეგ ჩვეულებრივი ამბავია.

- არც ამაზე გსმენიათ რამე?

- მხოლოდ ყურმოკვრით, - ვუთხარი მე.

- ვისგან უნდა გადასცეთ ამბავი ჰელენ ბაუმანს?

ოდნავ შევყოყმანდი.

- მისი ქმრისგან. იგი ბანაკიდან გამოვიდა, - მივუგე მერე.

მეორე ქალს გაეცინა.

- ჰო, ის კაცი ნამდვილად სახტად დარჩება.

- სასადილოში შესვლა შეიძლება? - ვკითხე მე.

- რა თქმა უნდა. ფრანგი არა ხართ?

- ელზასელი ვარ.

- მერე, რისი გეშინიათ? - მკითხა მეორე ქალმა. - რამე გაქვთ დასამალი?

- დღესდღეობით გეგულებათ ვინმე, რამეს რომ არ მალავ-დეს?

- შეგიძლიათ მშვიდად გამოთქვათ თქვენი აზრები, - მითხრა პირველმა, მეორეს კი ხმა აღარ ამოუღია. შროშანის სუნამოს მძაფრ სუნს აფრქვევდა და ისე მაკვირდებოდა, ნამდვილად ჯა-შუში ვეგონე.

- გმადლობთ. სასადილო სად არის? - ვკითხე მერე.

პირველმა ქალმა გზა მიმასწავლა. ნახევრად ჩაბნელებული ბარაკი ისე გავიარე, თითქოს უკან ვიღაც მომსდევდა. გასას-ვლელის ორივე მხრიდან ქალების ცნობისმოყვარე თვალები მომჩერებოდა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ამორძალე-ბის ქვეყანაში მოვხვდი. მერე ისევ დავინახე გზა და მზე, ცხვირ-ში ტყვეობის მოთენთილი სუნი მეცა, ნებისმიერ ბანაკს ნაცრის-ფერი ღრუბელივით რომ გადაჰფარებოდა თავზე.

ბრმასავით მივდიოდი. ჰელენის ერთგულებაზე ან ღალატზე არასოდეს დავფიქრებულვარ; ეს ფიქრი სადღაც ტვინის კუნ-ჭულში მქონდა შემონახული. ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ მოხდა და თავის გადასარჩენად იმდენი ვიბრძოლეთ, რომ ამასთან შედარებით ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა. ეს ფიქრი ლე ვერნეში მაწუხებდა, თუმცა მაშინაც რაღაც აბსტრაქ-ცია იყო, რომელიც ჩემს წარმოსახვაში გაჩნდა, მერე წაიშალა და ისევ ამოტივტივდა.

ახლა კი ჰელენის ბედის მოზიარე ქალებს შორის აღმოვ-ჩნდი. ისინი გუშინ საღამოს მავთულხლართებთან ვნახე და ცო-ტა ხნის წინ აქაც შევხვდი მათ. ეს დამშეული ქალები თვეობით სიმარტოვეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ტყვეობის მიუხედავად, ქა-ლებად რჩებოდნენ და გრძნობები მით უფრო უმძაფრდებოდათ. ამიტომ, სხვა რაღა დარჩენოდათ?!

იმ ბარაკისკენ წავედი, სადაც სასადილო იყო. იქ დავინახე ქალები, რომლებიც რიგში ჩამდგარიყვნენ და საკვებს ყიდულობდნენ.

- რა გნებავთ? - მკითხა ფერმკრთალმა, ჟღალთმიანმა გამყიდველმა ქალმა.

თვალებით და თავით ვანიშნე, გარეთ გამოსულიყო და განზე გავდექი. მან მყიდველებს გადახედა.

- ხუთ წუთში მოვალ, - ჩურჩულით უთხრა ქალებს, მერე მომიბრუნდა და მკითხა: - კარგი ვიფიქრო თუ ცუდი?

მივხვდი, რასაც გულისხმობდა. აინტერესებდა, კარგი ამბები მოვიტანე თუ ცუდი. მხრები ავიჩეჩე.

- ალბათ უფრო კარგი, - ვუთხარი და გარეთ გამოვედი.

ცოტა ხანში ქალიც გამოჩნდა და თავი დამიქნია.

- ფრთხილად უნდა ვიყოთ, - მითხრა მერე, - აბა, ვის გინდათ ამბავი გადასცეთ?

- ჰელენ ბაუმანს. აქ არის?

- რა მიზნით მოხვედით?

პასუხი არ გავეცი და მის ჭორფლიან ცხვირს და მოუსვენარ თვალებს მივაჩერდი.

- ეგ ქალი ამ სასადილოში მუშაობს? - ვკითხე მერე.

- მითხარით, რა გნებავთ? - კითხვითვე მიპასუხა ქალმა, - მონტიორი ხართ? ვისგან მოიტანეთ ამბავი?

- მისი ქმრისგან.

- ამას წინათ ვიღაცამ ერთი პატიმრის ამბავი ზუსტად ასე გამოიკითხა, - თქვა მან დამწუხრებული ხმით. - სამი დღის შემდეგ ის ქალი სადღაც წაიყვანეს. შეგვპირდა, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ჩემს ამბავს გაცნობებთო; მაგრამ მას შემდეგ მისგან აღარაფერი გვსმენია. თქვენ კი მოგზავნილი მონტიორი ხართ.

- ჰელენ ბაუმანის ქმარი ვარ.

- მაშინ მე გრეტა გარბო ვყოფილვარ, - მომიჭრა სიტყვა ქალ-მა.

- ასე რომ არ იყოს, რატომ გკითხავდით მასზე?

- არ ვიცი. ამ ქალით სხვებიც ხშირად ინტერესდებოდნენ. მაგრამ გინდათ სიმართლე იცოდეთ? ჰელენ ბაუმანი მკვდარია. ორი კვირის წინათ გარდაიცვალა და დავასაფლავეთ. აი, ეს არის სიმართლე! მე კი მეგონა, გარედან ახალ ამბებს მოგვი-ტანდით.

- ჰელენი მოკვდა?

- დიახ, მოკვდა. ახლა კი თავი დამანებეთ.

- არა, არ მომკვდარა! - ვუთხარი მე, - ასე რომ იყოს, ბარაკებ-ში ეცოდინებოდათ...

- ბარაკებში ათას სისულელეს ლაპარაკობენ.

ჟღალთმიანს გამომცდელად შევხედე.

- კარგი, ახლა წავალ... მაგრამ წერილს დაგიტოვებთ. იქნებ გადასცეთ?

- კი მაგრამ, რისთვის?

- ამით რა დაგაკლდებათ? წერილის გამო არავინ მოგკლავთ და აქედანაც არსად გადაგიყვანენ.

- ასე გგონიათ? - მკითხა ქალმა, - რამდენი ხანია, რაც ცოლ--ქმარი ხართ?

- არც კი ვიცი. ერთად ცხოვრებას დროდადრო ვახერხებდით. იძულებული ვიყავი, ხშირად ცალკე მეცხოვრა. ქაღალდს და ფანქარს ვერ მომყიდით?

- ყველაფერი მანდვე დევს, - მითხრა მან და პატარა მაგიდაზე მიმითითა. - მიცვალებულს გინდათ, წერილი მისწეროთ?

- დღესდღეობით ასეთი რამ ხშირად ხდება.

მერე ფურცელზე დავწერე: „ჰელენ, აქვე ახლოს ვარ. დღეს საღამოს მავთულხლართებთან გელოდები“.

- შეგიძლიათ, ეს ბარათი გადასცეთ? - ვკითხე ქალს.

- ღმერთო ჩემო, როგორ მომრავლდნენ ეს გიჟები! - თქვა მან.

- გადასცემთ? - ვკითხე ისევ. მან წერილი გამომართვა და წაიკითხა, - მითხარით, ჰო თუ არა?

- არა, - მითხრა ქალმა.

ბარათი მაგიდაზე დავდე.

- დახევით მაინც ნუ დახევთ, - ვთხოვე მე.

ქალმა არ მიპასუხა.

- იცოდეთ, დავბრუნდები და თუ გავიგებ, რომ ეს ბარათი ჩემს ცოლს განზრახ არ გადაეცით, მოგკლავთ.

- აბა, კიდევ რას მეტყვით? - ქალი მწვანე თვალებით შემომაჩერდა და დავინახე, რომ დაღლილი სახე ჰქონდა.

თავი გავაქნიე და კარისკენ წავედი, მაგრამ მერე ისევ მივბრუნდი და ვკითხე:

- მაშ ამბობთ, რომ აქ არ არის?

ქალმა ისევ შემომხედა და არ მიპასუხა.

- ათი წუთი კიდევ ვიქნები ბანაკში და ისევ შემოგივლით ამბის გასაგებად, - ვუთხარი მერე.

ბანაკში ვიწრო გზით გავედი. ამ ქალისა არ მჯეროდა. ვიფიქრე, ერთხანს აქ მოვიცდი, მერე კი სასადილოში დავბრუნდები და ჰელენის ძებნას გავაგრძელებ-მეთქი. უეცრად საოცრად უმწეოდ ვიგრძენი თავი, რადგან მომეჩვენა, რომ უხილავი მფარველობის საფარი ნელ-ნელა შემომეცალა, გოლიათად ვიქეცი და სადმე უნდა დავმალულიყავი. მერე ალალბედზე რომელიღაც კართან გავჩერდი.

- რა გნებავთ? - მკითხა ვიღაც ქალმა.

- ელექტროგაყვანილობას ვამოწმებ. სადმე დაზიანება ხომ არ არის? - ჩამესმა ყურში ვიღაცის სიტყვები და მივხვდი, რომ ეს ჩემი ხმა იყო.

- აქ დაზიანებული არაფერია, თუმცა მთელი და გამართულიც არასდროს არაფერი ყოფილა.

ქალს თეთრი ხალათი ეცვა და ამიტომ ვკითხე:

- აქ ჰოსპიტალია?

- ეს ავადმყოფების ბარაკია. ვინმემ გამოგიძახათ ჩვენთან?

- ჩემი ფირმის დავალებით მოვედი. ელექტროგაყვანილობა უნდა შევამოწმო.

- რაც გინდათ, ის შეამოწმეთ, - მითხრა ქალმა.

ამ დროს ვიღაც უნიფორმიანმა მამაკაცმა გამოიარა.

- რა ხდება აქ? - იკითხა მან.

თეთრხალათიანმა მას საქმის ვითარება აუხსნა და მომეჩვენა, რომ ეს კაცი სადღაც მინახავს.

- დალახვროს ეშმაკმა! - თქვა მან, - უმჯობესი იქნებოდა, მედიკამენტებსა და ვიტამინებზე ეზრუნათ.

მან ქუდი მაგიდაზე მოისროლა და წავიდა.

- აქ არაფერია დაზიანებული, - ვუთხარი თეთრხალათიანს. - ეგ კაცი ვინ არის?

- ჩვენი ექიმია. დანარჩენებს ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი.

- ბევრი ავადმყოფი გყავთ?

- საკმაოდ.

- მიცვალებულები?

ქალმა შემომხედა.

- კი მაგრამ, ეგ რაში გაინტერესებთ?

- რა ვიცი, ისე ვიკითხე, - მივუგე მე. - აქ ყველანი ასეთი უნდობლები და ეჭვიანები რატომ არიან?

- უბრალოდ, ყველას თავისი ხუშტურები აქვს. თქვენ კი, ციდან ჩამოფრენილ გულუბრყვილო ანგელოზს რომ ჰგავხართ, გეტყობათ, სამშობლოც გაქვთ და პასპორტიც. ჰოდა, გეუბნებით, ერთი თვეა მიცვალებული აღარ გვყოლია, თუმცა მანამდე საკმაოდ ბევრი გვყავდა.

ჰელენისგან წერილი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მივიღე, ამიტომ ახლა აქ უნდა ყოფილიყო.

- გმადლობთ! - ვუთხარი თეთრხალათიანს.

- მადლობას რისთვის მიხდით? - მკითხა მან ნაღვლიანი ხმით. - ღმერთის მადლობელი უნდა იყოთ, რომ თქვენი მშობლების წყალობით, გაქვთ სამშობლო, რომელიც შეგიძლიათ გიყვარდეთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უბედურია, თავის ამ უბედურებაში კიდევ უფრო უბედური ადამიანები ჩაითრია და ისინი მტაცებელ ცხოველებს საჯიჯგნად და მოსაკლავად ჩაუგდო ხელში. სწორედ ამ მტაცებელმა ცხოველებმა გაასწორეს მიწასთან თქვენი ქვეყანა, - მითხრა მან და დასძინა: - ახლა კი მაგ თქვენს განათებას მიხედეთ! ისე, კარგი იქნებოდა, ზოგიერთების ბნელ თავებშიც თუ გაკრთებოდა სინათლის ნაპერწკალი.

- გერმანული კომისია უკვე იყო აქ?

- ეგ რატომღა გაინტერესებთ?

- გავიგე, რომ ელოდებიან.

- მერედა, თქვენ რას გაძლევთ ამის ცოდნა?

- უბრალოდ მინდა, ერთი ადამიანი გავაფრთხილო.

- ვინ? - მკითხა ქალმა და გამოცოცხლება დაეტყო.

- ჰელენ ბაუმანი, - მივუგე მე.

ქალმა შემომხედა.

- მაინც, რის თქმას აპირებთ მისთვის?

- იცნობთ ჰელენ ბაუმანს?

- რა თქვენი საქმეა, ვიცნობ თუ არა?!

აი, ისევ შევეჯახე უნდობლობის კედელს, თუმცა ამის მიზეზს მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი.

- მე მისი ქმარი ვარ.

- შეგიძლიათ დაამტკიცოთ ეს?

- ვერა, ვერ დავამტკიცებ, რადგან პასპორტები სხვადასხვა გვარზე გვაქვს. მაგრამ ალბათ ისიც იკმარებს, თუ გეტყვით, რომ ფრანგი არა ვარ.

განსვენებული შვარცის პასპორტი ამოვიღე.

- ეს ნაცისტური პასპორტია. ასეც ვიფიქრე, - მითხრა ქალმა. - კი მაგრამ, რას ნიშნავს თქვენი ასეთი საქციელი?

აქ კი მოთმინება დავკარგე.

- იმას ნიშნავს, რომ ჩემი ცოლის ნახვა მინდა. თავად მომწერა, რომ აქ არის.

- ეგ წერილი გაქვთ?

- არა, ბანაკიდან რომ გამოვიქეცი, მისი წერილი გავანადგურე. მითხარით, რაში მჭირდება ტყუილების გამოგონება?

- ეგ მეც მინდა ვიცოდე, ოღონდ თქვენგან.

ექიმი დაბრუნდა.

- აქ კიდევ საჭირო ხართ? - ჰკითხა ქალს.

- არა.

- მაშინ წავიდეთ! - უთხრა მერე და მე მომიბრუნდა. - რა ქენით? თქვენი საქმე მოათავეთ?

- ჯერ ვერა. ხვალაც უნდა მოვიდე, - მივუგე მე.

ისევ სასადილოში შევიარე. ჟღალთმიანი მაგიდასთან იდგა ორ სხვა ქალთან ერთად, რომლებიც საცვლებს ყიდულობდნენ.

გადავწყვიტე, დავლოდებოდი, მაგრამ ისევ ვიგრძენი, რომ იღბალი ნელ-ნელა ხელიდან მეცლებოდა, და თუ სასწრაფოდ არ გავეცლებოდი აქაურობას, მერე ბანაკიდან საერთოდ ვეღარ გავაღწევდი. გუშაგი შეიცვლებოდა და ახლისთვის ყველაფრის ახსნა თავიდან მომიწევდა. ჰელენი ვერ ვიპოვე, ჟღალთმიანი კი თვალს მარიდებდა და თავის საქმიანობას აგრძელებდა. ამასობაში დავინახე, რომ სასადილოს ფანჯარასთან ვიღაც ოფიცერმა ჩაიარა და სასწრაფოდ წამოვედი იქიდან.

ჭიშკართან ისევ ძველი გუშაგი იდგა. მან მიცნო და გამატარა. მივდიოდი და ისევ იმ შიშს ვგრძნობდი, ლე ვერნედან გამოქცევის დროს რომ შემიპყრო. ახლაც მეგონა, რომ ვიღაც დასაჭერად მომსდევდა და ოფლად გავიღვარე.

აღმართზე ძველი სატვირთო მანქანა გამოჩნდა. გასაქცევი აღარსად მქონდა, ამიტომ გზიდან გადავედი, თავი დავხარე და გზა გავაგრძელე. მანქანამ გვერდზე ჩამიარა და იქვე, ჩემ უკან გაჩერდა. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ გავქცეულიყავი, მაგრამ ვიცოდი, მანქანას სწრაფად მოაბრუნებდნენ, დამეწეოდნენ და გადარჩენის შანსი აღარ მქონდა.

უეცრად უკნიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა შემომესმა და ვიღაცამ დაიყვირა:

- ეი, შენ, მონტიორო!

მივტრიალდი და დავინახე, რომ ხანდაზმული, უნიფორმიანი მამაკაცი მიახლოვდებოდა.

- ძრავებისა გაგეგება რამე? - მკითხა მან.

- არა, მე ელექტრიკოსი ვარ.

- ჩვენს ძრავას მგონი სწორედ ელექტროჩართვის სისტემა გაუფუჭდა. იქნებ შეამოწმოთ.

- დიახ, ნახეთ, რა სჭირს, - მომესმა მეორე მძღოლის ხმა. ახლა უკვე მას შევხედე და დავინახე, რომ უნიფორმიანის უკან ჰელენი იდგა, მომჩერებოდა და გაფრთხილების ნიშნად, პირზე თითი მიედო. შარვალი და სვიტერი ეცვა და ძალიან გამხდარი ჩანდა.

- ერთი ნახეთ, რა დაემართა ამ ძრავას! - გაიმეორა მან და გზა დამითმო, რომ მანქანასთან მივსულიყავი.

- ფრთხილად! - წაიჩურჩულა მერე. - ისე მოიქეცი, თითქოს ამ საქმეში ერკვევი. იმედი ჯერ კიდევ არის.

ჩვენ უკან უნიფორმიანი ბოლთას სცემდა.

- აქ საიდან გაჩნდი? - ჩურჩულით მკითხა ჰელენმა.

მანქანის კაპოტი ჭრიალით ავხადე.

- გამოვიქეცი. სად შეიძლება გნახო?

ჰელენიც ძრავისკენ დაიხარა.

- სასადილოსთვის სურსათი უნდა ვიყიდო. სოფელში, ხელმარცხნივ რომ კაფეა, ზეგ, დილის ცხრა საათზე, იქ დამელოდე.

- მანამდე ვერ გნახავ?

- რა ხდება? კიდევ დიდხანს მოუნდებით? - იკითხა უნიფორმიანმა.

ჰელენმა შარვლის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გაუწოდა.

- რამდენიმე წუთი კიდევ დასჭირდება, სერიოზული არაფერია, - მიუგო მერე.

უნიფორმიანმა სიგარეტს მოუკიდა და გზის პირას ჩამოჯდა.

ჰელენი ისევ ძრავისკენ დაიხარა და მკითხა:

- ტყეში, მავთულხლართებთან იყავი? გუშინ მეც მოვედი იქ. იქნებ დღეს საღამოს გნახო, - მერე ერთი წამით თითქოს შეყოყ-

მანდა და მითხრა: - კარგი, დღეს საღამოს იყოს. ოღონდ ათ საათამდე ვერ მოვალ.

- რატომ?

- ქალები იქიდან სანამ არ წავლენ, ვერ მოვალ. მაშ, ასე, ათ საათზე! არადა, ზეგ დილით მაინც გნახავ. თავს გაუფრთხილდი.

- როგორი ჟანდარმები ჰყავთ აქ? - ვკითხე მას.

- არც ისე ცუდი, - მითხრა ჰელენმა ფრანგულად და უნიფორმიანს მიუბრუნდა:

- ახლავე მზად იქნება!

- ძველი მანქანაა! - ვთქვი მე.

უნიფორმიანს გაეცინა.

- ახალი მანქანებით მხოლოდ ბოშები[30] და მინისტრები დადიან! მზად არის?

- კი, წავედით! - მიუგო ჰელენმა.

- რა კარგია, რომ შეგხვდით, - მითხრა უნიფორმიანმა. - მანქანისა არაფერი გამეგება. მარტო ის ვიცი, რომ ბენზინი სჭირდება.

იგი მანქანაში აფოფხდა, ჰელენიც მიჰყვა და ჩართო თუ არა, ძრავა მაშინვე ამუშავდა. როგორც ჩანს, მხოლოდ ჩართვის სისტემა ჰქონდა გამორთული.

- გმადლობთ! - მითხრა ჰელენმა და ფანჯრიდან გადმოიხარა. მისი ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი, რომ უხმოდ ცდილობდა რაღაცის თქმას.

- ნამდვილად მაღალი კლასის ოსტატი ხართ, - მითხრა ბოლოს და მანქანა დაძრა.

---

[30] ფრანგები გერმანელებს დაცინვით „ბოშებს“ უწოდებდნენ.

ცისფერ გამონაბოლქვში გახვეული, ერთხანს გაოგნებული ვიდექი. მერე ვიგრძენი, რომ სხეული საშინლად გამიხურდა, ცოტა ხანში კი ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ყინულოვან წყალში ჩამაგდეს. ჩემდა უნებურად, გზა გავაგრძელე და ფიქრებს რომ შევყევი, უეცრად გამახსენდა, ბანაკში რაც მითხრეს. საშინლად ავფორიაქდი და მივხვდი, რომ ჩუმი, მბურღავი ეჭვი მტანჯავდა.

საღამოს, ტყეში ვიწექი და ვიცდიდი. „გოდების კედელი“, როგორც ჰელენი უწოდებდა ტყვე ქალების თავყრილობას, შებინდებისას ისევ აღიმართა მავთულხლართთან. ისინი უხმოდ იდგნენ და უაზროდ გაჰყურებდნენ სივრცეს. მერე მათი უმრავლესობა უკან გაბრუნდა. დაბნელდა. მივჩერებოდი მავთულხლართების ბოძებს, ახლა ჩრდილებად რომ ქცეულიყვნენ. უეცრად მათ შორის მუქი ლანდი გამოჩნდა და ყურში ჰელენის ჩურჩული ჩამესმა:

- სადა ხარ?

- აქა ვარ! - ვუთხარი და მავთულხლართიდან ხელი გავუწოდე. - ჩემ მხარეს ვერ გადმოძვრები? - ვკითხე მერე.

- ყველანი რომ წავლენ, მერე. აქ დამელოდე.

ხშირ ბუჩქებში შევძვერი. მეშინოდა, ტყისკენ ვინმეს ჯიბის ფარანი არ მოენათებინა და არ დავენახე. მიწაზე ვიწექი და ცხვირში ნეშომპალის მკვეთრი სუნი მცემდა. მერე ნიავმა დაუბერა, ჩემ ირგვლივ ყველაფერი აშარიშურდა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ათასობით ჯაშუში მოცოცავდა ჩემკენ. სიბნელეს ნელ-ნელა თვალი რომ შევაჩვიე, ჰელენის ლანდი და ბუნდოვანი, ფერმკრთალი სახე დავინახე, რომლის ნაკვთებსაც ვეღარ ვცნობდი. ახლა ეს სახე თეთრი ყვავილივით გადმოკიდებულიყო მავთულხლართზე. მერე მომეჩვენა, რომ

ჰელენი შავბნელი დროებიდან გადმოსული, მრუმე, უსახელო არსება იყო, და რაკი მის სახეს ვეღარ ვცნობდი, სწორედ ამის გამო ქცეულიყო მთელი სამყაროს ტანჯული სახეების სიმბოლოდ. ჰელენისგან ცოტა მოშორებით ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და მეოთხე ქალიც დავინახე. ისინი კარიატიდებივით აღმართულიყვნენ და საკუთარი თავებით ეჭირათ მწუხარებითა თუ იმედით სავსე ზეცა.

ეს ისეთი აუტანელი სანახაობა იყო, რომ ვეღარ გავუძელი და თვალი ავარიდე. ისევ იქით რომ გავიხედე, სამი ქალი უხმოდ გაუჩინარებულიყო, ჰელენი კი მუხლებზე იდგა და მავთულხლართს ჩაბღაუჭებოდა.

- მავთულები მისწი-მოსწიე! - მითხრა მან.

ქვედა მავთულხლართს ფეხი დავაბიჯე და ზედა ავწიე.

- მოიცადე! - წაიჩურჩულა ჰელენმა.

- დანარჩენები სად არიან? - ვკითხე მე.

- ბანაკში დაბრუნდნენ. აი, ის ქალი, რომელიც ტიროდა, ნაცისტია. უფრო ადრე რომ წამოვსულიყავი, დამაბეზღებდა.

ჰელენმა ბლუზა და ქვედაკაბა გაიხადა და გადმომაწოდა.

- მეშინია, არ დამეხეს. მეტი ტანსაცმელი აღარა მაქვს, - მითხრა მან.

მის საქციელზე გამახსენდა, რომ ხელმოკლე ოჯახებში ერჩივნათ, ბავშვებს მუხლები გადაეგლიჯათ, ვიდრე წინდები დაეხიათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ახალი წინდების ყიდვა მოუწევდათ, მუხლები კი ბავშვებს ისედაც შეუხორცდებოდათ.

ჰელენს ტანსაცმელი გამოვართვი. იგი დაიხარა და ფრთხილად გამოძვრა, მაგრამ ამ დროს მავთულხლართს გამოედო და სისხლი შავი გველივით ჩამოუსრიალდა მხრიდან. ჰელენი ფეხზე წამოდგა.

- აქედან გაქცევას შევძლებთ? - ვკითხე მე.

- კი მაგრამ, სად აპირებ გაქცევას?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

- თუნდაც ესპანეთში, პორტუგალიაში ან აფრიკაში! - ვუთხარი ბოლოს.

- მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, - თქვა ჰელენმა. - აქედან უსაბუთებოდ ვერავინ გაიქცევა. ამიტომაც ისე მკაცრად არ გვადევნებენ თვალყურს.

ჰელენმა წინ გამისწრო და ტყეში შევიდა. ვუყურებდი ამ თითქმის შიშველ, იდუმალებით მოცულ, მშვენიერ არსებას და ვფიქრობდი, რომ გასული თვეებიდან ახლა მხოლოდ ის ჰელენი შემორჩენილიყო, რომელსაც ჩემს ცოლს ვარაუდით თუ დავარქმევდი. წელში გამართული მიდიოდა და აღარ ჰგავდა წარსულით დაღდასმულ, საყვარელ და ტანჯულ არსებას, რომელსაც გათოშილი და მოლოდინით აღსავსე სხეული მთლიანად შეკუმშული ჰქონდა. ახლა ჩემ წინაშე იყო თითქმის უსახელო არსება, რომელიც თითქოს კარიატიდების ფრიზიდან გადმოსულიყო და იმ ცხრათვიანი მარტოობის იდუმალებით იყო მოცული, გაცილებით მეტს რომ ნიშნავდა, ვიდრე ნორმალური არსებობის ოცი წელი.

14

იმ ტავერნის მეპატრონე მოგვიახლოვდა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ წამოვედით.

- ბატონებო! აი, ის ფაშფაშა, დახვეწილი ფრანგი ქალი, ნამდვილი სატანაა! - გვითხრა მან ამაყად. - ამიტომ, კარგი იქნება, არჩევანს მასზე თუ შეაჩერებთ. ჩვენც ცეცხლოვანი ქალები გვყავს, თუმცა მეტისმეტად სულსწრაფები არიან, - გვითხრა მან და ენა გააწკლაპუნა. - ახლა კი, დაგემშვიდობებით. აფორიაქებული სისხლის დაურვება ყველაზე უკეთ ფრანგ ქალებს ეხერხებათ და ამ ცხოვრებასაც მშვენივრად უღებენ ალღოს. ჩვენი ქალებივით, მათი ტყუილებით შეყოლიებაც არ გჭირდებათ. ბატონებო, შინ მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ. ლოლიტას და ხუანას არ გირჩევთ. ჩალის ფასად არ ღირს არც ერთი, თან ლოლიტას თვალს თუ მოაშორებთ, შეიძლება რამეც აგწაპნოთ.

მეპატრონემ კარი გამოაღო და ადრიანი დილა ხმაურით შემოიჭრა ტავერნაში.

- ალბათ ჩვენი წასვლის დროც მოვიდა, - შევახსენე შვარცს.

- ჩემი თავგადასავლის მოყოლას მალე დავამთავრებ. აი, ცოტა ღვინო კიდევ გვაქვს, - თქვა მან. მერე კი ღვინით და ყავით იმ სამ ქალსაც გაუმასპინძლდა, რომ ჩვენთვის თავი აღარ მოებეზრებინათ.

- იმ ღამით მე და ჰელენს ბევრი არ გვილაპარაკია, - გააგრძელა მოყოლა შვარცმა. - ჩემი ქურთუკი მიწაზე დავაფინე, და როცა აგრილდა, ჰელენის ბლუზა, ქვედაკაბა და ჩემი სვიტერი ზემოდან დავიფარეთ. ჰელენს ჩაეძინა, მაგრამ მალე ისევ გაეღვიძა. ძილ-ბურანში მყოფს, მომეჩვენა, რომ ტიროდა. მერე კი

ისეთი ალერსიანი იყო, არასდროს რომ არ ყოფილა. მისთვის საერთოდ არაფერი მიკითხავს და არც იმაზე მითქვამს რამე, რაც ბანაკში გავიგე. ჰელენი ძალიან მიყვარდა, მაგრამ რაღაც აუხსნელ სიცივეს და გაუცხოებას ვგრძნობდი. ალერსს იდუმალი წუხილი ახლდა თან და ეს წუხილი კიდევ უფრო აძლიერებდა მის სინაზეს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სადღაც, უცხო სამყაროში, ერთმანეთის გვერდით, ჩახუტებულები ვიწექით, მაგრამ ჩვენ შორის არსებულ მანძილს ვერც ვეღარასდროს გადავლახავდით და ვერც ოდესმე შევხვდებოდით ერთმანეთს. ახლა ჩვენ მხოლოდ აღმაფრენა, ერთად ყოფნა და სასოწარკვეთაღა დაგვრჩენოდა. დიახ, ეს რაღაც უხმო, იმქვეყნიური სასოწარკვეთა იყო, რომელსაც ჩვენი ბედნიერებით გამოწვეული ცრემლები ავსებდა, მაგრამ ამ გამოუტირებელ, დაფარულ ცრემლებს თან ახლდა იმის განცდა, რომ არსებობს წარმავლობა, მაგრამ აღარ არსებობს არავითარი შეხვედრა და უკან დაბრუნება.

- ნუთუ არ შეიძლება, რომ გავიქცეთ? - ერთხელ კიდევ ვკითხე ჰელენს, სანამ იგი მავთულხლართზე გადაძვრებოდა.

- ამას ვერ ვიზამ, რადგან ჩემ გამო სხვებს დასჯიან, - ჩუმად მითხრა მავთულხლართის მეორე მხრიდან. - მაგრამ ისევ მოდი! ხვალ საღამოს ისევ მოდი! ხომ შეძლებ მოსვლას? - მკითხა მან.

- თუ მანამდე არ ჩამავლეს, მოვალ.

ჰელენი შემომაჩერდა.

- ხედავ, რა დღეში ჩაგვაგდეს?! ისეთი რა დავაშავეთ, რომ ასე დაგვინგრიეს ცხოვრება?! - თქვა მერე.

ჰელენს თავისი ბლუზა და ქვედაკაბა გადავაწოდე.

- ეს შენი საუკეთესო ტანსაცმელია, არა? - ვკითხე მე.

მან თავი დააქნია.

- მადლობელი ვარ, რომ ეს ჩაიცვი, - ვუთხარი მე. - ხვალ საღამოს ისევ აქ დაგხვდები. მანამდე კი ტყეში დავიმალები.

- მერე, ჭამა არ გინდა? გაქვს რამე საჭმელი?

- ცოტა რაღაც მაქვს. ტყეშიც იქნება კენკრა, სოკო და თხილი.

- ხვალ საღამომდე შეგიძლია გაძლო? საღამოს რამეს მოგიტან.

- ცხადია, გავძლებ. ეგ „ხვალ“ თითქმის დადგა კიდეც!

ჰელენმა თავისი განიერი, თეთრყვავილებიანი, ცისფერი ქვედაკაბა ჩაიცვა, ტანზე მოირგო და ქამარი ისე გულდაგულ შემოიჭირა, თითქოს საბრძოლველად ემზადებოდა.

- მიყვარხარ! - მითხრა მერე სასოწარკვეთილი ხმით, - ისე ძალიან მიყვარხარ, რომ ამის გაგება შენს ძალ-ღონეს აღემატება! ეს დაიმახსოვრე და არასოდეს დაივიწყო! ჰო, არასოდეს!

* * *

ჰელენი ბანაკში დაბრუნების წინ თითქმის ყოველთვის ამ სიტყვებით მემშვიდობებოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ერთდროულად ყველას სამიზნე ვიყავით. ერთი მხრივ, ფრანგი ჟანდარმები გააფთრებით ნადირობდნენ ჩვენზე და ბანაკში წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ, მეორე მხრივ, ბანაკში შეჭრას გესტაპო ლამობდა, თუმცა პეტენის[31] მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამგვარი ქმედება ეკრძალებოდა. ამრიგად, არასოდეს იცოდი, ვის ჩაუვარდებოდი ხელში. ამიტომ მე და ჰელენი ყოველ დილით ისე ვემშვიდობებოდით ერთმანეთს, თითქოს ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

ჰელენს ჩემთვის პური და ხილი, ხანდახან კი - ერთი ნაჭერი ძეხვი ან ყველიც მოჰქონდა. იქვე ახლო, პატარა ქალაქში ჩასვლას ვერ ვბედავდი, რომ იქ მეცხოვრა. ამიტომ ძველი მონასტრის ნანგრევებში მოვეწყვე, ცოტა მოშორებით, ტყეში რომ აღმოვაჩინე. დღისით იქ მეძინა ან წიგნს ვკითხულობდი. წიგნებით ჰელენი მამარაგებდა. დროდადრო ბუჩქებიდან გზას ვადევნებდი თვალს. ჰელენს ჩემთვის ახალი ამბებიც მოჰქონდა. მისგან გავიგე, რომ ხმა გავრცელდა, თითქოს გერმანელები სულ უფ-

---

[31] პეტენი, ანრი ფილიპ (1856-1951) - ფრანგი გენერალი და პოლიტიკოსი. 1940-44 წლებში საფრანგეთის მთავრობის მეთაური. გერმანელ ფაშისტებთან კოლაბორაციონისტული თანამშრომლობის გამო, 1945 წელს, სიკვდილი მიუსაჯეს, რაც შემდეგ სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

რო სწრაფად მოიწევდნენ წინ და დადებულ ხელშეკრულებებს არაფრად აგდებდნენ.

ამრიგად, პანიკური შიშით ვცხოვრობდით და ეს შიში ხანდა-ხან კუჭის ტკივილივით მომეძალებოდა ხოლმე. მაგრამ, რაკი საათობით გამოთვლილი ცხოვრება ჩვეულებად გვექცა, ამ შიშს ყოველთვის ვამარცხებდით. მშვენიერი ამინდი იდგა. ღამით ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ჰელენმა სადღაც ბრეზენტი იშოვა, მონასტრის ნანგრევებში, გამხმარ ფოთლებზე ვაფენ-დით, ზედ ვიწექით და ტყის ღამეულ შრიალს ვუგდებდით ყურს.

- ბანაკიდან გამოსვლას ამდენი ხნით, და თანაც ასე ხშირად, როგორ ახერხებ? - ვკითხე ერთხელ ჰელენს.

- საპასუხისმგებლო სამუშაო მაქვს და ხელმძღვანელობა ასე თუ ისე, მწყალობს, - მითხრა მან ცოტა ხნის შემდეგ. - აი, თავა-დაც ხომ ნახე... ხანდახან სოფელშიც მიშვებენ.

- ჩემთვის საჭმლის შოვნასაც ამიტომ ახერხებ?

- საჭმელი სასადილოდან მომაქვს. ფული როცა გვაქვს და სასადილოში რამეს მოიტანენ, იქაც შეგვიძლია საჭმლის ყიდვა.

- არ გეშინია, რომ ვინმე დაგვინახავს და ჩაგიშვებს?

ჰელენს გაეცინა.

- მხოლოდ შენ გამო ვღელავ. საკუთარი თავი საერთოდ არ მადარდებს! რიღასი უნდა მეშინოდეს? ისედაც უკვე ციხეში არ ვზივარ?!

მეორე საღამოს ჰელენი არ მოსულა და „გოდების კედელიც“ არ გამოჩენილა. მავთულხლართთან მივჩოჩდი და ქვემოთ, მკრთალი შუქით განათებულ, შავ ბარაკებს გავხედე. მერე დიდ-ხანს ვიცადე, მაგრამ ჰელენი არ მოვიდა. მთელი ღამე მესმოდა, როგორ დაბორიალებდნენ, ოხრავდნენ და კვნესოდნენ ქალები საპირფარეშო ბარაკთან. უეცრად გზაზე მანქანების შენიღბული

სინათლეები გამოჩნდა. მთელი დღე ტყიდან არ გამოვსულვარ, აფორიაქებული ვიყავი, რადგან ვგრძნობდი, რომ ქვემოთ რაღაც ხდებოდა. ჰელენზე ბანაკში რაც გავიგე, იმ ამბავზე დავფიქრდი, და ჩემდა გასაოცრად, თითქოს ცოტა დავმშვიდდი, რადგან ჰელენის ავადმყოფობას, აქედან მის გადაყვანას ან სიკვდილს, ყველაფერი მერჩივნა. ამ სამ შემთხვევას შორის არავითარი განსხვავება არ იყო და ჩვენთვის სამივე ერთსა და იმავეს ნიშნავდა. ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რომ ახლა ცხოვრებაში ერთადერთი მიზანი გვქონდა: ერთმანეთი არ დაგვეკარგა, ამ მორევისთვის როგორმე თავი დაგვეღწია და სადმე, წყნარ ყურეში შეგვეფარებინა თავი. ვინ იცის, იქნებ იქ მაინც მოგვეხერხებინა ამ ყველაფრის დავიწყება?! მაგრამ ამ დროს თურმე ყველაფერი, თვით დიდი სიყვარული, თანაგრძნობა, სიკეთე და სინაზეც კი უძლურია! ეს ვიცოდი და ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. ტყეში ვიწექი, ხეებს მოწყვეტილ, ჰაერში მოფარფატე, უსიცოცხლო, ჭრელ ფოთლებს შევყურებდი და გულში ვიმეორებდი: „ღმერთო, ნუ მომიკლავ ჰელენს! ოღონდ მიცოცხლე და არასოდეს არაფერს ვკითხავ! ადამიანის სიცოცხლე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის გარშემო შექმნილი კონფლიქტები! ამიტომ მიცოცხლე იგი, ღმერთო! და თუ მას უჩემოდ სიცოცხლე უწერია, მაშინ უჩემოდ აცოცხლე ჰელენი! ოღონდ აცოცხლე!

ჰელენი მეორე ღამესაც არ გამოჩენილა. საღამოს კი ისევ დავინახე ბანაკისკენ მომავალი ორი მანქანა. კარგა მანძილი გავიარე და შორიდან გავხედე გზას. უნიფორმიანი ხალხი კი დავინახე, მაგრამ ვერ გავარჩიე ესესელები იყვნენ თუ ვერმახტის ჯარისკაცები, თუმცა ნამდვილად გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ. საშინელი ღამე გავატარე. მანქანები ცხრა საათისთვის

მოვიდნენ და მხოლოდ ღამის პირველი საათის შემდეგ გაბრუნ-დნენ უკან. მერე მივხვდი, რაკი ეს ღამით მოხდა, ამიტომ აუცი-ლებლად გესტაპოსთან გვქონდა საქმე, თუმცა ვერ დავინახე, ბანაკიდან პატიმრები წაიყვანეს თუ არა. მერე დილამდე გიჟი-ვით დავრბოდი ბანაკის გარშემო. ვიფიქრე, იქნება ისევ მონ-ტიორის სპეცტანსაცმლით შევიპარო და გავიგო, რა ხდება-- მეთქი. მაგრამ დავინახე, რომ დაცვა გაეძლიერებინათ, ჭიშკარ-თან კი ვიღაც სამოქალაქო პირი იჯდა სიით ხელში და რაღაცას ამოწმებდა.

მეგონა, რომ ის დღე არასოდეს დამთავრდებოდა. უკვე ალ-ბათ მეასედ რომ მივიპარე მავთულხლართთან, უეცრად ჩემ მხა-რეს, ოციოდე ნაბიჯზე, გაზეთში გახვეულ შეკვრას მოვკარი თვა-ლი. ახლოს რომ მივედი და გავხსენი, შიგ ერთი ნაჭერი პური, ორი ვაშლი და ბარათი აღმოჩნდა, რომელშიც ეწერა: „დღეს სა-ღამოს“. როგორც ჩანს, შეკვრა ჰელენმა იმ დროს გადმოაგდო, როდესაც ბანაკის გარშემო დავძრწოდი. უეცრად საშინელი სი-სუსტე ვიგრძენი, ჩავიმუხლე და პური ისე შევჭამე. მერე ჩემს სა-მალავში შევძვერი და დავიძინე, მაგრამ ნაშუადღევს ისევ გა-მეღვიძა. ოქროსფერ სინათლეს ღვინის თასივით აევსო ნათელი დღე. ფოთლები ყოველ ღამეს იცვლიდნენ ფერს და ჩემს კო-რომში წიფლის ხეები და დიდი ცაცხვი მზეს ისე გაენათებინა, თითქოს მხატვრის უხილავ ხელს წითელ-ყვითელი საღებავებით მოეხატა. სანამ მეძინა, ხეები ანთებულ ჩირაღდნებად ქცეულიყ-ვნენ. ახლა კი მშვიდად იდგნენ და კაშკაშებდნენ. ირგვლივ ფო-თოლი არ ირხეოდა.

შვარცმა მოყოლა შეწყვიტა და ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

- ძალიან გთხოვთ, მოთმინებით მომისმინოთ, თუკი ბუნების სურათების ამგვარი აღწერა ზედმეტად მოგეჩვენებათ. მთელი

ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის ბუნება ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ცხოველებისთვის. ბუნება ხელს არასოდეს გვკრავდა და ჩვენგან პასპორტს და არიულობის დამადასტურებელ საბუთს არასოდეს მოითხოვდა, მას გაცემაც შეეძლო და მიღებაც, თანაც გაუპიროვნებული იყო და ეს წამალივით მოქმედებდა ჩვენზე. იმ დღეს ისე ძალიან აღარ ვშფოთავდი, მეგონა, თითქოს წყლით სავსე ფიალა ვიყავი და მეშინოდა, არ გადმოვღვრილიყავი. მერე, როცა მსუბუქი სიოც კი არსაიდან ქროდა, უეცრად, თითქოს იდუმალი ძალის კარნახით, ასობით ფოთოლი უეცრად მოსწყდა ხეებს. ისინი ჰაერში დაფარფატებდნენ, ზოგი კი პირდაპირ მე მეცემოდა. იმ წუთში ვიგრძენი, რომ თავისუფლად მოვკვდებოდი და ჩემთვის სიკვდილი დიდი შვება იქნებოდა. ასეთი გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ ვიცოდი, ჰელენი თუ მოკვდებოდა, სიკვდილი ჩემთვისაც მადლი იქნებოდა, რადგან მარტო დარჩენა არ მინდოდა. ისიც ვიცოდი, რომ ეს მადლი იმ დიდი სიყვარულის საზღაურს ნიშნავდა, რომლის უნარიც ადამიანს შესწევს და რომელიც სულიერი არსების საზღვრებს გასცდება... ამ ყველაფერს თავისით მივხვდი, ისე, რომ ამაზე არც კი დავფიქრებულვარ. მაგრამ როდესაც ეს გავაცნობიერე, შორეულად გაცხადდა აზრი, რომ სიკვდილი აუცილებელი სულაც აღარ იყო.

* * *

ჰელენი „გოდების კედლის“ ქალებთან ერთად არ გამოჩენილა. იგი მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა ყველანი წავიდნენ. მოკლე შარვალი და ბლუზა ეცვა და ამ უჩვეულო ტანსაცმელში ძალიან ახალგაზრდა ჩანდა. ღობეზე ღვინის ბოთლი და პატარა ფუთა გადმომაწოდა და მავთულხლართში მსუბუქად გამოძვრა.

- საცობი ამოძრობილია და ჯამიც მანდვეა, - მითხრა მან. - ალბათ შიმშილით მოკვდი, არა? სასადილოდან ისეთი რაღაცები წამოვიღე, პარიზიდან წამოსვლის შემდეგ თვალით რომ არ მინახავს.

გრილ ღამეში სასიამოვნო სურნელი ვიგრძენი.

- სუნამო გასხია? - ვკითხე მე.

ჰელენმა უარის ნიშნად თავი გააქნია და შევნიშნე, რომ თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. უეცრად ვიგრძენი, რომ გაბრაზებას ვეღარ დავმალავდი.

- აღარ იტყვი, რა მოხდა? მეგონა, წაგიყვანეს ან სიკვდილის პირას ხარ, შენ კი ისე მოდიხარ, თითქოს ეს-ესაა სილამაზის სალონიდან დაბრუნდი. ვხედავ, ფრჩხილებზე ლაქიც წაგისვამს.

- ლაქი თვითონ წავისვი, - მითხრა ჰელენმა, ხელები ზევით ასწია და გაიცინა. - მოდი, ღვინო დავლიოთ!

- მითხარი, რა მოხდა? გესტაპოდან მოვიდნენ?

- არა, სამხედრო კომისიას გესტაპოს მხოლოდ ორი თანამშრომელი მოჰყვა.

- ვინმე წაიყვანეს?

- არა, - თქვა მან. - ღვინო დამისხი!

ჰელენი ძალიან აღელვებული ჩანდა. ხელები უხურდა და კანი ისე გამოშრობოდა, გეგონება, ახლა ტკაცატკუცს დაიწყებსო.

- მოვიდნენ, რომ ბანაკში მყოფი ნაცისტების სია შეედგინათ, - თქვა მერე. - ყველანი გერმანიაში უნდა დააბრუნონ.

- ბევრი ნაცისტი გყავთ?

- საკმაოდ. არ გვეგონა, ასე ბევრნი თუ იქნებოდნენ. ზოგი ამას მალავდა. ერთ-ერთი ქალი, რომელსაც კარგად ვიცნობ, მოულოდნელად წამოდგა და განაცხადა, პარტიის წევრი ვარ და უამრავი საჭირო ინფორმაცია მაქვსო. აქ საშინლად მექცევიან, ამიტომ სასწრაფოდ სამშობლოში უნდა წამიყვანოთო. ამ ქალს კარგად ვიცნობ, მან იცის, რომ... - ჰელენმა სწრაფად დალია ღვინო და ჯამი მომაწოდა.

- რა იცის იმ ქალმა? - ვკითხე მე.

- იმდენი ღამე გავატარეთ ერთად და იმდენს ვლაპარაკობდით, რომ ახლა ზუსტად ვეღარც ვიხსენებ... მაგრამ მან იცის, ვინც ვარ, - თქვა ჰელენმა და თავი შემართა. - იცოდე, უკან აღარასდროს დავბრუნდები! და ამას თუ მაიძულებენ, თავს მოვიკლავ!

- არც თავს მოიკლავ და უკანაც არავინ დაგაბრუნებს. რა მიზეზით წაგიყვანენ აქედან? ღმერთმა უწყის, გეორგი ახლა სად არის! მან შენ შესახებ არაფერი იცის. ის ქალი კი რატომ დაგაბეზღებს? რას მოიგებს ამით?

- შემპირდი, რომ ყველაფერს იღონებ და გერმანიაში ჩემს დაბრუნებას არ დაუშვებ!

- გპირდები! - ვუთხარი მე.

ჰელენი იმდენად აღელვებული იყო, რომ იმ წუთში იძულებული გავხდი, ამ ჩემს უმწეო მდგომარეობაში, მისთვის ყოვლისშემძლე კაცის დაპირება მიმეცა.

- მიყვარხარ! ჰო, მიყვარხარ! და რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის უნდა გჯეროდეს ჩემი! - მითხრა ჰელენმა აღელვებული, ჩახლეჩილი ხმით.

იმ წუთში კი ვუთხარი, მჯერა-მეთქი, მაგრამ გულში თან მჯეროდა და თან არც მჯეროდა მისი.

ჰელენი დაღლილი ჩანდა და ბრეზენტზე მიწვა.

- აქედან უნდა გავიქცეთ! თანაც ამაღამვე! - ვუთხარი მე.

- კი მაგრამ, სად უნდა გავიქცეთ? პასპორტი გაქვს? - მკითხა ჰელენმა.

- ჰო, მაქვს. განყოფილებაში, სადაც პატიმრების პასპორტებს ინახავდნენ, ერთი კაცი მუშაობდა და იმან მომცა. შენი პასპორტი სად არის?

ჰელენმა პასუხი არ გამცა და ერთხანს სივრცეს მისჩერებოდა.

- ამას წინათ ბანაკში ებრაელების ოჯახი მოიყვანეს. ცოლ--ქმარს ავადმყოფი შვილი ჰყავს. მათ კომისიის წინაშე განაცხადეს, გერმანიაში დაბრუნება გვინდაო. როდესაც კაპიტანმა ჰკითხა, ებრაელები ხომ არა ხართო, ქმარმა უპასუხა, ჩვენ გერმანელები ვართ და სამშობლოში დაგვაბრუნეთო. კაპიტანმა მისთვის რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იქვე ორი გესტაპოელი იდგა, და ისღა მოახერხა, რომ ჰკითხა: „ნამდვილად გინდათ გერმანიაში დაბრუნებაო?“ ერთ-ერთმა გესტაპოელმა კი ამ დროს გაიცინა და კაპიტანს უთხრა: „კაპიტანო! ჩაწერეთ ეგ ხალხი სიაში! სამშობლო ასე თუ ენატრებათ, მოდი, ნატვრა შევუსრულოთო“. ისინი სიაში შეიტანეს. ცოლ-ქმარი ამბობს, ბავშვი ძალიან ავად არის, ამიტომ აქ ვეღარ დავრჩებით. ებრაელებს აქედან ისედაც მალე წაიყვანენ, და რაკი ხაფანგში

გაგვაბეს, გვირჩევნია, ნებაყოფლობით წავიდეთ აქედანო. ჯორივით ჯიუტი ხალხია. იქნებ დაელაპარაკო მათ!

- კი მაგრამ, მე რა უნდა ვუთხრა?

- უთხარი, რომ გერმანიაში, ბანაკში იჯექი, საიდანაც გაიქეცი, მერე უკან დაბრუნდი, მაგრამ ისევ გაიქეცი.

- სად უნდა ვნახო ისინი?

- იმ კაცს ახლავე მოვიყვან. ვიცი, სადაც არის. ჯერ კიდევ შეიძლება მათი გადარჩენა.

* * *

თხუთმეტ წუთში ჰელენმა ვიღაც გაძვალტყავებული კაცი მოიყვანა, რომელმაც განაცხადა, მავთულხლართში არ გამოვძვრებიო. ღობის სხვადასხვა მხარეს ვიდექით და ისე ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ცოტა ხანში მისი ცოლიც მოვიდა. საშინლად გაფითრებული იყო, ჩუმად იდგა და გვისმენდა. როგორც აღმოჩნდა, მთელი ოჯახი ათი დღის წინათ დაუჭერიათ და სხვადასხვა ბანაკში მოუთავსებიათ. კაცი ბანაკიდან გამოქცეულა და ცოლ-შვილი რაღაც სასწაულით უპოვია, რადგან ქალი თურმე გზადაგზა სახლის კედლებზე და ქვებზე წერდა თავიანთ სახელებს.

შვარცმა შემომხედა.

- იმ გზის შესახებ თუ გსმენიათ, ვია დოლოროსას[32] რომ ეძახიან?

- ეგ გზა ვინ არ იცის! ბელგიიდან პირენეებამდეა გადაჭიმული.

ვია დოლოროსა ომის დასაწყისში მას შემდეგ გაჩნდა, რაც გერმანიის ჯარები ბელგიაში შეიჭრნენ, მაჟინოს ხაზი[33] გაარღვიეს და „დიდი ლტოლვილობა“ დაიწყო. თავდაპირველად ამ გზაზე საოჯახო ნივთებით და ავეჯით დატვირთული მანქანები

---

[32] ვია დოლოროსა - „ტანჯვის გზა“, ასე ჰქვია, ქრისტეს მიერ იერუსალიმში წამების დროს განვლილ გზას.

[33] მაჟინოს ხაზი - იგულისხმება საფრანგეთის სასაზღვრო ხაზი ბელგიასთან, ლუქსემბურგთან, გერმანიასთან და იტალიასთან.

დადიოდნენ, მაგრამ მერე იქ ადამიანებიც გამოჩნდნენ ველოსიპედებით, ცხენიანი საზიდრებით, ურიკებით და საბავშვო ეტლებით. საფრანგეთის ცხელ ზაფხულში ისინი უსასრულო რიგებად, ფეხით მიემართებოდნენ სამხრეთისაკენ და მათ ავიაბომბდამშენები გამუდმებით დასტრიალებდნენ თავს. ემიგრანტების ნაკადიც სწორედ მაშინ დაიძრა სამხრეთის მიმართულებით. იმხანად ქუჩებში, სახლების კედლებზე, სოფლის შარაგზებზე თუ გზაჯვარედინებზე, გაჩნდა წარწერები, ხალხი „ქუჩის გაზეთებს“ რომ ეძახდა. ადამიანები ეძებდნენ ერთმანეთს და ნახშირით, ცარცით თუ საღებავებით ყველგან წერდნენ თავიანთ სახელებს. იმ ემიგრანტების წყალობით, რომლებიც წლობით ემალებოდნენ პოლიციას, მაშველი პუნქტების მთელი ჯაჭვი გაჩნდა ნიციდან ნეაპოლამდე და პარიზიდან ციურიხამდე. აქ მცხოვრები ემიგრანტები ლტოლვილებს ინფორმაციას აწვდიდნენ, ერთმანეთს მისამართებს უცვლიდნენ, თან რჩევებს და რამდენიმე ღამით თავშესაფარსაც აძლევდნენ. შვარცი რომ მომიყვა, იმ კაცსაც სწორედ ამ ხალხის დახმარებით უპოვია თავისი ცოლ--შვილი, რაც სხვა შემთხვევაში ისევე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც თივის ზვინში ნემსის პოვნა.

- იმ კაცმა ამიხსნა, რომ აქ თუ დარჩებოდნენ, მათ ისევ დააშორებდნენ. თავად მას ქალების ბანაკში რამდენიმე დღით დატოვებდნენ, მერე კი მამაკაცების ბანაკში გადაიყვანდნენ, რასაც ისინი ნამდვილად ვეღარ გაუძლებდნენ. ამ კაცს უკვე ყველაფერი გადაეწყვიტა და ფიქრობდა, რომ მათთვის ასე აჯობებდა. მერე მითხრა, გაქცევით მაინც ვერსად გავიქცევით, რადგან ეს ერთხელ უკვე ვცადეთ და კინაღამ შიმშილით ამოგვხვდა სული. ახლა შვილიც ავად გაგვიხდა, ჩემს ცოლს ძალა მთლად გამოელია და მეც არაფრის თავი აღარა მაქვს. ამიტომ აჯობებს,

ჩვენი ნებით თუ წავალთ. იქ კი, დამღადასმული პირუტყვებივით გაგვიყვანენ სასაკლაოზეო. ასე მითხრა იმ ჩონჩხადქცეულმა, ულვაშებიანმა, საცოდავმა კაცმა. მერე მკითხა: „სანამ დრო იყო, რატომ არ გამოგვიშვეს იქიდან?“ მაგრამ ამ კითხვაზე ვერავინ გასცემდა პასუხს, - თქვა შვარცმა. - მათ იქ არაფერში ვჭირდებოდით და ჩვენი გამოშვებაც არ უნდოდათ. მაგრამ ერის კატასტროფის დროს ამ უმნიშვნელო პარადოქსს ხომ სწორედ ისინი უგულებელყოფდნენ, ვისაც მისი გაცნობიერება ხელეწიფებოდა.

* * *

მეორე დღეს გზაზე ორი სატვირთო მანქანა გამოჩნდა. ზუსტად ამ დროს მავთულხლართის ღობე თითქოს გაცოცხლდა. მერე დავინახე, ათამდე ქალი როგორ ეხმარებოდა ერთმანეთს ღობეზე გადმოძრომაში; მალე ყველანი ტყეში მიმოიფანტნენ, მე კი ვიმალებოდი, სანამ ჰელენი არ გამოჩნდა.

- პრეფექტურიდან გაგვაფრთხილეს, გერმანელები იმ ხალხის წასაყვანად მოდიან, ვისაც სამშობლოში დაბრუნება უნდაო, - მითხრა ჰელენმა. - არავინ იცის, რა მოხდება. ამიტომაც გამოგვიშვეს, რომ ტყეში დავიმალოთ. აქ ვიქნებით, სანამ გერმანელები არ წავლენ.

ჰელენთან გზაზე შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, იგი დღის სინათლეზე მხოლოდ ახლა ვნახე. გრძელი ფეხები და სახე გარუჯული ჰქონდა, ძალიან გამხდარი იყო და უზარმაზარი თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა გალეულ სახეზე.

- შენი წილი საჭმელი ჩემთან მოგაქვს, თავად კი მშიერი რჩები, არა? - ვკითხე ჰელენს.

- ჩემზე ზრუნავენ, ისე, რომ საჭმელი არ მაკლია, - მომიგო მან და ხელი ჯიბეში ჩაიყო. - აი შეხედე, შოკოლადი მაქვს და გუშინ ბატის ღვიძლის პაშტეტი და სარდინის კონსერვებიც კი ვიყიდეთ, თუმცა პური ვერ ვიშოვეთ.

- ის კაციც ბრუნდება გერმანიაში, მე რომ ველაპარაკე? - ვკითხე მე.

- ჰო, ბრუნდება...

ჰელენი უეცრად შეკრთა.

- იცოდე, უკან არასოდეს დავბრუნდები, გესმის, არასოდეს! - თქვა მერე. - ამის პირობა ხომ მომეცი? არ მინდა, რომ მაგათ ჩავუვარდე ხელში.

- ნუ გეშინია. არ ჩაუვარდები.

მანქანები ერთ საათში წავიდნენ და ქალების სიმღერა გაისმა: „გერმანია, გერმანია, უპირველეს ყოვლისა!“

იმ ღამეს ჰელენს ლე ვერნეში ნაშოვნი საწამლავის ნახევარი მივეცი.

ერთი დღის შემდეგ მან შეიტყო, რომ გეორგმა მის ადგილსამყოფელს მოაგნო.

- ვინ გითხრა ეს? - ვკითხე მე.

- პიროვნებამ, ვინც ჩემი ამბავი იცის.

- მაინც ვინ?

- ბანაკის ექიმმა.

- მან საიდან გაიგო?

- კომენდატურაში უთხრეს. იქ ჩემით ვიღაც ყოფილა დაინტერესებული.

- ექიმმა გითხრა, როგორ უნდა მოიქცე?

- მას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე დღით დამმალოს ავადმყოფ ქალთა ბარაკში.

- მაშინ ბანაკიდან წამოსვლა მოგიწევს. გუშინ ვინ გაგაფრთხილათ, რომ საფრთხე გელოდათ და ტყეში უნდა დამალულიყავით?

- პრეფექტმა.

- კარგი. მაშინ იქნებ როგორმე შენი პასპორტი და ბანაკიდან გათავისუფლების საბუთი მიიღო, - ვუთხარი ჰელენს. - ის ექიმი ალბათ დაგეხმარება ამაში. ეს თუ არ გამოვა, მაშინ გავიქცევით. მოამზადე, რის, წამოღებაც გინდა და ამაზე ხმა-კრინტი არავის-

თან დაძრა! გესმის, არავისთან! მე კი შევეცდები, პრეფექტს დაველაპარაკო. კარგი ადამიანი უნდა იყოს.

- მაგას ნუ იზამ. ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავი!

მონტიორის სპეცტანსაცმელი ცოტა წესრიგში მოვიყვანე და დილით ტყიდან გამოვედი. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა გერმანელ პატრულებს ან ფრანგ ჟანდარმებს ჩავვარდნოდი ხელში, ამისგან უკვე საერთოდ აღარ ვიყავი დაზღვეული.

პრეფექტამდე როგორღაც მივაღწიე. იქ ერთი ჟანდარმი და პრეფექტის მდივანი მოვატყუე, ვუთხარი, გერმანელი ტექნიკოსი ვარ და დავალებული მაქვს, სამხედრო მიზნით, ელექტროგაყვანილობის ერთ-ერთი სისტემა შევამოწმო-მეთქი. გამოცდილებით ვიცოდი, ისეთი ქცევისას, რომელსაც შენგან არავინ ელის, შეიძლება გაგიმართლოს კიდეც. ჟანდარმი თუ გაიგებდა, რომ ლტოლვილი ვიყავი, მაშინვე დამაპატიმრებდა. ასეთი ტიპის ადამიანებზე ყველაზე კარგად მოქმედებს, ომახიანად თუ დაელაპარაკები.

მერე პრეფექტთან შევედი და ყველაფერი გულწრფელად მოვუყევი. მას თავდაპირველად ჩემი გამოგდება უნდოდა, მაგრამ ეტყობა, ჩემმა თავხედობამ იმდენად აღაფრთოვანა, რომ სიგარეტი შემომთავაზა და მითხრა: „ჯანდაბამდე გზა გქონიათ! ახლა წადით და ჩათვალეთ, რომ საერთოდ არ მინახავხართ და თქვენი ნათქვამი არ გამიგონია“. ათი წუთის შემდეგ კი ამიხსნა, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან გერმანელებს აუცილებლად ექნებათ პატიმრების სიები, და ვინმე რომ დააკლდეს, პასუხს მე მომთხოვენ, გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრის სურვილი კი ნამდვილად არა მაქვსო.

- ბატონო პრეფექტო! - ვუთხარი მე. - ვიცი, რომ პატიმრები თქვენ დაიცავით. ისიც ვიცი, რომ ვალდებული ხართ, თვალყუ-

რი ადევნოთ, როგორ სრულდება თქვენი ბრძანებები. მაგრამ თქვენც და მეც კარგად ვხედავთ, დამარცხების შემდეგ რა ქაოსმა მოიცვა საფრანგეთი. ამიტომ, შესაძლოა, დღეს გაცემულმა ბრძანებებმა ხვალ ადამიანის ღირსება შელახოს. და თუ ეს არეულ-დარეულობა მოგვიანებით სისასტიკეში გადაიზრდება, მაშინ ამის მონანიებაც კი ძალიან ძნელი იქნება. რატომ გინდათ, რომ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, უდანაშაულო ადამიანები მავთულხლართებით გარშემოვლებულ ბანაკში გამოამწყვდიოთ, საიდანაც მათ კრემატორიუმებსა და წამების ბანაკებში გაგზავნიან? საფრანგეთი თავს როცა იცავდა, მაშინ ალბათ სწორი იყო, უცხოელებს ბანაკებში რომ ამწყვდევდით და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისინი თქვენი მტრების მომხრენი იყვნენ თუ მოწინააღმდეგენი. მაგრამ ომი რა ხანია, დამთავრდა. გამარჯვებულმა მხარემ რამდენიმე დღის წინ თქვენი მოქალაქეები უკან დააბრუნა... თქვენს ბანაკში ამჟამად თავმოყრილ პატიმრებს კი შეიძლება მსხვერპლი ვუწოდოთ. ამ ადამიანებს ყოველდღე შიშით გული უსკდებათ, რომ წაიყვანენ და დახოცავენ... წესით, ყველა ამ მსხვერპლის სახელით უნდა მოგმართავდეთ, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთ ადამიანზე მინდა გთხოვოთ. პატიმრების სიები თუ გაშინებთ, ჩემი ცოლის შესახებ, რაც გნებავთ ის დაწერეთ, მაგალითად, თქვით, რომ გაიქცა, მოკვდა ან თავი მოიკლა. ამ შემთხვევაში არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ.

პრეფექტი ერთხანს მაკვირდებოდა.

- კარგი, ხვალ მოდით! - მითხრა მერე.

ადგილზე შევჩერდი.

- არ ვიცი, ხვალ ვის ხელში აღმოვჩნდები; ამიტომ დღეს გააკეთეთ ეს საქმე! - ვუთხარი მე.

- მაშინ ორ საათში შემოიარეთ!

- თქვენი ნებართვით, კარებთან დაგელოდებით. ახლა ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია ჩემთვის, - მივუგე მე.

პრეფექტს უეცრად გაეღიმა: - ასეთია Affaire d'amour![34] - მითხრა მან. - ცოლი გყავთ და იძულებული ხართ ისე იცხოვროთ, თითქოს უცოლო იყოთ. ჩვეულებრივ, ეს პირიქით ხდება ხოლმე.

შვებით ამოვისუნთქე. ერთ საათში პრეფექტმა თავისთან გამომიძახა.

- ბანაკის ხელმძღვანელობას დავუკავშირდი, - მითხრა მან. - მართალი ბრძანდებით, თქვენი ცოლით ვიღაც მართლა დაინტერესებულა. რახან წინააღმდეგი არა ხართ, მას მიცვალებულად გამოვაცხადებთ და თქვენც მშვიდად იქნებით და ჩვენც!

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, თან უცნაურმა შიშმა ამიტანა და ტანში გამცრა. მივხვდი, რომ ეს იმ ცრურწმენის ნარჩენი იყო, რომელიც გვაფრთხილებს ხოლმე, რომ ბედისწერასთან თამაში არ შეიძლება. თუმცა, განა თავად მეც დიდი ხნის მკვდარი არ ვიყავი და მიცვალებულის საბუთებით არ ვცხოვრობდი?!

- ხვალამდე ყველაფერს მოვაგვარებთ! - მითხრა პრეფექტმა.

- გთხოვთ, ხვალისთვის ნუღარ გადადებთ ამ საქმეს, - მივუგე მე. - ერთხელ უკვე მოვხვდი ბანაკში იმის გამო, რომ გაქცევა ერთი დღით დავაგვიანე.

უეცრად მთლად მოვეშვი. ვიგრძენი, რომ თვალთ დამიბნელდა და გონებას ვკარგავდი. როგორც ჩანს, პრეფექტმა შემატყო, რომ ცუდად გავხდი და კონიაკი მოატანინა.

---

[34] სიყვარულის ამბავი (ფრანგ.)

- თუ შეიძლება, ყავა დამალევინეთ, - ვთხოვე და სკამზე მოვადინე ზღართანი. ოთახი თითქოს იისფერი და ნაცრისფერი ჩრდილებით გაივსო, დატრიალდა და ყურებში ზუზუნი დამეწყო. აი, ახლა კი შევუძახე საკუთარ თავს: „ფარ-ხმალი არ დაყარო! ჰელენი თავისუფალია და უკვე შეგვიძლია, აქედან გავიქცეთ!“

მერე ყურების ზუზუნსა და შრიალში თითქოს ვიღაცის სახე და ხმა ჩაერთო, რომელიც ყვიროდა, მაგრამ თავდაპირველად ვერ გავიგე, რას ამბობდა. სმენა დავძაბე და ბოლოს და ბოლოს, მომესმა სიტყვები: „ხომ არ გგონიათ, რომ ძალიან მსიამოვნებს ეს ყველაფერი, დალახვროს ეშმაკმა?! ნუ გავიწყდებათ, რომ მე ერთი წესიერი კაცი ვარ და არა ციხის ზედამხედველი! ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას! დიახ, ყველას და ყველაფერს!“

მერე ხმა ისევ დაიკარგა და არ ვიცი, ვიღაც ნამდვილად ყვიროდა ასე ხმამაღლა, თუ მომეჩვენა. ყავა რომ დავლიე, ფეხზე წამოვდექი, ბარბაცით გამოვედი გარეთ და სკამზე ჩამოვჯექი. ცოტა ხანში ვიღაც თანამშრომელი გამოვიდა და მითხრა, აქ მოიცადეთ, ჯერ ნუ წახვალთო. რა თქმა უნდა, წასვლას ისედაც არსად ვაპირებდი.

მალე პრეფექტიც მოვიდა და მითხრა, ყველაფერი წესრიგშიაო. მაშინ გავიფიქრე, რომ ჩემი საუბარიც და ჩემი ცუდად გახდომაც სასიკეთოდ წამადგა.

- ცოტა უკეთ ხართ? - მკითხა მან მერე. - კი მაგრამ, ასე ძალიან რატომ შეგეშინდათ ჩემი? მე ხომ საფრანგეთის ერთი პატარა პროვინციის პრეფექტი ვარ მხოლოდ?!

- ჩემთვის თქვენ პრეფექტი კი არა, ღმერთზე მეტი ხართ! - ვუთხარი ბედნიერი სახით. - ამქვეყნად ღმერთმა საარსებოდ ზოგადად მომიჩინა რაღაც ადგილი, რომელიც ვერსად ვიპოვე. მე კი კონკრეტულად მხოლოდ აქ, ამ ტერიტორიაზე ყოფნის ნე-

ბართვა მჭირდება და მას თქვენ გარდა, ვერავინ გასცემს, ბატონო პრეფექტო!

მას გაეცინა.

- კი მაგრამ, თუკი გეძებენ, ამ ადგილებში ყოფნა ხომ განსაკუთრებით სახიფათო იქნება თქვენთვის?!

- ასეთ დროს მარსელში ჩემი ყოფნა უფრო სახიფათოა, რადგან შეიძლება უკვე ფიქრობენ, რომ იქ ჩავედი, აქ კი ჩემს ყოფნას ვერც კი იეჭვებენ. ასეთ ნებართვას ერთი კვირით თუ მოგვცემთ, ამასობაში, წითელ ზღვაზეც მოვასწრებთ გადასვლას!

- კი მაგრამ, წითელი ზღვა რა შუაშია?

- ლტოლვილებს აქვთ ასეთი გამოთქმა, რადგან ჩვენც იმ ებრაელებივით ვცხოვრობთ, თავის დროზე ეგვიპტიდან რომ ამოვიდნენ. ჩვენ უკან გერმანიის არმია და გესტაპოა, ყოველი მხრიდან უამრავი ესპანელი და ფრანგი პოლიციელები გვახვევია, ხოლო წინ აღთქმული ქვეყანა, პორტუგალია და ლისაბონის პორტი გვეგულება, საიდანაც გზა აღთქმულთა შორის ყველაზე აღთქმული ქვეყნისკენ, ამერიკისკენ მიდის.

- ამერიკის ვიზები გაქვთ? - მკითხა მან.

- ვიზებს მივიღებთ!

- როგორც გატყობთ, სასწაულების გჯერათ.

- სხვა რა გზა მაქვს?! აი, თუნდაც დღეს, განა სასწაული არ მოხდა?!

შვარცმა გამიღიმა.

- საოცარია, რა წინდახედული ხდება კაცი გაჭირვებაში. ზუსტად ვიცოდი, რატომ ვთქვი ეს ბოლო სიტყვები და მანამდეც რატომ ვცადე პრეფექტის გულის მოგება, როცა იგი ღმერთს შევადარე. ახლა როგორმე უნდა მომეპოვებინა მისგან ხანმოკლე ბინადრობის ეს ნებართვა! როდესაც ხედავ, რომ შენი ბედი

მთლიანად სხვა ადამიანის ხელშია, გამოცდილი ფსიქოლოგივით იწყებ აზროვნებას, თუმცა ამ დროს აღელვებისგან სუნთქვა გიჭირს, ანდა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამიტომ იქცევი ასე?! მაგრამ აზროვნებას და ემოციებს ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ. თითოეული დამოუკიდებლად მოქმედებს და ერთი მეორეს ზიანს არ აყენებს. ამ დროს შენი შიშიც და ტკივილიც ნამდვილია და ეს წინდახედულობაც სწორედ აქედან მოდის. ამ ყველაფერს კი მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: როგორმე თავი გადაირჩინო!

შევატყვე, რომ ამასობაში შვარცი ცოტა დამშვიდდა.

- სათქმელს მალე დავამთავრებ, - მითხრა მერე. - ერთი კვირით ბინადრობის ნებართვა მართლაც მივიღე და ბანაკის ჭიშკართან ჰელენის წამოსაყვანად მივედი. მოსაღამოვდა და წვიმა ცრიდა. ჰელენი ექიმთან ერთად მოვიდა. სანამ შემამჩნევდა, ერთხანს ვუყურებდი, როგორ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ასეთი გაგულისებული და აფორიაქებული, ჰელენი არასოდეს მენახა, და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქუჩიდან ვიღაცის ოთახში მალულად ვიჭვრიტებოდი. მერე ჰელენმაც დამინახა.

- თქვენი ცოლი მძიმედ ავადაა, - მითხრა ექიმმა.

- მართალს ამბობს, - გაეცინა ჰელენს. - ახლა საავადმყოფოში დამაწვენენ და იქ მოვკვდები. ზუსტად ასეთია შეთანხმება.

- ეს სახუმარო საქმე არ არის, - თქვა ექიმმა და ეტყობოდა, რომ გაბრაზდა.

- მაშინ, ის დიდი ხნის წინათ უნდა მოგეთავსებინათ საავადმყოფოში, ხომ ასეა? - ვკითხე მე.

- არ მესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, - თქვა ჰელენმა. - ავად არა ვარ და ამიტომ საავადმყოფოშიც არ დავწვები.

- საავადმყოფოში თუ დააწვენთ, შეგიძლიათ შემპირდეთ, რომ იქ უსაფრთხოდ იქნება? - ვკითხე ექიმს.

- არა, მაგის პირობას ვერ მოგცემთ, - მითხრა მან მცირე დუმილის შემდეგ.

ჰელენმა ისევ გაიცინა.

- რა თქმა უნდა, ასეთ რამეს ვერ შეგპირდება. რა სულელური საუბარია! Adieu(Adieu - ნახვამდის (ფრანგ.)), ჟან! ჰელენი წინ წავიდა და გზას გაუყვა. დავაპირე ექიმისთვის გამომეკითხა ჰელენის მდგომარეობა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი. იგი ჯიქურ შემომაჩერდა, მერე შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით ბანაკისკენ წავიდა.

ჰელენს უკან გავყევი.

- პასპორტი მოგცეს? - ვკითხე მე.

მან თავი დააქნია.

- ეგ ჩანთა მომეცი, - ვუთხარი მერე.

- წამოვიღებ, მძიმე არ არის.

- მაინც მომეცი!

- ამ ჩანთაში საღამოს კაბა მიდევს, პარიზში რომ მიყიდე.

ქვევით დავუყევით გზას.

- მითხარი, მართლა ავად ხარ? - ვკითხე მე.

- ავად რომ ვიყო, სიცხე მექნებოდა და სიარულსაც ვერ შევძლებდი. ექიმს უნდოდა, აქ დავრჩენილიყავი და ამიტომ მოიტყუა. აბა, შემომხედე! ავადმყოფს ვგავარ? - მკითხა მან და შეჩერდა.

- ჰო, ჰგავხარ! - მივუგე მე.

- ამაზე ნუ დარდობ!

- არ ვდარდობ!

ახლა უკვე ვიცოდი, რომ ჰელენი ნამდვილად ავად იყო, მაგრამ ჩემთან ამას არასოდეს აღიარებდა.

- საავადმყოფოში რომ დაწოლილიყავი, ეს რამეს გიშველიდა?

- არა, ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა. უნდა დამიჯერო! - მითხრა მან. - ავად რომ ვიყო და ვიცოდე, საავადმყოფო რამეს მიშველიდა, მაშინვე დავწვებოდი, მერწმუნე, ეს ასეა!

- მჯერა შენი, - მივუგე მე.

აბა, სხვა რაღა დამრჩენოდა? უეცრად საშინელი უმწეობა ვიგრძენი.

- იქნებ ჯობდა, ბანაკში დარჩენილიყავი? - ვუთხარი ბოლოს.

- იცი, რომ არ ჩამოსულიყავი, უკვე თავის მოკვლას ვაპირებდი.

გზა გავაგრძელეთ. წვიმამ იმატა და თითქოს წვრილი, ნაცრისფერი წვეთების ფარდაში გაგვხვია.

- აი, ნახავ, მალე მარსელში ვიქნებით, იქიდან ჯერ ლისაბონში, მერე კი ამერიკაში წავალთ, - ვუთხარი ჰელენს, გულში კი ვფიქრობდი, იქ კარგი ექიმები არიან, საავადმყოფოებში ადამიანებს არ აპატიმრებენ და ალბათ სამუშაოსაც ვიშოვი-მეთქი.

- იცი, იქ ევროპა საშინელი სიზმარივით გაგვახსენდება, - დავსძინე მერე.

ჰელენს აღარაფერი უთქვამს.

15

- აი, მაშინ დაიწყო ჩვენი ოდისეა, უდაბნოში ხეტიალი და წითელ ზღვაზე გადასვლა. ეს ყველაფერი თქვენც ხომ გამოსცადეთ?

- დიახ, მახსოვს ბორდო, საზღვარზე გადასვლის მცდელობა და პირენეები, - მივუგე მე. - გერმანელები ნელ-ნელა უტევდნენ მარსელს, გულგახეთქილი ადამიანები კი ბარბაროსებისგან თავის დაღწევას გაქცევით ცდილობდნენ. აამას ბიუროკრატიის განუკითხაობაც დაემატა. არც ადგილზე დარჩენის და არც ქვეყნიდან გასვლის უფლებას აღარ გვაძლევდნენ. ამ ნებართვას სანამ აიღებდი, ამასობაში ესპანეთის სატრანზიტო ვიზას ვადა გასდიოდა, მას ხელახლა იმ შემთხვევაში გაძლევდნენ, პორტუგალიის ვიზა თუ გქონდა, ამ ვიზის მისაღებად კი, ხშირად, ისევ და ისევ, უამრავ წინააღმდეგობას აწყდებოდი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაგეწყო და სამოთხისა და ჯოჯოხეთის წინკარში, ანუ საკონსულოების წინ, კიდევ დიდხანს უნდა გეყურყუტა! დიახ, ეს იყო სიგიჟის Cirkulus vitiosus![35]

- თავდაპირველად ისეთ მშვიდ სიტუაციაში მოვხვდით, ქარიშხალს რომ უძღვის ხოლმე წინ, - განაგრძო მოყოლა შვარცმა. - საღამოსთვის ჰელენს ძალ-ღონე სულ გამოელია. გარეუბნის სასტუმროში პატარა ოთახი ვიქირავე და ჯერჯერობით, შეგვეძლო კიდევ ლეგალურად გვეცხოვრა. დიდი ხნის შემდეგ ისევ გვქონდა ჩვენი ოთახი და ამან ჰელენი ისე ააღელვა, რომ ისტე-

---

[35] მოჯადოებული წრე (ლათინ.)

რიკული ტირილი აუვარდა. მოგვიანებით ჩუმად ვისხედით სასტუმროს ბაღში. უკვე საკმაოდ აცივდა, მაგრამ დაძინებას არ ვაპირებდით; ერთი ბოთლი ღვინო დავლიეთ და ქუჩას გავყურებდით, ზევით, ბანაკისკენ რომ მიემართებოდა. უეცრად ისეთი ღრმა მადლიერების გრძნობა დამეუფლა, რომ კეფა ამტკივდა. იმ საღამოს ამ გრძნობამ თითქოს ყველაფერი დამავიწყა და ჰელენის ავადმყოფობით გამოწვეული შიშიც კი გამიქრა. ისტერიკამ გადაუარა, ნაწვიმარზე ბუნებასავით გამოცოცხლებულიყო და მისი სახე ძველებურ კამეას მაგონებდა. ალბათ გესმით ჩემი, - მითხრა შვარცმა. - ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის ავადმყოფობა სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე მას ჩვეულებრივ აქვს ხოლმე, ამ დროს ავადმყოფობა იმას ნიშნავს, რომ ვეღარსად გაიქცევი.

- ვიცი, - მივუგე ნაღვლიანად.

- მეორე საღამოს დავინახეთ, რომ შენიღბულფარებიანი მანქანა ბანაკისკენ მიემართებოდა. ჰელენი აფორიაქდა და მერე მთელი დღე ოთახიდან აღარ გამოვსულვართ. საკუთარი ოთახი და საწოლი გვქონდა, მაგრამ თავს მაინც მოუსვენრად ვგრძნობდით, რასაც ჩვენი დაღლილობა და მოთენთილობაც ემატებოდა. აქედან კვირების მანძილზე ფეხს არ მოვიცვლიდი, მაგრამ ჰელენმა უეცრად წასვლა მოინდომა. ბანაკისკენ მიმავალი გზის დანახვა აღარ შეეძლო და ეშინოდა, რომ გესტაპო ისევ დაუწყებდა ძებნას.

ჩვენი მწირი ბარგი ჩავალაგეთ. უფრო გონივრული იყო, გზას თუ გავაგრძელებდით, სანამ ამ ადგილებში ყოფნის ნებართვა გვქონდა. ამ დროს სხვა ადგილას თუ ჩაგვავლებდნენ, ვფიქრობდით, რომ მაშინვე არ დაგვიჭერდნენ, და უკიდურეს შემთხვევაში, ისევ აქეთ გამოგვაძევებდნენ.

ბორდოში მინდოდა წასვლა, მაგრამ გზაში შევიტყვეთ, რომ უკვე ძალიან დაგვაგვიანდა. პატარა, ორადგილიანი სიტროენის მძღოლმა გვითხრა, აქ ახლოს პატარა სასახლე მეგულება, ამჟამად იქ არავინ ცხოვრობს და გირჩევთ, ეს ღამე იქ გაატაროთო.

სხვა გზა არ გვქონდა და მძღოლმა შებინდებისას იქ მიგვიყვანა. მალე ნაცრისფერ შუქში პატარა სასახლე დავინახეთ, თუმცა ამ უფარდებო, ფანჯრებჩაბნელებულ შენობას სააგარაკო სახლი უფრო ეთქმოდა. კიბეზე ავედი და კარი მოვსინჯე. ეტყობოდა, ძალით უკვე გაეღო ვიღაცას. ბნელ დარბაზში რომ შევედი, საკუთარი ნაბიჯების ხმა ჩამესმა, მერე დავიყვირე და საკუთარი ექო შემეხმიანა. ოთახები საერთოდ ცარიელი იყო. ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, წაეღოთ. მეთვრამეტე საუკუნის შენობაში მხოლოდ შპალერებიანი კედლები, მაღალი ფანჯრები, ჭერი და ლამაზი კიბე იყო დარჩენილი.

ნელ-ნელა დავიარეთ იქაურობა. დაძახებაზე არავინ გამოგვეხმაურა. მერე ელექტროჩამრთველებს დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერ ვიპოვე. როგორც ჩანს, სასახლეში ელექტროგაყვანილობა არასდროს ყოფილა. პატარა, სასადილო ოთახს ოქროსფერი და თეთრი კედლები ჰქონდა; საძინებელი ოთახი კი მწვანედ და ოქროსფრად იყო შეღებილი. სასახლის მეპატრონეებს, გაქცევისას, ეტყობა, მთელი ავეჯი თან წაეღოთ.

ბოლოს მანსარდაზე ზანდუკი ვიპოვეთ, რომელშიც ნიღბები და საკარნავალო კოსტიუმები ეწყო. ამ იაფფასიან, ჭრელ ტანსაცმელს ოჯახის წევრები ალბათ საზეიმო დღეებში იცვამდნენ. იქვე იყო სანთლების შეკვრაც. ყველაზე მეტად მატრასიანი რკინის საწოლის დანახვამ გაგვახარა. მერე სამზარეულოში ცოტა პური, სარდინის კონსერვები, ნივრის გალა და ნახევარი ქილა თაფლი ვიპოვეთ, ხოლო სარდაფში კარტოფილი, რამდენიმე

ბოთლი ღვინო და ცოტა შეშაც დაგვხვდა. ამრიგად, ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვდით! სასახლეში ყველა ოთახს ბუხარი ჰქონდა. საძინებლის ფანჯარაზე, ფარდების ნაცვლად, საკარნავალო კოსტიუმები ჩამოვაფარეთ. მერე სასახლეს გარშემო შემოვუარე და ვნახე, რომ ბოსტანი და ხეხილის ბაღიც ჰქონდა. ხეებზე ჯერ ისევ შემორჩენილიყო ვაშლები და მსხლები. დავკრიფე და სახლში შევიტანე.

როდესაც ისე დაბნელდა, რომ საკვამურიდან ამოსული კვამლი აღარ გამოჩნდებოდა, ბუხარში ცეცხლი დავანთე და ჭამას შევუდექით. რაღაც ზღაპრული გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს მოჯადოებულები ვიყავით. ხით მოპირკეთებულ, ლამაზ კედლებზე ცეცხლის ათინათი ირეკლებოდა და ჩვენი ჩრდილები ბედნიერი სამყაროდან მოვლენილი სულებივით ტორტმანებდნენ.

ოთახში დათბა. ჰელენმა სველი ტანსაცმელი გაიხადა, მერე ჩანთიდან პარიზში ნაყიდი კაბა ამოიღო და ჩაიცვა. ღვინო გავხსენი და რაკი ჭიქები არ გვქონდა, პირდაპირ ბოთლიდან ვიყუდებდით და ისე ვსვამდით. მოგვიანებით ჰელენმა ისევ გამოიცვალა ტანსაცმელი. ზანდუკიდან დომინოს კოსტიუმი ამოიღო, ჩაიცვა და პატარა ნიღაბი გაიკეთა. მერე ბნელ კიბეზე ჩაირბინა და სასახლის გარშემო სირბილი დაიწყო, ზემოთ-ქვემოთ დაქროდა და მისი ხმა ყოველი მხრიდან ისმოდა. ბოლოს ვეღარ ვხედავდი, სად იყო, სანამ სიბნელეში, კისერთან, მისი სუნთქვა არ ვიგრძენი.

- მეგონა, რომ უკვე დაგკარგე, - ვუთხარი და ხელი მოვხვიე.

- არა, შენ ვერასოდეს დამკარგავ, - წაიჩურჩულა მან პატარა ნიღბიდან. - და იცი, რატომ? აარასოდეს ყოფილხარ ჩემზე ისე

ჩაფრენილი, გლეხი რომ ჩააფრინდება თავის მიწას და არავის უთმობს. დახვეწილი მამაკაცისთვის ეს მოსაწყენია.

- კარგი რა, რომელი დახვეწილი მამაკაცი მე მნახე, - მივუგე გაოცებულმა.

კიბის ბაქანზე ვიდექით. საძინებელი ოთახის ოდნავ შეღებული კარიდან ბუხრის მოციმციმე შუქი ზოლად ეცემოდა ბრინჯაოს მოაჯირის ორნამენტებს, ჰელენის მხრებს და სახეს.

- შენ არც კი იცი, ვინ ხარ! - წაიჩურჩულა და თვალები შემომანათა. ნიღბის მიღმა თვალები გველის თვალებივით უელავდა. - ის კი ალბათ გეცოდინება, რომ ყველა დონჟუანი ნახმარი ტანსაცმელივით მოსაწყენია! მაგრამ მაინც... მაინც ძალიან მიყვარხარ!

საკარნავალო კოსტიუმები გვეცვა და მსგავსი სიტყვების თქმას ალბათ ეს გვაბედვინებდა. დომინოს კოსტიუმის ჩაცმის მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მქონდა, მაგრამ ჰელენის ნებას დავყევი, რადგან ტანსაცმელი მეც დამისველდა და ახლა ისიც ბუხართან შრებოდა. ამ უჩვეულო სამოსმა თითქოს იმ სამყაროში გადაგვიყვანა, Belle epoque[36] რომ ერქვა, შეგვცვალა და სულ სხვა სიტყვებით აგვალაპარაკა. „ერთგულებისა“ და „ღალატის“ ცნებებს ობივატელური ძალა და ერთმნიშვნელოვნება გამოეცალა, ახლა შეიძლებოდა მათი ურთიერთჩანაცვლება და ამ მრავალფეროვნებაში მათი მნიშვნელობაც დაიკარგა.

- ახლა ორივენი მიცვალებულები ვართ, - ჩურჩულებდა ჰელენი. - ჩვენთვის კანონები აღარ არსებობს. შენ მკვდრის პასპორტი გაქვს და ამიტომ ხარ მკვდარი, მე კი დღეს საავადმყო-

---

[36] მშვენიერი საუკუნე (ფრანგ.)

ფოში მოვკვდი. შეხედე ჩვენს ტანსაცმელს! ოქროსფრად მოსირმული, ჭრელი ღამურებივით დავშლიგინებთ იმ გარდასული საუკუნის შუაგულში, „მშვენიერ საუკუნეს“ რომ ეძახდნენ. ის მართლაც მშვენიერი იყო თავისი მენუეტებით, სინარნარითა და როკოკოს სტილის ბალდახინებით. მაგრამ, ამ საუკუნის ბოლოს, დღესასწაულის შემდეგ გათენებული სუსხიანი დილით აღიმართა მბზინვარე და ულმობელი გილიოტინა, როგორც იგი ყველგან და ყოველთვის აღიმართება ხოლმე. ჩვენი გილიოტინა სად იქნება, ძვირფასო?

- ამას ნუ ამბობ, ჰელენ! - ვუთხარი მე.

- ჩვენი გილიოტინა ალბათ არც აღიმართება, - ჩურჩულებდა ჰელენი. - აბა, სად უნდა აღმართონ მიცვალებულების გილიოტინა? თავებს ვეღარ მოგვკვეთენ, რადგან ჩრდილის და სინათლის გაკვეთა შეუძლებელია, თუმცა ჩვენთვის ხელების გადამტვრევას განა ისევ და ისევ არ ცდილობენ?! მაშ, დამტოვე ამ ჯადოსნურ სამყაროში და ოქროსფერ წყვდიადში! იქნებ აქედან მაინც შემოგვრჩეს რამე ისეთი, რაც ჩვენი უკანასკნელი ამოსუნთქვის სევდიან წუთებს გაანათებს!

- ასე ნუ ლაპარაკობ, ჰელენ! - ვუთხარი და ვიგრძენი, რომ ტანში გამცრა.

- ყოველთვის ისეთი გამიხსენე, როგორიც ახლა ვარ! - ისევ და ისევ ჩურჩულებდა ჰელენი და ჩემი სიტყვები არ ესმოდა. - ვინ იცის, კიდევ რა მოგველის...

- ამერიკაში წავალთ, მერე კი ოდესმე ალბათ ომიც დამთავრდება, - ვუთხარი მე.

- არა, ბედს არ ვემდური, - მითხრა და სახეზე სახე მომადო. - განა შეიძლება ბედს ვემდუროდე? რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ეს ყველაფერი ასე რომ არ მომხდარიყო? ერთი ჩვეულებრი-

ვი, მოსაწყენი წყვილი ვიქნებოდით, ოსნაბრიუკში ჩვეულებრივი, მოსაწყენი ცხოვრებით ვიცხოვრებდით, გვექნებოდა ჩვეულებრივი გრძნობები და განცდები და წელიწადში ერთხელ დასასვენებლად წავიდოდით ხოლმე...

გამეცინა.

- ჰო, ჩვენს ცხოვრებას ამ თვალითაც შეიძლება შეხედოს კაცმა.

იმ საღამოს ჰელენი ძალიან მხიარული იყო, თითქოს რაღაცას ზეიმობდა. პარიზში ნაყიდი, ოქროსფერი ჩუსტებით ჩაირბინა სარდაფში და კიდევ ამოიტანა ერთი ბოთლი ღვინო. კიბის თავში ვიდექი და ვხედავდი, როგორ ამოიმართა სიბნელიდან მისი გაცისკროვნებული სახე, რომელზეც უამრავი ჩრდილი დასთამაშებდა. ბედნიერი ვიყავი, თუ ბედნიერებას წარმოვიდგენთ როგორც სარკეს, რომელშიც უამრავი ჩრდილის ფონზე შენთვის საყვარელი ნაზი და სრულყოფილი სახე აირეკლება.

ბუხარში ცეცხლი მიინავლა. ჰელენს ზემოდან ჭრელი საკარნავალო ტანსაცმელი გადაეფარებინა და ისე ეძინა. მოგვიანებით თვითმფრინავის გუგუნი შემომესმა და ამ ხმაზე როკოკოს სარკეები ჩუმად აზრიალდა.

* * *

ოთხი დღე სრულ სიმარტოვეში გავატარეთ. მერე მეზობელ სოფელში წავედი საყიდლებზე. იქ გავიგე, რომ ბორდოდან ორი გემი ზღვაში გასვლას აპირებდა. როცა ვიკითხე, გერმანელები უკვე იქ თუ არიან-მეთქი, მიპასუხეს:

- არიან და არც არიან, ვისთვის, როგორ! გააჩნია, თქვენ ვინ ხართ.

ჰელენს ეს რომ ვუთხარი, ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ გულგრილად მომისმინა.

- გემით წავალთ და აქაურობას მოვშორდებით, ჰელენ! - ვუთხარი აღელვებულმა. - შეგვიძლია, აფრიკაში, ლისაბონში ან სადმე სხვაგან წავიდეთ და იქიდან გავაგრძელოთ გზა.

- რატომ არ გინდა, აქ დავრჩეთ? - მკითხა მან. - ბაღში ხილიც გვაქვს და ბოსტნეულიც. სანამ შეშა გვექნება, საჭმელს მოვამზადებ. პურს სოფელში ვიშოვით. რამე ფული კიდევ დაგვრჩა?

- ცოტა დაგვრჩა, მაგრამ ერთი ნახატი კიდევ მაქვს, ბორდოში გავყიდი და სამგზავრო ფული გვექნება.

- ახლა სურათებს ვინღა ყიდულობს?

- არის ხალხი, რომელიც ფულს ამაში აბანდებს.

ჰელენმა გაიცინა.

- მაშინ, გაყიდე ეგ შენი სურათი და აქ დავრჩეთ!

- მეც სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელია.

ჰელენს ძალიან შეუყვარდა ეს სახლი, რომელსაც ერთ მხარეს პატარა პარკი ეკვროდა. სახლის უკან ბოსტანი, ხეხილის ბაღი და ტბორი იყო. იქ მზის საათიც კი იდგა.

ჰელენს შეუყვარდა ეს სახლი და თითქოს სახლმაც შეიყვარა იგი. აქ თავს კარგად გრძნობდა, რადგან პირველად მოხდა, რომ სასტუმროში ან ბარაკებში არ ვცხოვრობდით. საკარნავალო კოსტიუმებში და მხიარული წარსულის გარემოცვაში გატარებული დღეებით მეც მოჯადოებული ვიყავი, რაც იმედს, ხანდახან კი რწმენასაც მინერგავდა, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არსებობს, და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სცენაზე ამის პირველი რეპეტიცია უკვე გავიარეთ. თან ვფიქრობდი, რომ ასეთი ცხოვრებით, რამდენიმე ასეულ წელს, სიამოვნებით ვიცხოვრებდით.

მიუხედავად ამისა, მაინც ბორდოს პორტში ჩამომდგარ გემებზე ვფიქრობდი. ვერ წარმომედგინა, როგორ გავიდოდნენ ისინი ზღვაში, როდესაც ქალაქი ნაწილობრივ უკვე მტრის ხელში იყო; ეს ომის შუალედურ პერიოდზე მიუთითებდა. მართალია, საფრანგეთმა ზავი დადო, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. აქ თითქოს არსებობდა საოკუპაციო და თავისუფალი ზონები, მაგრამ საფრანგეთს დადებული ხელშეკრულებების დასაცავად არავითარი ძალა არ გააჩნდა. გარდა ამისა, იქ გერმანიის ჯარი იდგა და გესტაპო მუშაობდა. ისინი თვითნებურად მოქმედებდნენ.

- უნდა გავარკვიო, ქალაქში რა ხდება, - ვუთხარი ჰელენს. - შენ აქ დარჩი, მე კი შევეცდები, როგორმე ბორდოში ჩავიდე.

ჰელენმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- აქ მარტო არ დავრჩები. მეც წამოვალ.

მისი კარგად მესმოდა, რადგან უკვე აღარ არსებობდა სახიფათო ან არასახიფათო ადგილები. მტრის შტაბბინიდან შეიძლება ცოცხალი გამოსულიყავი, სადღაც შორეულ კუნძულზე კი გესტაპოს ჩავარდნოდი ხელში. ამრიგად, სიფრთხილის ყველა

ადრინდელი ზომა აზრს კარგავდა. ალბათ წარმოიდგენთ, ალალბედზე როგორ ჩავაღწიეთ იქამდე, - მითხრა შვარცმა. - ახლა ამაზე რომ ვფიქრობ, არ მესმის, როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო. ჯერ ფეხით ვიარეთ, მერე მანქანით, ცოტა ხანს ორ ჯაგლაგზეც ვისხედით, ვიღაც გლეხს ქალაქში გასაყიდად რომ მიჰყავდა.

ბორდოში უკვე გერმანული ჯარი იდგა, თუმცა ქალაქი ჯერ ოკუპირებული არ იყო. ადამიანები შოკში იყვნენ, რადგან ყოველ წუთს დაპატიმრებას ელოდნენ. ჰელენს სადა კოსტიუმი ეცვა. აამ კოსტიუმის გარდა, საღამოს კაბა, ორი შარვალი და ორი სვიტერიღა შემორჩენოდა. მონტიორის სპეცტანსაცმელი ჩავიცვი, პიჯაკი კი ზურგჩანთაში ჩავდე.

მერე ჩვენი ნივთები ერთ ტავერნაში დავტოვეთ. ქუჩაში ბარგით შეიძლება ყურადღება მიგვეპყრო, თუმცა ბევრი ფრანგი ჩემოდნებითაც დადიოდა.

- სანაოსნო ფირმაში მივიდეთ და გემების ამბავი იქ ვიკითხოთ, - ვუთხარი ჰელენს.

ქალაქში ნაცნობები არ გვყავდა. ერთადერთ ფირმაში, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა, ფანჯრებზე ძველი რეკლამები ეკიდა: „გაატარეთ შემოდგომა ლისაბონში!“ „ალჟირი აფრიკის მარგალიტია!“ „არდადეგები ფლორიდაში“, „მზიური გრანადა!“ და სხვა. მათი უმრავლესობა გახუნებულიყო და მხოლოდ ლისაბონის და გრანადის პლაკატებს შერჩენოდათ ხასხასა ფერები.

ფირმაში დიდხანს ლოდინი არ მოგვიხდა. საინფორმაციო სარკმელთან რომ მივედით, იქ თოთხმეტი წლის ექსპერტმა გვითხრა, გემების შესახებ რასაც ამბობენ, ტყუილია. ეს ჭორი უკვე რამდენიმე კვირაა ვრცელდება. სინამდვილეში, ოკუპაციამდე დიდი ხნით ადრე, აქ მხოლოდ ერთი ინგლისური გემი შე-

მოვიდა. მას პოლონელები და სხვა ემიგრანტები უნდა წაეყვანა, რომლებიც „პოლონურ ლეგიონში“ იყვნენ ჩაწერილი, მოხალისეთა ეს არმია ინგლისში შექმნეს. ამჟამად კი აქედან არც ერთი გემი არ გადისო.

ვკითხე, მაშინ, ამ შენობაში ამდენი ხალხი რატომ ირევა-- მეთქი.

- მათ უმრავლესობასაც ის აინტერესებს, რაც თქვენ, - მითხრა ექსპერტმა.

- თავად რას აპირებთ? - ვკითხე მას.

- აქედან წასვლა გადავიფიქრე, - მომიგო მან. - ლუკმაპურის ფულს ვშოულობ. თარჯიმანი, მრჩეველი, ვიზების სპეციალისტი და თავშესაფრების ექსპერტი ვარ...

არ გამკვირვებია. გაჭირვება ადრე ავაჟკაცებს ადამიანს. ახალგაზრდობას კი დიდად არ აწუხებს სენტიმენტალურობა და ცრურწმენები. მერე კაფეში შევედით და ექსპერტმა საერთო მდგომარეობა ამიწერა. მითხრა, ჯარები ქალაქიდან შეიძლება გავიდნენ კიდეც, მაგრამ ბორდოში ბინადრობის ნებართვის აღება მაინც ძალიან გაგიჭირდებათ, ვიზებზე რომ აღარაფერი ვთქვათო. ამჟამად ესპანეთის ვიზების მიღებას უფრო ადვილად ბაიონში შეძლებთ, თუმცა ქალაქი მეტისმეტად გადატვირთულია, ამიტომ აჯობებს, აქედან პირდაპირ მარსელში თუ წახვალთო. ეს კი ძალიან გრძელი გზა იყო და მოგვიანებით იგი ყველა ჩვენგანმა გაიარა. ალბათ ეს თქვენც გეხებათ, არა? - მკითხა შვარცმა.

- დიახ, ასეა. ეს ჯვარცმის გზა იყო! - მივუგე მას.

- რა თქმა უნდა, შემეძლო ამერიკის საკონსულოში მივსულიყავი, მაგრამ ჰელენს ნაცისტების მიერ გაცემული, მოქმედი პასპორტი ჰქონდა და იქ ვერაფრით დავამტკიცებდით, რომ სიკვდი-

ლი გვემუქრებოდა, რადგან შიშით დაზაფრული ებრაელები ამ დროს საკონსულოს კარებთან იწვნენ და გაცილებით დიდი საფრთხე ელოდათ. დიახ, ჩვენს პასპორტებს, თვით განსვენებული შვარცის პასპორტსაც კი, ახლა საწინააღმდეგო მტკიცებულების ძალა ჰქონდა.

სასახლეში დაბრუნება გადავწყვიტეთ. გზაში ჟანდარმებმა ორჯერ გაგვაჩერეს. ორივეჯერ საშინელი აღშფოთება გავითამაშე, ჟანდარმებს ერთი ამბავი დავაწიე და ჩვენი პასპორტები ავუფრიალე ცხვირწინ, თან დავემუქრე, მე ავსტრიელი გერმანელი ვარ და იცოდეთ, სამხედრო ადმინისტრაციას მივმართავ-- მეთქი. მოგვიანებით ჰელენმა ჩემს საქციელზე ბევრი იცინა. პირველად ეს იდეა იმ დროს დამებადა, როდესაც ტავერნაში დატოვებული ბარგი უკან მოვითხოვე, მეპატრონემ კი გამომიცხადა, რა ბარგზე მელაპარაკებით, ჩემთვის არაფერი მოგიბარებიათო.

- კი ბატონო, შეგიძლიათ პოლიცია გამოიძახოთ, - მითხრა მან ღიმილით და თან თვალი ჩამიკრა. - მაგრამ, არა მგონია ამის სურვილი გქონდეთ.

- მართალი ხართ, ეს არ მჭირდება, რადგან ახლავე დაგვიბრუნებთ ჩვენს ბარგს! - მივუგე მე.

მეპატრონე, იქვე, დახლში, მსახურს მიუბრუნდა და უთხრა:

- ანრი, ამ ბატონმა, ვგონებ, წასვლის სურვილი გამოთქვა!

ანრიმ სახელოები დაიკაპიწა და ჩემკენ წამოვიდა.

- წასვლა მინდა თუ არა, ამას ჯერ მოვიფიქრებ, ანრი! - ვუთხარი ყმაწვილს. - შენ კი გატყობ, ერთი სული გაქვს, საკუთარი თვალით ნახო, როგორ გამოიყურება შიგნიდან საკონცენტრაციო ბანაკი! ასეა ხომ?

- ნაძირალავ! - მომაძახა ანრიმ და დასარტყმელად მოემზადა.

- ესროლეთ, სერჟანტო! - დავიყვირე ხმამაღლა და მის უკან სივრცეში დავიწყე ყურება.

ანრი ანკესზე წამოეგო და უკან მიიხედა, და რაკი ხელი ჯერ ისევ ჰაერში ჰქონდა, ლაჯებს შორის მთელი ძალით ამოვარტყი წიხლი. ყმაწვილმა დაიბღავლა და ძირს დაეცა. მეპატრონემ კი ბოთლს დაავლო ხელი და დახლიდან გამოვიდა. მეც სწრაფად ავიღე „დიუბონეს“[37] ბოთლი, დახლის კუთხეს ჩამოვარტყი და ახლა ხელში უკვე ბოთლის წვეტიანი ნამსხვრევი მეჭირა. მეპატრონე შეჩერდა. ამ დროს უკნიდან ისევ ბოთლის მსხვრევის ხმა შემომესმა, მაგრამ იქით აღარ გამიხედავს, რადგან მეპატრონეს თვალს არ ვაშორებდი.

- ეს მე ვარ! - მითხრა ჰელენმა და მეპატრონეს დასჭყივლა, - არამზადავ! ახლავე დაგვიბრუნე ბარგი, თორემ მაგ სიფათს მიგილეწავ!

მერე დავინახე, რომ ჰელენი წელში მოიხარა, გარშემო შემომიარა და ბოთლის ნამსხვრევით ხელში, მეპატრონისკენ დაიძრა. თავისუფალი ხელი ჩავავლე და შევაჩერე. ირგვლივ ანისულის სუნი დატრიალდა და მივხვდი, რომ ჰელენმა „პერნოს“ ბოთლი გატეხა. უეცრად მეპატრონის მისამართით უხამსი გინება გაისმა და ნახევრად წელში მოხრილი ჰელენი შეეცადა, ჩემთვის ხელი გაეშვებინა. მეპატრონე სასწრაფოდ შეიძურწა დახლის უკან.

---

[37] სამკურნალო ბალახებზე დაყენებული ღვინო, რომლის ტექნოლოგია ეკუთვნის ჟოზეფ დიუბონეს (მე-19 ს.)

- რა ხდება აქ? - გერმანულად იკითხა ვიღაცამ კარებთან.

მეპატრონეს უეცრად სახე გაებადრა. ჰელენი კარისკენ შეტრიალდა. ჩვენ წინაშე სწორედ ის გერმანელი უნტეროფიცერი იდგა, ცოტა ხნის წინ ანრის დასაშინებლად წარმოსახვაში რომ გამოვუხმე.

- ის ბიჭი დაჭრილია? - იკითხა მან.

- აი, იმ ღორს გულისხმობთ? - ჰკითხა ჰელენმა და ხელი ანრისკენ გაიშვირა. მას მუშტები ფეხებს შორის მიედო და იატაკზე ჩამუხლული იჯდა. - სისხლი არ გეგონოთ, ღვინოა.

- გერმანელები ხართ? - გვკითხა უნტეროფიცერმა.

- დიახ, გერმანელები ვართ და ამ ტიპებმა დაგვაყაჩაღეს. - მივუგე მე.

- საბუთები გაქვთ?

მეპატრონემ ჩაიქირქილა. ეტყობა, გერმანული ესმოდა.

- ცხადია, გვაქვს. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ, რომ ჩვენი უფლებები დავიცვათ, - წაიდუდუნა ჰელენმა და თავისი პასპორტი ჰაერში ააფრიალა. - მე ობერშტურმანფიურერ იურგენსის და ვარ! - უთხრა უნტეროფიცერს და პასპორტის თარიღი დაანახვა. - ამჟამად სასახლეში ვცხოვრობთ... - დასძინა მერე და ისეთი ადგილი დაასახელა, არასდროს რომ არ მსმენოდა. - ერთი დღით ჩამოვედით ბორდოში და ჩვენი ბარგი ამ ყაჩაღთან დავტოვეთ. ახლა გვეუბნება, ჩემთვის არაფერი მოგიბარებიათო. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ! - უთხრა ჰელენმა და ისევ მეპატრონისკენ გაიწია.

- მართალია, რაც ახლა მოვისმინე? - ჰკითხა უნტეროფიცერმა მეპატრონეს.

- რა თქმა უნდა, მართალია. გერმანელი ქალი არასოდეს ტყუის, - მოიშველია ჰელენმა ნაცისტების ერთ-ერთი იდიოტური გამონათქვამი.

- თქვენ ვინ ბრძანდებით? - მკითხა უნტეროფიცერმა.

- მძღოლი ვარ, - ვუთხარი და მონტიორის სპეცტანსაცმელი ხელით ჩამოვქაჩე.

- აბა, ახლა კი კმარა! - შეუყვირა უნტეროფიცერმა ტავერნის მეპატრონეს, რომელსაც უმალ გაუქრა ქირქილის სურვილი. - ხომ არ გინდათ, ეს თქვენი ბუდრუგანა ახლავე მიგიხუროთ?

ჰელენმა სიამოვნებით უთარგმნა მეპატრონეს მისი ნათქვამი და თავის მხრივ რამდენჯერმე ჩაურთო სიტყვები: „სალაუდს“ და „სალეს ეტრანგერს“. ამან განსაკუთრებით აღმაფრთოვანა, რადგან ფრანგს საკუთარ ქვეყანაში „ნაძირალა“ და „აყროლებული უცხოელი“, დიდი სიამოვნებით მხოლოდ იმან შეიძლება უწოდოს, ვისაც ამ სიტყვებით თავადაც ხშირად მოიხსენიებდნენ.

- ანრი! სად არის ბარგი? - შეუყეფა მეპატრონემ მსახურს, - ამის შესახებ არაფერი ვიცი. ეს ამ ბიჭის ოინები უნდა იყოს, - აუხსნა მან უნტეროფიცერს. ჰელენმა მისი ნათქვამი თარგმნა.

- მაგრამ იცოდეთ, ეს კაცი ტყუის და ცდილობს, თავისი დანაშაული აი, იმ გორილას გადააბრალოს, - უთხრა ჰელენმა უნტეროფიცერს და ისევ მეპატრონეს მიუბრუნდა. - აბა, ახლავე გამოიტანეთ ჩვენი ბარგი, თუ არ გინდათ, რომ გესტაპო დაგაყენოთ თავზე.

მეპატრონემ ანრის პანღური ამოჰკრა და ისიც უხმოდ გაიძურწა.

- მაპატიეთ! რაღაც გაუგებრობა მოხდა, - უთხრა მერე უნტეროფიცერს. - რამეს ხომ არ დალევდით?

- კონიაკი დაგვისხით! თანაც საუკეთესო! - უთხრა მას ჰელენმა.

მეპატრონემ დახლზე ერთი ჭიქა დადგა, მაგრამ მერე ჰელენის დაჟინებულ მზერას შეავლო თვალი და ორი ჭიქა კიდევ გადმოიღო.

- ძალიან უშიშარი ქალი ჩანხართ, - უთხრა ჰელენს უნტეროფიცერმა.

- გერმანელმა ქალმა არ იცის, რა არის შიში! - კვლავ მოახდინა ჰელენმა ნაცისტური იდეოლოგიის ციტირება და გატეხილი „პერნოს“ ბოთლი გვერდზე მიდგა.

- რა მანქანა გყავთ? - მკითხა უნტეროფიცერმა.

- „მერსედესი“ მყავს, ფიურერის საყვარელი მანქანა.

უნტეროფიცერმა თავი დამიქნია.

- ძალიან მომწონს აქაურობა, - მითხრა მერე. - მართალია, შინ ყოფნა ჯობია, მაგრამ აქაც კარგად ვგრძნობ თავს. თქვენ რას იტყვით?

- მეც ძალიან მომწონს. თუმცა მეც შინ ყოფნა მირჩევნია.

სიამოვნებით დავლიეთ შესანიშნავი კონიაკი. ამასობაში ანრიც მოვიდა და ჩვენი ბარგი სკამზე დადო. ზურგჩანთა შევამოწმე. ყველაფერი ადგილზე იყო.

- ნივთები წესრიგშია, - ვუთხარი უნტეროფიცერს.

- ეს ყველაფერი ამ ყმაწვილის ბრალია, - ისევ შეეცადა თავის მართლებას ტავერნის მეპატრონე და მსახურს მიუბრუნდა: - ანრი! დათხოვნილი ხარ! ახლავე მოუსვი აქედან!

- მადლობას გიხდით, უნტეროფიცერო! - უთხრა ჰელენმა, - ჭეშმარიტად გერმანელი რაინდი ბრძანდებით!

უნტეროფიცერი სამხედრო წესით გაეჯგიმა ჰელენს. ის ოცდახუთი წლისაც არ იქნებოდა.

- ახლა დამტვრეული ბოთლების ფულიც უნდა გადაიხადოთ, - თქვა გულმიცემულმა მეპატრონემ.

ჰელენმა მისი ნათქვამი თარგმნა და დასძინა: - აი, ამ კაცზე კი ნამდვილად ვერ იტყვი, რაინდიაო! ჩვენ ხომ თავს ვიცავდით!

უნტეროფიცერმა დახლიდან ბოთლი აიღო.

- აი, ეს ინებეთ! - უთხრა მან ჰელენს და ბოთლი თავაზიანად გაუწოდა. - ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებულები ტყუილად ხომ არ გვქვია?!

- უნტეროფიცერო! ქალბატონს „კუანტრო“(ლიქიორის მსგავსი ალკოჰოლიანი სასმელი.) არ უყვარს, - ვუთხარი მე. - ჯობია, ისევ კონიაკი აიღოთ. გბოთლი გახსნილია, მაგრამ არა უშავს.

ოფიცერმა კონიაკის ბოთლი გადასცა ჰელენს. კონიაკი ზურგჩანთაში შევინახე და ერთმანეთს ტავერნის კართან დავემშვიდობეთ. შემეშინდა, ვაითუ, ჯარისკაცმა ჩვენი მიცილება „მერსედესამდე“ მოინდომოს-მეთქი, მაგრამ ჰელენმა აქაც მშვენივრად დაიძვრინა თავი.

- ასეთი რამ ჩვენთან არ მოხდება! იქ წესრიგია! - ამაყად განაცხადა ახალგაზრდა კაცმა, დაგვემშვიდობა და წავიდა.

თვალი გავაყოლე და გავიფიქრე:

- ჰო, რა თქმა უნდა, წესრიგი იქნება იქ, სადაც ხალხს აწამებენ, კეფაში ტყვიას ახლიან და მასობრივი მკვლელობებით უსწორდებიან. მე კი ამ ყველაფერს მერჩივნა, ისევ ასიათასობით ამ მეპატრონის მსგავსი პატარა თაღლითი გვყოლოდა.

- თავს როგორ გრძნობ? - მკითხა ჰელენმა.

- კარგად. მაგრამ უნდა გითხრა, ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი გინება თუ იცოდი.

ჰელენს გაეცინა.

- ბანაკში ვისწავლე. ვერც კი აგიწერ, როგორი შვება ვიგრძენი. თითქოს უეცრად ჩემი ერთწლიანი პატიმრობის მთელი სიმძიმე მომეხსნა მხრებიდან. კი მაგრამ, შენ სადღა ისწავლე ბოთლის ნამსხვრევებით ჩხუბი და ხალხის დასაჭურისება?

- ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში, - მივუგე მე. - ჩვენ ხომ პარადოქსების საუკუნეში ვცხოვრობთ! მშვიდობის შენარჩუნება თუ გვინდა, ომი უნდა ვაწარმოოთ.

ჩვენი მდგომარეობა კი ასეთი იყო: იძულებული ვიყავით, სიცრუე გვეთქვა და ვიღაც მოგვეტყუებინა, რათა, როგორმე თავი გადაგვერჩინა. სასახლეში ცხოვრების დროს გლეხებს ბაღში ხილს ვპარავდი და სარდაფებიდან ჩუმად გამომქონდა რძე, მაგრამ ბედნიერი ვიყავი. დიახ, ეს სახიფათო, აღმაშფოთებელი, ხანდახან უნუგეშო და ხშირად უცნაური დრო იყო, მაგრამ თავს ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობდი. მას თან არასოდეს ახლდა მწარე მოგონება. ტავერნის მეპატრონის ამბავი კი იმიტომ გავიხსენე, რომ მსგავსი შემთხვევები მალე ძალიან მოგვიმრავლდა. ასეთი სიტუაციები ალბათ თქვენც გქონიათ, არა?

- მართალი ბრძანდებით! ამ თვალით თუ შევხედავთ, უჩვეულო ამბები ხშირად ხდებოდა.

- ცხოვრების ეს მხარე ჰელენმა დამანახვა, - მითხრა შვარცმა. - ამ ადამიანში წარსული თითქოს აღარ ილექებოდა. მას შეეძლო კაშკაშა სინამდვილედ ექცია ყველაფერი, რასაც მე მხოლოდ შევიგრძნობდი ხანდახან. მისთვის წარსული ყოველდღიურად იმსხვრეოდა და იგი ბოდენის ტბაზე გადასულ მხე-

დარს,[38] მაგონებდა. ამ დროს ყველაფერი აწმყოში გადმოინაცვლებდა, და რასაც სხვები მთელ ცხოვრებაზე გადაანაწილებდნენ, ჰელენი ერთ წუთში მოუყრიდა ხოლმე თავს. მაგრამ ეს არ იყო უმოძრაო, გაქვავებული აზრების თავმოყრა. იგი ამ დროს თავს ლაღად გრძნობდა და მოცარტივით ხალისიანი და სიკვდილივით დაუდგრომელი იყო. ჰელენისთვის აღარ არსებობდა ზნეობისა და პასუხისმგებლობის ცნებების გაგება ძველი, გაცვეთილი მნიშვნელობით. მათი ადგილი ახლა ამაღლებულმა, თითქმის გამჭვირვალე კანონებმა დაიკავა. ჰელენს სხვა აღარაფრისთვის რჩებოდა დრო. იგი იმ შუშხუნას ჰგავდა, უფერფლოდ რომ იწვის, და უარს ამბობდა ყველაფერზე, რაც მას გადაარჩენდა. მაშინ ამის დაჯერება არ მინდოდა. ჰელენმა კი უკვე იცოდა, რომ განწირული იყო, თუმცა როცა მისგან მოვითხოვდი, რომ გადარჩენის იმედი ჰქონოდა, მეთანხმებოდა. მე სულელი კი, მას ჯვარცმის გზაზე მივათრევდი. ბორდოდან და ბაიონიდან, ვიდრე მარსელამდე, და უკან, ამ უსასრულო გზის თორმეტივე სადგური გამოვატარე და ბოლოს აქამდე მოვიყვანე.

---

[38] იგულისხმება გუსტავ შვაბის (მე-19 ს. I ნახევარი.) ბალადა, რომელშიც მხედარი ცხენით გადადის გაყინულ ბოდენის ტბაზე და ნაპირზე გადასვლისას იღუპება.

* * *

ჩვენს პატარა სასახლეში რომ დავბრუნდით, ის უკვე სამხედროებს დაეკავებინათ. შორიდანვე დავინახეთ, როგორ შეჰქონდათ ჯარისკაცებს სახლში ავეჯი; მფრინავის ბრიჯებში და მაღალყელიან, პრიალა ჩექმებში გამოწყობილი რამდენიმე ოფიცერი კი ეზოში ფარშავანგივით ამაყად დააბიჯებდა.

პარკში, წიფლის ხის და მარმარილოს ქალღმერთის უკან დავიმალეთ და იქიდან ვადევნებდით თვალს. გვიანი, სასიამოვნო შუადღე იწურებოდა.

- ნეტა, იქ კიდევ ხომ არ დაგვრჩა რამე? - ვკითხე ჰელენს.

- ჰო, იქ ხეებზე ჩამოკონწიალებული ვაშლები, ჰაერი, ოქროსფერი ოქტომბერი და ჩვენი ოცნებები დარჩა! - მითხრა ჰელენმა.

- ამ ყველაფერს ყველგან ისე ვტოვებთ, მფრინავი ობობები შემოდგომით რომ ტოვებენ ხოლმე თავიანთ აბლაბუდას, - მივუგე მე.

ტერასიდან ვიღაც ოფიცერი მკაცრი ხმით გასცემდა ბრძანებებს.

- გესმის? აი, ასეთია მეოცე საუკუნის ხმა! - მითხრა ჰელენმა, - ახლა კი, წავიდეთ! მაგრამ ეს ღამე სად გავათიოთ?

- ალბათ თივაში. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სადმე ლოგინიც ვიშოვოთ. მთავარი კი ის არის, რომ ერთად ვიქნებით! - მივუგე მე.

16

- ბაიონში, საკონსულოს წინ, მოედანი თუ გახსოვთ? - მკითხა შვარცმა. - მაშინ ისიც გეხსომებათ, ოთხ მწკრივად დაწყობილ ლტოლვილებს როგორ მოიცავდა ხოლმე პანიკა; ისინი ბობოქრობდნენ, საკონსულოს კარს აწყდებოდნენ და ტირილითა და სასოწარკვეთილი შეძახილებით ცდილობდნენ რიგში ადგილის დაკავებას.

- დიახ, მახსოვს. ადგილის დასაკავებლად მათ ნომრებს ურიგებდნენ, - მივუგე მე.

- გარეთ დგომის უფლებას გვაძლევდნენ, მაგრამ ხალხის ბრბო მაინც შესასვლელს აწყდებოდა. მერე საკონსულოს ფანჯრებს რომ აღებდნენ, მოთქმასა და ტირილს ყვირილი და ღრიალი ცვლიდა, რადგან პასპორტებს პირდაპირ ფანჯრებიდან ყრიდნენ გარეთ და მაშინ ჰაერში გაწვდილი ხელების ტყე აღიმართებოდა ხოლმე!

ამ დროს, ტავერნაში დარჩენილი ორი ქალისგან, შედარებით ლამაზი, ნელ-ნელა, მთქნარებით მოგვიახლოვდა.

- რა უცნაური ხალხი ხართ. ლაპარაკით არ იღლებით, ჩვენ კი უკვე გვეძინება. დროს ტარებას კიდევ თუ აპირებთ, ქალაქში ყველა ტავერნა ჯერ ისევ ღიაა.

ქალმა კარი გამოაღო და ნათელი დილა ხმაურით შემოიჭრა შიგნით. მზე უკვე ამოსულიყო. მერე კარი ისევ მიხურა. საათზე დავიხედე.

- გემი დღეს არ გავა, - მითხრა შვარცმა. - მისი გასვლა ხვალ საღამოსთვის გადაიდო.

მიხვდა, რომ არ მჯეროდა მისი.

- სადმე წავიდეთ! - მითხრა მერე.

წყნარი ტავერნის შემდეგ, ქუჩის ხმაური, უეცრად აუტანელი მომეჩვენა. შვარცი შეჩერდა.

- აი, ხედავთ, როგორ ნავარდობენ და გნიასობენ?! - მითხრა მან და ბავშვების ჯგუფს მიაჩერდა, თევზით სავსე კალათებს რომ მიათრევდნენ. - ცხოვრება ისე გრძელდება, ვითომც არავინ დაჰკლებია ამ ქვეყანას!

პორტისკენ დავეშვით. ძლიერი, ცივი ქარი ქროდა, ზღვა ღელავდა, იალქნები ირხეოდა და სითბოგამოლეული მზე პირქუშად ანათებდა. ადამიანები დილაადრიან ჩაბმულიყვნენ შრომის ფერხულში, ჩვენ კი ამ ფერხულში ხმელი ფოთლებივით მივფარფატებდით სადღაც.

- ჩემი არ გჯერათ, რომ გემი მხოლოდ ხვალ გადის, ხომ? - მკითხა შვარცმა. დღის კაშკაშა სინათლეზე დაღლილი და განადგურებული ჩანდა.

- ვერ დავიჯერებ, რადგან მანამდე მითხარით, რომ გემი დღეს გავიდოდა, - მივუგე მე. - წავიდეთ და ვიკითხოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ უეცრად ყველაფერმა აზრი დაკარგა.

აღარაფერი ვუთხარი და გზა გავაგრძელე. მოულოდნელად საშინელმა მოუთმენლობამ შემიპყრო. წინ მოტორტმანე, მშფოთვარე ცხოვრება მიხმობდა. ღამე გავიდა. რაღად მჭირდებოდა ლანდებთან ლაციცი?

სანაოსნო ფირმასთან შევჩერდით, რომელიც რეკლამებით იყო აჭრელებული. ფანჯარაში გამოდგმულ თეთრ აბრაზე კი ეწერა, რომ გემი ნავსადგურიდან ხვალ გავიდოდა.

- თავს დიდხანს აღარ შეგაწყენთ და სულ მალე დავამთავრებ ჩემს ამბავს, - მითხრა შვარცმა.

ამრიგად, ერთი დღე მოვიგე, მაგრამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ფირმის კარი მაინც მოვსინჯე. დაკეტილი იყო. ამ დროს შევნიშნე, რომ ათიოდე ადამიანი თვალს მადევნებდა. ემიგრანტები იყვნენ. სხვადასხვა მხრიდან გამოჩნდნენ და ცოტა მოშორებით გაჩერდნენ. მერე, როცა დაინახეს, რომ სახელური ჩამოვწიე და კარი დაკეტილი აღმოჩნდა, უკან გაბრუნდნენ და თავი ისე დაიჭირეს, ვითომ ვიტრინებს ათვალიერებდნენ.

- აი, ხომ ხედავთ, დრო ჯერ კიდევ გაქვთ, - მითხრა შვარცმა და შემომთავაზა, პორტში ყავა დავლიოთო.

მან სწრაფად დალია ცხელი ყავა და თითები ისე შემოხვია ფინჯანს, თითქოს გაეყინა და ითბობსო.

- რომელი საათია? - მკითხა მერე.

- რვის ნახევარია.

- ის ხალხი ერთ საათში, დიახ, ზუსტად ერთ საათში მოვა! - წაიჩურჩულა მან და ზევით აიხედა, - რაღაც ტრაგედიის მოყოლას ნამდვილად არ ვაპირებდი თქვენთვის. ჩემი ნაამბობიდან ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- არა.

- მაშინ მითხარით, რას ფიქრობთ იმაზე, რაც მოგიყევით?

ოდნავ შევყოყმანდი და ვუთხარი:

- ვფიქრობ, რომ თქვენგან სიყვარულის ამბავი მოვისმინე!

შვარცი უცბად გამოცოცხლდა.

- მადლობელი ვარ თქვენი! - მითხრა და თითქოს დამშვიდდა. - ჩვენი უბედურება ბიარიცში(საკურორტო ქალაქი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით, ატლანტიკის სანაპიროზე.) დაიწყო. გავიგე, რომ სან-ჟან დე ლიუზიდან პატარა გემი უნდა გასულიყო

ზღვაში, მაგრამ ტყუილი გამოდგა. პანსიონში რომ დავბრუნდი, ჰელენი იატაკზე ეგდო და სახე მთლად დამახინჯებოდა.

- კრუნჩხვები დამეწყო, მალე გამივლის,- წაიჩურჩულა მან. - მარტო დამტოვე!

- ახლავე ექიმს მოვიყვან!

- არ არის საჭირო! - ამოიხრიალა მან. - ახლავე გამივლის. წადი და ხუთ წუთში დაბრუნდი! გააკეთე, რასაც გეუბნები! არავითარი ექიმი არ მინდა. წადი, წადი! - შეჰყვირა ბოლოს. - ვიცი, რასაც ვამბობ, ათ წუთში დაბრუნდი! მერე შეგიძლია...

ჰელენმა უკვე ხელით მანიშნა, წადიო, რადგან ვეღარ ლაპარაკობდა, მაგრამ მის თვალებში ისეთი სულის შემძვრელი, დაუფარავი მუდარა დავინახე, რომ ოთახიდან გამოვედი. ერთხანს გარეთ ვიდექი და უაზროდ გავყურებდი ქუჩას. მერე ვიკითხე, ექიმის ნახვა სად შეიძლებოდა. მითხრეს, რომ ექიმი დიუბუა აქვე ახლოს ცხოვრობდა და მასთან გავიქეცი. მან ჩაიცვა და გამომყვა.

სახლში რომ შევედით, ჰელენი საწოლზე იწვა. სახე გაოფლიანებოდა, მაგრამ უფრო დამშვიდებული ჩანდა.

- ექიმი მაინც მოიყვანე, არა? - ისეთი გაქვავებული სახით მკითხა, თითქოს მისი მოსისხლე მტერი ვიყავი.

ექიმი დიუბუა ტორტმანით მიუახლოვდა მას.

- მე არაფერი მჭირს! - უთხრა ჰელენმა.

- ქალბატონო! - ღიმილით მიმართა მას დიუბუამ. - იქნებ ჯობდეს, ეს საქმე ექიმს მიანდოთ და მან დაადგინოს, რა გჭირთ?

დიუბუამ ჩანთა გახსნა და ინსტრუმენტები ამოიღო.

- მარტო დაგვტოვე! - მითხრა ჰელენმა.

ოთახიდან დაბნეული გამოვედი და ბანაკის ექიმის ნათქვამი გამახსენდა. ერთხანს ქუჩაში წინ და უკან დავბორიალებდი და

თან მოპირდაპირე მხარეს, ავტოფარეხის თავზე გამოკიდებულ აბრას შევყურებდი. მასზე გამოსახული, მსუქანი კაცი მიშლენის-(საბურავების მწარმოებელი ფრანგული ფირმა. უშვებს ასევე საგზაო რუკებს ავტომანქანებისთვის. ფირმა დაარსდა 1889 წელს.) რეზინის საბურავებს უკეთებდა რეკლამას და უეცრად მომეჩვენა, რომ იგი თეთრი, მცოცავი მატლების პირქუშ სიმბოლოდ იქცა. მერე გარაჟიდან ჩაქუჩის კაკუნი შემომესმა და წარმოვიდგინე, თითქოს ვიღაცა თუნუქის კუბოს ჩაქუჩს ურტყამდა. და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ საფრთხე უკვე კარგა ხანია ჩვენს მეგზურად ქცეულიყო და ამ საფრთხის ფონზე ჩვენი ცხოვრება ქარიშხლის წინ მზით განათებულ ტყეს დამსგავსებოდა.

ბოლოს და ბოლოს, დიუბუა სახლიდან გამოვიდა. მას მოკლე წვერი ჰქონდა, და როგორც ჩანს, კურორტის ექიმი იყო, აქაურ დამსვენებლებს ხველების საწინაღმდეგო, მარტივი წამლებით მკურნალობდა ან ნაბახუსევზე შველოდა. დიუბუა ტორტმანით გამოემართა ჩემკენ. ბიარიცში იმხანად მკვდარი საკურორტო სეზონი იყო და ვიფიქრე, რომ იგი ნებისმიერი ავადმყოფის ვიზიტით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.

- თქვენი მეუღლე... - წამოიწყო მან.

დაფეთებული მივჩერებოდი.

- რა ხდება ბოლოს და ბოლოს, დალახვროს ეშმაკმა! ან სიმართლე მითხარით ან საერთოდ გაჩუმდით! - ვუთხარი მერე.

ექიმს ოდნავ შესამჩნევმა, საოცრად ლამაზმა ღიმილმა ერთი წამით სულ შეუცვალა სახე. რეცეპტების წიგნაკი ამოიღო და გაკრული ხელით რაღაც დაწერა.

- აფთიაქში აი, ეს წამალი იყიდეთ! - მითხრა მერე. - წამალს რომ გამოიტანთ, რეცეპტი უკან გამოართვით, რადგან ხშირად დაგჭირდებათ. ეს რეცეპტზეც აღნიშნულია.

ფურცელი გამოვართვი.

- რა არის ეს? -ვკითხე მე.

- არაფერია ისეთი, რაც თქვენს მდგომარეობაში რამეს შეცვლის. და შეეგუეთ იმას, რომ ამას ვეღარაფრით უშველით.

- მაინც რა არის ეს? რა საიდუმლოა ასეთი? მინდა სიმართლე ვიცოდე!

დიუბუამ ამაზე პასუხი არ გამცა.

- საჭიროების შემთხვევაში, აფთიაქში მიხვალთ და წამალს იქ მოგცემენ, - მითხრა მერე.

- მითხარით, რა წამალია? - გავუმეორე შეკითხვა.

- ძლიერი დამამშვიდებელი საშუალებაა და მხოლოდ ექიმის რეცეპტით გაიცემა.

- რამდენი უნდა მოგართვათ? - ვკითხე ბოლოს.

- საჭირო არ არის! - მითხრა მან და ტორტმანით გაუყვა გზას, მერე ქუჩის კუთხეში ისევ შეჩერდა, შემობრუნდა და მომაძახა:

- წამალი ისეთ ადგილას დადეთ, რომ თქვენმა ცოლმა ადვილად მიაგნოს. თავად მას ნურაფერს ეტყვით. ისედაც ყველაფერი იცის. თქვენი ცოლი მართლაც საოცარი ქალია!

- ჰელენ! რას ნიშნავს ეს ყველაფერი? - ვკითხე მოგვიანებით, - ავად ხარ და რატომ არ გინდა ამაზე დამელაპარაკო?

- გთხოვ, ნუ მტანჯავ! - მითხრა მან მილეული ხმით. - დამაცადე, ჩემს ნებაზე ვიცხოვრო!

- არ გინდა ჩემთან ამაზე ლაპარაკი?

ჰელენმა უარის ნიშნად თავი გააქნია და მითხრა:

- სალაპარაკო არც არაფერია!

- ვერაფრით გიშველი?

- ვერა, ძვირფასო! ამჯერად უკვე ვეღარაფრით მიშველი! ეს რომ შეგეძლოს, განა თავად არ მოგმართავდი?!

- დეგას ერთი ნახატი კიდევ მაქვს. ბიარიცში მდიდარი ადამიანები ცხოვრობენ და ვინმე იყიდის. ფული გვექნება და საავადმყოფოში დაწვები.

- კი მაგრამ, რისთვის? იმისთვის, რომ იქვე დამაპატიმრონ? საავადმყოფოშიც ვერაფერს მიშველიან, დამიჯერე!

- ნუთუ ასე ცუდადაა საქმე?

ჰელენმა ისეთი ტანჯული და უიმედო თვალებით შემომხედა, რომ გავჩუმდი. გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მივსულიყავი დიუბუასთან და მისთვის წვრილად გამომეკითხა ყველაფერი.

შვარცი დადუმდა.

- თქვენს ცოლს კიბო ჰქონდა? - ვკითხე მე.

მან თავი დამიქნია.

- მიკვირს, ამაზე დიდი ხნის წინათ რომ არ ავიღე ეჭვი. ჰელენს შვეიცარიაში პირველი ოპერაცია რომ გაუკეთეს, მაშინ ექიმებს უთქვამთ, მეორე ოპერაციას კი გაგიკეთებთ, მაგრამ არ ვიცით, რა შედეგს გამოიღებსო. ნაოპერაციევი რომ იყო, ხომ ვიცოდი? მის მუცელზე ნაჭრილობევი ხომ ვნახე?! პროფესორს მისთვის სიმართლე არ დაუმალავს და ყველაფერი აუხსნია. ამრიგად, ჰელენს თავად უნდა გადაეწყვიტა, კიდევ რამდენიმე, უშედეგო ოპერაციაზე დათანხმებულიყო, თუ დარჩენილი, ხანმოკლე სიცოცხლე საავადმყოფოს გარეთ გაეტარებინა. პროფესორს უთქვამს, იმასაც ვერავინ გეტყვით, საავადმყოფოში დარჩენით რამდენად გაიხანგრძლივებთ სიცოცხლესო. ამიტომაც განუცხადებია ჰელენს ოპერაციებზე უარი.

- რატომ გიმალავდათ ამას?

- ჰელენი ავადმყოფობას ვერ იტანდა და ყველანაირად უგულებელყოფდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სიბინძურეში იყო ჩაფლული და მის სხეულში მატლები დაფუთფუთებდნენ.

ავადმყოფობა მისთვის რაღაც სლიპინა ცხოველი იყო, მის სხეულში რომ ჩაბუდებულიყო და იქ იზრდებოდა. ეგონა, ამას თუ მეტყოდა, შევიზიზღებდი. არ ვიცი, იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ავადმყოფობას მოერეოდა, თუ არაფრად ჩააგდებდა.

- ამაზე თქვენთან არასოდეს ულაპარაკია?

- არა, - მითხრა შვარცმა. - ჰელენი დიუბუას ელაპარაკა და მოგვიანებით სწორედ ის ვაიძულე, ყველაფერი მოეყოლა ჩემთვის. ექიმმა კიდევ მომცა წამლები და ამიხსნა, ტკივილები თანდათან ან გაუსაძლისი გახდება, ან შეიძლება ყველაფერი უტანჯველად და სწრაფადაც დამთავრდესო. ჰელენს ამ თემაზე ლაპარაკი საერთოდ არ უნდოდა; მემუქრებოდა, იცოდე, თავს მოვიკლავ, თუ არ შემეშვებიო. მერე კი მეც ისე მეჭირა თავი, თითქოს მეგონა, რომ მისი კრუნჩხვები სრულიად უწყინარი ხასიათისა იყო.

ბიარიცში აღარ დაგვედგომებოდა. ერთმანეთს ვატყუებდით, ჰელენი მე მადევნებდა თვალს, მე კი - მას. მაგრამ მალე ტყუილმა უჩვეულო ძალით იჩინა თავი და მოხდა ის, რისიც ყველაზე ძალიან მეშინოდა: მან თავდაპირველად დროის ცნება გაანადგურა. ჩვენთვის აღარ არსებობდა დროის დაყოფა კვირებად და თვეებად, ხოლო ის მცირე დრო, რომელიც კიდევ დაგვრჩენოდა, საოცრად გვაშინებდა და მინასავით გამჭვირვალე გამხდარიყო. ყველაფერს, რაც ამ ტყუილს წინ აღუდგებოდა, შიში აბრკოლებდა და ჩვენამდე აღარ უშვებდა. საშინელი სასოწარკვეთილება მიპყრობდა, როდესაც მძინარე ჰელენს ვაკვირდებოდი და ვხედავდი, ჩუმად რომ სუნთქავდა. მერე ხან მის სახეს, ხანაც ჩემს ჯანმრთელ ხელებს დავყურებდი და საკუთარ უმწეობას თითქოს კანით შევიგრძნობდი. ვიცოდი, რომ ამ უმწეობის გამო მასთან განშორებას ვერაფრით აღვუდგებოდი წინ. ჩემს ჯან-

მრთელ სისხლს არ შესწევდა ძალა, საყვარელი, სნეული ადამიანის სისხლი გადაერჩინა. ეს კი ისეთივე გაუგებარი და ამოუცნობი გრძნობაა, როგორიც - თავად სიკვდილი!

ახლა უკვე ერთი წამი ნიშნავდა ყველაფერს. ხვალინდელმა დღემ სადღაც შორეთში გადაინაცვლა. ჰელენი რომ იღვიძებდა, დღე მაშინ იწყებოდა, ხოლო, როდესაც ეძინა და მას გვერდით შევიგრძნობდი, ჩემში ერთმანეთს ენაცვლებოდა იმედი და უმწეობა; ამას ერთოდა ოცნებაში აგებული გეგმები, პრაგმატული სასწაულები და „დროებით ფლობისა“ თუ „თვალის დახუჭვის“ ფილოსოფია, რომელიც დღის შუქზე ქრებოდა და ნისლში იკარგებოდა.

აცივდა. დეგას ნახატი გასაყიდად დამქონდა, რომ ამერიკაში წასასვლელად საჭირო ფული მეშოვა, მაგრამ სოფლებში და პატარა ქალაქებში ვერ ვპოულობდი მყიდველებს, სურათში ასეთ თანხას რომ გადაიხდიდნენ. დროდადრო ისეთ ადგილებში გვიხდებოდა ცხოვრება, სადაც მუშაობა შეგვეძლო. მინდორში ვთოხნიდი და ვბარავდი, რადგან სამუშაოდ გული მერჩოდა. ამ საქმეში მარტონი არ ვიყავით. ვხედავდი, პროფესორები როგორ ჩეხდნენ შეშას, ოპერის მომღერლები კი ჭარხლის მოსავალს იღებდნენ. იქაური გლეხებიც ჩვეულებრივი გლეხები იყვნენ. ისინი იაფ მუშახელს ეძებდნენ, მერე კი მუშაობაში ზოგი ცოტა ფულს გვიხდიდა, ზოგიც საჭმელს გვაჭმევდა და იქვე ღამის გათევის ნებას გვაძლევდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, პანღურის კვრით რომ გამოგვაგდებდნენ ხოლმე. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა, მარსელში ჩავაღწიეთ. ყოფილხართ იქ?

- მარსელში ვინ არ ყოფილა! - ვუთხარი მე. - ეს ხომ ის ადგილი იყო, სადაც ჟანდარმებსა და გესტაპოს ადამიანებზე ნადი-

რობა ჰქონდათ გამართული და ემიგრანტებს საკონსულოების წინ კურდღლებივით იჭერდნენ.

- ერთხელ კინაღამ ჩვენც დაგვიჭირეს, - თქვა შვარცმა. - მაგრამ მარსელის პრეფექტი, უცხოელთა მომსახურების განყოფილებაში, ყველაფერს აკეთებდა ემიგრანტების გადასარჩენად. მე კი ისევ და ისევ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეშოვა ამერიკული ვიზა. რატომღაც მეგონა, რომ ამის შემდეგ კიბოც კი უკან დაიხევდა. ალბათ იცით, რომ ვიზას არავისზე გასცემდნენ, ვისი გვარიც ამერიკის რომელიმე ცნობილი ხელოვანის, მეცნიერის ან პიროვნების სიაში არ იყო შეტანილი. თითქოს განურჩევლად ყველას, საფრთხე არ გველოდა და ყველა ადამიანი ადამიანი არ იყო?! გამორჩეული და ჩვეულებრივი ადამიანების ამგვარად გამიჯვნისას, უნებურად ხედავდი შორეულ პარალელს იმ იდეასთან, რომლის თანახმადაც, ზეადამიანებსა და არასრულფასოვან ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ?!

- კი მაგრამ, მათ ხომ ყველას მიღება არ შეუძლიათ? - ვუთხარი მე.

- ასე ფიქრობთ? - მკითხა შვარცმა, მაგრამ არაფერი ვუპასუხე ან რა უნდა მეპასუხა? ახლა ჰოსაც და არასაც უკვე ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდა.

- უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, პირველ რიგში, ის გაუბედურებული ადამიანები მიეღოთ, რომლებსაც არც სახელი ჰქონდათ და არც რაიმე დამსახურება?

ისევ არაფერი ვუთხარი. შვარცს ორი ამერიკული ვიზა ჰქონდა და ვერ მივხვდი, მეტი რაღა უნდოდა? მშვენივრად იცოდა, რომ ამერიკა ვიზებს გასცემდა ყველაზე, ვისაც კი ვინმე თავდებად დაუდგებოდა, რომ იქ ჩასვლის შემდეგ, ეს ადამიანი სახელმწიფოს ტვირთად არ დააწვებოდა.

შვარცი თითქოს მიმიხვდა ფიქრს და მაშინვე მითხრა:

- ამერიკაში არავის ვიცნობ, მაგრამ ვიღაც უცნობის მისამართი მომცეს და მას ამ მისამართზე მივწერე ნიუ-იორკში. მერე სხვებსაც მივმართე და ჩვენი მდგომარეობა ავუწერე. ნაცნობმა ემიგრანტმა მითხრა, არასწორად მოიქეცი, არ უნდა მიგეწერა, რომ ჰელენი ავად არის, რადგან შეერთებული შტატები ავადმყოფებს არ იღებს, მით უფრო, უკურნებელი სენით დაავადებულებსო. ჰელენმა ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა, მაგრამ ამ ამბავს ისედაც ვერ დავუმალავდი, რადგან ფუტკრების გუნდივით მოზუზუნე მარსელში, ყველა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა.

იმ საღამოს მე და ჰელენი, კანებიერთან[39] ახლოს, ერთ-ერთ რესტორანში ვისხედით. ქარიანი ამინდი იყო. ხელი მთლად არ მქონდა ჩაქნეული და ვიმედოვნებდი, რომ ვიპოვიდი ვინმე გულმოწყალე ექიმს, რომელიც ჰელენის ჯანმრთელობის ცნობას მომცემდა. ამასობაში, ორივენი ისევ იმ თამაშს ვთამაშობდით, თითქოს არ ვიცოდი, რა სჭირდა ჰელენს და თან ამის ორივეს გვჯეროდა. მისი ბანაკის ქალაქის პრეფექტს მივწერე და ვთხოვე, დაედასტურებინა, რომ საფრთხეში ვიყავით. ერთი პატარა ოთახი ვიქირავეთ, მერე ბინადრობის ერთკვირიანი ნებართვა მივიღე და ღამის რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობაც დავიწყე არალეგალურად. ფული ჯერ კიდევ გვქონდა და დიუბუას რეცეპტით ერთი აფთიაქარისგან მორფის ათი ამპულა ვიყიდე. ამრიგად, ახლა რაც გვჭირდებოდა, ასე თუ ისე, გვქონდა.

---

[39] დიდი ქუჩა მარსელის ძველ უბანში.

რესტორანში, ფანჯარასთან ვისხედით და ქუჩას გავყურებ-დით. ახლა შეგვეძლო, ჩვენი თავისთვის ასეთი ფუფუნების უფ-ლება მიგვეცა, რადგან ერთი კვირის განმავლობაში დამალვა აღარ გვჭირდებოდა.

უეცრად ჰელენი საშინლად შეკრთა, ხელი ჩამჭიდა და სიბნე-ლეს მიაშტერდა.

- იქ გეორგი იყო! - წაიჩურჩულა მან.

- სად დაინახე?

- ეს-ესაა, ღია მანქანით ჩაიქროლა. არ შემშლია, ის იყო!

- ნამდვილად გეორგი იყო?

ჰელენმა თავი დამიქნია.

ამ კაცის მარსელში გამოჩენა წარმოუდგენლად მომეჩვენა და ქუჩაზე ჩავლილ მანქანებში ხალხს გაფაციცებით დავუწყე თვალიერება, მაგრამ ამაოდ. მაინც საშინლად ავღელდი.

- კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც მარსელში ჩამოვიდოდა? - ვკითხე ჰელენს, თუმცა მაშინვე გავიფიქრე, რომ გეორგი ამჟა-მად, მარსელის გარდა, სხვაგან არსად შეიძლებოდა ყოფილი-ყო, რადგან სწორედ აქ იყო საფრანგეთში მყოფი ემიგრანტების უკანასკნელი ნავსაყუდელი.

- აქედან უნდა წავიდეთ! - ვუთხარი ჰელენს.

- კი მაგრამ, სად?

- ესპანეთში.

- ესპანეთში ყოფნა ხომ უფრო სახიფათოა?

ხმები დადიოდა, რომ ესპანეთში გესტაპო ერთობ შინაურუ-ლად გრძნობდა თავს, ემიგრანტებს აპატიმრებდა და სამშობ-ლოში აბრუნებდა. მაგრამ იმხანად უამრავი ჭორი ვრცელდებო-და, ამიტომ ყველაფრის დაჯერება არ შეიძლებოდა.

გადავწყვიტე, ისევ ნაცადი გზით მევლო. ესპანურ სატრანზიტო ვიზას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდი, თუ პორტუგალიური ვიზა გქონდა. მისი მიღება კი იმაზე იყო დამოკიდებული, კიდევ რომელიმე სხვა ქვეყნის ვიზას თუ წარადგენდი. მერე ამას ყველაზე უცნაური, ბიუროკრატიული ხრიკიც დაემატა და საფრანგეთიდან გასვლის ვიზაც გახდა საჭირო.

ერთ საღამოს ბედმა გაგვიღიმა. რესტორანში ვიღაც ამერიკელი მოგვიახლოვდა და გამოგველაპარაკა. ცოტა ნასვამი იყო და ინგლისურის მცოდნე თანამოსაუბრეებს ეძებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს მაგიდას მოუჯდა და სასმელით გაგვიმასპინძლდა. ოცდახუთიოდე წლის იქნებოდა და გემის გასვლას ელოდებოდა, რომ ამერიკაში დაბრუნებულიყო.

- იქნებ ჩემთან ერთად წამოსულიყავით ამერიკაში? - შემოგვთავაზა მან.

ერთი წუთით ხმა ვეღარ ამოვიღე. ამ გულუბრყვილო ნათქვამმა ჩვენ შორის მაგიდა თითქოს ორად გააპო. ჩემ წინ სხვა პლანეტიდან ჩამოსული ადამიანი იჯდა და რაზეც ის ასე თავისუფლად ლაპარაკობდა, ჩვენთვის პლეადებივით[40] მიუწვდომელი იყო.

- იცით, ვიზები არა გვაქვს, - ვუთხარი ბოლოს.

- შეგიძლიათ, ხვალ აიღოთ. ჩვენი საკონსულო მარსელშია და იქ ძალიან სასიამოვნო ადამიანები მუშაობენ.

ამ „სასიამოვნო ადამიანებს“ კარგად ვიცნობდი. თავი ლამის ღმერთებად წარმოედგინათ და მარტო მათ მდივნებს რომ შეხ-

---

[40] პლეადები - ხარის თანავარსკვლავედის ცდომილები, რომლებიც 400 სინათლის წლით არიან დაშორებული დედამიწიდან.

ვედროდი, საათობით უნდა გეყურყუტა ქუჩაში. მოგვიანებით ნება დაგვრთეს, ამ შენობის სარდაფში მოგვეცადა, რადგან ქუჩაში ემიგრანტებს ხშირად გესტაპოს თანამშრომლები აპატიმრებდნენ.

- ხვალ საკონსულოში მეც წამოგყვებით, - მითხრა ამერიკელმა.

- კარგი, - მივუგე მე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ დავუჯერე.

- მაშინ, ხვალინდელი დღის სადღეგრძელო დავლიოთ!

სადღეგრძელო კი დავლიეთ, მაგრამ მისი გულუბრყვილო, უდარდელი სახის ატანა აღარ შემეძლო. იმ საღამოს ჰელენი საოცრად გულღია იყო და სიამოვნებით უსმენდა ამერიკელს, რომელიც ახლა, ამ ჩაბნელებულ ქალაქში, სინათლით გაკაშკაშებული ბროდვეის შესახებ ზღაპრულ ისტორიებს გვიყვებოდა. ვაკვირდებოდი ჰელენის სახის გამომეტყველებას, როდესაც ახალგაზრდა კაცი ამერიკელი მსახიობების სახელებს, ცნობილ სპექტაკლებს და ადგილებს ახსენებდა და იმ ხმაურიანი ქალაქის ამბებს გვიყვებოდა, რომელმაც არ იცოდა, რა იყო ომი. თავს საცოდავად ვგრძნობდი, მაგრამ მიხაროდა, რომ ჰელენი უსმენდა. აქამდე იგი ყველაფერს, რაც ამერიკასთან იყო დაკავშირებული, საოცრად გულგრილად და უგულისყუროდ ეკიდებოდა, ახლა კი ვხედავდი, სიგარეტის კვამლში, სახე ნელ-ნელა როგორ გამოუცოცხლდა. ჰელენი ამერიკელს შეჰპირდა, რომ მასთან ერთად ნახავდა ამერიკაში იმ სპექტაკლს, რომელსაც ახალგაზრდა კაცი განსაკუთრებით აქებდა. ვსვამდით და ვიცოდით, რომ დილისთვის ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანისთვის დავიწყებას მიეცემოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა. დილის ათ საათზე ამერიკელმა გამოგვიარა. ჰელენმა საკონსულოში წამოსვლა არ მოინდომა. მარ-

თალია, ნაბახუსევზე თავი მისკდებოდა, მაგრამ ამერიკელს მაინც გავყევი. გარეთ წვიმდა. საკონსულოსთან თავშეყრილ ემიგრანტებს რომ მივუახლოვდით, ჩემდა გასაოცრად, ბრბო ორად გაიყო და გაგვატარა. ამან ის სურათი გამახსენა, წითელი ზღვა ორად რომ გაიპო ფარაონისგან გამოქცეული ისრაელი ემიგრანტების წინაშე. ამერიკული მწვანე პასპორტი ზღაპრული ოქროს გასაღები იყო, ყველა კარს რომ აღებდა.

ამის შემდეგ წარმოუდგენელი რამ მოხდა. ამერიკელმა საქმის ვითარება შეიტყო და უბრალოდ, გამომიცხადა, რაკი თქვენი ამბავი ვიცი, გადავწყვიტე, თავდებად დაგიდგეთო. მისი ეს გადაწყვეტილება, ცოტა არ იყოს, უაზრობად მომეჩვენა. ძალიან ახალგაზრდა იყო და ვიფიქრე, რომ თავდები პირი ჩემზე ასაკით ცოტა უფროსი მაინც უნდა ყოფილიყო. საკონსულოში დაახლოებით ერთი საათი დავყავით. რამდენიმე კვირით ადრე ახსნა-განმარტებით ბარათში შევეცადე ამეწერა, რატომ ვიმყოფებოდით საფრთხეში მე და ჰელენი. მეორე და მესამე ბარათის გაგზავნის შემდეგ, შვეიცარიის მეშვეობით, მივიღე იმის დადასტურება, რომ ჯერ ერთი, ნამდვილად ვიმყოფებოდი გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში და მეორე, რომ გეორგი მე და ჰელენს ნამდვილად გვეძებდა, რათა გერმანიაში დავებრუნებინეთ. საკონსულოში ერთი კვირის შემდეგ დამიბარეს.

გარეთ რომ გამოვედით, ახალგაზრდა ამერიკელმა ხელი ჩამომართვა.

- რა კარგია, ერთმანეთს რომ შევხვდით, - მითხრა მან და საავიზიტო ბარათი ამოიღო, - ამერიკაში რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად დამირეკეთ!

მერე დამემშვიდობა და წასვლა დააპირა.

- რამე რომ მოხდეს და თქვენი დახმარება ისევ დამჭირდეს, როგორ მოვიქცე? - ვკითხე მე.

მას გაეცინა.

- კი მაგრამ, რაღა უნდა მოხდეს? ყველაფერი წესრიგშია! ამასთან, მამაჩემი საკმაოდ გავლენიანი კაცია. როგორც მითხრეს, ხვალ ორანში გემი გადის და მინდა, ამ გემზე მოვხვდე. ამერიკაში წასვლამდე ყველაფრის ნახვას ვცდილობ, თორემ, ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს აქ ჩამოსვლა?!

ამერიკელი წავიდა თუ არა, მაშინვე საკონსულოსთან მყოფი ემიგრანტები შემომეხვივნენ. ისინი მიხვდნენ, რაც ხდებოდა, და ახლა ამერიკელის ვინაობისა და მისამართის გაგება უნდოდათ, რომ მისთვის იმავე თხოვნით მიემართათ. როდესაც ვუთხარი, არ ვიცი, ეს კაცი მარსელში სად ცხოვრობს-მეთქი, ლანძღვა-გინება დამიწყეს. არადა, მართლა არ ვიცოდი. ბოლოს იძულებული გავხდი, მისი სავიზიტო ბარათი გამომეჩინა და ემიგრანტებმა ახალგაზრდა კაცის ამერიკული მისამართი ჩაიწერეს. მერე ვუთხარი, ამას აზრი არა ქვს, რადგან ის ხვალ ორანში მიდის-მეთქი, რაზეც მიპასუხეს, არა უშავს, მას გემთან დაველოდებითო. შინ დაბნეული ვბრუნდებოდი. ძალიან ვნანობდი, რომ მათ ამერიკელის სავიზიტო ბარათი ვაჩვენე და ამით ყველაფერი გავაფუჭე. მაგრამ ისეთ დღეში ჩამაგდეს, რომ სხვა გზა არ მქონდა. მერე კი, სახლს რომ მივუახლოვდი, ჩვენი მდგომარეობა მთლად უიმედო მომეჩვენა.

ჰელენს ეს ამბავი რომ მოვუყევი, გაიღიმა და იმ საღამოს საოცრად მშვიდი და კეთილგანწყობილი იყო. პატარა ოთახი, სადაც ახლა ვცხოვრობდით, ვიღაც ყოფილმა მდგმურმა მოგვაქირავა. ალბათ იცით, ემიგრანტები როგორ ცვლიდნენ ერთმანეთში ბინის მისამართებს. ოთახში, ჭერზე ჩამოკიდებულ გალიაში

მწვანე იადონი იჯდა და დაუღალავად გალობდა და მისი მოვლა-პატრონობაც ჩვენ გვევალებოდა. უცხო კატა, სახურავებზე რომ დაიზლაზნებოდა, დროდადრო ჩვენს ფანჯარასთან ჯდებოდა და ყვითელი თვალებით, ჯიქურ მიშტერებოდა იადონს. გარეთ ციოდა, მაგრამ ჰელენი ფანჯრებს ღიას ტოვებდა. ვხვდებოდი, რომ ტკივილები აწუხებდა და ჰაერი არ ჰყოფნიდა.

სახლში სიმშვიდემ გვიან ღამით დაისადგურა.

- ჩვენი პატარა სასახლე კიდევ გახსენდება ხოლმე? - მკითხა ჰელენმა.

- იცი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მის შესახებ ვიღაცის მონაყოლით ვიცი და იქ მე კი არა, ვიღაც სხვა იყო მაშინ.

ჰელენმა შემომხედა.

- ალბათ მართალი ხარ, - მითხრა მერე. - ნებისმიერ ადამიანში ხომ სრულიად განსხვავებული უამრავი პიროვნება არსებობს?! დროდადრო ისინი დამოუკიდებლად იწყებენ მოქმედებას და რაღაც პერიოდში ადამიანის მართვა შეუძლიათ. აი, მაშინ ისეთი ხდები, როგორსაც მანამდე არავინ გიცნობდა, მაგრამ მერე ისევ უბრუნდები საკუთარ თავს. როგორ გგონია, ასეა ეს? - დაჟინებით მკითხა ჰელენმა.

- არ ვიცი, ჩემში არასოდეს ყოფილან სხვა პიროვნებები და ყოველთვის მოსაწყენად ერთფეროვანი ადამიანი ვარ, - მივუგე მე.

ჰელენმა ჯიუტად გააქნია თავი.

- იცოდე, ძალიან ცდები! და მხოლოდ მოგვიანებით მიხვდები ამ შენს შეცდომას!

- ამას რატომ მეუბნები?

- დაივიწყე, რაც გითხარი! ახლა ჯერ ფანჯარასთან ჩასაფრებულ კატას და მერე იმ გულუბრყვილო მგალობელ იადონს დააკვირდი! ხედავ, რა ზარ-ზეიმი გაუმართავს მსხვერპლს?!

- ეგ კატა თავის სურვილს ვერასოდეს აისრულებს, რადგან ჩიტს გალიაში საფრთხე არ მოელის.

ჰელენს სიცილი აუტყდა.

- რა თქვი? გალიაში საფრთხე არ მოელისო? - გაიმეორა მან, - განა შეიძლება გალიაში ვინმე უსაფრთხოდ იყოს? - დასძინა მერე.

დილაადრიან დიასახლისის წივილ-კივილზე გაგვეღვიძა. სასწრაფოდ ჩავიცვი და გასაქცევად მოვემზადე, მაგრამ კარი რომ გამოვაღე, პოლიცია არსად ჩანდა.

- ამ სისხლს შეხედეთ! - შეჰკივლა დიასახლისმა, - ნუთუ საამისოდ სხვა ადგილი ვერ ნახა? რა საზიზღრობაა! ახლა პოლიციაც მოგვადგება! ახია ჩემზე! კეთილი გული მაქვს და ამით ყველა ბოროტად სარგებლობს! ამ ქალს ხუთი კვირის ქირა დარჩა გადასახდელი!

პირქუშად განათებულ, ვიწრო დერეფანში, მდგმურებს იმ ოთახთან მოეყარათ თავი, სადაც ცოტა ხნის წინ, სამოციოდე წლის ქალს თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე. მას მარცხენა ხელზე ვენები ჰქონდა გადაჭრილი.

- ექიმი გამოიძახეთ! - უთხრა დიასახლისს ფრანკფურტელმა ემიგრანტმა, გვარად ლახმანმა, რომელიც მარსელში კრიალოსნებითა და ხატებით ვაჭრობდა.

- ექიმი რაღას უშველის? ვერ ხედავთ, ქალი რამდენიმე საათის მკვდარია! - წუწუნით თქვა დიასახლისმა. - ახლა პოლიცია მოვა და რა მოხდება, თქვენც თუ ჩაგავლეს?! ისე, ღირსნი ხართ, რომ ყველანი დაგაპატიმრონ! თქვენისთანა ხალხი არ

უნდა შემომეშვა სახლში! ახლა ამ სისხლიან ლოგინს რაღა ვუ-ყო?

- ლოგინს ჩვენ მივხედავთ, - უთხრა ლახმანმა. - პოლიციის გამოძახება კი საჭირო არ არის!

- მერედა, ქირა? ქირას ვინ გადაიხდის?

- მაგ ფულს ჩვენ შეგიგროვებთ, - უთხრა დიასახლისს წითელ კიმონოში გამოწყობილმა, ხანდაზმულმა ქალმა. - გამოიჩინეთ გულმოწყალება! ასეთ დროს სად უნდა წავიდეთ?

- ძალიანაც გულმოწყალე ვიყავი, მაგრამ ამას ყველა ბოროტად იყენებდა. ნეტავ ამ ქალს რამე ნივთები თუ დარჩა? არა მგონია, რამე ჰქონდეს!

დიასახლისი ნივთების ძებნას შეუდგა. ერთადერთი ნათურა მკრთალად ანათებდა ოთახს. საწოლის ქვეშ ხელოვნური ტყავის იაფფასიანი ჩემოდანი იდგა. დიასახლისი საწოლის კიდესთან დაიხარა, სადაც სისხლი არ იყო მიცხებული და ჩემოდანი გამოათრია. ზოლიან, საშინაო ხალათში გახვეული სქელი გავა უკნიდან იმ უზარმაზარ, საძაგელ მწერს მიუგავდა, თავისი ნადავლის შესანსვლას რომ ლამობს.

- ცარიელია. ძონძები და გაცვეთილი ფეხსაცმელი ყრია შიგ მხოლოდ.

- აბა, აქ ნახეთ! - უთხრა მას ხანდაზმულმა ქალმა. ეს ლუცი ლიოვე იყო. შავ ბაზარზე ვაჭრობდა და თან ფაიფურის დამტვრეულ ჭურჭელს აწებებდა.

დიასახლისმა მას პატარა ზარდახშა გამოართვა და გახსნა. შიგ, ვარდისფერ ბამბაზე, წვრილი ძეწკვი და პატარა, ლალისთვლიანი ბეჭედი იდო.

- ვითომ, ოქროსია? - იკითხა ფაშფაშა დიასახლისმა. - რაღაც არა მგონია. ალბათ მოოქრული იქნება.

- არა, ოქროა! - უთხრა ლახმანმა.

- ოქრო რომ ყოფილიყო, ამ ნივთებს ქალი თავის მოკვლამდე გაყიდდა, - განაცხადა დიასახლისმა.

- ადამიანი თავს ყოველთვის იმის გამო არ იკლავს, რომ შია, - მშვიდად უთხრა მას ლახმანმა. - მერწმუნეთ, ოქროს ბეჭედია, ეს პატარა თვალი კი ლალია, და სულ ცოტა, შვიდი-რვა ათასი ფრანკი მაინც ეღირება!

- სისულელეს ნუ ამბობთ!

- თუ არ გჯერათ, შემიძლია, ამ ფასად თავად გაგიყიდოთ!

- ჰო, რომ თან კარგად გამაცუროთ, არა? ნურას უკაცრავად, ჩემო ძვირფასო! ეგ ოინი ჩემთან არ გაგივათ!

* * *

დიასახლისი იძულებული გახდა, პოლიცია გამოეძახებინა, რადგან ამას ვერსად გაექცეოდა. ემიგრანტები ამ დროს სახლში ვერ დარჩებოდნენ, ამიტომ ზოგი სავაჭროდ, სამუშაოს საძებნელად ან საკონსულოში წავიდა, ზოგმა კი იქვე ახლოს, ეკლესიას მიაშურა. იქ დაელოდებოდნენ, ვიდრე მათ ახალ ამბებს მსტოვარი აცნობებდა, რომელიც ქუჩის კუთხეში სათვალთვალოდ დაეყენებინათ. ეკლესია ყველაზე უსაფრთხო ადგილი იყო და იქ, სწორედ ამ დროს წირვა ტარდებოდა. გვერდით გასასვლელებში, აღსარების სკამებთან, შავოსან ქალებს მუხლი მოეყარათ და პატარა, პირქუშ ბორცვებს ჰგავდნენ. ირგვლივ ყველაფერი სანთლების შუქით იყო განათებული და ორგანის მოგუგუნე ხმები ისმოდა. მღვდელმა ზევით აღმართა სხივმოსილი ოქროს თასი, რომელშიც ქრისტეს სისხლი იყო. მაცხოვარი ხომ ქვეყნიერებას მხსნელად მოევლინა?! მაგრამ რას მივაღწიეთ ამით? მის თავგანწირვას შედეგად ჯვაროსნული ლაშქრობები, რელიგიური ფანატიზმი, ინკვიზიცია, ადამიანების წამება, „კუდიანების“ კოცონზე დაწვა და მწვალებელთა ხოცვა მოჰყვა. და ეს ყველაფერი მოყვასის სიყვარულის სახელით ხდებოდა!

- სადგურზე ხომ არ წავსულიყავით? - ვკითხე ჰელენს, - იქ, მოსაცდელ დარბაზში უფრო თბილა, ვიდრე ეკლესიაში.

- ერთი წუთით აქ დამელოდე!

იგი ამბიონთან მივიდა და დაიჩოქა. არ ვიცი, რას ლოცულობდა ან ლოცვით ვის რას შესთხოვდა, მაგრამ უეცრად, რატომღაც ის დღე გამახსენდა, ჰელენს ოსნაბრიუკის ტაძარში რომ ვეძებდი. მაშინ იქ ის ადამიანი ვიპოვე, რომელსაც არ ვიც-

ნობდი, თუმცა მერე ჩემთვის, დღითი დღე, ხან უცხო, ხანაც უფრო ახლობელი ხდებოდა. და აი, ახლაც, თითქოს იგივე მეორდებოდა, მაგრამ ამჯერად ვგრძნობდი, რომ ჰელენი ხელიდან მეცლებოდა და იმ უსახელო სივრცეში უნდა გადასულიყო, სადაც წყვდიადი და ამ წყვდიადისთვის ჩვეული, უცხო კანონები მეფობდა... ჰელენს იქ წასვლა არ სურდა და უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ახლა უკვე, მე რომ მეგონა, ისე აღარ მეკუთვნოდა; თუმცა, ვინ იცის, იქნება არც არასოდეს ყოფილა ჩემი?! ნეტავ ვინ მოიგონა უიმედო ილუზიის გამომხატველი, ფილისტერული გამოთქმა „ერთმანეთს ეკუთვნიან“? განა შეიძლება ვინმე ვინმეს ეკუთვნოდეს? ჰელენს ეგონა, როგორც თავად მეუბნებოდა, რომ ერთი წუთით, ერთი საათით ან ერთი ღამით მიბრუნდებოდა უკან, მე კი ამ დროს, თითქოს ბუღალტერი ვიყავი, რომელსაც ანგარიში კი არ უნდა წარმედგინა, არამედ უსიტყვოდ უნდა შევგუებოდი იმ აზრს, რომ ეს საყვარელი, დაბნეული, უბედური და განწირული არსება ჩემთვის ბედისწერად ქცეულიყო! ვიცი, რომ ამ მდგომარეობას უფრო იაფფასიანი, ზუსტი სახელებიც შეიძლება ვუწოდოთ. მაგრამ ისინი ალბათ სხვა ურთიერთობებს და იმ ადამიანებს უფრო წაადგებათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი ეგოისტური კანონები უფალმა აღთქმის დაფებზე ამოტვიფრა! მარტოსული ადამიანი თანამგზავრს დაეძებს და არ კითხულობს, ვინ არის ის. ვინც ეს არ იცის, ის მარტოსული არასოდეს ყოფილა და მხოლოდ სიმარტოვეში ყოფნა უხდებოდა.

- ახლა რაღას შესთხოვდი ღმერთს? - ვკითხე ჰელენს და მაშინვე ვინანე.

მან უცნაურად შემომხედა.

- ამერიკის ვიზას! - მითხრა მერე, მაგრამ ვიცოდი, რომ ტყუოდა.

ერთი წუთით ისიც გავიფიქრე, ალბათ პირიქით, ლოცულობდა, რომ ეს ვიზები არ მიგვეღო-მეთქი, რადგან ყოველთვის ვგრძნობდი მის ჩუმ წინააღმდეგობას ამ მოგზაურობის მიმართ.

- მითხარი, რა დაგრჩენია ამერიკაში? რატომ უნდა გავიქცეთ ასე შორს? - მკითხა მან ერთხელ ღამით. - იქიდან სხვა ამერიკას დაინახავ და იქ წასვლა მოგინდება. მერე კვლავ ახალი, შორეული ქვეყანა გამოჩნდება. ნუთუ ვერ ხვდები ამას?

ჰელენს არავითარი სიახლე აღარ სჭირდებოდა და ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. მის სხეულში ჩაბუდებულ სიკვდილს არსად წასვლის სურვილი აღარ ჰქონდა. იგი ჰელენს თითქოს ცოცხალ ძალასავით დაჰპატრონებოდა და აკვირდებოდა, რა ხდება იმ დროს, როდესაც ადამიანში ორგანოები და უჯრედები ერთმანეთის მიყოლებით გადაგვარდება და ნადგურდება. ახლა უკურნებელი სენი ჰელენს შემზარავი ნიღბებით ეთამაშებოდა, მე კი სასახლეში გატარებული დღეები მახსენდებოდა, საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილები, უწყინარ თამაშებში რომ ვიყავით ჩართულები. დროდადრო ვგრძნობდი, აელვარებული თვალებით, როგორ შემომყურებდა ადამიანი, რომელსაც ვძულდი. მერე მასში ხან უნუგეშო, ერთგულ ადამიანს ვხედავდი, ხან საოცრად გამბედავ მოთამაშეს, ხანაც ქალს, რომელიც მხოლოდ მწველ სურვილს და სასოწარკვეთას შეეპყრო, მერე კი ყოველთვის იმ ადამიანად გარდაისახებოდა, რომელსაც წყვდიადიდან, ჩემ გარდა, ვერავინ დააბრუნებდა უკან, ის კი, მარადიული განშორების შიშითა და ძრწოლით შეპყრობილი, ამისათვის უსაზღვროდ მადლიერი იყო ჩემი.

მალე მსტოვარი დაბრუნდა და გვაცნობა, პოლიცია წავიდაო.

- მუზეუმში უნდა წავსულიყავით, იქ კარგი გათბობაა, - თქვა ლახმანმა.

- განა აქ მუზეუმიც არის? - იკითხა წელში მოხრილმა, ახალგაზრდა ქალმა. მისი ქმარი ჟანდარმებმა თვე-ნახევრის წინ წაიყვანეს და ჯერაც არ ჩანდა.

- რა თქმა უნდა, არის.

უეცრად განსვენებული შვარცი გამახსენდა და ჰელენს ვკითხე:

- გინდა, მუზეუმში წავიდეთ?

- ახლა არა. მოდი, შინ დავბრუნდეთ!

არ მინდოდა, ჰელენს ერთხელ კიდევ ენახა მიცვალებული, მაგრამ შინ წასვლა ვერ გადავათქმევინე. უკან რომ დავბრუნდით, დიასახლისი დამშვიდებული დაგვხვდა. როგორც ჩანს, უკვე გაეგო ძეწკვის და ბეჭდის ფასი.

- საბრალო ქალი, მისი სახელიც კი არავინ იცის, - თქვა მან.

- საბუთები საერთოდ არ ჰქონდა?

- მხოლოდ ემიგრანტის მოწმობა ჰქონია. სანამ პოლიციელები მოვიდოდნენ, მდგმურებს ასანთის ღერით კენჭი უყრიათ და საბუთი იმ პატარა, ჟღალთმიან ქალს შეხვედრია.

- ჰო, რა თქმა უნდა, საბუთი არ ჰქონდა, რადგან ეს მიცვალებულს ხელს აძლევდა.

- ხომ არ ნახავდით მას? - მკითხა დიასახლისმა.

- არა, - მივუგე მე.

- მე მინდა მისი ნახვა, - უთხრა ჰელენმა.

მას გავყევი და ოთახში რომ შევედით, სისხლისგან უკვე დაწრეტილ მიცვალებულს ორი ემიგრანტი ქალი ბანდა. მერე, ფიცარივით რომ გადააბრუნეს, თმა იატაკამდე ჩამოეშალა.

- ახლავე გადით აქედან! - წაისისინა ერთ-ერთმა ქალმა.

ჰელენი დავტოვე და ოთახიდან გამოვედი. მის წასაყვანად რომ დავბრუნდი, დავინახე, რომ საწოლის თავთან მარტოდმარ-

ტო იდგა და მიცვალებულის მიტკალივით გაფითრებულ სახეს მისჩერებოდა, რომელსაც ცალი თვალი ნახევრად ღია დარჩენოდა.

- საკმარისია, ახლა წამოდი! - ვუთხარი ჰელენს.

- აი, თურმე როგორ გამოიყურება მიცვალებული! - წაიჩურჩულა მან, - სად დაკრძალავენ?

- არ ვიცი, ალბათ ღარიბთა სასაფლაოზე. თუ ამას ფული დასჭირდება, დიასახლისი შეაგროვებს.

ჰელენს აღარაფერი უთქვამს. ღია ფანჯრიდან ოთახში ცივი ქარი ქროდა.

- როდის დაკრძალავენ? - მკითხა ჰელენმა მერე.

- ხვალ ან ზეგ. მანამდე ალბათ გასაკვეთად წაიყვანენ.

- ეგ რაღა საჭიროა? არ სჯერათ, რომ თავი მოიკლა?

- არა, მაგაში ნამდვილად ვერ შეეპარებათ ეჭვი.

ქვევიდან დიასახლისი ამოვიდა.

- ხვალ პათანატომიის კლინიკაში გადაიყვანენ გასაკვეთად. ახალგაზრდა ექიმები ასეთ გვამებზე ოპერაციების გაკეთებას სწავლობენ. მიცვალებულისთვის ეს უკვე სულერთია და ამაში ფულსაც არავინ იხდის. ყავას ხომ არ ინებებთ?

- არა, - მიუგო ჰელენმა.

- მე კი უნდა დავლიო, - თქვა დიასახლისმა. - უცნაურია, ასე რატომ გვაღელვებს ხოლმე ვიღაცის სიკვდილი, თითქოს ყველანი სიკვდილის შვილები არ ვიყოთ.

- ჰო, ასეა, მაგრამ ამის დაჯერება არავის უნდა, - მიუგო ჰელენმა.

* * *

ღამით გამომეღვიძა. ჰელენი საწოლზე წამომჯდარიყო და გაფაციცებით რაღაცას აყურადებდა.

- ამ სუნს ვერ გრძნობ? - მკითხა მან.

- რა სუნს?

- აშკარად ვგრძნობ მიცვალებულის სუნს. ფანჯარა მიხურე!

- აქ არავითარი სუნი არ არის, ჰელენ! ეს ასე სწრაფად არ ხდება ხოლმე.

- მაშინ, მე რატომ ვგრძნობ ასე აშკარად?

- ალბათ დაფნის ფოთლების სუნია!

ემიგრანტებს მიცვალებულისთვის დაფნის ტოტები მოეტანათ და მის თავთან სანთელიც დაენთოთ.

- რაში სჭირდებოდა დაფნის ტოტები? ხვალ დაანაწევრებენ, მერე ნაწილებს ტაშტში ჩაყრიან და ცხოველების საკვებად გაჰ-ყიდიან.

- არა, ჰელენ! მიცვალებულის სხეულის ნაწილებით არავინ ვაჭრობს. გაკვეთილ გვამს წვავენ ან კრძალავენ, - შევეცადე ამეხსნა მისთვის და ხელი მხარზე მოვხვიე.

- არ მინდა, რომ ასე დამანაწევრონ! - მითხრა ჰელენმა და ჩემი ხელი მოიშორა.

- ამაზე რატომ ფიქრობ?

- შემპირდი, რომ ამას არ დაუშვებ! - მითხრა ისე, რომ ჩემი სიტყვები არ გაუგია.

- ამის დაპირება არცთუ ისე ძნელია!

- ფანჯარა მიხურე! ეს სუნი პირდაპირ ცხვირში მცემს.

წამოვდექი და ფანჯარა მივხურე. ქუჩა მთვარის შუქს გაენათებინა. ფანჯარასთან მოკალათებული კატა, დარაბის მიჯახუნებაზე, კრუტუნით წამოხტა და სადღაც გავარდა.

- ეს რა ხმა იყო? - იკითხა ჰელენმა ჩემ ზურგს უკან.

- კატას შეეშინდა და გაიქცა.

- აი, ხომ ხედავ, კატამაც კი იგრძნო ეს სუნი.

მისკენ შევტრიალდი.

- ჰელენ! ეგ კატა ყოველღამე აქ ზის და გალიიდან იადონის გამოფრენას ელოდება. ახლა შეეცადე, ისევ დაიძინო. ალბათ რაღაც დაგესიზმრა. იმ ოთახიდან ნამდვილად არავითარი სუნი არ გამოდის.

- მაშ, ეს სუნი მე ამდის?

გაოცებული მივაჩერდი.

- აქ სუნი არავის ასდის, ჰელენ! რაღაც გეჩვენება!

- ეს მიცვალებულის სუნი თუ არ არის, ესე იგი, მე ამდის. მორჩი ტყუილებს! - უეცრად მკაცრად მითხრა მან.

- ღმერთო ჩემო, ჰელენ! შეიგნე, რომ სუნი არავის ასდის. აქ მხოლოდ ნივრის სუნი თუ იგრძნობა, რესტორნიდან რომ ამოდის, - ვუთხარი მას, ოდეკოლონის პატარა ფლაკონი ავიღე (იმ-ხანად შავ ბაზარზე სწორედ ამით ვვაჭრობდი) და ოთახში მოვასხურე.

- აი, ახლა ჰაერი სუფთაა!

ჰელენი ისევ წელში გამართული იჯდა საწოლზე.

- აი, ხედავ? შენც მეთანხმები, თორემ ოდეკოლონს ოთახში არ მოასხურებდი.

- ეს თანხმობას არ ნიშნავს, ჰელენ! უბრალოდ, შენი დამშვიდება მინდოდა.

- დიახ, ვიცი, რასაც ფიქრობ. დარწმუნებული ხარ, რომ იმ მიცვალებულივით მეც ვყარვარ. ნნუ იტყუები, ამას უკვე კარგა ხანია ვხედავ შენს თვალებში. გგონია, ვერ ვგრძნობ, მალულად როგორ მაკვირდები ხოლმე? ვიცი, რომ გეზიზღები და ამას ყოველდღე ვხედავ და ვგრძნობ. ისიც ვიცი, რომ არ გჯერა, რასაც ექიმები გეუბნებიან. სამაგიეროდ, სხვა რამის გჯერა და გგონია, რომ ეს სუნი უნდა აიტანო, თუმცა ამ დროს გეზიზღები. რატომ არ გინდა, გულწრფელი იყო? რატომ არ აღიარებ ამას?

ერთხანს ჩუმად ვიდექი. მინდოდა, ყველაფერი ეთქვა და გული მოეოხებინა, მაგრამ ჰელენი დადუმდა.

ხელებს დაყრდნობოდა, რაღაც უცნაურად წინ გადახრილი იჯდა საწოლში და ვგრძნობდი, როგორ კანკალებდა. თვალები უზარმაზარ ფოსოებს მიუგავდა და ტუჩები მუქად ჰქონდა შეღებილი (აი, უკვე რამდენიმე დღეა, ძილის წინაც კი ასე იღებავდა ტუჩებს). იმწუთას დაჭრილ მხეცს წააგავდა, რომელიც ჩემზე თავდასხმისთვის ემზადებოდა.

ჰელენი დიდხანს ვერ დამშვიდდა. პირველ სართულზე ჩავედი, ერთ-ერთ მდგმურს, გვარად ბაუმს, კარზე მივუკაკუნე და მისგან ერთი ბოთლი კონიაკი ვიყიდე. მერე მთელი ღამე საწოლზე ვისხედით, კონიაკს ვსვამდით და ველოდებოდით, როდის გათენდებოდა. ცხედრის წასაღებად გამთენიისას მოსული მუშები ბრაგაბრუგით ამოვიდნენ კიბეზე, საკაცე ხმაურით გაატარეს ვიწრო დერეფანში და თხელი კედლებიდან შემოგვესმა, ამ დროს როგორ შაყირობდნენ. ერთ საათში კი მიცვალებულის ოთახში ახალი მდგმურები შესახლდნენ.

17

რამდენიმე დღე სამზარეულოს ნივთებით ვვაჭრობდი. ვყიდდი თუნუქის სახეხებს, ბოსტნეულის საჭრელებს და სხვა წვრილმანს, რასაც საეჭვო ჩემოდნით ტარება არ სჭირდებოდა. ორჯერ ჩვეულებრივზე ადრე რომ დავბრუნდი, ჰელენი შინ არ დამხვდა. ერთხანს ველოდე და, რომ აღარ გამოჩნდა, ავფორიაქდი. დიასახლისმა მითხრა, რამდენიმე საათის წინ ვიღაც კაცმა მოაკითხა და იმას გაჰყვა, რაც, არცთუ იშვიათად ხდებაო.

ჰელენი შინ გვიან საღამოს დაბრუნდა. უხასიათოდ იყო და ზედ არ მიყურებდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჩემი მხრიდან ძალიან უცნაური იქნებოდა, საერთოდ თუ გავჩუმდებოდი და არაფერს ვკითხავდი. ამიტომ მაინც ვკითხე:

- სად იყავი, ჰელენ?

- ვსეირნობდი, - მომიგო მან.

- ასეთ ამინდში?

- ჰო, სწორედ ასეთ ამინდში. კუდში ნუ დამდევ!

- კუდში არ დაგდევ! ვიფიქრე, პოლიციამ ხომ არ დააპატიმრა-მეთქი, და ძალიან შემეშინდა, - ვუთხარი მე.

ჰელენმა უკმეხად გაიცინა.

- პოლიცია ახლა უკვე ვეღარ დამიჭერს, - მითხრა მერე.

- ძალიან მინდა, მაგ სიტყვების მჯეროდეს.

ჰელენი სახეში შემომაჩერდა.

- ჩემს დაკითხვას თუ გააგრძელებ, ისევ წავალ! ვერ ვიტან, როცა ვიცი, რომ გამუდმებით მითვალთვალებენ. ნუთუ არ გესმის ეს? გარეთ შენობები არ დამსდევენ უკან და გამვლელებსაც

არ ვაინტერესებ. ისინი არაფერს მეკითხებიან და არ მითვალთვალებენ.

მივხვდი, რასაც გულისხმობდა. გარეთ მისი ავადმყოფობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამიტომ ჰელენი იქ თავს პაციენტად კი არა, ქალად გრძნობდა და სურდა, ასეთად დარჩენილიყო. ის სიცოცხლეს ებღაუჭებოდა, პაციენტად ყოფნა კი მისთვის ნელი სიკვდილის ტოლფასი იყო.

ღამღამობით ჰელენი ძილში ტიროდა, დილით კი აღარაფერი ახსოვდა. ასეთი ბუნდოვანება აუტანელი გამხდარიყო მისთვის და თითქოს შხამიანი ობობას ქსელივით შემოხვეოდა მის დამფრთხალ გულს. იმასაც ვხედავდი, რომ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს სულ უფრო ხშირად ხმარობდა. რჩევა ვკითხე ვინმე ლევისონს, რომელიც ადრე თურმე ექიმი იყო, ამჟამად კი ჰოროსკოპებით ვაჭრობდა. მან თითქმის გაიმეორა დიუბუას სიტყვები და მითხრა, უკვე ყველაფერი ძალიან დაგვიანებულია და ამას აღარაფერი ეშველებაო.

ამიერიდან ჰელენი შინ ძალიან ხშირად გვიან ბრუნდებოდა და ეტყობა, ეშინოდა, რომ რამეს ვკითხავდი, მაგრამ აღარაფერს ვეკითხებოდი. ერთხელ სახლში მარტო რომ ვიყავი, ვარდების თაიგული მოართვეს. ცოტა ხანში წავედი და რომ დავბრუნდი, თაიგული აღარ დამხვდა. მალე ჰელენმა სმა დაიწყო. რამდენიმე ნაცნობმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ეთქვა ჩემთვის, რომ იგი ბარში ნახეს, სადაც მარტო არ იყო. მე მუდმივად ამერიკის საკონსულოსთან ვიდექი, თუმცა მერე ნება დამრთეს, შიგ შევსულიყავი და დერეფანში დამეცადა. დღეები კი გადიოდა და საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

* * *

მერე ისე მოხდა, რომ დამიჭირეს. საკონსულოდან ოციოდე მეტრის დაშორებით, პოლიციამ მოულოდნელად ყველა ქუჩა გადაკეტა. შევეცადე, საკონსულოსთან მივსულიყავი, მაგრამ ჩემმა მოქმედებამ პოლიციის ყურადღება მიიპყრო. იცოდნენ, შენობაში თუ შევასწრებდი, ვეღარ დამიჭერდნენ. ამ დროს ლახმანი საკონსულოს კარებში გაუჩინარდა. ადგილიდან მოვწყდი და წინ გავიჭერი, მაგრამ ერთ-ერთმა ჟანდარმმა ფეხი დამიდო და მიწაზე გავიშხლართე.

- ეს ყმაწვილი ისე ჩქარობს, რომ ნამდვილად დასაჭერია! - ღიმილით თქვა ვიღაც სამოქალაქო ტიპმა. მერე საბუთები ყველას შეგვიმოწმეს და მხოლოდ ექვსნი დაგვაპატიმრეს. პოლიცია რომ წავიდა, სამოქალაქო ტიპებმა დახურულ, სატვირთო მანქანაში შეგვყარეს და ქალაქგარეთ სახლთან მიგვიყვანეს, ბაღში განმარტოებით რომ იდგა. ახლა ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს უნიჭო ფილმის შინაარსს გიყვებით, მაგრამ განა ბოლო ცხრა წელმა ნამდვილად უნიჭო, სისხლიანი ფილმივით არ ჩაიარა ჩვენ თვალწინ?! - თქვა შვარცმა.

- გესტაპოს ხალხი იყო? - ვკითხე მე.

შვარცმა თავი დამიქნია.

- დღესაც სასწაული მგონია, მანამდე რომ ვერ დამიჭირეს. ვიცოდი, რომ გეორგი ჩვენს ძებნას განაგრძობდა, მაგრამ ახლა ეს ახალგაზრდა გესტაპოელმა მას შემდეგ მაცნობა, რაც საბუთები ჩამომართვა. თან ამ დროს პირზე ღიმილი არ მოსცილებია. შემთხვევით, სხვა საბუთებთან ერთად, ჰელენის პასპორტიც თან მქონდა.

- ბოლოს და ბოლოს, ერთი ლიფსიტა დავიჭირეთ, - თქვა „ღიმილის ბიჭმა“. - სულ მალე მეორესაც ჩავიგდებთ ხელში. ამაში ეჭვი ხომ არ გეპარებათ, შვარც? - მკითხა მერე და სახეში გამარტყა.

მას ის ორი სამოქალაქო პირიც შეუერთდა და ტუჩებიდან სისხლი წამსკდა.

- იქნებ, პატივი დაგვდოთ და მისი მისამართი თავად გვაცნობოთ? - მკითხა „ღიმილის ბიჭმა“.

- მისამართი არ ვიცი. ჩემს ცოლს თავადაც ვეძებ. ერთი კვირის წინათ ვიჩხუბეთ და სახლიდან გაიქცა.

- როგორ თუ იჩხუბეთ?! ეს რა საზიზღრობაა! მაგისთვის უნდა დაისაჯო! - თქვა მან და ისევ გამარტყა სახეში.

- ეს ტიპი ხომ არ დაგვემუშავებინა, უფროსო? - ჰკითხა გესტაპოელმა, მის უკან რომ იდგა.

„ღიმილის ბიჭს“ სახე ისევ გაებადრა.

- მიოლერ! ახლა კი აუხსენით, რას ნიშნავს დამუშავება!

მიოლერმა ამიხსნა, რომ ტელეფონის ზონარს სარცხვინელზე გამომაბამდნენ და ისე მათრევდნენ.

- ამ მეთოდს ალბათ უკვე იცნობთ! ერთხელ ხომ იჯექით საკონცენტრაციო ბანაკში? - მკითხა „ღიმილის ბიჭმა“.

არა, ამ მეთოდს ჯერ არ ვიცნობდი.

- ჩემი გამოგონებაა, - თქვა მერე. - მაგრამ შეგვიძლია, საქმე უფრო გავამარტივოთ. ამიტომ მაგ თქვენს „საუნჯეს“ ზონრით ჯერ ისე მაგრად გაგიკრავთ, რომ სისხლი გაგიჩერდებათ, ერთ საათში კი თქვენი ღრიალი ქვეყანას შეძრავს. ჰოდა, თქვენმა ხმამ რომ არ შეგვაწუხოს, მაგ პირს ნახერხით ამოგიტენით.

„ღიმილის ბიჭს“ უცნაურად გამჭვირვალე, ცისფერი თვალები ჰქონდა.

- რომ იცოდეთ, რამდენი სასიამოვნო გამოგონება გვაქვს! - განაგრძო მან. - ვერც კი წარმოიდგენთ, სულ პატარა ცეცხლის დახმარებით, რა შედეგებს ვაღწევთ ხოლმე.

ორივე გესტაპოელს გაეცინა.

- ამ წვრილ, გავარვარებულ მავთულს ნელ-ნელა ყურებში ან ცხვირის ნესტოებში გაგიყრით; ჰოდა, ნაძირალავ, მინდა იცოდეთ, რომ ამას საოცრად მარჯვედ ვაკეთებთ. მაგრამ, ყველაზე მეტად მაინც ის მხიბლავს, რომ ამ ექსპერიმენტების დროს მთლიანად ჩვენს განკარგულებაში იქნებით!

მან ფეხზე მთელი ძალით დამაბიჯა და თან ისე ახლოს დამიდგა, რომ მისი სუნამოს სუნი ვიგრძენი. არ ვინძრეოდი. ვიცოდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო და კიდევ უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა, სიმამაცის რაიმე ნიშანს თუ გამოვავლენდი. ჩემს მტანჯველებს ამ სიმამაცის გატეხა უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებდა.

მერე ხელჯოხი ისეთი ძალით ჩამარტყეს, რომ იატაკზე კვნესით დავეცი, რასაც მათი სიცილი მოჰყვა.

- მიოლერ! ცოტა გაამხნევეთ ეს კაცი! - ნაზი ხმით უთხრა გესტაპოელს „ღიმილის ბიჭმა“.

მიოლერმა სიგარეტს მოუკიდა, ჩემ თავთან დაიხარა და ქუთუთოზე მომადო. ისეთი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს თვალში შანთი გამიყარეს. ის სამნი კი იდგნენ და იცინოდნენ.

- ახლა კი ადექი, ჩემო ბიჭუნავ! - მითხრა მოღიმარმა.

ფეხზე ძლივს წამოვბობღდი, ისევ საშინელი დარტყმა ვიგრძენი და წავბარბაცდი.

- ეს მხოლოდ ვარჯიშია, რომ გავხურდეთ, - ამიხსნა მან. - დრო კიდევ ბევრი გვაქვს. მთელი თქვენი ცხოვრება წინაა, შვარც! ისევ თუ მოიკატუნებთ თავს და იტყვით, რომ არაფერი

ი ცით, აი, მაშინ კი სასიამოვნოდ გაგაოცებთ, რადგან დაოთხილი ავარდებით ჰაერში!

- თავს არ ვიკატუნებ, - ვუთხარი მე. - გულით ავადმყოფი ვარ და თქვენს საქმიანობას ისევ თუ გააგრძელებთ, შეიძლება, შემდეგ ჯერზე, საერთოდ ვეღარ წამოვდგე ფეხზე.

„ღიმილის ბიჭი“ გესტაპოელებს მიუბრუნდა.

- ხედავთ, ეს ყმაწვილი გულით ავადმყოფიც ყოფილა! ვითომ უნდა დავუჯეროთ? - იკითხა მან და ისევ გამარტყა, თუმცა შევატყვე, რომ ჩემმა სიტყვებმა მაინც გაჭრა, რადგან იცოდა, რომ გეორგს მკვდარი არაფერში ვჭირდებოდი.

- მისამართი ჯერ ვერ გაიხსენე? - მკითხა მერე. - უმჯობესია, გაიხსენო, თორემ პირში კბილი რომ აღარ შეგრჩება, მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

- რაც არ ვიცი, რა უნდა გითხრათ?

- ხედავთ, რა მამაცი ბიჭი ყოფილა! ძალიან მომწონს, ოღონდ დასანანია, რომ მისი სიმამაცის მხილველი, ჩვენ გარდა, ვერასოდეს ვერავინ გახდება!

მერე კიდევ იმდენ ხანს მცემდა, სანამ თვითონაც ქანცი არ გაუწყდა. იატაკზე ვეგდე და ვცდილობდი, სახე და სარცხვინელი დარტყმებისგან როგორმე დამეცვა.

- ესეც ასე! ახლა ჩვენს ბიჭუნას სარდაფში ჩავამწყვდევთ, მერე კი ვივახშმებთ და ისევ თავიდან შევუდგებით საქმეს. ბედნიერ ღამეს გისურვებთ! - მითხრა მან ბოლოს.

მისი საქციელი არ გამკვირვებია. გოეთესთან და შილერთან ესეც ყველაფერი ფაუსტური კულტურის ნაწილი იყო და გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში უკვე შევიძინე ეს გამოცდილება. გესტაპოელებმა ზერელედ გამჩხრიკეს და ვერც საწამლავი მი-

პოვეს და ვერც შარვლის ტოტის ქობაში ჩაკერებული პატარა სამართებელი, რომელსაც საცობში ჩარჭობილს ვინახავდი.

სიბნელეში ვეგდე. საოცარია, რომ მსგავს სიტუაციაში სასოწარკვეთილება იმის გამო კი არ გიპყრობს, რომ იცი, რა საშინელება გელის, არამედ შენი თავისთვის ვერ გიპატიებია, რომ ასეთი სულელი აღმოჩნდი და მათ ჩაუვარდი ხელში.

ლახმანმა დამინახა, რომ საკონსულოსთან დამიჭირეს, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს გესტაპოს ხალხი იყო. იქ ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელ ამ პროცესში მხოლოდ ფრანგული პოლიცია მონაწილეობდა. მაგრამ საღამოს შინ რომ არ დავბრუნდებოდი, ჰელენი ალბათ პოლიციას მიაკითხავდა და იქ ეტყოდნენ, ვინ დამაპატიმრა. ის მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდებოდა აქ, მაგრამ ძალიან მეეჭვებოდა, რომ „ღიმილის ბიჭს“ ამდენი ხანი მოეცადა და ჩემი დაპატიმრების ამბავი გეორგისთვის არ ეცნობებინა, რომელიც თუ მარსელში იყო, იმ საღამოსვე დამკითხავდა.

გეორგი ნამდვილად მარსელში იყო და იმ საღამოს ჰელენს არ მოსჩვენებია. მოვიდა და დამკითხა. აამის მოყოლა აღარ მინდა. მერე კი იატაკზე გონებამიხდილი ვეგდე, თავზე წყალს მასხამდნენ და სარდაფში მიმათრევდნენ. იმ ყველაფრის ატანას კი, რაც ჩემს თავს ხდებოდა, მხოლოდ თან წამოღებული საწამლავი მაიძულებდა. საბედნიეროდ, გეორგს მოთმინება აღარ ეყო, რათა „ღიმილის ბიჭის“ დანაპირები წამების ნატიფი მეთოდები ჩემზე სრულად გამოეყენებინა, თუმცა თავისი სისასტიკით მას ტოლს არ უდებდა.

- იმ ღამეს გეორგი ერთხელ კიდევ მოვიდა ჩემთან, - თქვა შვარცმა. - ჩემ წინ სკამზე ჩამოჯდა და ფეხები გაფარჩხა. იმწუთას იგი ჩემთვის აბსოლუტურ ძალაუფლებას განასახიერებდა,

ჩვენ კი გვეგონა, რომ ამ სიმბოლოს უკვე დიდი ხნის წინათ, მეცხრამეტე საუკუნეში დავაღწიეთ თავი. თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც იქცა იგი მეოცე საუკუნის სიმბოლოდ! იმ დღეს გეორგის და „ღიმილის ბიჭის“ წყალობით ორგვარი ბოროტების მოწმე გავხდი. ერთი აბსოლუტური ბოროტების, ხოლო მეორე მძვინვარე ბოროტების გამოვლინება იყო. მაგრამ მათ შორის „ღიმილის ბიჭის“ ბოროტება ბევრად უფრო შემზარავი იყო, რადგან ის საკუთარი სიამოვნებისთვის აწამებდა, გეორგის ბოროტება კი საკუთარი ნების აღსრულებას ცდილობდა.

ამასობაში საკუთარი გეგმა შევიმუშავე და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, აქედან გავქცეულიყავი. ამიტომ გეორგს თავი მოვაჩვენე, თითქოს საბოლოოდ გამტეხეს და ვთხოვე, ოღონდაც ნუღარ მაწამებთ და მზად ვარ, ყველაფერი გითხრათ-მეთქი. მან იმ კაცის კმაყოფილი და თან ზიზღნარევი სიცილით გაიცინა, რომელიც მსგავს სიტუაციაში არასოდეს ყოფილა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ აქედან რომანის გმირივით გამარჯვებული გამოვა. ის კი არ იცოდა, რომ ასეთი ტიპები მსგავს სიტუაციებში ვერასოდეს იმარჯვებენ.

- დიახ, ერთხელ მეც ვნახე, რომ გესტაპოს ოფიცერი პატიმარს რკინის ჯაჭვით სცემდა, - ვუთხარი შვარცს. - მერე შემთხვევით ცერა თითი ჯაჭვით მიიჭეჭყა და საშინელი ღრიალი მორთო, ნაწამები პატიმარი კი ამ დროს ხმას არ იღებდა.

- გეორგმა წიხლი ამომარტყა და მითხრა, ახლა ისღა მაკლია, რაღაც პირობები წამომიყენოო.

- არავითარ პირობებს არ გიყენებთ! - მივუგე მე. - მაგრამ იცოდეთ, ჰელენს გერმანიაში თუ დააბრუნებთ ან ისევ გამოიქცევა, ან თავს მოიკლავს.

- სისულელეს ნუ როშავ! - ჩაიფრუტუნა გეორგმა.

- ჰელენს სიცოცხლე ნამდვილად აღარაფრად უღირს, - ვუთხარი მე. - იცის, რომ უკურნებელი სენი სჭირს, კიბო აქვს.

გეორგი მომაშტერდა.

- ტყუი, შე დამპალო! ჰელენს რაღაც ქალური დაავადება აწუხებს და არავითარი კიბო არა აქვს.

- მას კიბო აქვს. ციურიხში ოპერაცია რომ გაუკეთეს, მაშინ უთხრეს და მისთვის არც კი დაუმალავთ, რომ ოპერაცია უკვე დაგვიანებული იყო.

- ვინ უთხრა ეს?

- ქირურგმა, ვინც ოპერაცია გაუკეთა. ჰელენს თავად უნდოდა, სიმართლე სცოდნოდა.

- ვინ იყო ის ღორი? - დაიღრიალა გეორგმა. - ციხეში ამოვალპობ იმ ნაძირალას! ერთ წელიწადში შვეიცარიაც ჩვენი იქნება და მაშინ იმ არაკაცსაც ვუჩვენებ სეირს!

- ჰელენს ვთხოვე, გერმანიაში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამაზე უარი მითხრა, - ვუთხარი გეორგს. - ვფიქრობ, ახლა თუ ვეტყვი, რომ ერთმანეთს უნდა დავცილდეთ, უკან დაბრუნებაზე დათანხმდება!

- ნუ მაცინებ!

- ჰელენს ამას ისე ვეტყვი, რომ სამუდამოდ შემიძულებს!

შევამჩნიე, რომ გეორგმა ნელ-ნელა ტვინი აამუშავა. ხელებზე თავდაყრდნობილი, ჩუმად თვალს ვადევნებდი, თან ისე მინდოდა, მისთვის ჩემი ნება შთამეგონებინა, რომ წარბებს შორის ტკივილი ვიგრძენი.

- მაინც, როგორ აპირებ ამის თქმას? - მკითხა გეორგმა.

- ჰელენს ჰგონია, რომ, როგორც კი ვინმე მისი ავადმყოფობის ამბავს შეიტყობს, მაშინვე შეიზიზღებს. ამას თუ ვეტყვი, სამუდამოდ დამკარგავს.

გეორგი ჩაფიქრდა, მე კი შევეცადე, მის ფიქრებს კვალდაკვალ მივყოლოდი. მიხვდა, რომ ხელსაყრელი წინადადება შევთავაზე. ჰელენის მისამართს წამებით თუ გამომტყუებდა, საკუთარი და მას კიდევ უფრო მეტად შეიძულებდა. მაგრამ ჩემში ნაძირალას თუ დაინახავდა, მე შემიძულებდა, გეორგი კი მხსნელად მოევლინებოდა და ეტყოდა: „ხომ გაფრთხილებდი, მაგ ტიპის ნდობა არ შეიძლებოდაო?“

- ახლა სად ცხოვრობს ჰელენი? - მკითხა მან.

რაღაც სხვა მისამართი დავუსახელე.

- იმ სახლს რამდენიმე გასასვლელი აქვს. პოლიცია თუ მივა, ჰელენს შეუძლია სარდაფიდან ან სხვა გასასვლელიდან გაიქცეს. ამიტომ ჯობია მარტო მივიდე.

- მეც ხომ შემიძლია მივიდე?! - მითხრა გეორგმა.

- არა, მაგას ნუ იზამთ! ჰელენს ეგონება, რომ მომკალით. მას საწამლავი აქვს.

- ახლა რაღაცას ხიმანდრობ?!

მოთმინებით ველოდი, რას გადაწყვეტდა.

- ამის სანაცვლოდ რას მოითხოვ? - მკითხა მერე.

- აქედან გაქცევის საშუალება მომეცით!

გეორგმა წამით გაიღიმა და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მხეცმა ბასრი კბილები გამოაჩინა. მერე კი მივხვდი, რომ მას ხელიდან ვერასოდეს დავუძვრებოდი.

- კეთილი, ასე იყოს! - მითხრა ბოლოს. - ჩემთან ერთად წამოხვალ! ოღონდ იცოდე, რაიმე მზაკვრობა არ ჩაიდო გულში. ჰელენს ყველაფერს ჩემი თანდასწრებით ეტყვი!

თავი დავუქნიე.

- აბა, დროზე! ახლა ონკანთან მიდი და პირზე წყალი შეისხი! - მითხრა გეორგმა და ფეხზე წამოდგა.

* * *

- ეს კაცი თან მიმყავს, - უთხრა მან გესტაპოელს, რომელმაც მას სამხედრო სალამი მისცა და მანქანის კარი გაუღო.

- ჩემ გვერდით დაჯექი! - მიბრძანა გეორგმა, - გზა იცი?

- კანებიერის ქუჩიდან ვიცი, აქედან არა.

მანქანა ცივ, ქარიან ღამეში მიქროდა. ვიფიქრე, გეორგი სვლას რომ შეანელებს ან სადმე გაჩერდება, მანქანიდან გადავხტები-მეთქი, მაგრამ ჩემ მხარეს კარი ჩაეკეტა. ყვირილი რომ დამეწყო, ვიცოდი, მაინც ვერაფერს გავხდებოდი. აბა, ვინ გაბედავდა იმ ადამიანის დახმარებას, გერმანული მანქანიდან რომ ითხოვდა შველას?!

გარდა ამისა, სანამ ლიმუზინის ჩაკეტილი ფანჯრებიდან დაყვირებას მოვასწრებდი, გეორგი ძლიერი დარტყმით გონებას დამაკარგვინებდა.

- იმედია, სიმართლე მითხარი, - წაიბურტყუნა მან. - თუ მომატყუე, იცოდე, ტყავს გაგაძრობ და გაჩენის დღეს გაწყევლინებ!

მოხრილი ვიჯექი და წინ გადავვარდი, როდესაც გეორგმა მანქანა მოულოდნელად საზიდრის წინ დაამუხრუჭა, რომელიც სიბნელეში არ ჩანდა.

- გული არ წაგივიდეს, ლაჩარო! - შემომიღრინა გაბრაზებულმა.

- ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს, - ვუთხარი და ნელ-ნელა წელში გავიმართე.

- ნამდვილი ქალაჩუნა ხარ!

ამასობაში შარვლის ქობაზე ძაფები გამოვგლიჯე და მეორედ დამუხრუჭებისას იქ დამალულ სამართებელს ჩავავლე ხელი.

გეორგმა მანქანა მესამედ რომ დაამუხრუჭა, თავით საქარე მინას შევასკდი და სიბნელეში, შარვლის ტოტიდან სამართებელი გამოვაძვრე.

შვარცმა თავი ზევით ასწია და დავინახე, რომ შუბლზე ოფლმა დაასხა.

- ამ კაცს ვერასოდეს დავუსხლტებოდი ხელიდან, - თქვა მან. - თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

- ცხადია, მას თავს ვერ დააღწევდით, - მივუგე მე.

- ერთ-ერთ შესახვევს რომ მივუახლოვდით, მთელი ხმით შევძახე: - ფრთხილად! მარცხნივ გაუხვიეთ-მეთქი!

მოულოდნელ შეძახილზე გეორგი დაიბნა და ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. თავი ავტომატურად მარცხნივ შეატრიალა, დაამუხრუჭა და საჭეს ჩაებღაუჭა. დრო ვიხელთე, მისკენ შევტრიალდი და საცობში ჩარჭობილი პატარა სამართებელი პირდაპირ ყელში გამოვუსვი. გეორგმა ყელში იტაცა ხელი, მერე მარცხნივ გადაქანდა და მხრით საკეტს რომ მიეჯახა, კარი თავისით გაიღო. გეორგი გადავარდა, მანქანა კი ბუჩქებს შეეჯახა და გაჩერდა. მანქანიდან გადმოვხტი და დავინახე, რომ გეორგი სისხლისგან იცლებოდა და ხროტინებდა. ირგვლივ მიმოვიხედე, მერე სიჩუმეში რაღაც ხმა ჩამესმა; მივხვდი, რომ ძრავა გუგუნებდა და გამოვრთე. იმავე წუთში თითქოს ქარმა წამოუბერა, ყველაფერი ააშრიალა და ვიგრძენი, რომ ყურებში სისხლი მიდგაფუნებდა.

ერთხანს გეორგს ვაკვირდებოდი. მერე სამართებელს დავუწყე ძებნა. მანქანის კიბეზე რაღაც ბრჭყვიალებდა და ხელით რომ მოვსინჯე, სამართებელი აღმოჩნდა. ავიღე და იქვე გავჩერდი. მეშინოდა, გეორგი მოულოდნელად არ წამომხტარიყო. მაგრამ დავინახე, რომ მან ფეხები ერთი-ორჯერ გააფართხალა და მიყუჩდა. სამართებელი გადავაგდე, მერე ისევ ავიღე და მიწაში

ჩავფალი. მანქანის ფარები გამოვრთე და მივაყურადე. ირგვლივ სიჩუმე იყო და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სწრაფად უნდა მემოქმედა. სანამ მიპოვიდნენ, ყოველი წუთი ძვირფასი იყო ჩემთვის.

გეორგს ტანსაცმელი გავხადე და მისი ნივთები ერთად შევაგროვე, ცხედარი კი ბუჩქებში შევათრიე. ალბათ კარგა ხანს ვერ იპოვიდნენ და მისი ვინაობის დადგენასაც დრო დასჭირდებოდა. მერე კი, თუ ბედი გამიღიმებდა, ოქმში უბრალოდ ჩაწერდნენ, რომ უცნობის ცხედარი იპოვეს. მანქანა ჩავრთე და ვნახე, რომ მუშაობდა. ქუჩაზე გავიყვანე და იქვე მაღებინა. მანქანაში ჯიბის ფარანი ვიპოვე. კარი, ტყავის სავარძელი და კიბე სისხლით იყო დასვრილი, წყლის გუბეში გეორგის პერანგი დავასველე და ადვილად გავწმინდე. მერე ფარნის შუქზე მანქანას იმდენ ხანს ვათვალიერებდი, სანამ არ დავრწმუნდი, რომ სისხლის კვალი აღარსად ეტყობოდა. ხელები დავიბანე და მანქანაში ჩავჯექი. გეორგის ადგილზე ჯდომა ჩემთვის შემზარავი იყო. მეგონა, რომ საცაა სიბნელიდან წამოიმართებოდა და თავზე დამაცხრებოდა. სასწრაფოდ წამოვედი იქიდან.

* * *

მანქანა სახლთან მოშორებით, მეზობელ ქუჩაზე გავაჩერე. წვიმდა. მანქანიდან გადმოვედი, ქუჩა გადავჭერი და ღრმად ჩავისუნთქე. ვიგრძენი, რომ მთელი სხეული მტკიოდა. თევზის მაღაზიასთან გავჩერდი. ვიტრინის ვერცხლისფრად განათებულ, მუქ მინაში ბუნდოვნად დავინახე საკუთარი გასისხლიანებული და გასივებული სახე. ისევ ღრმად ჩავისუნთქე ცივი ჰაერი. აღარ მჯეროდა, რომ ჯერ კიდევ ნაშუადღევს ამ ადგილას ვიყავი, იმდენად დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ.

დიასახლისის ჯიხურს ჩუმად ჩავუარე. დავინახე, რომ მას უკვე ეძინა და ძილში რაღაცას ბუტბუტებდა, თუმცა ჩემი გვიან დაბრუნება ისედაც არ გაუკვირდებოდა. კიბეზე სწრაფად ავედი.

ჰელენი შინ არ დამხვდა. სინათლე ავანთე და ლოგინს და კარადას მივაჩერდი. იადონმა გაიღვიძა და გალობა დაიწყო. ფანჯარასთან გალურსულმა კატამ ალქაჯივით შემომანათა თვალები. ერთხანს ასე ვიდექი, მერე ლახმანის ოთახთან ფეხაკრეფით მივედი და კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. ლტოლვილებს საერთოდ ძალიან ფხიზელი ძილი აქვთ და მაშინვე გაეღვიძა.

- აჰ, ეს თქვენ ხართ? - მკითხა ლახმანმა, მერე სახეზე რომ შემომხედა, ხმა ვეღარ ამოიღო.

- ჩემს ცოლს უთხარით, რომ დამიჭირეს?

მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

- შინ არ დამხვდა და, რამდენადაც ვიცი, ერთი საათის წინაც ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

- მადლობა ღმერთს! - ვთქვი მე.

ლახმანს სახეზე შევატყვე, რომ გაიფიქრა, ეს კაცი ნამდვილად გაგიჟდაო.

- მადლობა ღმერთს! - გავიმეორე ისევ. - თუ ასეა, ნამდვილად არ დაუჭერიათ. ალბათ უბრალოდ სეირნობს.

- დიახ, ასე იქნება! - თქვა მან. - კი მაგრამ, თქვენ რა დაგემართათ? - მკითხა მერე.

- დაკითხვაზე წამიყვანეს და როგორღაც დავაღწიე თავი იქაურობას!

- პოლიციამ დაგიჭირათ?

- არა, გესტაპომ ჩამავლო. მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა. ახლა შედით და დაიძინეთ.

- გესტაპომ იცის, ახლა სადაც ხართ?

- როგორ გგონიათ, გესტაპომ ეგ რომ იცოდეს, ახლა აქ ვიქნებოდი? დილით ადრე წავალ აქედან.

- ერთი წუთი მოითმინეთ! - მითხრა მან და ოთახიდან რამდენიმე ხატი და კრიალოსანი გამომიტანა. - ეს წაიღეთ! ხანდახან სასწაულებს ახდენენ. ჰირში მათი დახმარებით გადაიპარა საზღვარზე. პირენეებში ძალიან ღვთისმოსავი ხალხი ცხოვრებს. ეს ნივთები კი თავად პაპმა აკურთხა!

- ნუთუ მართლა?

ლახმანს უცნაურად გაეღიმა.

- რაკი ამ ნივთებს ჩვენი ხსნა შეუძლიათ, მაშასადამე, ისინი თავად უფალმა აკურთხა. ნახვამდის, შვარც!

ჩემს ოთახში დავბრუნდი და ბარგის ჩალაგებას შევუდექი. იმ დოლს ვგავდი, გარედან რომ დაჭიმავენ, შიგნით კი ცარიელი რჩება და ახლა ამ საშინელ სიცარიელეს აშკარად ვგრძნობდი. ჰელენის უჯრაში წერილების დასტა აღმოვაჩინე; რომ დავხედე, მარსელის ფოსტაში „მოკითხვამდე“ მიღებული წერილები იყო

და პარიზში ნაყიდ, საღამოს კაბასთან ერთად, ისინიც მაშინვე ჰელენის ჩემოდანში ჩავდე. მერე ტაშტი წყლით გავავსე და ხელები ჩავყავი. დამწვარი ფრჩხილები საშინლად მტკიოდა და სუნთქვა მიჭირდა. სახლების სველ სახურავებს გავყურებდი და ფიქრის თავი საერთოდ აღარ მქონდა.

* * *

ბბოლოს, როგორც იქნა, ჰელენის ფეხის ხმა შემომესმა და მალე კარებში მიმქრალი, მშვენიერი ლანდივით თავადაც გამომეცხადა.

- აქ რას აკეთებ? რა გჭირს?

მან არაფერი იცოდა.

- ჰელენ! ახლავე უნდა წავიდეთ აქედან!

- გეორგი ნახე?

თავი დავუქნიე. გადავწყვიტე, მომხდარი მისთვის ძალიან მოკლედ მომეყოლა.

- მითხარი, რა მოხდა? - მკითხა შეშინებულმა და მომიახლოვდა.

- დამიჭირეს, მაგრამ გამოვიქეცი. ალბათ უკვე მეძებენ.

- აქედან უნდა წავიდეთ?

- ჰო, თანაც სასწრაფოდ!

- კი მაგრამ, სად?

- ესპანეთში.

- მაგას როგორ შევძლებთ?

- უნდა გავეცალოთ აქაურობას! მანქანით წავალთ. შეგიძლია სწრაფად მოემზადო?

- კი შემიძლია, - მითხრა ჰელენმა და წაბარბაცდა.

- ტკივილი გაწუხებს? - ვკითხე მე.

ჰელენმა თავი დააქნია, მე კი გულში ვიფიქრე, ნეტავ ვინ არის ეს უცხო ადამიანი, ახლა ჩემ წინ რომ დგას-მეთქი?

- წამალი კიდევ დაგრჩა? - ვკითხე მერე.

- რამდენიმე ამპულაღა მაქვს!

- არა უშავს, ვიშოვით!

- ცოტა ხნით გარეთ გადი! - მითხრა ჰელენმა.

ოთახიდან გამოვედი. დერეფნის გაყოლებით თითქმის ყველა ოდნავ შეღებულ კარში ლემურისთვალებიანი და პირმოღრეცილი, ციკლოპების მსგავსი სახეები გამოჩნდა. გრძელ, ნაცრისფერ ნიფხავში გამოწყობილმა ლახმანმა კალიასავით ამოირბინა კიბეზე და ნახევარი ბოთლი კონიაკი შემომაჩეჩა ხელში.

- ეს გამოგადგებათ. ძალიან მაგარი, ძველი კონიაკია, - წამჩურჩულა მერე.

იქვე მოვსვი დიდი ყლუპი.

- აი, ფული გამომართვით და ერთი ბოთლი კიდევ მომიტანეთ, - ვთხოვე მე.

გეორგის საფულეში ბლომად ფული აღმოჩნდა. ერთი წუთით ვიფიქრე, გადავაგდებ-მეთქი, მაგრამ ბოლოს მაინც წამოვიღე. გეორგს ჯიბეში ჩემი, ჰელენის და თავად მისი პასპორტებიც ვუპოვე, ტანსაცმელი კი ბოხჩად გამოვკარი, ქვა მოვაბი და ზღვაში გადავაგდე. მერე ფარნის შუქზე გეორგის პასპორტი დავათვალიერე, მანქანით გრეგორიუსთან წავედი, გავაღვიძე და ვთხოვე, გეორგის ფოტო ჩემი ფოტოთი შეეცვალა. თავდაპირველად ძალიან შეეშინდა და უარი მითხრა. მას ემიგრანტების პასპორტების გაყალბება ხელობად გაეხადა, ამ საქმეში საკუთარი თავი ღმერთზე უფრო სამართლიანად მიაჩნდა და დატრიალებული უბედურებების გამო მთელ პასუხისმგებლობას მას აკისრებდა. მაგრამ ამჯერად გრეგორიუსს ძალიან შეეშინდა, რადგან გესტაპოს მაღალი ოფიცრის პასპორტი არასოდეს ენახა. ავუხსენი, მხატვარივით, საკუთარი ხელისმოწერით ხომ არ ადასტურებთ ამ თქვენს ნახელავს, ამიტომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებს, დანარჩენზე კი პასუხს თავად ვაგებ-მეთქი.

- ჰო, მაგრამ, ხომ შეიძლება გაწამონ და ყველაფერი გათქმევინონ? - მითხრა მან.

გრეგორიუსს ჩემი ხელი ვაჩვენე და ვთხოვე, სახეზე შემოეხედა.

- ერთ საათში აქედან მივდივარ, - ვუთხარი მერე. - ემიგრანტი თუ ხარ და თან ასეთი სახე გაქვს, ათი კილომეტრის გავლასაც ვერ მოასწრებ, აუცილებლად დაგაკავებენ. მე კი საზღვარზე გადასვლას ვაპირებ და ეს ჩემი ბოლო შანსია. ახლა ჩემი პასპორტის ფოტო გადაიღეთ და გესტაპოელის პასპორტში ჩააკარით! ეეს რა დაჯდება? ფული მაქვს!

ggრეგორიუსი, როგორც იქნა, დავითანხმე.

ლახმანმა ერთი ბოთლი კონიაკი კიდევ მომიტანა. ოთახში რომ შევბრუნდი, ჰელენი გამოღებულ უჯრასთან იდგა, სადაც წერილები ჰქონდა შენახული. უჯრა მიხურა და სულ ახლოს მოვიდა ჩემთან.

- ამ დღეში გეორგმა ჩაგაგდო? - მკითხა მერე.

- ეს ურთიერთშეთანხმებით მოხდა, - მივუგე მე.

- წყეულიმც იყოს! - თქვა მან და ფანჯარასთან მივიდა.

ჰელენმა დარაბები გამოაღო, დამფრთხალი კატა განზე გახტა.

- წყეულიმც იყოს! - გაიმეორა მერე ისეთი სულისშემძვრელი და დამაჯერებელი ხმით, გეგონებოდა, რაღაც მისტიკურ რიტუალს ასრულებსო, - ეგ კაცი ჯოჯოხეთის ცეცხლში უნდა იწვოდეს!

მუშტად შეკრული ხელები დავუჭირე, ფანჯარას გამოვარიდე და ვუთხარი:

- აქედან ახლავე უნდა წავიდეთ!

კიბეზე ჩავედით. ემიგრანტები დერეფანში იდგნენ და ცნობისმოყვარე მზერით გვაცილებდნენ. ვიღაცამ უილაჯოდ დაგვიქნია ხელი და მომაძახა:

- შვარც! მაგ ზურგჩანთას ნუ წაიღებთ! ჟანდარმები გაფაციცებით ნადირობენ ზურგჩანთებზე! ხელოვნური ტყავის უბრალო ჩემოდანს მოგცემთ, ძალიან ლამაზია...

- მადლობელი ვარ, მაგრამ ახლა ჩემოდანი კი არა, იღბალი მჭირდება, - გავძახე მე.

- წარმატებას გისურვებთ!

ჰელენი ჩემ წინ მიდიოდა. უცბად შემომესმა, წვიმით გალუმპული ვიღაც მეძავი კართან როგორ ეუბნებოდა, ახლა სახლიდან გასვლას აზრი არა აქვს, წვიმამ კლიენტები დააფრთხოო. ეს კარგია, ქუჩაში ნაკლები ხალხი იქნება-მეთქი, გავიფიქრე.

მანქანის დანახვაზე ჰელენი შეკრთა.

- მოპარულია, - ვუთხარი მე. - აქედან რაც შეიძლება, შორს უნდა წავიდეთ. ჩაჯექი!

ჯერ ისევ ბნელოდა. წვიმა ღვარად ჩამოდიოდა საქარე მინაზე. მანქანაზე, გარედან, სადმე თუ კიდევ იყო დარჩენილი სისხლის კვალი, ახლა წვიმა ჩამორეცხავდა. გრეგორიუსის სახლიდან მოშორებით გავაჩერე მანქანა.

- გადმოდი და აი, აქ დამელოდე! - ვუთხარი ჰელენს და მაღაზიაზე ვანიშნე, რომლის ვიტრინაშიც სათევზაო აღჭურვილობა იყო გამოწყობილი.

- არ შეიძლება მანქანაში დაგელოდო?

- არა. რაიმე საეჭვოს თუ შეამჩნევ, თავი ისე დაიჭირე, ვითომ ვინმეს ელოდები. ახლავე დავბრუნდები.

გრეგორიუსმა პასპორტი მზად დამახვედრა და ეტყობოდა, რომ შიშის ნაცვლად, ახლა უკვე საკუთარი ხელოვნებით ამაყობდა.

- ამ უნიფორმამ საკმაოდ გამირთულა საქმე, - მითხრა მან. - თქვენ ხომ ფოტოზე პიჯაკი გაცვიათ? ჰოდა, ავდექი და ამ კაცს უბრალოდ თავი წავაცალე!

გრეგორიუსს გეორგის ფოტოზე თავი და ყელი ამოეჭრა, მისი უნიფორმა ჩემს ფოტოზე დაედო და მონტაჟი ფოტოაპარატით გადაეღო, მერე კი გამშრალი ასლი პასპორტში ჩაეკრა.

- ობერშტურმანფიურერო შვარც! ინებეთ თქვენი პასპორტი! - მითხრა მან ამაყად. - შტამპი, ასე თუ ისე, გამომივიდა. მაგრამ პასპორტს გულდასმით თუ შეამოწმებენ, ნამდვილიც რომ იყოს, მაინც ჩავარდებით. აი, თქვენს ძველ პასპორტს კი ხელუხლებლად გიბრუნებთ უკან.

გრეგორიუსმა ორივე პასპორტი და გეორგის ფოტოს ნარჩენი გადმომცა. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, ფოტო დავანაკუწე და გარეთ, წყლის ღარში ჩავყარე.

ჰელენი მაღაზიასთან მელოდებოდა. მანქანა წინასწარ შევამოწმე. ვიცოდი, რომ ბენზინის ავზი სავსე იყო და, საქმე თუ კარგად წავიდოდა, საწვავი საზღვარზე გადასასვლელადაც გვეყოფოდა. მერე ბედმა ისევ გამიღიმა და მანქანის უჯრაში საზღვრის ტრანზიტით გადაკვეთის ნებართვაც ვიპოვე. იგი ორჯერ უკვე გამოეყენებინათ, ამიტომ გადავწყვიტე, საზღვარი იმ ადგილას არ გადამეკვეთა, სადაც მანქანა უკვე ნამყოფი იყო. უჯრაში ასევე ხელთათმანები და ევროპის ავტოატლასიც აღმოვაჩინე.

მანქანა წვიმაში მიმყავდა. გათენებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. პერპინიანის მიმართულებით მივდიოდით და სანამ ინათებდა, მინდოდა, გზატკეცილით მევლო.

- არ გინდა საჭესთან დავჯდე? - მკითხა ჰელენმა ბოლოს. - მაგ ხელებით მანქანას როგორ მართავ?

- შეძლებ ტარებას? მთელი ღამე არ გიძინია.

- შენც არ გიძინია!

ჰელენს გავხედე. მშვიდი სახე ჰქონდა, მხნედ გამოიყურებოდა და მისი ასეთი განწყობა საგონებელში მაგდებდა.

- ერთი ყლუპი კონიაკი არ გინდა? - ვკითხე მე.

- არა. ისეთ ადგილას გავჩერდეთ, სადაც ყავის დალევა შეიძლება, - მითხრა მან.

- ლახმანმა ერთი ბოთლი კონიაკი კიდევ მომიტანა, - ვუთხარი და პალტოს ჯიბიდან კონიაკის ბოთლი ამოვიღე. ჰელენმა უარის ნიშნად თავი გააქნია. მას ნემსი ჰქონდა გაკეთებული.

- მოგვიანებით დავლევ, - მითხრა საოცრად ნაზი ხმით. - შეეცადე, დაიძინო. საჭესთან შევენაცვლოთ ხოლმე ერთმანეთს.

ჰელენს მანქანა ჩემზე უკეთესად დაჰყავდა. ცოტა ხანში შემომესმა, რომ რაღაცას ღიღინებდა. საშინლად დაძაბული ვიყავი. ყურში ძრავის ხმა და ჰელენის ჩუმი ღიღინი ჩამესმოდა და ნელ-ნელა ძილი მომერია. ვიცოდი, რომ უნდა დამეძინა, მაგრამ ისევ და ისევ ვბორგავდი. ლანდშაფტი ნაცრისფერი იყო, მივქროდით და იმაზე აღარ ვფიქრობდით, რომ წესს ვარღვევდით და აქ ანთებული ფარებით მოძრაობა აკრძალული იყო.

- ის ხომ მოკალი? - მოულოდნელად მკითხა ჰელენმა.

- ჰო, მოვკალი.

- ეს აუცილებელი იყო?

- ჰო.

არ გავჩერებულვართ. გზას გავყურებდი და ფიქრები მეერეოდა. მერე უცებ კისერი მომწყდა და გავითიშე. რომ გამეღვი-

ძა, წვიმას უკვე გადაეღო და გათენებულიყო. ყურში ისევ ჩამესმა ძრავის ხმა. ჰელენი საჭესთან იჯდა და ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საერთოდ ყველაფერი დამესიზმრა.

- ის, რაც გითხარი, სიმართლე არ არის! - ვუთხარი ჰელენს ჩურჩულით.

- ვიცი, - მომიგო მან.

- ვიღაც სხვა კაცი მოვკალი!

- ვიცი, - გაიმეორა ისე, რომ ჩემკენ არ გამოუხედავს.

18

სანამ საზღვრამდე მივიდოდით, მინდოდა, რომელიმე დიდ ქალაქში ჰელენისთვის ესპანეთის ვიზა ამეღო. საკონსულოს წინ უამრავი ხალხი ირეოდა. დიდად სარისკო საქციელი იყო, რადგან, სავარაუდოდ, გეორგის მანქანას უკვე ეძებდნენ. თუმცა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. გეორგს ეს ვიზა პასპორტში უკვე ჰქონდა.

საკონსულოს ნელ-ნელა მივუახლოვდით მანქანით. გერმანული ნომრების დანახვაზე ხალხი შეჩოჩქოლდა, გზა დაგვითმო და გაგვატარა. რამდენიმე ემიგრანტმა გაქცევით უშველა თავს. სიძულვილის ხეივანი ნელა გავიარე და საკონსულოს შესასვლელთან გავჩერდი, მერე მორიგე ჟანდარმი სამხედრო წესით რომ მომესალმა, ცოტა არ იყოს, მეჩოთირა, სალამზე დაუდევრად ვუპასუხე და შესასვლელისკენ წავედი. ჟანდარმმა გზა დამითმო. როგორც ჩანს, მკვლელი უნდა იყო, რომ პატივისცემით მოგეპყრან-მეთქი, მწარედ გამკრა გულში.

საკონსულოში ჩემი პასპორტი როგორც კი წარვადგინე, ვიზა მაშინვე მომცეს. ვიცე-კონსულმა სახეზე შემომხედა. ჩემს ხელებს ვერ დაინახავდა, რადგან მანქანაში ხელთათმანები ჩავიცვი.

- ასეთია ხოლმე ომის და ხელჩართული ბრძოლის შედეგი, - ვუთხარი მე.

მან თანაგრძნობით დამიქნია თავი.

- ასეთი ბრძოლის წლები ჩვენც გამოვიარეთ. ჰაილ ჰიტლერ! ჩვენი კაუდილიოსავით,[41] ისიც დიდი ადამიანია!

გარეთ რომ გამოვედი, ახლომახლო კაციშვილი აღარ იყო. მანქანაში, უკანა სავარძელზე, თორმეტიოდე წლის ბიჭი იჯდა. სახეზე ცარიელი თვალები დარჩენოდა, პირზე ხელები აეფარებინა და ძალიან შეშინებული ჩანდა.

- ეს ბიჭი თან უნდა წავიყვანოთ! - მითხრა ჰელენმა.

- კი მაგრამ, რატომ?

- მის საბუთს ვადა ორ დღეში გასდის. თუ დაიჭერენ, ისევ გერმანიაში უკრავენ თავს.

უეცრად ვიგრძენი, რომ ზურგზე, პერანგის ქვეშ, ჭირის ოფლმა დამასხა. ჰელენმა მშვიდად შემომხედა.

- რაკი ერთ ადამიანს სიცოცხლე წავართვით, ახლა მეორის სიცოცხლე უნდა ვიხსნათ! - მითხრა მან ინგლისურად.

- რაიმე საბუთი გაქვს? - ვკითხე ბიჭს.

მან ბინადრობის ნებართვა გამომიწოდა. გამოვართვი და საკონსულოში შევბრუნდი. იქ ხელმეორედ შესვლა ძალიან გამიჭირდა; ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გარეთ მანქანა მთელი ხმით გაჰკიოდა თავის საიდუმლოს. მდივანს გულგრილად ვუთხარი, სულ აღარ გამახსენდა, საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, სამსახურებრივი ვიზაც რომ დამჭირდება-მეთქი. საკონსულოს თანამშრომელმა საბუთს რომ დახედა, სახტად დარჩა, მაგრამ მერე გამიღიმა, არაფერი შეიმჩნია და ვიზა მომცა.

მანქანაში ჩავჯექი. ისევ დავინახე ადამიანები, რომლებიც ირგვლივ იდგნენ და ამჯერად კიდევ უფრო მტრულად მიყურებ-

---

[41] ესპანეთის დიქტატორის ფრანკოს (1892-1975) ტიტული.

დნენ. როგროც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ბიჭი ბანაკში ჩასაბარებლად მიგვყავდა.

იმ ქალაქიდან რომ წამოვედით, რატომღაც გავიფიქრე, რომ ბედი მომავალშიც არ მიმტყუნებდა. საჭესთან ვიჯექი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ხელებზე ნელ-ნელა ცეცხლი მეკიდებოდა. მერე შიშმა ამიტანა, რომ ამას ვეღარ გავუძლებდი და იძულებული გავხდებოდი, მანქანა სადმე დამეტოვებინა, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, მერე რა უნდა მექნა. საშინელი ამინდი იყო და უკვე ისედაც დასუსტებული ჰელენი მთებში ოკრობოკრო ბილიკებით ნამდვილად ვერ ივლიდა. თანაც, მანქანის გარეშე, მტრულ გარემოცვაში სულიერ მხნეობასაც დავკარგავდით. საფრანგეთიდან გასვლის ნებართვა არც ერთს არ გვქონდა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს სიძნელე ფეხით კი არა, ძვირად ღირებული მანქანით გადაგველახა.

გზა გავაგრძელეთ. უჩვეულო დღე იყო. რატომღაც მომეჩვენა, თითქოს ორივე მხარეს უფსკრულს დაეღო ხახა, ჩვენ კი საბაგირო გზის კაბინაში ვისხედით და ვიწრო უღელტეხილის თავზე, ღრუბლებში სადღაც მივექანებოდით. უნებურად, ტუშით შესრულებული, ძველი ჩინური ნახატი გამახსენდა, რომელზეც მოგზაურები ასევე მთის მწვერვალებს, ღრუბლებსა და ჩანჩქერებს შორის მიიკვლევენ გზას.

ბიჭი მანქანაში, უკან მობუზული იჯდა და არ ინძრეოდა. სამი წლისა ყოფილა, მესამე რაიხის კულტურის მესვეურებმა ბაბუამისს თავი რომ გაუჩეხეს, მერე, შვიდი წლისას მამა ჩამოუხრჩვეს, ცხრა წლისას კი - დედა გაზით მოუწამლეს. ეს ბიჭუნა მართლაც რომ მეოცე საუკუნის პირმშო იყო! საბრალოს, საკონცენტრაციო ბანაკიდან როგორღაც მოუხერხებია გამოქცევა და ახლა მარტოდმარტო ცდილობდა საზღვარზე გადასვლას. თუ

დაიჭერდნენ, როგორც დეზერტირს, ისევ საკონცენტრაციო ბანაკში უკრავდნენ თავს, მერე კი ჩამოახრჩობდნენ. ბიჭი ახლა ლისაბონში აპირებდა წასვლას. წინასაღამოს, სანამ გაზის კამერაში შეიყვანდნენ, დედამისს უთქვამს, ლისაბონში წადი, იქ ბიძაშენი ცხოვრობს და მესაათედ მუშაობსო. მერე შვილისთვის უკანასკნელი რჩევები მიუცია და დაულოცავს.

* * *

აქამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. საფრანგეთის საზღვარზე ქვეყნიდან გასვლის ნებართვა ჩვენთვის არავის მოუკითხავს. მესაზღვრეებმა ჩემს პასპორტს უბრალოდ დახედეს, მერე, მანქანა რეგისტრაციაში რომ გავატარე, სამხედრო წესით დამემშვიდობნენ და შლაგბაუმი გამიხსნეს. მალე საფრანგეთი უკან მოვიტოვეთ. ცოტა ხანში უკვე აღტაცებული, ესპანელი მესაზღვრეები ათვალიერებდნენ გერმანულ მანქანას და ინტერესით მეკითხებოდნენ, რა სიჩქარეს ავითარებდა საათში. მათი ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილე, მერე თავადაც, მეოცნებე სახით, ამაყად დაიწყეს ლაპარაკი ცნობილ ესპანურ მანქანაზე, „ისპანო-სუიზაზე“. მეც ვუთხარი, ერთი ასეთი მყავდა-მეთქი და გაფრენილი წერო ავუწერე, მის რადიატორზე რომ არის ამოტვიფრული. მესაზღვრეები აღტაცებულნი მისმენდნენ. მერე ვკითხე, ბენზინის ჩასხმა სად შეიძლებოდა. მითხრეს, ესპანეთის მეგობრებისთვის ბენზინის სპეციალური ფონდი არსებობსო. რაკი პესეტები არ მქონდა, ფრანკები გადამიხურდავეს და ცოტა ხანში გულითადად დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მანქანაში სავარძლის საზურგეს მივეყრდენი და ბუნებას გავხედე. უღელტეხილი და ღრუბლები უეცრად სადღაც გაქრა და ჩვენ თვალწინ სრულიად უცხო ქვეყანა გადაიშალა, რომელიც ევროპას აღარ ჰგავდა. ამ მხარეში ეს-ესაა შემოვდგით ფეხი, მაგრამ საფრანგეთსა და ამ ქვეყანას თითქოს უფსკრული ყოფდა. ვუყურებდი ქუჩებს, სახედრებს, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს თუ ქვაღორღიან ლანდშაფტს და თავი აფრიკაში მეგონა. ვიგრძენი, რომ ეს პირენეებს მიღმა მდებარე,

ნამდვილი დასავლეთი იყო. მერე დავინახე, რომ ჰელენი ტიროდა.

- ახლა ხომ ხარ იქ, სადაც ასე გინდოდა ყოფნა?! - წაიჩურჩულა მან.

ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა უნდოდა. გაოგნებული ვიყავი და ვერ დამეჯერებინა, რომ ყველაფერმა ასე იოლად ჩაიარა. წლების შემდეგ, ახლა ისევ დავინახე, რას ნიშნავდა თავაზიანობა, კეთილი მისალმება და ღიმილი და გავიფიქრე, მაინცდამაინც კაცი უნდა მომეკლა, რომ ადამიანური მოპყრობა ისევ მეგრძნო-მეთქი?

- რატომ ტირი? - ვკითხე ჰელენს. - ჯერ ისევ საფრთხეში ვართ. ესპანეთი გესტაპოელებითაა სავსე. ამიტომ, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გავეცალოთ აქაურობას.

ის ღამე პატარა სოფელში გავათიეთ. ერთი კი ვიფიქრე, მანქანა აქ ხომ არ დამეტოვებინა და მატარებლით წავსულიყავით-- მეთქი, მაგრამ მალევე გადავიფიქრე. ესპანეთში ჩვენი ყოფნა უსაფრთხო არ იყო. ამიტომ, დროზე უნდა წავსულიყავით აქედან. ეს მანქანა ჩემთვის რაღაც ავბედით ავგაროზად ქცეულიყო. მისი ტექნიკური სრულყოფილების წყალობით ის შიშიც გამიქრა, მისი დანახვა რომ იწვევდა, და ვიცოდი, რომ იგი ძალიან მჭირდებოდა. ამიტომ ვცდილობდი, გეორგზე აღარ მეფიქრა. ეს ადამიანი ძალიან დიდხანს უქმნიდა საფრთხეს ჩემს სიცოცხლეს. ახლა ამქვეყნად უკვე აღარ იყო და მხოლოდ ამაზეღა შემეძლო ფიქრი. სამაგიეროდ, ჯერაც ცოცხალი „ღიმილის ბიჭი“ არ მავიწყდებოდა. მას შეეძლო ტელეფონით გაეცა ჩვენი დაჭერის ბრძანება და ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი ქვეყანა ვალდებული იყო, მკვლელი მეორე მხარისათვის მოთხოვნისთანავე

გადაეცა. ეს თავდაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა რომ იყო, ამის დამტკიცება იქ მომიწევდა, სადაც ეს მოხდა.

* * *

პორტუგალიის საზღვართან მეორე ღამით, გვიან ჩავაღწიეთ. ვიზები გზად ყოველგვარი გართულების გარეშე მივიღე. საზღვართან ჰელენი მანქანაში მელოდებოდა. ძრავა ჩართული დავტოვე. საფრთხე თუ შეიქმნებოდა, ჰელენი მაშინვე ჩემს შესახვედრად წამოვიდოდა, მე მანქანაში შევხტებოდი და პორტუგალიის საბაჟოსკენ გავქანდებოდით. იქ კი უკვე აღარაფერი გვემუქრებოდა. ეს პატარა სადგური იყო, და სანამ მესაზღვრეები სიბნელეში სროლას ატეხდნენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს გავიდოდით. მერე, პორტუგალიაში რაც მოხდებოდა, ეს უკვე მომავლის საქმე იყო.

საზღვარზე მშვიდობიანად გადავედით. ქარიანი ამინდი იყო. უნიფორმიანი მესაზღვრეები გოიას სურათიდან გადმოსულ ჯარისკაცებს ჰგავდნენ. ისინი სამხედრო წესით მოგვესალმნენ და გაგვატარეს. მერე პორტუგალიის სადგურშიც უპრობლემოდ შეგვიშვეს. ის-ის იყო მანქანა დავძარი, რომ ერთ-ერთი მესაზღვრე უკან სირბილით დაგვედევნა და დაგვიძახა, გაჩერდითო. სწრაფად მოვისაზრე, რომ გაქცევის შემთხვევაში, მეზობელ სადგურში მანქანას მაინც გააჩერებდნენ. ამიტომ გავჩერდი. შიშისგან სუნთქვაშეკრულები შევყურებდით, როგორ უახლოვდებოდა მესაზღვრე მანქანას.

- ტრანზიტის საბუთი ჩვენთან დაგრჩათ. უკან დაბრუნებისას ამის გარეშე როგორ აპირებდით საზღვრის გადაკვეთას?

- დიდ მადლობას მოგახსენებთ!

უკანა სავარძელზე ბიჭმა ხმამაღლა ამოისუნთქა. თავად კი ერთი წუთით ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს უწონადო ვიყავი.

- ახლა უკვე პორტუგალიაში ხარ! - ვუთხარი ბიჭს. მან ხელები ნელა მოიშორა სახიდან და სავარძლის საზურგეს პირველად მიეყრდნო. მანამდე, მთელი გზა, წინ გადმოხრილი, მობუზული იჯდა.

სოფლებს სწრაფად ჩავუქროლეთ. ძაღლების ყეფა ისმოდა. მჭედელს დილაადრიან ქურა გაეხურებინა და ცხენს ნალს აკრავდა. წვიმამ გადაიღო. რატომღაც ვერა და ვერ შევიგრძნობდი იმ ნანატრ თავისუფლებას, რომელსაც ამდენ ხანს ველოდი. ჰელენი მშვიდად იჯდა ჩემ გვერდით. მეგონა, სიხარულის განცდა მექნებოდა, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი.

ლისაბონიდან ამერიკის საელჩოს მარსელში ტელეფონით დავუკავშირდი. საკონსულოს თანამშრომელს ყველაფერი მოვუყევი, რაც გეორგის გამოჩენამდე მოხდა. მან მითხრა, იმედია, ახლა უკვე თავს უსაფრთხოდ გრძნობთო. მერე დამპირდა, თქვენს სახელზე ამერიკის ვიზა თუ მოვიდა, ლისაბონის საკონსულოში გადმოგიგზავნითო.

მანქანა, რომელმაც ამდენ ხანს დიდი სამსახური გაგვიწია, ახლა თავიდან უნდა მოგვეშორებინა.

- ადექი და გაყიდე! - მითხრა ჰელენმა.

- იქნებ აჯობებს, სადმე ზღვაში გადავაგდო?

- ამით არაფერი შეიცვლება. შენ კი ფული გჭირდება. ამიტომ, გაყიდე!

ჰელენი მართალი იყო. მანქანა ძალიან ადვილად გაიყიდებოდა. ერთმა ვაჭარმა მითხრა, განბაჟების ფულს გადავიხდი, მერე კი მანქანას შავად გადავღებავო. მას მანქანა გეორგის სა-

ბუთებით მივყიდე და ერთი კვირის შემდეგ იგი უკვე პორტუგალიური ნომრებით დავინახე. ლისაბონში უამრავი ასეთი მანქანა დადიოდა, მაგრამ ეს მარცხენა კართან ოდნავ მიჭყლეტილი ადგილით ვიცანი.

შვარცმა საათზე დაიხედა.

- მოსაყოლი ბევრი არაფერი დამრჩა. კვირაში ერთხელ საკონსულოში დავდიოდი. მანქანის გაყიდვის შემდეგ, რაკი ფული გამიჩნდა, მინდოდა, ჰელენისთვის საუკეთესო პირობები შემექმნა და ამიტომ ერთხანს სასტუმროში ვცხოვრობდით. მოვნახეთ ექიმი, რომელიც წამლის შოვნაში დაგვეხმარა. ჰელენი ერთხელ სამორინეშიც კი წავიყვანე. მან პარიზში ნაყიდი კაბა და ოქროსფერი ფეხსაცმელი ჩაიცვა, რომელიც ამ შემთხვევისთვის საგანგებოდ ვუყიდე, რადგან ზუსტად ასეთივე მარსელში დარჩენოდა. სამორინეში თუ გითამაშიათ? - მკითხა შვარცმა მერე.

- სამწუხაროდ, გუშინ საღამოს ვიყავი იქ და ძალიან ვნანობ, - მივუგე მე.

- მინდოდა, ჰელენს ეთამაშა და ის, მართლაც, ზედიზედ იგებდა, - თქვა შვარცმა. - თითქოს ისევ და ისევ რაღაც უჩვეულო იღბალი გვწყალობდა. ჩიპებს ალალბედზე აგდებდა და ნომრები ყოველ ჯერზე ემთხვეოდა.

ჩვენს ბოლო დღეებს ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო რეალობასთან. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ხელახლა დაიწყო ჩვენთვის სასახლეში გატარებული ცხოვრების ხანა. ერთმანეთს თითქოს რაღაც თამაშს ვეთამაშებოდით და პირველად ვიგრძენი, რომ ჰელენი მთლიანად მხოლოდ ახლა მეკუთვნოდა, თუმცა ვიცოდი, რომ მოღალატე სატრფოს მსგავსად, დღითი დღე ხელიდან მეცლებოდა. ჰელენს ჯერ საბოლოოდ არ დაეყარა ფარ--ხმალი, მაგრამ ბრძოლა აღარ უნდოდა. ამასთან, იყო მტანჯვე-

ლი ღამეები, როდესაც ტიროდა, მაგრამ მერე, თითქოსდა არა-ამქვეყნიური წამები დგებოდა. ამ დროს სინაზე, სასოწარკვეთა, სიბრძნე და სიყვარული სხეულის საზღვრებს ვეღარ იტევდა და უეცრად ისეთი ძალით გაცხადდებოდა ხოლმე, რომ სუნთქვა მეკვროდა.

- იცი, ძვირფასო, იმ აღთქმულ ქვეყანას, რომელსაც ასე ელოდები, ერთად ვერასოდეს ვნახავთ! - მითხრა ჰელენმა ერთხელ ღამით და ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ამაზე ჩამოაგდო სიტყვა.

ნაშუადღევს ჰელენი ექიმთან მივიყვანე და მაშინ უეცრად მეხივით დამატყდა თავს საშინელი მღელვარება. ასეთ მღელვარებას მხოლოდ ის გრძნობს, ვისაც არ ძალუძს, შეინარჩუნოს მისთვის საყვარელი არსება.

- ჰელენ, მითხარი, რას მივაღწიეთ ცხოვრებაში მე და შენ? - ვკითხე ჩამკვდარი ხმით.

ერთხანს დუმდა, მერე თავი გააქნია და გაიღიმა.

- რაც შეგვეძლო, ყველაფერს მივაღწიეთ! - მითხრა მერე, - მოდი, ეს ვიკმაროთ!

მერე, ერთ მშვენიერ დღეს საკონსულოში მივედი და იქ მითხრეს, დაუჯერებელი რამ მოხდა, თქვენს სახელზე ორ ვიზა მოვიდაო. გამეცინა და გავიფიქრე, რომ შეზარხოშებულ კაცთან შემთხვევითმა ნაცნობობამ გაჭრა იქ, სადაც ხვეწნა-მუდარა და უამრავი გაჭირვება ამაო გამოდგა. ეს ისტერიკული სიცილი იყო. დღესდღეობით ამქვეყნად ბევრი რამ არის სასაცილო! თუმცა მთავარია, სიცილის უნარი შეგწევდეს. განა ასე არ არის?

- მაგრამ სიცილსაც აქვს თავისი დასასრული, - ვუთხარი მე.

- იცით, საოცარი ის არის, რომ ბოლო დღეებში ძალიან ბევრს ვიცინოდით, - მომიგო შვარცმა. - ხშირად დავდიოდით ქა-

რისგან დაცულ ნავსადგურში. წყენამ გაგვიარა, ცრემლებიც თითქოს სადღაც გაქრა და მხოლოდ გამხელილი სევდა დარჩა, რომელიც ირონიულ და თან ნაღვლიან მხიარულებას უფრო ჰგავდა. პატარა ბინაში ვცხოვრობდით. მე კი რატომღაც ისევ და ისევ ბრმად ვყავდი შეპყრობილი ამერიკაში წასვლის სურვილს. ზღვაში გემები უკვე კარგა ხანია აღარ გადიოდა. ბოლოს ერთი გემი გამოჩნდა. დეგას უკანასკნელი ნახატი გავყიდე და სამგზავრო ბილეთები შევიძინე. ძალიან ბედნიერი ვიყავი და მეგონა, რომ გვეშველა. რატომღაც მჯეროდა, რომ ავადმყოფობისა და ყველაფრის მიუხედავად, ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღებოდა და სასწაულიც მოხდებოდა. მერე, გემის გასვლა რამდენიმე დღით გადაიდო. გუშინწინ ისევ მივედი სანაოსნო ფირმაში. იქ მითხრეს, რომ გემი ზღვაში დღეს გავიდოდა. ჰელენს ეს ამბავი ვაცნობე და საყიდლებზე გამოვედი. შინ რომ დავბრუნდი, მკვდარი დამხვდა. ოთახში ყველა სარკე ჩამსხვრეული იყო, დაფლეთილი საღამოს კაბა იატაკზე ეგდო, თავად ჰელენი კი საწოლზე იწვა.

თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ჰელენი ბინაში შემოსულმა ქურდებმა მოკლეს. მერე გესტაპოზე ავიღე ეჭვი, მაგრამ გესტაპო მე მეძებდა და ჩემს დაჭერას შეეცდებოდა. ჰელენი კი, რატომ უნდა მოეკლათ? ისევ ოთახს მოვავლე თვალი და მხოლოდ სარკის ნამსხვრევები და დაფლეთილი კაბა რომ დავინახე, უცებ ყველაფერს მივხვდი, გამახსენდა, ამას წინათ ჰელენს საწამლავზე რომ ვკითხე, მან კი მიპასუხა, აღარა მაქვს, დავკარგეო. ერთხანს უაზროდ ვიდექი, მერე წერილს დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. აი, ასე უსიტყვოდ წავიდა. ხვდებით, რას ნიშნავს ეს?

- დიახ, ვხვდები.

- მართლა ხვდებით? - გამიმეორა მან.

- დიახ, მაგრამ ვერ ვხვდები, რაღა უნდა მოეწერა თქვენთვის?

- რაღაც მაინც ხომ უნდა ეთქვა? აი, თუნდაც, რატომ ჩაიდინა ეს ან...

შვარცი დადუმდა. ის ალბათ სიყვარულის დამადასტურებელ, ბოლო სიტყვებს ან რაღაც ისეთს გულისხმობდა, თან რომ წაიღებდა თავის სიმარტოვეში. როგორც ჩანს, მას ყოფით პრობლემებთან გამკლავება შეეძლო, მაგრამ, რაც ახლა მის თავს ხდებოდა, ამაში ვერაფრით გარკვეულიყო.

- წერა რომ დაეწყო, ბოლოში ვერასოდეს გავიდოდა, - ვუთხარი შვარცს. - წერილი არ დაგიტოვათ, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ამით გაცილებით მეტი გითხრათ, ვიდრე ოდესმე სიტყვებით გეტყოდათ.

შვარცი ჩაფიქრდა.

- აი, სანაოსნო ფირმაში ის განცხადება ხომ ნახეთ, გემის გასვლა ერთი დღით რომ გადაიდო? - წაიჩურჩულა მერე. - ჰელენს ეს რომ სცოდნოდა, ერთ დღეს კიდევ იცოცხლებდა.

- არა მგონია.

- ჰელენს ამერიკაში წასვლა არ უნდოდა, ამიტომაც მოიქცა ასე, - თქვა შვარცმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

- იქნებ, ტკივილებს ვეღარ გაუძლო? - ვკითხე მორიდებით.

- არა, მაგის არ მჯერა, - მიპასუხა მან. - მაშ, რაღა გამგზავრების წინადღით ჩაიდინა ეს? იქნებ ეგონა, რომ რაკი ავად იყო, ამერიკაში არ შეუშვებდნენ?

- კი მაგრამ, რატომ არ გინდათ, სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს მიანდოთ, თავად გადაწყვიტოს, როდის აღარ უნდა მე-

ტის ატანა? - ვკითხე შვარცს. - ეს ხომ ის მცირედია, რისი გაკეთებაც ამ დროს შეგვიძლია?!

ის გაოცებული მომაჩერდა.

- ისედაც ბევრის ატანა მოუხდა, - ვუთხარი მერე. - მან თქვენი გულისთვის, დიახ, თქვენი გულისთვის, დიდ სატანჯველს გაუძლო, მერე კი ნახა, რომ საბოლოოდ გადარჩით და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა!

- ასე რომ არ დავბრმავებულიყავი და ამერიკაში წასვლა არ ამეჩემებინა, ეს ამბავი ხომ არ მოხდებოდა?

- ბატონო შვარც! - ვუთხარი ისევ. - ამით მის ავადმყოფობას ხომ არაფერი ეშველებოდა?!

მან უცნაურად გაიქნია თავი.

- აი, ხომ ხედავთ, ჰელენი აღარ არის, ყველაფერი კი ისე გამოიყურება, თითქოს ის არც არასოდეს ყოფილა, - წაიჩურჩულა მან.

ვუყურებდი და აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. შვარცმა კი განაგრძო:

- ვერ გამიგია, რა ჩავიდინე? მოვკალი თუ გავაბედნიერე ჰელენი? ნამდვილად ვუყვარდი თუ მხოლოდ ის მაშველი რგოლი ვიყავი მისთვის, საჭიროების შემთხვევაში რომ ჩაეჭიდებოდა ხოლმე? ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობ.

- განა აუცილებელია, ეს პასუხი იცოდეთ?

- არა, მაპატიეთ, - თქვა მან უეცრად მშვიდად. - არა მგონია, ამის ცოდნა მინდოდეს.

- ამაზე მხოლოდ ის პასუხი არსებობს, რომელსაც თვითონვე გასცემთ საკუთარ თავს.

- ჩემი ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ გამეგო, უაზროდ და უმიზნოდ ხომ არ ვიცხოვრე, და ჩემი ცხოვრება ერთი უვარგისი, რქებდადგმული კაცის ცხოვრება ხომ არ იყო...

- ეგ არ ვიცი, - ვუთხარი მე. - იქნებ ეს ქალისადმი სიყვარულით აღსავსე ცხოვრება იყო ან თუ გნებავთ, სულაც, წმინდანის ცხოვრება. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევთ მას? ასეთი იყო, მორჩა და გათავდა! განა ეს საკმარისი არ არის?

- დიახ, ასეა. მაგრამ ის ცხოვრება ამჟამადაც არსებობს?

- რა თქმა უნდა, ის მანამდე იარსებებს, სანამ თქვენ ცოცხალი იქნებით.

- ამ ცხოვრების შესახებ ახლა მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით და სხვამ არავინ, - წაიჩურჩულა შვარცმა და შემომაჩერდა. - ნუ დაივიწყებთ ამას. უკვალოდ არ უნდა გაქრეს და ვიღაცას უნდა ახსოვდეს ის! ამისთვის კი ჩვენ ორნიღა დავრჩით. საკუთარი თავის იმედი აღარ მაქვს, არადა, ეს ცხოვრება არ უნდა გაქრეს, ვიღაცის მოგონებაში მაინც უნდა გააგრძელოს არსებობა. ამ მხრივ კი, ყველაზე საიმედო ადამიანი თქვენ ხართ.

იმ წუთში რატომღაც საოცარმა უიმედობამ შემიპყრო. რას ცდილობდა ეს კაცი? უნდოდა, პასპორტთან ერთად, ჩემთვის თავისი წარსულიც გადმოებარებინა? ან იქნებ თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი?

- კი მაგრამ, თქვენში რატომ უნდა გაქრეს ეს ცხოვრება? სიცოცხლეს ხომ გააგრძელებთ? - ვკითხე მე.

- რა თქმა უნდა, თავს არ მოვიკლავ. ეს მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ის „ღიმილის ბიჭი“ გავიცანი და ვიცი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩემი გონება ამ მოგონებების განადგურებას შეეცდება და ნელ-ნელა იქამდე გადაღეჭავს, დააქუცმაცებს და გააყალბებს წარსულს, სანამ ის ცხოვრე-

ბის გასაგრძელებლად მისთვის ხელსაყრელი და უსაფრთხო არ გახდება. დღეს რაც მოგიყევით, რამდენიმე კვირის შემდეგ იმის მოყოლას უკვე ვეღარ შევძლებდი, ამიტომ მინდოდა, მოგესმინათ ჩემთვის. თქვენს გონებაში ეს ცხოვრება გაუყალბებელი დარჩება, რადგან თქვენთვის ის საფრთხეს არ წარმოადგენს. ჰოდა, სადღაც მაინც ხომ უნდა დარჩეს?! - თქვა მან უეცრად უიმედოდ, - ამიტომ მინდა, ვიღაცის გონებამ ეს ცხოვრება, სულ მცირე ხნით მაინც, ისეთი შემოინახოს, როგორიც ის სინამდვილეში იყო.

შვარცმა ჯიბიდან ორი პასპორტი ამოიღო და წინ დამიდო.

- ჰელენის პასპორტიც აქ არის. ახლა უკვე ბილეთებიც გაქვთ და ამერიკული ვიზებიც! - მან ნაღვლიანად გაიღიმა და დადუმდა.

პასპორტებს დავხედე, მერე თავს ძალა დავატანე და ვკითხე:

- ბატონო შვარც! ეს პასპორტი ნამდვილად აღარ გჭირდებათ?

- არა, მის მაგივრად შეგიძლიათ თქვენი პასპორტი მომცეთ. ალბათ საზღვარზე გადასვლის დროს, ერთი-ორი დღით დამჭირდება, - მითხრა შვარცმა.

გაოცებული მივაჩერდი.

- უცხოელთა ლეგიონში ემიგრანტებსაც იღებენ და პასპორტებს არ ითხოვენ. სანამ ამქვეყნად ჯერ კიდევ არსებობენ „ღიმილის ბიჭის“ მსგავსი ადამიანები, თავის მოკვლაზე ფიქრი დანაშაული იქნება. მისნაირ არაკაცებს სწორედაც რომ უნდა მიეზღოთ სამაგიერო!

ჩემი პასპორტი ჯიბიდან ამოვიღე და გადავეცი.

- მთელი გულით გიხდით მადლობას, ბატონო შვარც! - ვუთხარი მერე.

- ჰო, მართლა, პასპორტში ცოტა ფულიც დევს. ახლა თავად სულ ცოტაღა თუ დამჭირდება.

შვარცმა საათს დახედა.

- ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს თქვენთან! ჰელენს ნახევარ საათში გამოასვენებენ. ხომ არ წამომყვებოდით?

- რა თქმა უნდა.

შვარცმა ფული გადაიხადა და ხმაურიან დილაში გავედით.

ქვევით, ტეხოზე მოტორტმანე, თეთრი გემი მოჩანდა.

* * *

ოთახში შვარცის გვერდით ვიდექი. ჩამსხვრეული სარკეების ადგილზე სიცარიელე დარჩენილიყო, ნამსხვრევები კი მოეგავათ.

- გუშინდელი, ბოლო ღამე მასთან ერთად არ უნდა გამეტარებინა? - მკითხა შვარცმა.

- განა ისედაც სულ მასთან არ იყავით?!

კუბოში ჩვეულებრივი მიცვალებული იწვა და ქალის მშვიდი სახე არაფერს გამოხატავდა. მას უკვე აღარაფერი ეხებოდა და შვარციც, მეც და თავად ეს ქალიც, ისევე, როგორც ირგვლივ ყველაფერი, მის გარეშე არსებობდა. ახლა უკვე იმის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, როგორ გამოიყურებოდა იგი სიცოცხლეში. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ მწოლიარე ქანდაკებას ცოცხლად წარმოიდგენდა, შვარცი იყო. ის კი რატომღაც ფიქრობდა, რომ მეც შემეძლო, ეს ქალი ასეთად წარმომედგინა.

- აქ მას კიდევ აქვს... კიდევ ჰქონდა... - ენის ბორძიკით თქვა შვარცმა და უჯრიდან რამდენიმე წერილი ამოიღო, - თქვენ წაიღეთ! ისინი არ წამიკითხავს!

წერილები გამოვართვი და მათი კუბოში ჩადება დავაპირე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. შვარცს ახლა უკვე სჯეროდა, რომ მიცვალებული ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ მას ეკუთვნოდა. სხვების მოწერილ წერილებს ამ ქალთან უკვე არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა... მაგრამ ახლა შვარცს მათი საფლავში ჩაყოლება არ უნდოდა და მათ განადგურებასაც ვერ ბედავდა, რადგან ისინი ამ ქალის კუთვნილება იყო.

- ამ წერილებს უკვე არავითარი ღირებულება აღარ აქვს! - ვუთხარი მე.

- ვიცი, ჰელენმა მათ ერთხელ „ყავარჯნები“ უწოდა. საყრდენად სჭირდებოდა, რომ ჩემი ერთგული დარჩენილიყო, - მითხრა შვარცმა. - შეგიძლიათ ამის გაგება? ეს ხომ უაზრობაა...

- სულაც არა, - მივუგე და მერე ძალიან ფრთხილად, მთელი თანაგრძნობით დავსძინე. - კი მაგრამ, რატომ არ გინდათ, ბოლოს და ბოლოს, ეს ქალი მოასვენოთ! მას უყვარდით და ბოლომდე თქვენ გვერდით იყო, სანამ ძალა მთლიანად არ გამოეცალა.

შვარცმა თავი დამიკრა და იმ წუთში საშინლად უმწეო მომეჩვენა.

- მეც სწორედ ეს მინდოდა მცოდნოდა! - წაილუღლუღა მან.

ოთახში ჰაერი ჩაიხუთა, ბუზები ირეოდნენ და ჩამქრალი სანთლების და მიცვალებულის მძაფრი სუნი ვიგრძენი. გარეთ კი მზე ანათებდა. შვარცი თითქოს მიმიხვდა, რა გავიფიქრე.

- იცით, უცხო ქვეყანაში ძნელია გზის გაგნება, - მითხრა მან, - საქმეების მოგვარებაში ერთი ქალი დამეხმარა. ექიმი მოვიყვანეთ და პოლიცია გამოვიძახეთ. ჰელენი წაიყვანეს და გუშინ საღამოს უკან დააბრუნეს, მას შემდეგ, რაც გამოიკვლიეს და სიკვდილის მიზეზი დაადგინეს.

შვარცმა უმწეოდ შემომხედა.

- იქ მითხრეს, ამქვეყნიური პირი აღარ ჰქონდა... და კარგი იქნება, თუ კუბოს თავს არ გადახდითო...

* * *

მესაფლავეები მოვიდნენ. კუბოს თავი რომ დაახურეს, შვარცი წაბარბაცდა.

- სასაფლაოზე მეც გამოყვებით, - ვუთხარი მერე.

სასაფლაო შორს არ იყო. მზიანი დილა კი გათენდა, თუმცა ქარი ნაგაზივით ასდევნებოდა ქულა ღრუბლებს. გაშლილი ცის ქვეშ, სასაფლაოზე, შვარცი მთლად დაჩიავებული და დაბნეული იდგა.

- იმ ბინაში აპირებთ დაბრუნებას? - ვკითხე მე.

აღმოჩნდა, რომ შვარცს ჩემოდანი თან წამოეღო.

- ხომ არ იცნობთ ვინმეს, ვინც პასპორტს გადამიკეთებდა?

- გრეგორიუსი ერთი კვირის წინ ჩამოვიდა, - მითხრა მან.

გრეგორიუსთან მივედით, მან შვარცს სწრაფად დაუმზადა პასპორტი, რადგან ეს საქმე დიდ სიზუსტეს არ მოითხოვდა. შვარცს უცხოელთა ლეგიონის სარეგისტრაციო ბარათი ჰქონდა და ჩემი პასპორტი მხოლოდ საზღვარზე გადასვლის დროს დასჭირდებოდა. მერე ყაზარმაში რომ გამოცხადდებოდა, შეეძლო საერთოდ გადაეგდო, რადგან იქ მისი წარსულით უკვე აღარავინ დაინტერესდებოდა.

- თქვენ რომ წამოიყვანეთ, იმ საწყალ ბიჭს რა ბედი ეწია? - ვკითხე შვარცს.

- ბიძამისი ვერ იტანს, მაგრამ ბიჭი მაინც კმაყოფილია იმით, რომ ახლა საკუთარ ნათესავებსაც სძულთ და არა მხოლოდ უცხო ხალხს.

უნდა დავმშვიდობებოდი კაცს, ახლა უკვე ჩემს გვარს რომ ატარებდა.

- ყოველივე კარგს გისურვებთ! - ვუთხარი მერე, მოვერიდე, რომ მისთვის შვარცის გვარით მიმემართა და ამ ჩვეულებრივი ფრაზის მეტი ვერაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე.

- ალბათ თქვენთან შეხვედრა აღარასდროს მომიწევს, - მითხრა მან. - და ეს კარგიცაა. ჩემზე უკვე იმდენი რამ იცით, არა მგონია, თქვენი ნახვის სურვილი კვლავ გამიჩნდეს.

ამაში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რადგან შესაძლოა, მოგვიანებით, სწორედ ამის გამო გასჩენოდა ჩემთან შეხვედრის სურვილი. მისი აზრით, მე ის ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელსაც მისი ცხოვრების გაუყალბებელი სურათი მიჰქონდა თან. თუმცა ისიც მოსალოდნელი იყო, რომ იგი სწორედ ამის გამო შემიძულებდა და მოეჩვენებოდა, თითქოს ცოლი, ამჯერად უკვე სამუდამოდ და სამარადისოდ, მე წავართვი... მას სჯეროდა, რომ მის გონებაში ყველა მოგონება სახეს იცვლიდა, ჩემი მეხსიერება კი მათ გაუყალბებლად შემოინახავდა.

მერე დიდხანს ვუყურებდი, ჩემოდნით ხელში როგორ მიუყვებოდა ქუჩას რქებდადგმული და თავდავიწყებით შეყვარებული საბრალო ქმრის ეს მარადიული სიმბოლო... მაგრამ ეს კაცი ხომ თავის საყვარელ არსებას გულის სიღრმეში უფრო ღრმად ფლობდა, ვიდრე ამის უნარი გონებაჩლუნგ გამარჯვებულთა მთელ ჯგროს შესწევდა?! სინამდვილეში კი რას შეიძლება ვფლობდეთ? რისთვის ავტეხთ ხოლმე ალიაქოთს ისეთ საგნებზე, რომლებსაც, უკეთეს შემთხვევაში, რაღაც დროით ვქირაობთ? რა საჭიროა, ამდენი ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ მეტად ფლობს რაღაცას ან ვინ ნაკლებად, როდესაც ცრუ სიტყვა „ფლობა“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ცდილობ, ჰაერი მოიხელთო.

გრეგორიუსთან რომ მივედი, ჩემი ცოლის პასპორტის ფოტო თან მქონდა. იმხანად საბუთებისთვის ყოველთვის გვჭირდებოდა ფოტოები. გრეგორიუსი საქმეს მაშინვე შეუდგა. გვერდიდან არ მოვშორებივარ. ამ ორი პასპორტის უმეთვალყურეოდ დატოვება არ მინდოდა.

შუადღისას პასპორტები მზად იყო და მაშინვე ჩვენს ბარაკში გავვარდი, იმხანად რომ ვცხოვრობდით. რუთი ფანჯარასთან იჯდა და ეზოში იყურებოდა, სადაც მეთევზეების ბავშვები თამაშობდნენ.

- ისევ წააგე, არა? - მკითხა მან, როგორც კი ოთახში შევედი.

პასპორტები ჰაერში ავაფრიალე.

- ხვალ მივემგზავრებით ამერიკაში! სხვადასხვა გვარით წავალთ და იქ ხელმეორედ ვიქორწინებთ.

საერთოდ აღარ მიფიქრია იმაზე, რომ ახლა იმ კაცის პასპორტი მქონდა, რომელსაც, შესაძლოა, მკვლელობის გამო ეძებდნენ. მეორე საღამოს გავემგზავრეთ და ამერიკაში მშვიდობით ჩავედით. მაგრამ იმ ორი შეყვარებული ადამიანის პასპორტებს ჩვენთვის ბედნიერება არ მოუტანია. ცოლი ექვს თვეში დამშორდა. ეს განქორწინება კანონიერი რომ ყოფილიყო, ჯერ ისევ უნდა დავქორწინებულიყავით. რუთი მოგვიანებით იმ ახალგაზრდა, მდიდარ ამერიკელზე გათხოვდა, შვარცს თავის დროზე, მარსელის საკონსულოში თავდებად რომ დაუდგა. ჩემმა თავგადასავალმა საკმაოდ გააოცა, მერე კი, ჩვენს მეორე ქორწილში მეჯვარე იყო. ერთი კვირის შემდეგ მე და რუთი მეხიკოში წავედით და იქ გავქორწინდით.

ომის პერიოდი ამერიკაში გავატარე. ჩემდა გასაოცრად, მალე მხატვრობით დავინტერესდი, რაც ადრე დიდად არ მიტაცებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს ინტერესი იმ შორეულ-

მა, განსვენებულმა, ნამდვილმა შვარცმა მემკვიდრეობით გადმომცა. ხშირად მახსენდებოდა ჩემი ნაცნობი შვარციც, რომელიც ალბათ ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ეს ორი ადამიანი დროდადრო თითქოს ზღაპრულ ბურუსში შეერწყმოდა ხოლმე ერთმანეთს, მერე კი მეჩვენებოდა, რომ ეს ხილვა რაღაც ძალით მოქმედებდა ჩემზე, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ეს უაზრობა იყო. ბოლოს მუშაობა მხატვრულ სალონში დავიწყე, ჩემს ოთახში კი დეგას იმ ნახატების რეპროდუქციები დავკიდე, რომლებიც ძალიან მომწონდა.

ხშირად ვიხსენებდი ჰელენსაც. მართალია, ის ცოცხალი არასოდეს მინახავს, მაგრამ ერთხანს, მარტო როცა ვცხოვრობდი, მასზე ოცნებებიც კი გამიტაცებდა ხოლმე. მისი წერილები, შვარცმა რომ გადმომცა, არ წამიკითხავს, და როგორც კი გემი ოკეანეში გავიდა, ღამით წყალში გადავყარე. სანამ გადავყრიდი, ხელით ვიგრძენი, რომ ერთ-ერთ წერილში რაღაც იდო. სიბნელეში კონვერტიდან ამოვიღე და ბრტყელი ქარვა აღმოჩნდა, რომელშიც ათასი წლის წინანდელი, კოხტა კოღო გაქვავებულიყო. ქარვა იმ პაწაწინა კოღოსთან ერთად თან წავიღე, ოქროსფერი ცრემლით სავსე გალიაში ალბათ სიკვდილს რომ ებრძოდა, მერე კი სამუდამოდ გაქვავდა, იმ დროს, როცა მისი მსგავსი ყველა არსება გაიყინა, დაიღუპა და საერთოდ გაქრა.

ომი რომ დამთავრდა, ევროპაში დავბრუნდი. საკუთარი იდენტურობის დამტკიცება გამიჭირდა, რადგან იმხანად გერმანიაში, უამრავი რასისტი არაკაცი თავისი იდენტურობის უარყოფას ცდილობდა. ორივე შვარცის კუთვნილი პასპორტი ერთ რუსს ვაჩუქე, რომელიც საზღვარზე გადმოპარულიყო... სწორედ ამ დროს ემიგრანტების ახალი ტალღა მოაწყდა ქვეყანას, და ღმერთმა უწყის, რა ბედი ეწია ამ კაცს! შვარცის შესახებ აღარა-

ფერი მსმენია. ერთხელ ოსნაბრიუკშიც კი წავედი მის მოსაძებნად, თუმცა მისი ნამდვილი გვარი აღარ მახსოვდა. ქალაქი გაპარტახებული დამხვდა, შვარცის ამბავი არავინ იცოდა და არც არავის აინტერესებდა. უკანა გზაზე, სადგურთან, ვიღაც კაცს მივამსგავსე. უკან დავედევნე და ხელში ფოსტის თანამშრომელი შემრჩა, რომელმაც მითხრა, გვარად იანსენი ვარ და სამი შვილი მყავსო.